

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნონა ახალაშვილი

იურიდიული ფსიქოლოგიის
საფუძვლები
(დამხმარე სახელმძღვანელო)

წიგნი I



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2006

წინამდებარე ნაშრომში ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული ზოგადი, სოციალური და იურიდიული ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იურიდიული ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი გამოყენებითი დარგია და ეფუძნება ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგიის თეორიებსა და მეთოდოლოგიას. წიგნს თან ერთვის პრაქტიკული სავარჯიშოები, გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.

„იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (დამხმარე სახელძღვანელო, წიგნი I) განკუთვნილია სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, თუმცა უთუოდ დაინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს.

რეცენზენტი: პროფ. ნ. გოგიჩაშვილი

რედაქტორები: პროფ. რ. ბალანჩივაძე
პროფ. ვ. ვაშაკიძე

© ნ. ახალაშვილი, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006

თბილისი, 0128, ი. 5335334ძის ბაზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-36-4

სარჩევი

წინასიტყვაობა -----	5
ფსიქოლოგიის შესახებ -----	8
1. ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება -----	8
2. ანტიკური და შუასაუკუნეების ფილოსოფოსების შეხედულებანი სულისა და ცნობიერების შესახებ -----	13
3. ფსიქოლოგიის ძირითადი დარგები -----	23
4. ქართული ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორია -----	27
პიროვნების შემეცნებითი პროცესები -----	30
1. შეგრძნება -----	30
2. აღქმა -----	34
3. ყურადღება -----	39
4. მეხსიერება -----	42
5. ჩვევები -----	48
6. აზროვნება -----	50
7. მეტყველება -----	52
8. წარმოსახვა -----	54
9. გრძნობები -----	57
10. ემოციები -----	59
11. ნებისყოფა -----	63
პიროვნება -----	66
1. პიროვნების პრობლემა ზ. ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში -----	68
2. პიროვნების პრობლემა ა. ადლერის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში -----	72
3. ტემპერამენტი -----	75
4. ხასიათი -----	78
სოციალური ფსიქოლოგია -----	81
• მცირე ჯგუფის პრობლემა სოციალურ ფსიქოლოგიაში ---	82
• გარემო და ფსიქიკური აქტივობის ორგანიზაცია -----	85
• ადამიანთა ურთიერთქმედება -----	88
• კონფორმულობის ცნების ფსიქოლოგიური შინაარსი -----	90
• კომუნიკაცია -----	95
• ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი -----	103

იურიდიული ფსიქოლოგია -----	109
კრიმინალური ქცევის დეტერმინაციის ფსიქოლოგიური, გენეტიკური და სოციალური ფაქტორების სისტემა -----	111
1. სისტემური მიდგომა ქცევითი მოვლენების ანალიზისადმი --	111
2. ბიოსოციალური ფაქტორების როლი დანაშაულებრივი ქმედების დეტერმინაციაში -----	114
3. დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგია	128
4. დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგია -----	132
5. სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეთა ფსიქოლოგიური თავისებურებები -----	135
6. დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგია	151
6.1. იმპულსური დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები	152
6.2. წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები -----	156
ა. დანაშაულებამდელი ფსიქიკური მდგომარეობები. დანაშაულებრივი ქმედების მოტივები და მიზნები --	156
ბ. დანაშაულის საბაბი. დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება -----	161
გ. დანაშაულის განხორციელება. დანაშაულებამდელი ქმედების ჩადენის ხერხები -----	164
7. გამომძიებლის პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები -----	167
ანომალური ქცევა(პრაქტიკული სავარჯიშოები) -----	172
• რა არის ანომალური ქცევა?	172
• შფოთვა -----	175
• ფობიები -----	175
• დისოციაციური დარღვევები -----	183
• დეპრესია -----	185
• ნარკომანია და ალკოჰოლიზმი -----	188
• თვითმკვლელობა -----	190
• შიზოფრენია -----	194
• ორგანული ფსიქიკური დარღვევები -----	196
• საკითხები დამოუკიდებელი მუშაობისათვის	198
გლოსარიუმი -----	199
გამოყენებული ლიტერატურა -----	207

წინასიტყვაობა

იურიდიული ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, XIX ს-ის ბოლოს აღმოცენდა და იმთავითვე იურიდიული განათლების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა. მან მოახდინა სამართლის ყველა დარგის ერთ საფუძველზე გაერთიანება, რომელსაც "ადამიანური ფაქტორი" ეწოდა.

იურიდიული ფსიქოლოგიის კურსმა, რომელიც თავისთავად მეტად საინტერესო, რთული და მრავალდარგოვანია, სამართლის მომავალ სპეციალისტებს უნდა გაუადვილოს ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებების გაგება.

სამართლებრივი რეგულირება ობიექტურად განპირობებულია სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებებით. იურისტი კომპეტენტური სპეციალისტი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი შეიძლება პროფესიული ცოდნისა და ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიის ცოდნის სინთეზირებას.

შეისწავლის რა იურიდიულ ფსიქოლოგიას, იურისტი შეიმეცნებს პიროვნების გარემოსთან ურთიერთქმედების კანონებს, სოციალურად ადაპტირებადი და დევიანტური (ასოციალური) ქცევის ჩამოყალიბების პირობებსა და ნიშან-თვისებებს, ინდივიდის კრიმინალიზაციის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. იურიდიული ფსიქოლოგიის ცოდნა იურისტს საშუალებას აძლევს მოახდინოს დამნაშავეის ქცევის, სასამართლო და საგამოძიებო საქმიანობის სისტემური ანალიზი.

იურისტის ფსიქოლოგიური კულტურა გულისხმობს სამართლის სფეროს ყველა მუშაკის გარკვეულ ფსიქოლოგიურ განათლებას, ასევე, იმ უნარ-ჩვევებსაც, რომლებიც განაპირობებენ პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მაღალ კულტურას. იგი, თავის მხრივ, ამაღლებს იურიდიული საქმიანობის ეფექტურობას, ხელს უწყობს მის კუმანიზაციას.

სტუდენტებისათვის იურიდიული ფსიქოლოგიის სწავლება მნიშვნელოვნად გართულებულია ამ დისციპლინაში სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის და სახელმძღვანელოების სიმცირის გამო. გამოდინარე აქედან, ჩვენს მიზანს წარმოადგენს მცდელობა, შეიქმნას დამხმარე სახელმძღვანელო იურიდიულ ფსიქოლოგიაში, რო-

მელიც მაგისტრატურის სტუდენტებს მისცემს იმ საჭირო ცოდნას, რომელიც მომავალ პროფესიულ საქმიანობაში მათ დაეხმარება ინტერპერსონალური ურთიერთობების მოგვარებაში; გააცნობს პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ პოპულარულ თეორიებსა და კონცეპციებს, რითაც გამოუმუშავებს ურთიერთობების პრაქტიკულ ჩვევებს, ასევე, სიტუაციის კრიტიკული ანალიზის, გუნდური მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს.

იურიდიული ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი გამოყენებითი დარგია. იგი ეფუძნება ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებსა და მეთოდოლოგიას. ამიტომ ნაშრომში განხილულია ზოგადი და სოციალური ფსიქოლოგიის უმთავრესი საკითხებიც.

წარმოდგენილი ნაშრომი - "იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები" დამხმარე სახელმძღვანელოს მხოლოდ პირველი წიგნია. იგი, თავის მხრივ ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში საუბარია ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების განვითარებაზე, ფსიქოლოგიის დარგებზე, ანტიკური და შუასაუკუნეების ფილოსოფოსების შეხედულებებზე სულისა და ცნობიერების შესახებ, ასევე, მოკლედ გადმოცემულია ქართული ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორია.

მეორე ნაწილში დახასიათებულია პიროვნების შემეცნებითი პროცესები და ემოციურ-ნებელობითი მდგომარეობები (შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა, ემოციები, გრძნობები, ნებელობა), აგრეთვე პიროვნების თვისებები (ტიპპერამენტი, ხასიათი).

რაც შეეხება მესამე ნაწილს, მასში მიმოხილულია სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა მცირე ჯგუფი, გარემო და ფსიქიკური აქტივობის ორგანიზაცია, ადამიანთა ურთიერთქმედება, კონფორმულობა, კომუნიკაცია, ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი.

დამხმარე სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილში - "იურიდიული ფსიქოლოგია" - განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: კრიმინალური ქცევის დეტერმინაციის ფსიქოლოგიური, გენეტიკური და სოციალური ფაქტორების სისტემა, დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგია, დამნაშავის ტიპოლოგია, დანაშაუ-

ლებრივი ქმედების ფსიქოლოგია, გამომძიებლის პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები. აქვე მიზანშეწონილად მივიჩნით სამართლის მომავალი სპეციალისტებისათვის გაგვეცნო სხვადასხვა ფსიქიკურ დარღვევებში გამოვლენილი ანომალიური ქცევის ყველაზე ფართოდ გავრცელებული შემთხვევები. ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ქცევის აღწერას თან ერთვის ტესტები და პრაქტიკული საეარჯიშოები, რაც სტუდენტებს გაუადვილებს მათთვის ახალი მასალის აღქმა-გააზრებას.

დამხმარე სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემულია მასში გამოყენებული ძირითად ფსიქოლოგიურ ცნებათა და ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ერთობ საჭირო და აუცილებელი ინსტრუმენტია არა მხოლოდ იურისტისათვის, არამედ ფსიქოლოგიით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისათვის. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაც.

ახლო მომავალში ჩაფიქრებულია დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე წიგნის გამოცემაც, სადაც განხილული იქნება იურიდიული ფსიქოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა სამართლებრივი ფსიქოლოგია, გამოძიების, სასამართლო, სასჯელაღსრულებითი და სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ფსიქოლოგია.

და ბოლოს, იმის გამო, რომ წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო ავტორის პირველი ცდაა, თავი მოუყაროს ფსიქოლოგიის ამ დარგში დაგროვილ სამეცნიერო ცოდნას, დიდი მადლიერებით მივიღებთ ნაშრომის ირგვლივ გამოთქმულ ყველა შენიშვნასა და მოსაზრებას.

ფსიქოლოგიის შესახებ

➤ ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება

მეცნიერებების დარგებად დაყოფისას გამოყოფენ ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებს. პირველი იკვლევს საზოგადოებას, კულტურასა და ისტორიას, მეორე — ბუნებას, მესამე დაკავშირებულია შრომის იარაღებისა და წარმოების საშუალებების შესწავლასა და შექმნასთან. ადამიანი — სოციალური არსებაა და ყველა მისი ფსიქიკური მოვლენა მნიშვნელოვანწილად სოციალური ფაქტორებით არის გაპირობებული, ამიტომ ფსიქოლოგია ჰუმანიტარულ დისციპლინებს მიეკუთვნება.

ცნება „ფსიქოლოგიას“ აქვს როგორც წმინდა სამეცნიერო, ისევე ცხოვრებისეული დატვირთვა. პირველ შემთხვევაში, იგი გამოიყენება შესატყვისი მეცნიერული დისციპლინის აღსანიშნავად, მეორე შემთხვევაში კი — ცალკეული პირების, ან ადამიანთა ჯგუფის ფსიქიკური თავისებურებების, ან ქცევის აღწერისათვის. ამიტომ, ამა თუ იმ ხარისხით, მის სისტემატურ შესწავლამდე დიდი ხნით ადრე, ყოველი ადამიანი ეცნობა ტერმინს „ფსიქოლოგია“.

უკვე ადრეულ ასაკში ბავშვი ამბობს „მე მინდა“, „მე ვფიქრობ“, „მე ვგრძობ“. ეს სიტყვები ადასტურებენ, რომ პატარა ბავშვი, გაუცნობიერებლად საკუთარ შინაგან სამყაროს იკვლევს. მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველი ადამიანი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, სწავლობს საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს. უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი სამყაროს შემეცნების დონე ბევრად განსაზღვრავს იმას, რამდენად შეუძლია ადამიანს სხვების გაგება, რამდენად წარმატებულად ააგებს მათთან პიროვნებათაშორის ურთიერთობებს.

ადამიანი სოციალური არსებაა და თავისდაუნებურად არ შეუძლია ცხოვრება გარშემომყოფებთან კონტაქტის გარეშე. ცოცხალი ურთიერთობისას ყოველი ადამიანი მრავალ ფსიქოლოგიურ კანონს წვდება. მაგალითად, ყოველ ჩვენგანს უკვე ბავშვობიდანვე შეუძლია გარეგანი გამოვლინებების—მიმიკის, ფესტების, ინტონაციის, ქცევის თავისებურებების მიხედვით „წაიკითხოს“ მეორე ადამიანის ემოციური მდგომარეობა. ამგვარად, ყოველი ადამიანი, მეტნაკლებად, თავისებურად ფსიქოლოგია, რამეთუ საზოგადოებაში

შეუძლებელია ცხოვრება ადამიანთა ფსიქიკის შესახებ გარკვეული წარმოდგენების გარეშე.

თუმცაღა, ცხოვრებისეული ფსიქოლოგიური ცოდნა ძალზედ მიახლოებითია, გაფანტულია და ბევრად განსხვავდება მეცნიერული ცოდნისგან. მაინც რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

- ყოფითი ფსიქოლოგიური ცოდნა კონკრეტულია, მიჯაჭვულია კონკრეტულ სიტუაციებზე, ადამიანებზე, ამოცანებზე. მეცნიერული ფსიქოლოგია კი ისწრაფვის განზოგადობისკენ, რისთვისაც შესაბამისი კანონები გამოიყენება.
- ცხოვრებისეული ფსიქოლოგიური ცოდნა ატარებს ინტუიციურ ხასიათს, რაც განპირობებულია მისი მიღების ხერხით – შემთხვევითი გამოცდილებითა და მისი სუბიექტური ანალიზით არაცნობიერ დონეზე. ამისგან განსხვავებით, მეცნიერული შემეცნება ეყრდნობა ექსპერიმენტს, ხოლო მიღებული ცოდნა კი სავსებით რაციონალური და გაცნობიერებულია.
- არსებობს განსხვავება ცოდნის გადაცემის ხერხებში. როგორც წესი, ყოფითი ფსიქოლოგიის ცოდნის გადაცემა ხდება დიდი შრომის შედეგად, ხშირად კი ეს გადაცემა უბრალოდ შეუძლებელია. როგორც ი. გიპენრეიტერი წერს, შვილებისა და მამების „სამარადღეამო პრობლემა“ მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ შვილებს არ შეუძლიათ ან არ სურთ მამების გამოცდილების გაზიარება. ამავე დროს, მეცნიერებაში კი ცოდნა გროვდება და გაცილებით იოლად გადაეცემა.
- მეცნიერული ფსიქოლოგია ფლობს ფართო, მრავალფეროვან და, ამასთანავე, უნიკალურ ფაქტობრივ მასალას, რომელიც მთელი მოცულობით მიუწვდომელია ცხოვრებისეული ფსიქოლოგიის მატარებლისათვის.

მაინც რა არის ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება?

სიტყვა „ფსიქოლოგია“ ძველბერძნულიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით აღნიშნავს „მეცნიერებას სულის შესახებ“. ტერმინი „ფსიქოლოგია“ მეცნიერულ მიმოქცევაში პირველად გაჩნდა XVI ს-ის დასაწყისში. პირველსაწყისად ის მიეკუთვნებოდა განსაკუთრებულ მეცნიერებას, რომელიც სწავლობდა ე.წ. სულიერ, ფსიქიკურ მოვლენებს, რომელთაც ყოველი ადამიანი ადვილად აღმოაჩენს საკუთარ ცნობიერებაში თვითდაკვირვების შედეგად. მოგვიანებით, XVII–XIX სს-ში, ფსიქოლოგიის მიერ შესასწავლი სფე-

რო ფართოვდება და მოიცავს არა მხოლოდ გაცნობიერებულ, არამედ არაცნობიერ მოვლენებსაც. ამრიგად, ფსიქოლოგია — ეს არის მეცნიერება ფსიქიკისა და ფსიქიკური მოვლენების შესახებ. მაინც რა არის ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი ჩვენს დროში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გაკეთდეს ფსიქიკურ მოვლენათა კლასიფიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სხვადასხვა შეხედულება ფსიქიკურ მოვლენათა სტრუქტურასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ავტორი არ გამოყოფს ფსიქიკური პროცესების მახასიათებლებსა და პიროვნების ფსიქიკურ თვისებებს. ფსიქიკურ მოვლენებს ჩვენ დავყოფთ სამ ძირითად კლასად: ფსიქიკურ პროცესებად, ფსიქიკურ მდგომარეობებად და პიროვნების ფსიქიკურ თვისებებად.

ფსიქიკური პროცესები გამოდიან, როგორც ადამიანის ქცევის პირველადი რეგულატორები. ფსიქიკურ პროცესებს აქვთ განსაზღვრული საწყისი, მიმდინარეობა და დასასრული, ანუ ფლობენ გარკვეულ დინამიკურ მახასიათებლებს, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, მიაკუთვნებენ ფსიქიკური პროცესის მდგრადობისა და ხანგრძლივობის განმსაზღვრელ პარამეტრებს. ფსიქიკური პროცესების საფუძველზე ფორმირდება გარკვეული მდგომარეობა, ყალიბდება ცოდნა, უნარები და ჩვევები. თავის მხრივ, ფსიქიკური პროცესები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: შემეცნებითი, ემოციური და ნებელობითი.

შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს მიაკუთვნებენ ინფორმაციის აღქმასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს. მათ რიცხვში შედის შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება და ყურადღება. მოცემული პროცესების წყალობით ადამიანი იღებს ინფორმაციას გარე სამყაროზე და საკუთარ თავზე. თუმცაღა, თავისთავად, მონაცემები ან ცოდნა არ ასრულებენ არავითარ როლს ადამიანისთვის, თუ ისინი მისთვის მნიშვნელოვანი არ არის. თქვენ, ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ ერთი მოვლენა დიდხანს რჩება მეხსიერებაში, ხანგრძლივი დროის მანძილზე ფიქრობთ მის შესახებ, სხვებს კი ივიწყებთ მეორე დღესვე. რაღაც ინფორმაცია კი შეიძლება თქვენთვის საერთოდაც შეუძწნეველი დარჩეს. ყოველივე ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ნებისმიერ ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს ემოციური შეფერილობა, ანუ შესაძლოა იყოს

მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო. ამიტომ შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებთან ერთად დამოუკიდებელ პროცესებად გამოყოფენ ემოციურ ფსიქიკურ პროცესებს. ფსიქიკური პროცესების ამ ჯგუფის ჩარჩოებში განიხილავენ ისეთ მოვლენებს, როგორცაა აფექტები, ემოციები, გრძნობები, გუნება-განწყობილება და ემოციური სტრესი.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუ განსაზღვრული მოვლენა ან სიტუაცია ადამიანში იწვევს დადებით ემოციებს, მაშინ ეს სასიკეთოდ იმოქმედებს მის საქმიანობაზე, მდგომარეობაზე, და პირიქით, უარყოფითი ემოციები ართულებენ მოქმედებას და აუარესებენ ადამიანის მდგომარეობას. ამასთან, არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად, მოვლენა, რომელიც იწვევს უარყოფით ემოციებს, აძლიერებს ადამიანის აქტივობას, მას სტიმულს აძლევს აღმოცენებული წინააღმდეგობების გადალახვისათვის. მსგავსი რეაქცია ადასტურებს, რომ ადამიანის ქცევის ფორმირებისათვის არსებითია არა მხოლოდ ემოციური, არამედ ნებელობითი ფსიქიკური პროცესებიც, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად გადაწყვეტილების მიღებასთან, სირთულეების გადალახვასთან, საკუთარი ქცევის მართვასთან და ა.შ. დაკავშირებულ სიტუაციებში ვლინდება.

ხშირად დამოუკიდებელი ფსიქიკური პროცესების რანგში კიდევ ერთ ჯგუფს გამოყოფენ. ესაა გაუცნობიერებელი პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ, ან ხორციელდებიან ცნობიერების მხრიდან კონტროლის გარეშე.

ფსიქიკური პროცესები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და წარმოადგენენ პირველად ფაქტორებს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობების ჩამოყალიბებაში. მათ, ისევე როგორც ფსიქიკურ პროცესებს, აქვთ თავიანთი დინამიკა, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივობით, მიმართულობით, მდგრადობითა და ინტენსივობით. ამავე დროს, ფსიქიკური მდგომარეობანი ზეგავლენას ახდენენ ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობასა და შედეგზე და შეუძლიათ ხელი შეუწყონ, ან დაამუხრუჭონ საქმიანობა. ფსიქიკურ მდგომარეობებს მიაკუთვნებენ ისეთ მოვლენებს, როგორცაა დათრგუნულობა, შიში, აღფრთოვანება, მხნეობა, გულგატეხილობა, ნაღვლიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური მდგომარეობანი შეიძლება იყოს უკიდურესად რთული მოვლენა და ჰქონდეს ობიექტური და სუბიექტური განპირობებულობა. მაგრამ მათ მახასიათებელ საერთო თავისებურებას დინამიკურობა წარმოადგენს. გამონაკლისია ის ფსიქიკური მდგომარეობები,

რომლებიც განპირობებულია პიროვნების ძირითადი მახასიათებლებით, მათ შორის პათოქარაქტეროლოგიური თავისებურებებით.

ფსიქიკური მოვლენების შემდგომი კლასი - პიროვნების ფსიქიკური თავისებურებები - ხასიათდება დიდი სიმყარითა და მუდმივობით. აქ იგულისხმება პიროვნების განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ქცევისა და საქმიანობის განსაზღვრულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ დონეს. ფსიქიკურ თვისებებს მიაკუთვნებენ მიმართულობას, ტემპერამენტს, უნარებსა და ხასიათს. ამ თვისებების განვითარების დონე, აგრეთვე, ფსიქიკური პროცესების განვითარების თავისებურებები და გაბატონებული ფსიქიკური მდგომარეობები, განაპირობებენ ადამიანის განუმეორებლობას, მის ინდივიდუალობას.

ფსიქოლოგიის მიერ შესწავლილი მოვლენები დაკავშირებულია არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანთან, არამედ ჯგუფებთანაც. ჯგუფებსა და კოლექტივებში მიმდინარე ფსიქიკური მოვლენები დაწვრილებით სოციალური ფსიქოლოგიაში შეისწავლება.

ყველა ჯგუფური ფსიქიკური მოვლენა, ასევე, შესაძლოა, დაყოფილ იქნას ფსიქიკურ პროცესებად, ფსიქიკურ მდგომარეობებად და ფსიქიკურ თავისებურებებად. ინდივიდუალური ფსიქიკური მოვლენებისგან განსხვავებით, ჯგუფებისა და კოლექტივების ფსიქიკური მოვლენები შედარებით გამოკვეთილად იყოფიან შინაგან და გარეგან მოვლენებად.

იმ კოლექტიურ ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც გამოდიან კოლექტივის ან ჯგუფის არსებობის რეგულაციის პირველადი ფაქტორის როლში, მიეკუთვნება დამოკიდებულება, პიროვნებათშორისი აღქმა, პიროვნებათშორისი ურთიერთობა, ჯგუფური ნორმების ფორმირება, ჯგუფათშორისი ურთიერთმიმართება და სხვ. ჯგუფის ფსიქიკურ მდგომარეობას მიაკუთვნებენ კონფლიქტს, შეჭიდულობას, ფსიქოლოგიურ კლიმატს, ჯგუფის ღიაობას ან დახურულობას, პანიკასა და სხვ. ჯგუფის შედარებით მნიშვნელოვან ფსიქიკურ თვისებებს განეკუთვნება ორგანიზებულობა, ხელმძღვანელობის სტილი, საქმიანობის ეფექტურობა.

ამგვარად, ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის ფსიქიკა და ფსიქიკური მოვლენები, ასევე ფსიქიკური პროცესები, გამოვლენილი ჯგუფებსა და კოლექტივებში. თავის მხრივ, ფსიქოლოგიის ამოცანაა ფსიქიკური მოვლენების კვლევა.

➤ ანტიკური და შუასაუკუნეების ფილოსოფოსების შეხედულებანი სულისა და ცნობიერების შესახებ

ფსიქოლოგიამ, ისევე როგორც სხვა ნებისმიერმა მეცნიერებად, განვითარების განსაზღვრული გზა გაიარა. XIX-ის ბოლოსა და XX-ის დასაწყისის ცნობილმა ფსიქოლოგმა, ჰ. ებინჰაუზმა, მოახერხა ფსიქოლოგიის შესახებ ძალზედ მოკლედ და ზუსტად ეთქვა, რომ ფსიქოლოგიას უდიდესი წინაისტორია და ძალიან მოკლე ისტორია აქვს. ისტორიის ქვეშ იგულისხმება ფსიქიკის შესწავლის ის პერიოდი, როცა ფსიქოლოგია გამოეყო ფილოსოფიას და დაუახლოვდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რასაც მოჰყვა კვლევის საკუთარი ექსპერიმენტული მეთოდების გაჩენა. ეს მოხდა მე-19 ს-ის მეორე ნახევარში, მაგრამ ფსიქოლოგიის საწყისები შეიძლება საუკუნეების სიღრმეებში ვეძიოთ.

ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს ფსიქოლოგიის ისტორიის განხილვა, რამეთუ სპეციალური სასწავლო კურსია მიძღვნილი ამ რთული და საინტერესო პრობლემისადმი. ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ თუ როგორ იცვლებოდა ფსიქიკურ მოვლენებზე ადამიანის შეხედულება ისტორიული განვითარების პროცესში და, მასთან ერთად, როგორ იცვლებოდა ფსიქოლოგიური მეცნიერების კვლევის საგანი. ამ თვალსაზრისით, ფსიქოლოგიის ისტორიაში, შესაძლოა, პირობითად ოთხი ეტაპი გამოვყოთ. პირველ ეტაპზე ფსიქოლოგია არსებობდა, როგორც მეცნიერება სულის შესახებ, მეორეზე – როგორც მეცნიერება ცნობიერების შესახებ, მესამეზე – როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ და მეოთხეზე – როგორც მეცნიერება ფსიქიკის შესახებ.

განვიხილოთ თითოეული ეტაპი უფრო დეტალურად.

ფსიქოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ფსიქიკის გამოვლინებებს ადამიანი საკუთარი თავის ადამიანად გაცნობიერებისთანავე ეჯახება, მაგრამ ფსიქიკური მოვლენები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისთვის ამოუცნობ გამოცანად რჩებოდა. მაგალითად, ხალხში ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული შეხედულებას სულის, როგორც განსაკუთრებული სუბსტანციის, შესახებ, რომელიც გამოყოფილი იყო სხეულისგან. ასეთი აზრი ადამიანებში ჩამოყალიბდა სიკვდილის

შიშიდან გამოძინარე, რამეთუ ჯერ კიდევ პირველყოფილმა ადამიანმა იცოდა, რომ ადამიანებიც და ცხოველებიც საბოლოოდ კვდებიან. ამასთან, ადამიანის გონებას არ შეეძლო აეხსნა, თუ რა მოსდის მას სიკვდილის შემდეგ. იმ დროს პირველყოფილებმაც იცოდნენ, რომ, როდესაც ადამიანს სძინავს, უფრო სწორედ, არ შედის კონტაქტში გარე სამყაროსთან, მაშინ ხედავს სიზმრებს — არარსებული რეალობის გაუგებარ ხატებს (სახეებს). მისწრაფებამ, აეხსნათ სიცოცხლისა და სიკვდილის შეფარდება, სხეულისა და რაღაც უცნობი არახელშესახები სამყაროს ურთიერთქმედება, გამოიწვია რწმენა იმისა, რომ ადამიანი შედგება ორი: ხელშესახები (სხეულისგან) და არახელშესახები (სულისგან) ნაწილისაგან. ამ თვალსაზრისიდან გამოძინარე, სიცოცხლე და სიკვდილი შეიძლება აიხსნას სულისა და სხეულის ერთიანობის მდგომარეობით. სანამ ადამიანი ცოცხალია, მისი სული იმყოფება სხეულში. როცა სული ტოვებს სხეულს, ადამიანი კვდება. როდესაც ადამიანს სძინავს, სული ტოვებს სხეულს რაღაც დროის მანძილზე და გადადის რომელიღაც სხვა ადგილას. ამრიგად, დიდი ხნის წინ, სანამ ფსიქიკური პროცესები, თვისებები, მდგომარეობები მეცნიერული ანალიზის საგნად იქცეოდნენ, ადამიანი ცდილობდა მათი წარმომავლობა და შინაარსი თავისთვის მისაღები ფორმით აეხსნა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ახლაც კი ადამიანს არ შეუძლია სრულიად ახსნას მრავალი ფსიქიკური მოვლენა. მაგალითად, დღემდე ფსიქიკისა და ორგანიზმის ურთიერთმოქმედების მექანიზმები წარმოადგენენ გადაუჭრელ გამოცანას. მიუხედავად ამისა, კაცობრიობის არსებობის პერიოდში ხდებოდა ფსიქიკური მოვლენების შესახებ ცოდნის დაგროვება. მიმდინარეობდა ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ჩამოყალიბება, თუმცაღა, პირველსაწყისად ფსიქოლოგიური ცოდნა ყოფით (ცხოვრებისეულ) დონეზე გროვდებოდა.

ყოფითი ფსიქოლოგიური მონაცემები, მიღებული საზოგადოებრივი და პირადი გამოცდილებიდან, აყალიბებენ მეცნიერებამდელ ფსიქოლოგიურ ცოდნას, რომელიც გაპირობებულია ერთობლივი შრომის, თანაცხოვრების პროცესში სხვა ადამიანის გაგების აუცილებლობით, რათა სწორად მოხდეს მის ქცევებსა და მოქმედებებზე რეაგირება. ამ ცოდნამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს გარშემომყოფი

ადამიანების ქცევაში ორიენტირებას. ის შეიძლება იყოს სწორი, მაგრამ მთლიანობაში ეს ცოდნა მოკლებულია სისტემურობას, სიღრმეს, დასაბუთებას. სავსებით გასაგებია, რომ ადამიანის მისწრაფებაში, გარკვეულიყო საკუთარ თავში, გამოიწვია მეცნიერების ერთ-ერთი პირველი დარგის – ფილოსოფიის ჩამოყალიბება. სწორედაც რომ ამ მეცნიერების ჩარჩოებში განიხილებოდა საკითხი სულის ბუნების შესახებ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ნებისმიერი ფილოსოფიური მიმართულების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი დაკავშირებულია ადამიანის წარმოშობისა და მისი სულიერების პრობლემასთან. კერძოდ კი – რომელია პირველადი: სული ანუ იდეალური, თუ სხეული – მატერია. ფილოსოფიის მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ეხება იმას, შეიძლება თუ არა ჩვენ გარშემო არსებული რეალობისა და თვით ადამიანის შემეცნება.

იმისდა მიხედვით, თუ ფილოსოფოსები როგორ სცემდნენ პასუხს ამ ძირითად კითხვებს, ისინი ყველანი შეიძლება განსაზღვრულ ფილოსოფიურ სკოლებსა და მიმართულებებს მივაკუთვნოთ. ფილოსოფიაში ორი ძირითადი მიმართულებაა გამოყოფილი: იდეალისტური და მატერიალისტური. იდეალისტი-ფილოსოფოსები თვლიდნენ, რომ პირველადი იდეალურია, მატერია კი მეორადია. უპირველესად იყო სული, შემდეგ კი – მატერია. მატერიალისტი-ფილოსოფოსები კი პირიქით, საუბრობდნენ იმაზე, რომ პირველი მატერიაა, იდეალური კი მეორეულია. უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიური მიმართულებების ასეთი დაყოფა დამახასიათებელია ჩვენი დროისათვის. პირველსაწყისად ფილოსოფიის იდეალისტურად და მატერიალისტურად დაყოფა არ არსებობდა. დაყოფა განხორციელდა ამა თუ იმ ფილოსოფიური სკოლისადმი მიკუთვნებულობის საფუძველზე, რომელშიც განსხვავებულად პასუხობდნენ ფილოსოფიის მთავარ საკითხზე. მაგალითად, პითაგორას სკოლა, მილეთის სკოლა, სტოიკოსების ფილოსოფიური სკოლა და ა.შ.

ფსიქოლოგია ითარგმნება როგორც „მეცნიერება სულის შესახებ“. ამიტომ პირველი ფსიქოლოგიური მოსაზრებები დაკავშირებული იყო ხალხის რელიგიურ წარმოდგენებთან. ამ თვალსაზრისს უმეტესწილად ასახავს იდეალისტების პოზიცია. მაგალითად, ძველგვიკატურ ტრაქტატში, „მემფისის თეოლოგიის ძეგლი“ (IV ათასწლეულის ბოლო ჩვ. ერამდე) ადგილი აქვს ფსიქიკურის აღ-

წერის მცდელობას. ამ ნაწარმოების თანახმად, ყოველივე არსებულის მომწყობად, სამყაროს არქიტექტორად ღმერთი პტახი (პტა) გვევლინება. ადამიანები, რასაც არ უნდა ფიქრობდნენ, რასაც არ უნდა ლაპარაკობდნენ, მათ გულებსა და ენას ის მართავს. მაგრამ უკვე ძველ დროშიც არსებობდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ფსიქიკური მოვლენები რაღაცნაირად დაკავშირებულნი არიან ადამიანის სხეულთან. ამავე ძველგვიპტურ ნაწარმოებში მოცემულია ადამიანისთვის გრძნობის ორგანოების მნიშვნელობის შემდეგნაირი ახსნა: ღმერთებმა შექმნეს თვალთა მხედველობა, ყურთა სმენა, ცხვირით სუნთქვა, რათა გაეგზავნათ შეტყობინებები გულისთვის. ამავდროულად, გულს განეკუთვნებოდა ცნობიერების გამცილებლის როლი. ამგვარად, ადამიანის სულის ბუნებასთან დაკავშირებით იდეალურ შეხედულებებთან ერთად არსებობდა სხვა – მატერიალისტური შეხედულებებიც, რომლებმაც ძველ ბერძენ ფილოსოფოსებთან შედარებით გამოკვეთილი გამოხატულება შეიძინეს.

სულის შესწავლა და ახსნა წარმოადგენს ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს. მაგრამ პასუხი კითხვაზე, თუ რა არის სული, არც თუ იოლი აღმოჩნდა. იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლები ფსიქიკას განიხილავენ, როგორც პირველადს, მატერიისგან დამოუკიდებლად არსებულს. ისინი ფსიქიკურ საქმიანობაში ხედავენ არამატერიალური, უსხეულო და უკვდავი სულის გამოვლინებას, ხოლო ყველა მატერიალური ნივთი და პროცესი მათ მიერ აიხსნება, ან როგორც ჩვენი შეგრძნებები და წარმოდგენები, ან როგორც „აბსულუტური სულის“, „მსოფლიოების“, „იდეების“ რაღაც ამოუცნობი გამოვლენა. მსგავსი შეხედულებების ახსნა სავსებით შესაძლებელია, რამდენადაც იდეალიზმი ჩაისახა იმ დროს, როცა ადამიანებს პრაქტიკულად არ გააჩნდათ არანაირი წარმოდგენა სხეულის აგებულებისა და ფუნქციების შესახებ, ფიქრობდნენ, რომ ფსიქიკური მოვლენები წარმოადგენენ განსაკუთრებულის, ზებუნებრივი არსების – სულისა და გონის საქმიანობას, რომელიც ადამიანში ჩასახლდება მისი დაბადებისთანავე და მას ტოვებს ძილისა და სიკვდილის მომენტში.

თავდაპირველად სული წარმოდგენილი იყო განსაკუთრებით ფაქიზი სხეულის, ან არსების სახით, რომელიც ცხოვრობდა სხვადასხვა ორგანოებში. რელიგიური შეხედულებების განვითარებასთან

ერთად სული სხეულის თავისებური ორეული იყო, როგორც უსხეულო და უკვდავი სულიერი არსება, დაკავშირებული „იმქვეყნიურ სამყაროსთან“, სადაც ის სუფევს მარადიულად სიცოცხლის დატოვების შემდეგ. ამ საფუძველზე აღმოცენდა ფილოსოფიის განსხვავებული იდეალისტური სისტემები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იდეები, სული, ცნობიერება პირველადს, ყოველივე არსებულის საწყისს, წარმოადგენს, ხოლო ბუნება, მატერია მეორადა, წარმოებულია ცნობიერებიდან, სულიდან და იდეებიდან.

მოცემული მიმართულების განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან პითაგორას სკოლის ფილოსოფოსები კუნძულ სამოსადან. პითაგორას სკოლა ქადაგებდა სულის სამარადიანო წრებრუნვის შესახებ, რომ სული სხეულზე მიმაგრებულია როგორც დამსჯელი ფორმა. ეს სკოლა იყო არა უბრალოდ რელიგიური, არამედ წარმოადგენდა რელიგიურ-მისტიკურ კავშირს. პითაგორელების შეხედულებების თანახმად, სამყაროს აქვს არა მატერიალური, არამედ არითმეტიკულ-გეომეტრიული სტრუქტურა. ყოველივე არსებულში — ზეციური სხეულების მოძრაობიდან გრამატიკამდე — მეფობს ჰარმონია, რომელსაც აქვს რიცხვითი გამოხატულება. სულისთვისაც დამახასიათებელია სხეულის წინააღმდეგობრიობათა ჰარმონია.

ფსიქიკის მატერიალისტური გაგება განსხვავდება იდეალისტური შეხედულებებისგან იმით, რომ, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ფსიქიკა მეორადაა, მატერიისგან წარმოებული მოვლენაა. თუმცაღა, მატერიალიზმის პირველი წარმომადგენლები, სულის შესახებ თავიანთი ნააზრევის მიხედვით, საკმაოდ შორს იდგნენ ფსიქიკის შესახებ თანამედროვე შეხედულებებისგან. ასე, მაგალითად, პერაკლიტე (530-477 წ.წ. ჩვენ ერამდე) მილეთის სკოლის ფილოსოფოსების — თალესის, ანაქსიმანდრეს, ანაქსიმენეს კვალდაკვალ საუბრობს ფსიქიკური მოვლენების მატერიალური ბუნებისა და სულისა და სხეულის ერთიანობის შესახებ. მისი სწავლების თანახმად, ყველა საგანი ცეცხლის მოდიფიკაციის არსია. ყოველი არსებული, მათ შორის სხეულებრივი და სულიერიც, უწყვეტად იცვლება. ორგანიზმის მიკროკოსმოსში მეორდება ცეცხლის გარდაქმნის საერთო რითმი მთელი კოსმოსის მასშტაბით, ხოლო ცეცხლოვანი საწყისი ორგანიზმში არის სწორედაც რომ სული — ფსიქეა. სული, პერაკლიტეს თანახმად, იბადება სინოტივიდან აორთქლების გზით და ბრუნდება რა ნო-

ტიო მდგომარეობაში, კვდება. მაგრამ „სინოტივისა“ და „ცეცხლოვან“ მდგომარეობებს შორის არის მრავალი გადასვლა. მაგალითად, ჰერაკლიტე მთვრალ ადამიანზე ამბობს, რომ „ის ვერ ამჩნევს თუ საითკენ მიდის, რამეთუ მისი ფსიქეა ნოტიოა“. პირიქით, რაც უფრო მშრალია სული, მით უფრო ბრძენია იგი.

ცეცხლის, როგორც არსებული სამყაროს საფუძვლის, იდეას ჩვენ ვხვდებით სხვა ცნობილი ძველი ბერძენი მოაზროვნის, დემოკრიტეს (460-370 წწ. ჩვ.წ. აღ-მდე), შრომებში, რომელმაც შეიმუშავა მსოფლიოს ატომისტური მოდელი. დემოკრიტეს თანახმად, სული მატერიალური ნივთიერებაა, რომელიც შედგება ცეცხლის ძალზედ მოძრავი, ბურთისმაგვარი, მსუბუქი ატომებისგან. დემოკრიტე ცდილობდა ყველა სულიერი მოვლენა აეხსნა ფიზიკური და მექანიკური მიზეზებით. მისი ხედვით, ადამიანში შეგრძნებები აღმოცენდა იმიტომ, რომ სულის ატომები მოძრაობაში მოდიან სხვა ატომებთან ურთიერთქმედებით

სულის შესახებ გაცილებით რთულ ცნებებს ვხვდებით არისტოტელეს (384-322 წწ ჩვენს ერამდე) შემოქმედებაში. მისი ტრაქტატი „სულის შესახებ“ არის პირველი სპეციალური ფსიქოლოგიური ნაწარმოები, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩებოდა ფსიქოლოგიის მთავარ სახელმძღვანელოდ, ხოლო თვით არისტოტელე სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიის ფუძემდებლად. იგი უარყოფდა სულზე, როგორც ნივთიერებაზე, შეხედულებას. ამავე დროს იგი არ თვლიდა შესაძლებლად სული განეხილა მატერიისგან (ცოცხალი სხეულებისგან) მოწყვეტილად, როგორც ამას აკეთებდნენ იდეალისტი ფილოსოფოსები. არისტოტელეს თანახმად, სული არის მიზანმიმართულად მომუშავე ორგანული სისტემა. სულის ბუნების განსაზღვრისათვის ის იყენებდა რთულ ფილოსოფიურ კატეგორიას „ენტელეხიას“. „სული, — წერდა ის, — აუცილებლად არის რაობა ბუნებრივი სხეულის ფორმით, რომელიც ფლობს სიცოცხლის შესაძლებლობებს. რაობა კი (როგორც ფორმა) არის ენტელეხია; აქედან გამოდის, რომ სული არის ასეთი სხეულის ენტელეხია. შეიძლება უნებურად ვიკითხოთ, თუ რა აზრი ჩადო არისტოტელემ „ენტელეხიის“ ცნებაში. რაზეც ის შემდეგ პასუხს იძლევა: „თვალი რომ ყოფილიყო ცოცხალი არსება, მაშინ მისი სული იქნებოდა მხედველობა“. ამრიგად, სული არის ცოცხალი

სხეულის არსი(რაობა), ისევე, როგორც მხედველობა – თვალის როგორც მხედველობის ორგანოს არსია. გამოძინარე აქედან, სულის მთავარი არსი, არისტოტელეს თანახმად, მდგომარეობს ორგანიზმის ბიოლოგიური არსებობის რეალიზაციაში.

არისტოტელე (384 – 322 წწ. ჩვენს ერამდე) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც ითვლება ფსიქოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლად. თავის ტრაქტატში „სულის შესახებ“ მან მოახდინა ანტიკური ხანის აზროვნების ინტეგრაცია და შექმნა მთლიანობითი ფსიქოლოგიური სისტემა. მისი აზრით, სულის სხეულისგან განცალკევება შეუძლებელია, ვინაიდან სული სხეულის ფორმას, მისი ორგანიზაციის ზერხს წარმოადგენს. ამასთან, არისტოტელემ თავის სწავლებაში გამოყო სამი სული: მცენარეული, ცხოველური და გონიერი ანუ ადამიანური, რომელსაც ღვთაებრივი წარმომავლობა აქვს. მსგავსი დაყოფა მან ახსნა ფსიქიკური ფუნქციების განვითარების ზარისხით. უმაღლესი ფუნქციები არსებითია მცენარეებისთვის, უმაღლესი – ადამიანისთვის.

თავის შრომებში („ეთიკა“, „რიტორიკა“, „მეტაფიზიკა“, „ცხოველთა ისტორია“), იგი შეეცადა აეხსნა მრავალი ფსიქიკური მოვლენა. არისტოტელემ დიდი წვლილი შეიტანა ადამიანის აზროვნებისა და მეხსიერების შესახებ წარმოდგენათა განვითარებაში.

შემდგომში „სულის“ ცნება „მეტაფიზიკურ“ და ეთიკურ პრობლემებს ასახავდა. სულის ამგვარი გაგების საფუძვლები, სავარაუდოდ, ჩადებული იქნა ძველ ინდოეთში. მაგალითად, ვედურ ტექსტებში (II ათასწლეული ჩვენს ერამდე) სულის პრობლემა განიხილებოდა, უპირველესად, როგორც ეთიკური. ამტკიცებდნენ, რომ ნეტარების მიღწევისთვის აუცილებელია პიროვნების სრულყოფა სწორი ქცევის გზით. მოგვიანებით, სულიერი განვითარების ეთიკურ პრობლემებს ვხვდებით ჯაინიზმისა და ბუდიზმის (VI ს. ჩვენს ერამდე) რელიგიურ სწავლებებში. თუმცადა, შედარებით ნათლად სულის ეთიკური ასპექტები პირველად გახსნა სოკრატეს (470-399 წწ. ჩვენს ერამდე) მოწაფემ – პლატონმა (427-347 წწ. ჩვენს ერამდე). პლატონის ნაშრომებში გადმოცემულია შეხედულება სულზე როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციაზე. მისი აზრით, სული არსებობს სხეულთან ერთად და მისგან დამოუკიდებლად. სული არის უხილავი, ამაღლებული, ღვთაებრივი, მარადიული საწყისი. სხეული

კი - ხილვადი, მიწიერი, გარდამავალი, ცვალებადი საწყისი. სული და სხეული რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. თავისი ღვთაებრივი წარმომავლობით სული მოწოდებულია, მართოს სხეული. მაგრამ ზოგჯერ სხეული, აღტკინებული სხვადასხვა სურვილებითა და მისწრაფებებით, ბატონობს სულზე. პლატონისეულ ამ შეხედულებებში თვალსაჩინოდ არის გამოხატული მისი იდეალიზმი. სულის შესახებ თავიანთი წარმოდგენებიდან პლატონი და სოკრატე აკეთებენ ეთიკურ დასკვნებს. სული - ეს არის ყველაზე ამაღლებული, რაც კი არსებობს ადამიანში, ამიტომ ის უნდა ზრუნავდეს მის ჯანმრთელობაზე უფრო მეტად, ვიდრე სხეულის ჯანმრთელობაზე. სიკვდილისას სული სცილდება სხეულს და იმის მიხედვით, თუ როგორი ცხოვრების წესს მისდევდა ადამიანი, მის სულს ელოდება განსხვავებული ბედი: ან „იბოდიალებს“ დედამიწის მახლობლად, დამძიმებული მიწიერი ელემენტებით, ან გადაფრინდება დედამიწიდან იდეალურ სამყაროში.

მოდით, შევეცადოთ, პასუხი გავცეთ იმ კითხვაზე, თუ რამდენად სწორია პლატონი. არსებობს თუ არა ის სამყარო, რომელზეც იგი ლაპარაკობდა და წერდა? პასუხობს რა ამ კითხვას ი. გაპენრეიტიერი თავის წიგნში „შესავალი ზოგად ფსიქოლოგიაში“, წერს, რომ რაღაც ხარისხით პლატონი მართალია. ეს სამყარო სინამდვილეში არსებობს. ეს არის ადამიანის სულიერი კულტურის სამყარო, რომელიც მის მატერიალურ მატარებლებშია დაფიქსირებული, უპირველესად კი ენაში, სამეცნიერო და ლიტერატურულ ტექსტებში. ეს არის აბსტრაქტული ცნებების სამყარო, სადაც ასახულია საგანთა ზოგადი არსი და თვისებები. და ბოლოს, ყველაზე მთავარი, ეს არის ადამიანთა ღირებულებებისა და იდეალების სამყარო, ადამიანური მორალის სამყარო.

ამგვარად, სოკრატესა და პლატონის იდეალისტურმა ნააზრევმა გახსნა ადამიანის ფსიქიკის სხვა მხარე - მორალურ-ეთიკური. ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სოკრატესა და პლატონის იდეალისტური სწავლება უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის, ვიდრე მატერიალისტების შეხედულებები. განსაკუთრებით გამოკვეთილად ეს ჩანს უკანასკნელ ათწლეულებში, როცა ფსიქოლოგიაში ადამიანის ცხოვრების სულიერი ასპექტების განხილვა ინტენსიურად დაიწყო

ისეთ ცნებებთან დაკავშირებით, როგორცაა პიროვნული მოწიფულობა, პიროვნების ჯანმრთელობა, პიროვნების ზრდა და ა.შ. თანამედროვე ფსიქოლოგია, ალბათ, არ იქნებოდა ისეთი მეცნიერება, როგორც დღესდღეობით არის, რომ არ ყოფილიყო ანტიკური ფილოსოფოსების იდეალისტური სწავლებები სულის შესახებ თავიანთი ეთიკური შედეგებით.

ფსიქოლოგიის განვითარების შემდეგი თვალსაჩინო ეტაპი დაკავშირებულია ფრანგი ფილოსოფოსის რენე დეკარტეს (1569-1650) სახელთან. მისი სახელის ლათინური ვარიანტია – რენატუს კარტეზიუსი. დეკარტე ითვლება რაციონალისტური ფილოსოფიის პირველსაწყისად. მისი წარმოდგენების თანახმად, ცოდნა უნდა იგებოდეს უშუალოდ თვალსაჩინო მონაცემებზე, უშუალო ინტუიციასზე. მათგან ცოდნა უნდა გამოგვეყვადეს ლოგიკური მსჯელობის მეთოდით. მოცემული პოზიცია მეცნიერულ სამყაროში ცნობილია, როგორც „კარტეზიანული ფილოსოფია“ ანუ „კარტეზიანული ინტუიცია“.

გამომდინარე საკუთარი თვალსაზრისიდან, დეკარტე თვლიდა, რომ ადამიანი ბავშვობიდანვე შეისრუტავს საკმაოდ ბევრ შეცდომას, სწორად თვლის სხვადასხვა იდეას თუ მტკიცებულებას. ამიტომ იმისათვის, რომ იპოვოს ჭეშმარიტება, მისი აზრით, საჭიროა თავიდან ყველაფრის ეჭვიკეშ დაყენება, მათ შორის გრძნობის ორგანოებით მიღებული ინფორმაციისაც კი. ასეთ უარყოფაში შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ დედამიწაც არ არსებობს. მაშინ რა რჩება? რჩება ჩვენი ეჭვი – ნამდვილი ნიშანი იმისა, რომ ვაზროვნებთ. აქედან არის დეკარტეს ცნობილი გამოთქმა: „ვაზროვნებ – ესე იგი ვარსებობ“. შემდგომ, გასცემდა რა პასუხს კითხვაზე „რა არის აზრი?“, იგი ამბობს, რომ აზროვნება – ეს არის „ყოველივე ის, რაც ჩვენში ხდება“, ყოველივე ის „რასაც აღვიქვამთ უშუალოდ ჩვენ თვითონ“. ამ განსჯებში ჩადებულია მე-19 ს-ის მეორე ნახევრის ფსიქოლოგიის ძირითადი პოსტულატი იმის შესახებ, რომ პირველი, რასაც ადამიანი თავისთავში აღმოაჩენს, ეს არის ცნობიერება.

თუმცაღა, დეკარტე თავის შრომებში ამტკიცებდა, რომ არამარტო შინაგანი ორგანოების მუშაობა, არამედ ორგანიზმის ქცევა – მისი ურთიერთმოქმედება სხვა გარეგან სხეულებთან – არ საჭიროებს სულს. მისი აზრით, ორგანიზმის ურთიერთმოქმედება გარესამყაროსთან ნერვული მანქანის საშუალებით ხორციელდება, რო-

მელიც შედგება ტვინისგან, როგორც ცენტრისგან და ნერვული „მილებისგან“. გარეგანი საგნები მოქმედებენ „ნერვული“ მილების, ნერვული „ძაფების“ შიგნით განლაგებულ პერიფერიულ დაბოლოებებზე. ნერვული „ძაფები“ დაიჭიმებიან და ტვინიდან ნერვებში მომავალი ხერელების სარქველებს ალებენ, რომელთა არსებითაც „ცხოველური სულები“ ისწრაფვიან შესატყვის კუნთებში, ამის შედეგად კი, ეს უკანასკნელნი „იბერებიან“. ამრიგად, დეკარტეს აზრით, ადამიანის ქცევითი აქტივობის მიზეზი მის გარეთ ძვეს და განისაზღვრება გარეგანი ფაქტორებით, ხოლო ცნობიერება არ იღებს მონაწილეობას ქცევის რეგულაციაში. ამიტომ თავის მოძღვრებაში ის მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს სულსა და სხეულს, ამტკიცებს რა, რომ არსებობს ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სუბსტანცია – მატერია და სული.

ფსიქოლოგიის ისტორიაში ამ მოძღვრებამ მიიღო „დუალიზმის“ სახელწოდება (ლათ-დან – „ორგვარი“). დუალისტების აზრით, ფსიქიკური არ წარმოადგენს ტვინის ფუნქციას, მის პროდუქტს, არამედ არსებობს, თითქოსდა, თავისთავად, ტვინის გარეთ და არაფრით არ არის მასზე დამოკიდებული.

დუალისტური მოძღვრების ნიადაგზე XIX ს-ის ფსიქოლოგიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. ფსიქოფიზიკური პარალელიზმის იდეალისტურმა თეორიამ, რომელიც ასაბუთებდა, რომ ფსიქიკური და ფიზიკური არსებობს პარალელურად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და არა ერთობლივად. ფსიქოლოგიაში ამ მიმართულების ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ ვ. ვუნდტი, პ. ებინჰაუზი, პ. სპენსერი, თ. რიბო, ა. ბინე და უ. ჯეიმსი.

დაახლოებით ამ ღროიდან აღმოცენდა ფსიქოლოგიის საგანზე ახლებური შეხედულება. ფიქრის, შეგრძნების, სურვილის უნარი იწოდებოდა ცნობიერებად. ამრიგად, ფსიქიკა ცნობიერებასთან იქნა გათანაბრებული. სულის ფსიქოლოგიის ნაცვლად მოვიდა ცნობიერების ფსიქოლოგია, მაგრამ ცნობიერებას კიდევ დიდხანს განიხილავდნენ სხვა საბუნებისმეტყველო პროცესებისგან გამოყოფილად. ფილოსოფოსები განსხვავებულად აღწერდნენ შემეცნებით ცხოვრებას, თვლიდნენ რა მას ღვთაებრივი გონების გამოვლინებად, ან სუბიექტური შეგრძნებების რეზულტატად. მაგრამ ყველა იდეალისტ ფილოსოფოსს აერთიანებდა ზოგადი რწმენა იმისა, რომ

ფსიქიკური ცხოვრება არის განსაკუთრებული სუბიექტური სამყაროს გამოვლინება, რომელიც შეიმეცნება მხოლოდ თვითდაკვირვებით და ხელმიუწვდომელია როგორც ობიექტური სამეცნიერო ანალიზისთვის, ასევე მიზეზობრივი ახსნისთვის. ასეთი მიდგომა ცნობიერების ინტროსპექტიული გააზრების სახელით გახდა ცნობილი.

➤ ფსიქოლოგიის ძირითადი დარგები

თანამედროვე ფსიქოლოგია სავსებით განშტოებული მეცნიერებაა, რომელსაც მრავალი დარგი აქვს. ფსიქოლოგიის დარგები სამეცნიერო ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედარებით დამოუკიდებლად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენენ. ამასთან, ფსიქოლოგიური მეცნიერების უსწრაფესი განვითარების შედეგად, ყოველ ოთხ-ხუთ წელიწადში ახალ-ახალი მიმართულებები ჩნდება.

ფსიქოლოგიის დარგების აღმოცენება, განპირობებულია პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში ფსიქოლოგიის დანერგვით. ფსიქოლოგიის ერთი დარგი მეორისგან განსხვავდება უპირველესად, ამოცანებისა და პრობლემების იმ კომპლექსით, რომელთაც წყვეტს ესა თუ ის სამეცნიერო მიმართულება. ამასთან, ფსიქოლოგიის ყველა დარგი პირობითად შეიძლება დაიყოს ფუნდამენტურ, ანუ ზოგად და გამოყენებით, ანუ სპეციალურ დარგებად.

ფსიქოლოგიური მეცნიერების ფუნდამენტურ (მათ უწოდებენ ბაზისურსაც) დარგებს აქვთ ზოგადი მნიშვნელობა სხვადასხვა ფსიქიკური მოვლენების, მათ შორის ადამიანთა ქცევის ახსნისა და გაგებისათვის, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი საქმიანობით არიან ისინი დაკავებული. ფუნდამენტური ცოდნა ყველასთვის აუცილებელია, ვისაც შეხება აქვს ადამიანთა ფსიქოლოგიისა და ქცევის პრობლემებთან. ფუნდამენტური ცოდნა — ეს ის ბაზისია, რომელიც არა მხოლოდ აერთიანებს ფსიქოლოგიის ყველა დარგს, არამედ მათი განვითარების საფუძველია. ამიტომ ფუნდამენტური ცოდნა, როგორც წესი, გაერთიანებულია „ზოგადი ფსიქოლოგიის“ ტერმინის ქვეშ.

გამოყენებითი ეწოდება მეცნიერების იმ დარგებს, რომელთა მიღწევებიც გამოიყენება პრაქტიკაში. უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგიური მეცნიერების გამოყენებითი დარგები წყვეტენ კონკრე-

ტულ ამოცანებს თავიანთი მიმართულების ჩარჩოებში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებითი დარგის მიღწევა ან მეცნიერული აღმოჩენა შეიძლება ატარებდეს ფუნდამენტურ ხასიათს, რაც განსაზღვრავს მიღებული ცოდნის გამოყენების აუცილოებლობას ყველა დარგსა თუ მიმართულებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ, უძრავლეს შემთხვევაში, ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგები არ არის იზოლირებული ერთიმეორისგან. ხშირად ფსიქოლოგიის კონკრეტულ დარგში გამოიყენება სხვა დარგების ცოდნა ან მეთოდოლოგია. მაგალითად, კოსმოსური ფსიქოლოგია — ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს კოსმოსში ადამიანის საქმიანობის ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემებს — თავისთავად შეიცავს საინჟინრო ფსიქოლოგიას, სამედიცინო ფსიქოლოგიას, სოციალურ ფსიქოლოგიას და ა.შ. გამომდინარე აქედან, ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგები განზოგადების ხარისხის მიხედვით, შეიძლება პირობითად დაიყოს სინთეტიკურ (როცა თავიანთ თავში აერთიანებენ სხვა სფეროების ცოდნას) და პირველად (როცა წარმოადგენს შედარებით ვიწრო და გამოყენებითი დარგის კონკრეტულ მიმართულებას) დარგებად. მაგალითად, სამედიცინო ფსიქოლოგია შეიცავს ზოგად სამედიცინო ფსიქოლოგიას, კლინიკურ ფსიქოლოგიას, პათოფსიქოლოგიას, ფსიქოპიგიენას და ფსიქოპროფილაქტიკას, ფსიქოკორექციას და ა.შ. ანალოგიურად, საინჟინრო ფსიქოლოგიაში შეიძლება გამოვყოთ: ერგონომიკა, შრომის ფსიქოლოგია, მენეჯმენტი და ა.შ.

განვიხილოთ უფრო დეტალურად ფსიქოლოგიური მეცნიერების ზოგიერთი დარგი.

ზოგადი ფსიქოლოგია — ეს არის ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც აერთიანებს ფუნდამენტურ ფსიქოლოგიურ ცოდნასა და წყვეტს ინდივიდის — ჰომოსაპიენსის კონკრეტული წარმომადგენლის — კვლევის ამოცანებს. ის შეიცავს თეორიულ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებს, რომლებიც ავლენენ შედარებით ზოგად ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, თეორიულ პრინციპებსა და ფსიქოლოგიის მეთოდებს, მის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს. ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებებია: ფსიქიკური პროცესები (შემეცნებითი, ნებელობითი, ემოციური), ფსიქიკური თვისებები (ტემპერამენტი, ხასიათი, უნარები, მიმართულება) და ფსიქიკური მდგომარეობები.

ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითად ცნებათა ბაზაზე ყალიბდება ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვა დარგების ცნებები. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ დარგი, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, არის იურიდიული ფსიქოლოგია, რომლის შესახებაც უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ. არსებობს პედაგოგიური ფსიქოლოგიაც, რომელიც სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიურ პრობლემებს იკვლევს.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიასთან ძალზედ ახლოს დგას ფსიქოლოგიური მეცნიერების ისეთი დარგი, როგორცაა ასაკობრივი ფსიქოლოგია, რომელიც შეისწავლის პიროვნების ფორმირებისა და ფსიქიკური განვითარების ეტაპების კანონზომიერებებს დაბადებიდან სიკვდილამდე. პედაგოგიური ფსიქოლოგიის შსავსად, ასაკობრივი ფსიქოლოგიაც დამოუკიდებელ დარგად XIX ს-ის ბოლოს ჩამოყალიბდა.

იურიდიული ფსიქოლოგია არის სამეცნიერო-პრაქტიკული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის სისტემის "ადამიანი-სამართალი" ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს და შეიმუშავებს ამ სისტემის ეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართულ მეცნიერულ რეკომენდაციებს. კრიმინალური ფსიქოლოგია კი წარმოადგენს იურიდიული ფსიქოლოგიის ქვედარგს, რომელიც შეისწავლის სამართალდამრღვევთა ფსიქოლოგიას, დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების მიერ დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, დანაშაულზე იურიდიული პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ლიფერენციალური ფსიქოლოგია — ეს არის ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის განსხვავებებს როგორც ინდივიდებს, ასევე ჯგუფებს შორისაც, ასევე ამ განსხვავებათა მიზეზებსა და შედეგებს. ლიფერენციალური ფსიქოლოგიის აღმოცენების წანამძღვარი გახდა ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის, კვლევის გენეტიკური და მათემატიკური მეთოდების დანერგვა. ფსიქოლოგიის ამ დარგს საფუძველი ჩაუყარა ფ. გალტონმა, რომელმაც შექმნა მრავალი ხელსაწყო და ხერხი ინდივიდუალური განსხვავებულობების შესწავლისა და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისათვის. ტერმინი „ლიფერენციალური ფსიქოლოგია“ შემოთავაზებულ იქნა ვ. შტერნის მიერ 1900 წელს. ლიფერენციალური ფსიქოლოგიის ძირითად მეთოდებად იქცა ტესტები. დასაწყისში ეს იყო ინდივიდუალური ტესტები, შემდეგ გაჩნდა ჯგუფური, მოგვიანებით კი — პროექციული.

რამდენადაც, პედაგოგიური, ასაკობრივი და დიფერენციალური ფსიქოლოგია ოპერირებენ „ჯგუფის“ ცნებით, მათთან მჭიდრო კავშირში იმყოფება სოციალური_ფსიქოლოგია, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ქცევისა და საქმიანობის კანონზომიერებებს, ასევე ჯგუფების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. სოციალური ფსიქოლოგიის დამოუკიდებლად არსებობის დასაწყისად ითვლება 1908 წელი, როდესაც ერთდროულად გაჩნდა ინგლისელი ფსიქოლოგის უ. მაკდუგალისა, და ამერიკელი სოციოლოგის, ე. როსის შრომები. თავის მხრივ, სოციალურ ფსიქოლოგიასთან მჭიდრო კავშირშია პოლიტიკური ფსიქოლოგია და ხელოვნების ფსიქოლოგია.

პოლიტიკური ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანთა პოლიტიკური ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფსიქოლოგიურ კომპონენტებს, მათ გუნება-განწყობილებას, აზრს, გრძნობებს, ღირებულებით ორიენტაციებსა და ა.შ. ეს ფსიქოლოგიური ფენომენები ფორმირდება და გამოვლინდება სოციალური ჯგუფების, მთავრობების, კლასების, ერების, ინდივიდების პოლიტიკური ცნობიერების დონეზე და რეალიზდება მათ კონკრეტულ პოლიტიკურ საქმიანობაში.

ხელოვნების ფსიქოლოგია — ეს არის ფსიქოლოგიის დარგი, რომლის საგანსაც იმ პიროვნების ან პირთა ჯგუფის მდგომარეობები და თვისებები წარმოადგენს, რომლებიც განაპირობებენ მხატვრული ფასეულობების შექმნასა და აღქმას. ფსიქოლოგიის ეს დარგი იკვლევს, ასევე, ამ ფასეულობათა ზეგავლენას ცალკეული პიროვნებისა და მთლიანად საზოგადოების ცხოველქმედებაზე.

ფსიქოლოგიური მეცნიერების განხილული გამოყენებითი დარგები ამა თუ იმ ხარისხით უკავშირდებიან განათლებას, აღზრდასა და მთლიანობაში ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარებას. ამას გარდა, არსებობს ფსიქოლოგიის დარგები, რომლებიც სხვაგვარი პრობლემების გადაჭრით არიან დაკავებულნი. ერთ-ერთი ასეთი დარგია — სამედიცინო ფსიქოლოგია, რომელიც შეისწავლის ავადმყოფთა რეაბილიტაციის, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ჰიგიენისა და ექსპერტიზის ასპექტებს. სამედიცინო ფსიქოლოგიის კვლევათა სფეროში შედის საკითხთა ფართო სპექტრი, ამიტომ ამ დარგის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ფსიქიკური და სომატური პროცესების

ურთიერთმოქმედება, ავადმყოფის მიერ საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერების დინამიკის შესწავლა, თერაპიული მიზნებით პიროვნების დაცვითი მექანიზმის გამოყენება.

საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და ტექნიკური პროგრესისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საინჟინრო ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანსა და მანქანას შორის ურთიერთმოქმედების ხერხებსა და პროცესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გავეცანით ფსიქოლოგიური მეცნიერების მხოლოდ ზოგიერთ დარგს. ზემოჩამოთვლილის გარდა, არსებობს სხვა, არანაკლებ საინტერესო სფეროები სამეცნიერო კვლევებისათვის და ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისათვის, რომელთა შორისაა სპორტული ფსიქოლოგია, საავიაციო, ფსიქოლოგია, სამხედრო ფსიქოლოგია, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რელიგიის ფსიქოლოგია, კულტურის ფსიქოლოგია და სხვ. ამასთან ფსიქოლოგიის ყველა ეს დარგი წარმოადგენს არა მხოლოდ დამოუკიდებელ მიმართულებას, არამედ ერთიანი კომპლექსური მეცნიერების – ფსიქოლოგიის – ელემენტებს, რომლებიც იყენებენ ერთიან მიდგომებს თავიანთი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად. ამგვარად, ფსიქოლოგიური მეცნიერების კონკრეტულ სფეროში სპეციალიზაციის მისაღებად, უპირველესად, აუცილებელია მისი ფუნდამენტური საფუძვლების გაცნობა.

➤ ქართული ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორია

ფსიქოლოგიურ ცოდნას საქართველოში ხანგრძლივი წარსული აქვს. ის უხვადაა წარმოდგენილი ხალხური შემოქმედების ქმნილებებში (ენა, მითი, ზნე-ჩვეულებები და ა.შ.), რომელიც ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე დაკვირვების გამოცდილებას, სიბრძნეს ასახავს.

საქართველოში ფილოსოფიური აზრის განვითარების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების შესახებ ფილოსოფიურ საფუძველზე აგებული შეხედულებათა სისტემა. მაგალითად, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ თხზულებებში განვითარებულია ნეოპლატონური ფილოსოფიიდან გამომდინარე შეხედულებები ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ. ნემესიოს ემესელის ცნო-

ბილი ფსიქოლოგიური ნაშრომი "ბუნებისათვის კაცისა" იოანე პეტრიწმა ქართულ ენაზე უფრო ადრე თარგმნა, ვიდრე ის ქრისტიანული სამყაროს რომელიმე სხვა ენაზე ითარგმნებოდა.

ფსიქოლოგიური კონცეპციების ჩამოყალიბების მხრივ, საგულისხმოა სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება. მის "ქართულ ლექსიკონში" ფსიქოლოგიურ ცნებათა განმარტებები ფსიქოლოგიური ცოდნის ერთიან სისტემას წარმოადგენს.

ანტონ I-ის შემოქმედებიდან აღსანიშნავია "საქეალი", რომლის მესამე თავში განხილულია სულის შესახებ ფილოსოფიური ცოდნის საკითხები. ქართულ მწერლობაში პირველად სწორედ მასთან გვხვდება ტერმინი "ფსიქოლოგია" ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ ფსიქოლოგიური ცოდნის, როგორც სამეცნიერო დარგის, აღსანიშნავად.

ქართული ფსიქოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს. დოდაშვილს. მის "ფილოსოფიის კურსში", განხილულია საკითხი ფსიქოლოგიის ადგილის შესახებ ფილოსოფიის სისტემაში. ქართული ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაში ამოსავალ ცნებად რეალური, მთლიანი ადამიანის აღიარება პროგრესული მოვლენა იყო. ამ მიმართულებით პირველი გაბედული ნაბიჯი ს. დოდაშვილმა გადადგა.

საქართველოში ფილოსოფიური ცოდნის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისის და თელავის სასულიერო სემინარიებში ფსიქოლოგიის, როგორც ფილოსოფიური ცოდნის დარგის სწავლებამ.

ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, საქართველოში ჩაისახა და განვითარდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე.

ქართული მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა, დ. უზნაძემ, უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიის განყოფილება, ფსიქოლოგიის კათედრა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორია, ხოლო 1927 წელს – ფსიქოლოგთა საზოგადოება.

დ. უზნაძემ ფსიქოლოგიაში განწყობის ცნება შემოიტანა.

დ. უზნაძის მიხედვით, არც ერთი ცნობიერი ფსიქიკური მოვლენა არ არსებობს განწყობის გარეშე და "იმისათვის, რათა ცნობიერებამ დაიწყოს მუშაობა ამა თუ იმ მიმართულებით, წინასწარ აუცილებელია სახეზე იყოს აქტუალური განწყობა, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს ამ მიმართულებას".

XX-ის დასაწყისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, სამეცნიერო მუშაობა გაიშალა ჰედაგოგიური, ფსიქიატრიული და ფსიქონევროლოგიური პროფილის სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგები: ი. ბუღავა, ქ. მდივანი, რ. ნათაძე, ვ. ნორაკიძე, დ. რამიშვილი, ზ. ხოჯავა და სხვ.

1943 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დ. უზნაძის სახელს ატარებს.

ქართველმა ფსიქოლოგებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მათთვის სპეციფიკური პრობლემის – განწყობის – შესწავლის მიმართულებით, რაშიც განსაკუთრებული წვლილი აკადემიკოს შ. ნადირაშვილს მიუძღვის.

ზემოჩამოთვლილ მეცნიერთა მოწაფეები დღესაც ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან და ხელშესახები წვლილი შეაქვთ ფსიქოლოგიური მეცნიერების არაერთი დარგის განვითარებაში.

პიროვნების შემეცნებითი პროცესები

1. შებრძობა

გარე სამყაროს მრავალფეროვნებას ჩვენ ვიგებთ გრძნობის ორგანოების საშუალებით. გრძნობის ორგანოების დახმარებით ადამიანის ორგანიზმი შეგრძნებების სახით იღებს სხვადასხვაგვარ ინფორმაციას შინაგანი და გარეგანი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

შეგრძნება – ეს არის უმარტივესი ფსიქიკური პროცესი.

გრძნობის ორგანოები იღებენ, არჩევენ, აგროვებენ ინფორმაციას და გადასცემენ თავის ტვინს, შედეგად აღმოცენდება გარესამყაროს და თვით ორგანიზმინის მდგომარეობის ადექვატური ასახვა.

გრძნობის ორგანოები ერთადერთი არხია, რომლითაც გარესამყარო შეაღწევს ადამიანის ცნობიერებაში. გრძნობის ორგანოები ადამიანს აძლევს გარესამყაროში ორიენტაციის შესაძლებლობას. თუ ადამიანი დაკარგავს გრძნობის ყველა ორგანოს, იგი ვეღარ გაიგებს რა ხდება მის გარშემო, არ შეეძლება სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, საკვების შოვნა, საფრთხის თავიდან აცილება. ცნობილმა რუსმა ექიმმა ბოტკინმა აღწერა იშვიათი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფმა ქალმა დაკარგა ყველა სახის მგრძნობელობა, ხედავდა მხოლოდ ერთი თვალით და შეხებას გრძნობდა ხელის პატარა მონაკვეთზე. როცა ავადმყოფი ხუჭავდა თვალს და მის ხელს არავინ ეხებოდა, მას ეძინებოდა.

ადამიანს ყოველთვის ესაჭიროება ცნობების მიღება გარემოზე. ორგანიზმის შეგუება გარემომცველი სამყაროსადმი გულისხმობს მუდმივად არსებულ რაღაც საინფორმაციო ბალანსს ორგანიზმსა და გარემოს შორის. ინფორმაციული ბალანსის საპირისპიროა ინფორმაციული გადატვირთვა და ინფორმაციული სიმცირე, ანუ სენსორული იზოლაცია, რომელიც იწვევს ორგანიზმის სერიოზულ ფუნქციონალურ დარღვევებს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში კოსმოსურ ბიოლოგიასა და მედიცინაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები. იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირებს ათავსებდნენ საკანში, სადაც დაცული იყო სრული სენსორული იზოლაციის მოთხოვნები (მაგალითად, მუდმივი მონოტონური ხმა),

რამდენიმე საათის შემდეგ ისინი ვარდებოდნენ შფოთვის მდგომარეობაში და მოითხოვდნენ ექსპერიმენტის შეწყვეტას.

მრავალი ფაქტი ადასტურებს იმას, თუ რამდენად ძლიერია ადამიანის მოთხოვნილება მიიღოს შთაბეჭდილებები გარემომცველ სამყაროზე შეგრძნებების სახით.

შეგრძნებები – ეს არის ობიექტური სამყაროს სუბიექტური ხატები. მაგრამ შეგრძნების აღმოცენებისათვის საკმარისი არ არის ორგანიზმზე მატერიალური გამლიზიანებლის ზემოქმედება. აუცილებელია აგრეთვე თვითონ ორგანიზმის მუშაობაც. ეს მუშაობა შეიძლება გამოვლინდეს ან მხოლოდ შინაგან პროცესებში, ან გარეგან მოძრაობებში, მაგრამ იგი ყოველთვის უნდა არსებობდეს.

შეგრძნება აღმოცენდება გამლიზიანებლის სპეციფიკური ენერჯის გარდასახვის შედეგად, რომელიც (გამლიზიანებელი) მოცემულ მომენტში ზემოქმედებს რეცეპტორზე. ამგვარად, შეგრძნება არა მხოლოდ მგრძნობელობითი ხატია, არამედ საქმიანობაცაა, ან მისი კომპონენტია.

შეგრძნება აღმოცენდება როგორც ნერვული სისტემის რეაქცია ამა თუ იმ გამლიზიანებელზე და, როგორც ყველა ფსიქიკური მოვლენა, ატარებს რეფლექტორულ ხასიათს. შეგრძნების ფიზიოლოგიური საფუძველი არის ნერვული პროცესი, რომელიც აღმოცენდება გამლიზიანებლის ზემოქმედებისას მის ადექვატურ ანალიზატორზე.

ანალიზატორი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. პერიფერიული ნაწილი ანუ რეცეპტორი; 2. აფერენტული და ეფერენტული ნერვები; 3. ქერქქეშა და ქერქული ნაწილები, სადაც მიმდინარეობს პერიფერიული ნაწილებიდან მიღებული ნერვული იმპულსების გადაშუშავება.

შეგრძნების აღმოცენებისათვის აუცილებელია მთლიანი ანალიზატორის მუშაობა. გამლიზიანებლის ზემოქმედება რეცეპტორზე იწვევს გალიზიანების გამოვლენას. პირველ რიგში, ეს გალიზიანება გადადის ნერვულ პროცესში. შემდგომ რეცეპტორიდან ეს პროცესი აფერენტული და ეფერენტული ნერვებით გადაეცემა ქერქის უჯრედებს, სადაც აღმოცენდება ორგანიზმის პასუხი გალიზიანებაზე, ანუ ფსიქიკური პროცესი – შეგრძნება.

➤ შეგრძნებათა კლასიფიკაცია

რეცეპტორთა განლაგების მიხედვით არსებობს შეგრძნებათა მოდალობების(სახეობების) შემდეგი კლასიფიკაცია:

- მხედველობის შეგრძნება;
 - სმენის შეგრძნება;
 - ყნოსვის შეგრძნება;
 - გემოს შეგრძნება,
 - წონასწორობის შეგრძნება;
 - ტაქტილური (შეხების) შეგრძნება;
 - კინესთეტიკური(სხეულის მოძრაობისა და ცალკეული ნაწილების მდებარეობის) შეგრძნება.
- ტემპერატურის შეგრძნება;
- ორგანული შეგრძნება;
- ვიბრაციის შეგრძნება;
- ტკივილის შეგრძნება.

➤ შეგრძნების ზოგადი კანონზომიერებანი

1. შეგრძნება – ეს არის გამღიზიანებლების ადეკვატური ასახვის ფორმა. შეგრძნების სხვადასხვა სახეები ხასიათდებიან არა მარტო სპეციფიკური თვისებებით, არამედ ზოგადი თავისებურებებითაც. ასეთ თვისებებს განეკუთვნება ხარისხი, ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სივრცობრივი ლოკალიზაცია.

2. მგრძნობელობა და მისი გაზომვა.

გრძნობის სხვადასხვა ორგანოები, რომლებიც იძლევიან ცნობებს გარესამყაროს შესახებ, შეიძლება იყვნენ მეტ-ნაკლებად მგრძნობიარენი ასახული მოვლენების მიმართ, უფრო ზუსტად, მათ შეიძლება ასახონ ეს მოვლენები მეტ-ნაკლები სიზუსტით.

გრძნობის ორგანოს მგრძნობელობა განისაზღვრება იმ მინიმალური გამღიზიანებლით, რომელმაც მოცემულ პირობებში უნდა გამოიწვიოს შეგრძნება. იმ მინიმალურ ძალას, რომელსაც შეუძლია ოდნავ შესამჩნევი შეგრძნების გამოწვევა, ეწოდება მგრძნობელობის ქვედა ზღვარი.

ქვეზღურბლოვანი გამლიზიანებლები არ იწვევენ შეგრძნებას და სიგნალები მათ შესახებ არ გადაეცემა თავის ტვინის ქერქს. მაგრამ ამ ქვეზღურბლოვან გამლიზიანებლებს მაინც აქვთ მნიშვნელობა ორგანიზმისათვის. ნერვულ დაავადებათა კლინიკის მონაცემებით სწორედ ასეთი სუსტი გამლიზიანებლები ქმნიან კერებს, მაგალითად, ჰალუცინაციების აღმოცენებისათვის.

ჩვენი ანალიზატორები სხვადასხვა მგრძნობელობისანი არიან. მაგალითად, ადამიანის ყნოსვის ერთი უჯრედის ზღვარი არ აღემატება 8 მოლეკულას, როდესაც გემოს შეგრძნების გამოწვევისათვის 25000-ჯერ მეტი მოლეკულა არის საჭირო.

ანალიზატორის აბსოლუტური მგრძნობელობა შეზღუდულია არა მარტო ქვედა, არამედ შეგრძნების ზედა ზღურბლით. მგრძნობელობის ზედა აბსოლუტური ზღვარი არის გამლიზიანებლის მაქსიმალური ძალა, რომლის დროსაც კიდევ აღმოცენდება მოქმედი გამლიზიანებლის ადექვატური შეგრძნება. გამლიზიანებლის ძალის შემდგომი გადიდება ადამიანში უკვე იწვევს ტკივილის შეგრძნებას.

აბსოლუტური ზღურბლების სიდიდეები იცვლება სხვადასხვა პირობებთან დაკავშირებით: ადამიანის ასაკის, საქმიანობის ხასიათის, რეცეპტორის ფუნქციონალური მდგომარეობის გალიზიანების ძალისა და ხანგრძლივობის მიხედვით და ა.შ.

3. ადაპტაცია ანუ შეგუება – ეს არის გრძნობის ორგანოების მგრძნობელობის შეცვლა გამლიზიანებლის მოქმედების შედეგად. არჩევენ ამ მოვლენის სამ სახეს:

ა) ადაპტაცია, როგორც შეგრძნების სრული გაქრობა გამლიზიანებლის ხანგრძლივი მოქმედების პროცესში;

ბ) ადაპტაციას უწოდებენ ასევე სხვა მოვლენას, რომელიც ახლოა პირველთან. იგი ელინდება შეგრძნების დაჩლუნგებაში ძლიერი გამლიზიანებლის ზემოქმედების ქვეშ. ადაპტაციის ეს ორი სახე შეიძლება გაეაერთიანოთ ნეგატიური ადაპტაციის სახელწოდების ქვეშ, რადგანაც მის შედეგად ქვეითდება ანალიზატორის მგრძნობელობა.

გ) ადაპტაციას უწოდებენ ამალღებულ მგრძნობელობას სუსტი გამლიზიანებლის მოქმედების ქვეშ. ადაპტაციის ეს სახეობა დამახასიათებელია შეგრძნების ზოგიერთი სახისათვის და მისი განსაზღვრა შეიძლება როგორც პოზიტიური ადაპტაციისა.

4. სინესთეზია არის შვერძნების ერთი ანალიზატორის გაღიზიანების შედეგად სხვა ანალიზატორისათვის დამახასიათებელი შვერძნების აღმოცენება. ყველაზე ხშირ შემთხვევაში გვხვდება მხედველობით-სმენითი სინესთეზიები, როდესაც ბგერითი გამღიზიანებლის მოქმედება სუბიექტში იწვევს მხედველობით ხატებს. ცნობილია, რომ ფერითი სმენის უნარი ჰქონდათ რიმსკი – კორსაკოვს, სკრიაბინს და ა.შ.

2. აღქმა

აღქმა ეწოდება ადამიანის ცნობიერებაში საგნების ან მოვლენების ასახვას გრძნობის ორგანოებზე მათი უშუალო შემოქმედების დროს.

შვერძნებისაგან განსხვავებით, რომელშიც აისახებიან გამღიზიანებლის ცალკეული თვისებები, აღქმა საგანს ასახავს მთლიანობაში, მისი თავისებურებების ერთობლიობაში. ამავე დროს აღქმა არ დაიყვანება ცალკეული შვერძნებების ჯამზე, არამედ წარმოადგენს ხარისხობრივად ახალ საფეხურს გრძნობითი შემეცნებისა, რომელსაც საკუთარი თავისებურებები აქვს.

აღქმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებებია: საგნობრიობა, მთლიანობა, სტრუქტურულობა, კონსტანტობა, აზრიანობა.

1. აღქმის საგნობრიობა გამოიხატება ე.წ. „ობიექტივაციის“ აქტში, ე.ი. გარესამყაროდან მიღებული ცნობების ამ სამყაროსადმი მიკუთვნებაში. ასეთი მიკუთვნების გარეშე აღქმა ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში ვერ შეასრულებს თავის მათრიენტირებელ და მარეგულირებელ ფუნქციას. აღქმის საგნობრიობა არ არის თანდაყოლილი თვისება; საგნობრიობა, როგორც აღქმის თვისება, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქცევის რეგულაციაში.

2. აღქმის მთლიანობა არის აღქმის მნიშვნელოვანი თვისება. შვერძნებისაგან განსხვავებით, რომელიც ასახავს გრძნობის ორგანოზე მოქმედი საგნის ცალკეულ ნიშან-თვისებას, აღქმა საგნის მთლიანობითი ხატია, რომელიც იქმნება ამ საგნის ცალკეული თვისებების შესახებ შვერძნებების მეშვეობით მიღებული ცოდნის განზოგადების საფუძველზე.

3. აღქმის მთლიანობასთან დაკავშირებულია მისი სტრუქტურულობა (სტრუქტურული მთლიანობა). აღქმის მთლიანობისა და სტრუქტურულობის წყაროები ძვეს ერთი მხრივ, აღქმულ ობიექტებში, და მეორე მხრივ, ადამიანის საგნობრივ საქმიანობაში.

4. აღქმის კონსტანტობა. მიუხედავად აღქმული საგნების სხვადასხვაგვარი მდებარეობის, მდგომარეობისა და აღქმის პირობებისა, ჩვენი აღქმა რჩება მუდმივი ანუ კონსტანტური. აღქმის კონსტანტობა, რომელიც ჩამოყალიბდა საგნობრივი საქმიანობის პროცესში, არის აუცილებელი პირობა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. ამის გარეშე პიროვნება ვერ შეძლებს ორიენტირებას უკიდურესად მრავალგვარ და ცვალებად სამყაროში. კონსტანტობის თვისება უზრუნველყოფს გარემომცველი სამყაროს შედარებით სტაბილობას, რომელიც ასახავს საგნის ერთიანობასა და არსებობის პირობებს.

5. აღქმის აზრიანობა. თუმცა აღქმა აღმოცენდება რეცეპტორებზე გამლიზიანებლის უშუალო ზემოქმედების შედეგად, პერცეპტული ხატები ყოველთვის ატარებენ განსაზღვრულ აზრობრივ მნიშვნელობას. ადამიანის აღქმა მჭიდრო კავშირშია აზროვნებასთან, საგნის არსის გაგებასთან. საგნის ცნობიერად აღქმა ეს არის ჩვენი აზროვნებით მისთვის სახელის დარქმევა, ე.ი. ეს ნიშნავს მივაკუთვნოთ საგანი განსაზღვრულ ჯგუფს, კლასს და ა.შ. განვაზოგადოთ იგი სიტყვაში.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღქმა ეს არის აქტიური პროცესი, რომლის მიმდინარეობისას ადამიანი აწარმოებს მრავალ პერცეპტულ მოძრაობას, იმისათვის, რათა ჩამოაყალიბოს საგნის ადეკვატური ხატი. აღქმის აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს აღქმის პროცესში ანალიზატორის მოძრაობითი კომპონენტების მონაწილეობაში (ხელის მოძრაობა შეხების დროს, თვალის მოძრაობა მხედველობითი აღქმის დროს და სხვა). ამას გარდა, აუცილებელია ასევე აქტივობა მაკრო ღონეზე, ე.ი. აღქმის პროცესში საკუთარი სხეულის აქტიური გადაადგილების შესაძლებლობა.

➤ ალქმის კლასიფიკაცია.

ალქმის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს იმ ანალიზატორთა შორის განსხვავება, რომლებიც მონაწილეობენ ალქმაში. იმის შესაბამისად თუ რომელი ანალიზატორი თამაშობს წამყვან როლს ალქმაში, არჩევენ მხედველობით, სმენით, შეხებით, კინესთეტიკურ, ყნოსვით და გემოს ალქმებს.

ალქმის სხვადასხვა სახეები იშვიათად გვხვდებიან წმინდა სახით. ჩვეულებრივ, ისინი კომბინირებულნი არიან, რის შედეგადაც აღმოცენდებიან ალქმის რთული სახეები.

ალქმის მეორე კლასიფიკაციის მიხედვით არჩევენ სივრცის, დროის და მოძრაობის ალქმას.

სივრცის ალქმა დიდ როლს ასრულებს ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებაში, აუცილებელი პირობაა მასში ადამიანის ორიენტირებისათვის. იგი წარმოადგენს ობიექტურად არსებული სივრცის ასახვას და შეიცავს ფორმის, სიდიდისა და ობიექტების განლაგების, მათი რელიეფის, დაშორებულობისა და მიმართულების ალქმას.

ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედება შეიცავს ასევე თვით ადამიანის სხეულს მისთვის დამახასიათებელ კოორდინატთა სისტემით.

სივრცით ორიენტაციაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მამოძრავებელი ანალიზატორი, რომლის დახმარებით მყარდება ურთიერთქმედება განსხვავებულ ანალიზატორებს შორის.

საგნების ფორმის ალქმა ჩვეულებრივ ხორციელდება მხედველობითი, ტაქტილური და კინესთეტიკური ანალიზატორების საშუალებით.

შედარებით ინფორმაციული ნიშანი, რომელიც საჭიროა გამოვყოს ფორმის გაცნობის დროს, ეს არის კონტური. სწორედ კონტური წარმოადგენს გამყოფ ზღვარს ორ რეალობას შორის, უფრო სწორედ ფიგურასა და ფონს შორის.

ანალოგიური პროცესია შეხებითი ალქმის დროს, რათა თითების შეხებით გავიგოთ დაუნახავი ობიექტის ფორმა. აუცილებელია მისი ხელში აღება, გადატრიალება, ამ დროს ხელი საგანს სინჯავს მსუბუქი მოძრაობებით. ფორმის მხედველობითი ალქმა განისაზღვრება დაკვირვების პირობებით. სივრცის ალქმაში შედის

ასევე საგნის სიდიდის აღქმა. საგნის სიღრმისა და დაშორებულობის აღქმა ძირითადად ხორციელდება ბინოკულარული მხედველობის წყალობით.

მიმართულების აღქმა. სივრცობრივი განსხვავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არის იმ მიმართულების აღქმა, სადაც იმყოფებიან ობიექტები სხვა ობიექტებთან, ან დამკვირვებელთან მიმართებაში.

➤ აღქმის ილუზიები

როგორც ზემოთ დაინახეთ, აღქმა ყოველთვის როდი იძლევა საგნის ობიექტურად სწორ, უტყუარ ასახვას. გარკვეულ პირობებში ადგილი აქვს საგნის არასწორ, დამახინჯებულ აღქმას ან ილუზიას.

აღქმის ილუზიები ყოველთვის როდია გამოწვეული ფსიქოლოგიური მიზეზებით. ასხვავებენ 3 სახეს:

„ფიზიკური ილუზიები“, ეს ის ილუზიებია, რომელთაც იწვევს საგნის მოცემულობის ფიზიკური პირობები (მაგალითად, წყლიან ჭიქაში ჩაშვებული ჯოხი გვეჩვენება, რომ გატეხილია).

ილუზიათა მეორე სახეს „ფიზიოლოგიური ილუზიები“ წარმოადგენს. ამას მიეკუთვნება „ოპტიკური თანმიმდევარი კვალის“ მოვლენა.

მესამე ჯგუფს „ფსიქოლოგიური ილუზიები“ შეადგენს. ეს ის ილუზიებია, რომელნიც ფსიქიკური ფაქტორებითაა განპირობებული. ამ ჯგუფს ეკუთვნის ძლიერი აფექტით, ძლიერი სურვილით, მტკიცე რწმენით, დაძაბული მოლოდინით, ძლიერი მოთხოვნილებით და სხვა ფსიქიკური ფაქტორებით გამოწვეული ილუზიები.

ფსიქოლოგიურ ილუზიათა შესწავლაში დიდი წყლილი შეიტანა დ. უზნაძის ხელმძღვანელობით თბილისში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა. დამტკიცდა, რომ ილუზიათა რიგს საფუძვლად უდევს სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა – განწყობა, სახელდობრ, „ფიქსირებული განწყობა“.

➤ დროისა და მოძრაობის აღქმა

დრო, ისევე როგორც სივრცე, მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. დროის აღქმა არის სინამდვილეში მოვლენათა ობიექტური ხანგრძლივობის, სიჩქარისა და თანმიმდევრობის ასახვა. ასახავს რა ობიექტურ რეალობას, დროის აღქმა ადამიანს საშუალებას აძლევს ორიენტირება მოახდინოს გარემოში. არა მარტო ადამიანისათვის, არამედ ცხოველისთვისაც უკიდურესად მნიშვნელოვანია დროის ათვისება, განსაკუთრებით შეგუებითი საქმიანობის პროცესში.

დროში ორიენტაციას ადამიანი ახორციელებს ტვინის ქერქული ნაწილების დახმარებით. დროის აღქმა ხორციელდება სხვადასხვა ანალიზატორის საშუალებით, რომლებიც გაერთიანებულნი არიან როგორც ერთი მთლიანი. დროის აღქმის დარღვევა გამოწვეულია თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა ნაწილების დაზიანებით. ასე რომ, არ არსებობს თავის ტვინის ქერქში სპეციალური ნაწილი, რომელიც ჩაითვლებოდა დროის აღქმის ცენტრად.

დროის ხანგრძლივი პერიოდების აღქმა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება განცდების ხასიათით. ჩვეულებრივ, დრო, რომელიც შევსებულია საინტერესო საქმიანობით, განიცდება მოკლედ, ვიდრე დრო, რომელიც მიდის უსაქმურობაში.

დროის აღქმა იცვლება ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც. დადებითი ემოციები იძლევიან დროის სწრაფი მიმდინარეობის ილუზიას. ე.ი. ამ პირობებში ადამიანს ეჩვენება თითქოსდა დრო გარბის ძალზედ სწრაფად, ხოლო უარყოფითი ემოციებისას კი – დრო იწელება უსაშველოდ.

რაც შეეხება მოძრაობის აღქმას – ეს არის იმ მდგომარეობის შეცვლის ასახვა, რომელიც უკავიათ ობიექტებს სივრცეში.

მოძრაობის აღქმას ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მის გარეშე ადამიანი ვერ შეძლებდა ელემენტარულ გადაადგილებასა და სულ მარტივი მოქმედების შესრულებასაც კი.

➤ ალქმის პათოლოგია

ალქმის პათოლოგიას აგნოზია ეწოდება. ეს არის სხვადასხვა სახის ალქმის დარღვევა, რომელიც აღმოცენდება ტვინის განსაზღვრული დაზიანების დროს განასხვავებენ:

1. მხედველობით აგნოზიას, რომელიც ვლინდება იმაში, რომ ადამიანი კარგი მხედველობის შენარჩუნების დროს ვერ არჩევს საგნებს და მათ გამოსახულებებს, ე.ი. ამ დროს თვალი არის ჯანმრთელი, მაგრამ დაზიანებულია თავის ტვინის ქერქის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს მხედველობით ალქმას.

2. ტაქტილურ აგნოზიას, როდესაც ადამიანი ხელის შეხებით ვერ ცნობს საგნის ფორმას;

3. სმენით აგნოზიას, როდესაც ადამიანი ვერ არჩევს მეტყველების ბგერებს ან ნაცნობ მელოდიებს, ხმაურს და ამასთანავე, ყური აქვს სავსებით ჯანმრთელი, მაგრამ დაზიანებულია თავის ტვინის ქერქის ის უჯრედები, რომლებიც არეგულირებენ სმენით ალქმას.

3. ყურადღება

ჩვეულებრივ პირობებში ადამიანზე (მის თვალის ბადურაზე და შეგრძნების სხვა ორგანოებზე) ყოველ მომენტში მრავალი გამლიზიანებელი მოქმედებს. ყველა მათგანს ერთდროულად ადამიანი ვერასოდეს ვერ აღიქვამს; ყოველ მომენტში იგი მხოლოდ ზოგ საგანს, უფრო ხშირად კი ერთ საგანს აღიქვამს, რომელს? იმას, რომელსაც ყურადღება ექცევა.

ყურადღება ნათელი ალქმის აუცილებელი პირობაა. ყურადღება წარმართავს ჩვენს ცნობიერებას გარკვეული მიმართულებით და ამით შესაძლებელს ხდის საგნის ნათელ ალქმას.

ყურადღება ადამიანის მოქმედების აუცილებელი პირობაა. ყოველი ძნელად შესასრულებელი მოქმედება აუცილებლად მოითხოვს ინტენსიურ ყურადღებას. ადამიანის დაღლილობის ყველაზე მგრძობიარე სიმპტომს ყურადღების დაქვეითება წარმოადგენს. გონებრივი თუ ფიზიკური მუშაობით გამოწვეული დაღლილობა, როგორც ეს ექსპერიმენტულად დადგინდა, განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ყურადღების დაქვეითებაში.

➤ ყურადღების ძირითადი თვისებები

- ყურადღების მოცულობა (5-6 მარტივი შთაბეჭდილება);
- ყურადღების ინტენსივობა;
- ყურადღების რხევადობა (ხან ძლიერდება, ხან სუსტდება);
- ყურადღების შეგუება;
- ყურადღების გადანაცვლება;
- ყურადღების განაწილება;
- ყურადღების გამძლეობა ანუ სტაბილობა;
- ყურადღების სიმყარე.

➤ ყურადღების ძირითადი სახეები (ფორმები)

ადამიანის ყურადღება განსხვავებულ ფორმებში კლინდება. ძირითადად არჩევენ ყურადღების ორ ფორმას.

იმის მიხედვით, ნებით, განზრახვით წარმართავს პიროვნება ყურადღებას თუ უნებლიედ, არჩევენ ყურადღების ორ ძირითად სახეს – ნებისმიერს ანუ აქტიურს და უნებლიეს ანუ პასიურს.

ნებისმიერი (ნებითი) ყურადღების ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ სუბიექტი ყურადღებას შეგნებულად წარმართავს და მის რეგულირებას ახდენს.

ყოველ ნორმალურ ადამიანს ახასიათებს როგორც ნებისმიერი, ისე უნებლიე ყურადღება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ყურადღება ხშირად უნებურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ადამიანის სპეციფიკას, მის ცხოველისაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშანს, ნებისმიერი ყურადღების უნარი წარმოადგენს. ყოველი შრომის პროცესი აუცილებლად ამ უნარს გულისხმობს, ყურადღების შეგნებულ რეგულირების გარეშე შრომა შეუძლებელია.

სწავლის პროცესიც ცხადია, ნებით ყურადღებას ეყრდნობა.

➤ ყურადღების ტიპები

- ყურადღების განაწილებული და კონცენტრირებული ტიპი;
- ყურადღების სწრაფი და ნელი შეგუების ტიპი;
- ყურადღების ადვილი და ძნელი გადანაცვლების ტიპი;
- სტაბილური და ლაბილური ყურადღების ტიპი;
- ყურადღების მყარი და გადაზრადი ტიპი.

➤ ყურადღების გამომწვევ ფაქტორთა კლასიფიკაცია

ანსხვავებენ ობიექტურ და სუბიექტურ ანუ შინაგან ფაქტორებს. პირველ ჯგუფს აკუთვნებენ ყურადღების გამომწვევ იმ პირობებს, რომლებიც გარემოში მოცემული ობიექტის თვისებებს წარმოადგენენ, ხოლო სუბიექტურ ფაქტორებად თვლიან ყურადღების იმ პირობებს, რომლებიც თვით სუბიექტში, მისი შინაგანი მდგომარეობის სახითაა მოცემული.

ობიექტური ფაქტორებია:

- გამლიზიანებლის ინტენსივობა;
- გამლიზიანებლის ხანგრძლივობა;
- საგნის სიდიდე;
- საგნის სიახლოვე;
- საგნის განცალკავება;
- კონტრასტის ფაქტორი;
- მოძრაობა,
- ცვლილება;
- სიახლე;
- ნაცნობობისა და ჩვეულებრივობის ფაქტორი.

შინაგანი ანუ სუბიექტური ფაქტორებია:

- მოთხოვნილება;
- ინტერესი;
- განწყობა;
- მოლოდინი;
- ნებისყოფის ფაქტორი.

ყურადღების დამკვეთებელ, შემასუსტებელ ფაქტორთა შორის არის მობეზრების, მოწყენის და მოყირჭების განცდა.

4. მენსიერება

დახსომება, შენახვა და ინდივიდის მიერ მისი გამოცდილების შემდგომი აღდგენა, მენსიერებად იწოდება. მენსიერებაში ასხვავებენ ისეთ ძირითად პროცესებს, როგორიცაა: დახსომება, შენახვა/შენარჩუნება/, აღდგენა/მოგონება/ და დაეიწყება. მითითებული პროცესები არ წარმოადგენენ ავტონომიურ ფსიქიკურ თვისებებს. ისინი ფორმირდებიან და განისაზღვრებიან საქმიანობაში. გარკვეული მასალის დახსომება დაკავშირებულია ცხოვრებისეული მოღვაწეობის პროცესში ინდივიდუალური გამოცდილების დაგროვებასთან, რაც დამახსოვრებულ იქნა პიროვნების მიერ. შემდგომ საქმიანობაში მისი გამოყენება მოითხოვს აღდგენას. საქმიანობიდან განსაზღვრული მასალის ამოვარდნას მივყავართ დაეიწყებამდე. მასალის შენარჩუნება მენსიერებაში დამოკიდებულია პიროვნების საქმიანობაში მენსიერების მონაწილეობაზე, რამდენადაც ყოველ მოცემულ მომენტში ადამიანის ქცევა განისაზღვრება მისი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

ამგვარად, მენსიერება არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პიროვნების ფსიქიკური ცხოვრების განმსაზღვრელი მახასიათებელი. მენსიერების როლი არ შეიძლება დაიყვანებოდეს მხოლოდ იმის აღბეჭდვამდე რაც „მოხდა წარსულში“/წარსულის ხატები ფსიქოლოგიაში იწოდება წარმოდგენებად/. არავითარი აქტუალური მოქმედება არ შეიძლება მენსიერების პროცესების გარეშე. მენსიერება უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნების ერთიანობასა და მთლიანობას, წარმოადგენს ყველა ფსიქიკური პროცესის მახასიათებელს.

მენსიერება ითვლებოდა ფსიქოლოგიის ყველაზე მეტად გამოკვლეულ ნაწილად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი კანონზომიერებები კიდევ შესასწავლია. ამჟამად მეცნიერებაში არ არსებობს მენსიერების ერთიანი და დასრულებული თეორია. მენსიერების მექანიზმებისა და კანონზომიერების შესწავლის ორ დონეს ფსიქოლოგიურსა და ნეიროფიზიოლოგიურს, ამჟამად დაემატა მესამე – ბიოქიმიური;

მენსიერების ფსიქოლოგიური თეორიები. მენსიერების მექანიზმების შესწავლის ფსიქოლოგიური დონე გაცილებით დიდია და მეცნიერებაში მოცემულია მრავალრიცხოვანი თეორიებითა და მიმართულებებით. თეორიათა პირველ ჯგუფს შეადგენს ე.წ. ასოციაციური მიმართულება. მისი ცენტრალური ცნება – ასოციაცია – აღნიშნავს კავშირს, შეერთებას და გამოდის, როგორც ყველა ფსიქიკური

წარმონაქმნის აუცილებელი პრინციპი. ეს პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: თუ ცნობიერებაში განსაზღვრული ფსიქიკური წარმონაქმნები აღმოცენდნენ ერთდროულად ან უშუალოდ ერთმანეთის მიყოლებით, მაშინ მათ შორის აღმოცენდება ასოციაციური კავშირი და ერთ-ერთი ელემენტის გამოჩენა ამ კავშირიდან აუცილებლად იწვევს ცნობიერებაში ყველა მისი ელემენტის წარმოდგენას.

ამრიგად, ორ შთაბეჭდილებას შორის კავშირის დამყარებისათვის აუცილებელ და საკმარის საფუძველად, ასოციაციონიზმი თვლის ცნობიერებაში მათი გამოჩენის ერთდროულობას.

ფსიქოლოგიაში ასოციაციონიზმის კრიტიკის საფუძველზე აღმოცენდა მეხსიერების მთელი რიგი ახალი თეორიები და კონცეფციები. ერთ-ერთი ასეთია გეშტალტიზმი, რომელიც ყველაზე მეტად აკრიტიკებდა ასოციაციონიზმს. ამ ახალი თეორიის ძირითადი ცნება – გეშტალტი – ნიშნავს მთლიან ორგანიზაციას, სტრუქტურას, რომელიც არ დაიყვანება მისი შემადგენელი ნაწილების ჯამზე.

მეხსიერების ფენომენის განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ „მნემეს“ ანუ „ფიზიოლოგიურ მეხსიერებას“.

მაგალითად, ადამიანმა ადრე ბავშვობაში, ზღვის პირას ცხოვრებისას ისწავლა ცურვა, შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იგი ზღვიდან შორს ცხოვრობდა და არა მარტო ცურვა არ უხდებოდა, არამედ ისიც აღარ ახსოვდა, რომ ცურვა იცოდა. მაგრამ, როდესაც ოცდაათი წლის ასაკში ზღვის პირას მოხვდა და დააპირა ცურვის სწავლა – მოულოდნელად გაცურა. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში შეძენილი მოძრაობითი ჩვევა შენარჩუნებული აღმოჩნდა, ამ მოვლენას ნამდვილ მეხსიერებად ვერ ჩავთვლით, რადგანაც ეს წარსულში მიღებული ჩვევა სუბიექტის ფსიქიკაში არ აისახა; ეს არის „მნემეს“ ანუ „ფიზიოლოგიური მეხსიერების“ მოვლენა.

➤ პერსევერაცია

პერსევერაცია ეწოდება ცნობიერებაში ამა თუ იმ წარმოდგენის თავისთავადსა და აკვიატებულ ამოტივტივებას.

მეხსიერების ეს ფორმა ვლინდება მაგალითად, მოსმენილ ან წაკითხულ რაიმე ტერმინის თუ უცხო სიტყვის, გვარის ან მელოდიის თუ სხვა რაიმე აღქმულის შინაარსის ჩვენს ცნობიერებაში

მოულოდნელ აკვიატებულ ამოტივტივებაში ყოველგვარი განზრახვისა და საზოგადოდ შესამჩნევი საბაბის გარეშე.

პერსვერაცია ლათინურად ნიშნავს შეუპოვრობას, ჯიუტობას. იგი სამართლიანად ითვლება მეხსიერების დაბალ ფორმად, რამდენადაც წარმოდგენის რეპროდუქცია ამ შემთხვევაში ატარებს სრულიად შემთხვევით, არამიზანდასახულ ხასითს. მაგრამ, მეორეს მხრივ, საყურადღებოა, რომ პერსვერაცია თავს იჩენს უწინ აღქმულის წარმოდგენის სახით, ე.ი. აღქმის რეპროდუქციის სახით, რაც მეხსიერების შედარებით მაღალი ფორმებისათვის არის დამახასიათებელი.

➤ დასწავლის ფაქტორები

- ნებისყოფის ფაქტორი;
- აქტივობის ფაქტორი;
- ინტელექტუალური ფაქტორი;
- ინტერესის ფაქტორი;
- გამოცდილების ფაქტორი;
- სტრუქტურულიზაციის ფაქტორი;
- ფიზიოლოგიური ფაქტორები, სადაც შედის დაღლილობა და დღის მონაკვეთი. აღმოჩნდა, რომ დასწავლის სისწრაფე ოპტიმალურია დღის საათებში, ხოლო დასწავლის სიმტკიცე – საღამოს საათებში /თუ პიროვნება არ არის დაღლილი/. ყველაზე დაბალი ნაყოფიერების პერიოდი კი ნაშუადღევის მონაკვეთია – ორი-სამი საათიდან – ხუთ-ექვს საათამდე. აქვე შედის ფარმაკოლოგიური ფაქტორიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების უარყოფითი ზემოქმედება მეხსიერებაზე. ძლიერი ნარკოტიკების სისტემატური ხმარება პირდაპირ ანადგურებს მეხსიერებას.

➤ დასწავლის წესები და კანონზომიერებები

„გლობალური დასწავლის“ წესი,
„პროგრესული დასწავლის“ წესი;
გამეორებათა შორის ინტერვალი;
ინტერვალის თანდათანობით გადიდება;
გამეორების რიგითი ადგილის კანონი;

ჰიპერფიქსაციის წესი;
მასალის ადგილმდებარეობის კანონი;
მასალის გაერთიანების წესი;
აქტიურ გამეორებათა წესი;
„ბუნებრივი ტემპით“ კითხვის წესი.

➤ მეხსიერების სახეები

1. მოძრაობითი მეხსიერება – ეს არის სხვადასხვა მოძრაობებისა და მათი სისტემების დახსოვება, შენახვა და აღდგენა. გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც მეხსიერების ეს სახე სხვებთან შედარებით მკვეთრად აქვთ გამოხატული.

2. ემოციური მეხსიერება – ეს არის გრძნობების დახსოვება. ემოციები ყოველთვის მიგვანიშნებენ იმაზე, თუ როგორ კმაყოფილდებიან ჩვენი მოთხოვნები და ინტერესები, როგორ ხორციელდებიან ისინი. ამიტომ ემოციურ მეხსიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. განცდილი და მეხსიერებაში შენახული გრძნობები გამოდიან როგორც სიგნალები, რომლებიც იწვევენ მოქმედებას ან შეკავებას მოქმედებისაგან, თუ წარსულში ეს მოქმედება იწვევდა უარყოფით განცდას.

3. ხატოვანი მეხსიერება – ეს არის მეხსიერება წარმოდგენებზე, ბუნებისა და ცხოვრების სურათებზე, ასევე ბგერებზე, საგნებზე, გემოზე.

4. სიტყვიერ-ლოგიკური მეხსიერების შინაარსს წარმოადგენს ჩვენი აზრები;

5. უნებლიე და ნებისმიერი მეხსიერება;

6. ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერება;

7. ოპერატიული მეხსიერება.

მეხსიერების ესა თუ ის სახე მეტნაკლებად დამახასიათებელია ამა თუ იმ პროფესიის ადამიანებისათვის.

➤ მეხსიერების პროცესების ზოგადი დახასიათება

მეხსიერების სახეების გარდა გამოყოფენ მის პროცესებსაც. საფუძვლად იყენებენ სწორედ იმ განსხვავებულ ფუნქციებს, რომელთაც მეხსიერება ასრულებს ადამიანის ცხოვრებასა და საქმიან-

ნობაში. მეხსიერების პროცესებს მიეკუთვნება მასალის დახსოვება, აღდგენა, შენახვა და დავიწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით თვალში გვეცემა ამ პროცესების საწინააღმდეგო ფუნქციონალური მიმართულება, ისინი აუცილებლად ერთიანობაში უნდა განვიხილოთ.

მაგალითად, აღდგენა წარმოადგენს მასალის არა ავტომატურ გახსენებას, არამედ მის ცნობიერ კონსტრუირებასა და ასევე რეკონსტრუქციასაც, თუმცა აღდგენაში აუცილებლად ერთვებიან ხანმოკლე დახსოვებისა და შენახვის პროცესები. უფრო მეტიც, აღდგენის პროცესში მუდმივად ხორციელდება ხანგრძლივი დახსოვებაც. მასალის გამეორება სხვა არაფერია, თუ არა მისი აღდგენა, მაგრამ იგი, ამასთანავე, წარმოადგენს დასწავლის პროცესსაც.

ანალოგიურად შეგვიძლია გაუაანალიზოთ შენარჩუნება – დავიწყების პროცესებიც.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი მეხსიერება წარმოადგენს რთულ, მაგრამ ერთიან და უწყვეტ პროცესს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ცნობიერების ისეთი მდგომარეობა, რომელიც იქნებოდა მეხსიერების გარეშე.

1. დახსოვება – იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მეხსიერების პროცესი, რომლის შედეგად ხდება ახლის გამყარება ადრე ათვისებულთან კავშირის დამყარების გზით. დახსოვება ყოველთვის ამორჩევითია: მეხსიერებაში არ ინახება ყველაფერი, რაც ჩვენს გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს. ამა თუ იმ მასალის დახსოვება განისაზღვრება პიროვნების საქმიანობის მოტივებით, მიზნებითა და ხერხებით, ინტერესის სფეროთი.

2. აღდგენა. ამ პროცესში გამოიყოფა შემდეგი სახეები: ცნობა, თვით აღდგენა /რომელიც შეიძლება იყოს უნებლიე და ნებისმიერი/ და მოგონება. ცნობა – ეს არის რომელიმე ობიექტის აღდგენა განმეორებული აღქმის პირობებში. მას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მის გარეშე ჩვენ ყოველ ჯერზე საგნებს აღვიკვამდით როგორც ახლებს და არა უკვე ნაცნობს. ცნობა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სწორი ორიენტაცია გარემოში. ნებისმიერ აღდგენა გამოწვეულია რეპროდუქციული ამოცანებით, რომელსაც ადამიანი უყენებს თავის თავს. მოგონებაც, ისევე როგორც დახსოვება, ამორჩევითია. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას.

3. დავიწყება და შენახვა. დავიწყება ძირითადად მიზანშეწონილი მოვლენაა. შეუძლებელია ადამიანმა ყველაფერი დაიხსომოს. ის, რაც პიროვნებისათვის უმნიშვნელოვანესია, მისი დავიწყება ნაკლებად ხდება.

დროებითი დავიწყება შეიძლება გამოწვეულ იქნას უარყოფითი ზემოქმედების შედეგად. დავიწყება დამოკიდებულია დროზე

დავიწყება არ არის მხოლოდ დროის ფუნქცია. დახსოვნების მსგავსად, ისიც, ამორჩევითი ხასიათისაა. ადამიანს მასალა, დაკავშირებული მნიშვნელოვან მოთხოვნებებთან, ღრმა ინტერესებთან, საქმიანობის მიზნებთან, ნაკლებად ავიწყდება. იმის დავიწყება კი, რაც ატარებს ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას, საერთოდ არ ხდება. ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე უკეთესად ინახება, მაგალითად, მასალის /ტექსტის/ ძირითადი დებულებები, ნაკლებად ტექსტის შინაარსი. ამიტომ, მეხსიერებაში შენახული მასალა იღებს სულ უფრო განზოგადებულ ხასიათს.

➤ მეხსიერების პათოლოგია

1. ამნეზია – ეს არის მეხსიერების ძლიერი დაქვეითება. განასხვავებენ რეტროგრადულ, ანტეოგრადულ და პერიოდულ ამნეზიას.

რეტროგრადული ამნეზიის დროს მეხსიერების დარღვევა ეხება სუბიექტის წარსულს. წარსული მას დავიწყებული აქვს. ახალი შთაბეჭდილებების დახსოვნების უნარი კი შენარჩუნებულია.

ანტეოგრადული ამნეზიის დროს პირიქით, დარღვეულია ძირითადად ახალი შთაბეჭდილებების დახსოვნების უნარი, წარსულში შეთვისებული კი ძირითადად შენახულია.

პერიოდული ამნეზია, მას სხვაგვარად პიროვნების ან ცნობიერების გაორებას – „ალტერნაციას“ – უწოდებენ, იშვიათი დაავადებაა. იგი თავს იჩენს ინდივიდის ცხოვრების გარკვეული პერიოდების ცნობიერებიდან ამოვარდნაში. ე.ი. ადამიანს მონაცვლეობით ავიწყდება ხან წარსული, ხან აწმყო.

2. ჰიპომნეზია – ეს არის ამნეზიის სუსტი ფორმა, ე.ი. მეხსიერების შესუსტება.

3. პარამნეზია – ეს არის მეხსიერების თავისებური დარღვევა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სისტემატურად მცდარი, დამახინჯებული დახსოვნება.

4. ჰიპერმნეზია – თავს იჩენს არანორმალურად გამახვილებული მეხსიერების სახით.

5. ჩვევები

ჩვევა გავარჯიშებული მოქმედებაა. ამ მხრივ ჩვევა ცოდნის შეძენას, მეხსიერების გამოვლინებას უახლოვდება. ე.ი. ჩვევას უწოდებენ ვარჯიშის შედეგად შეძენილს, მეტად თუ ნაკლებად ავტომატიზირებულ მოქმედებას. ამ მხრივ, იგი თანდაყოლილი მოქმედების (უპირობო რეფლექსებისა და ინსტიქტების) ანტიპოდია. ჩვევას ადამიანი (თუ ცხოველი) იძენს; სათანადო მოქმედების სისტემატიური გამოცდების გარეშე ჩვევის შეძენა არ შეიძლება; ცურვას, ველოსიპედით სიარულს, ჰალსტუხის შეკვრას და სხვ. ადამიანი სათანადო ვარჯიშის შედეგად ეუფლება.

იმ მოქმედებათა შორის, რომლებსაც ყოველდღე ვასრულებთ, ძალიან დიდი ნაწილი ჩვევებს წარმოადგენს. ჩვენ მათ არ ვაცნობიერებთ, ისინი ჩვენი ყურადღების საგანს აღარ წარმოადგენენ, მაგრამ როგორც კი ასეთი მეტნაკლებად ავტომატიზირებული მოძრაობის მსვლელობაში რაიმე შეფერხება მოხდება, ადამიანის ცნობიერება იმავე წუთს ჩაერთვება ამ მოძრაობის შესრულებაში და ეს ოპერაცია ჩვენი ყურადღების საგნად იქცევა.

➤ ჩვევათა სახეები

ადამიანს სხვადასხვა სახის ჩვევები აქვს: საყოფაცხოვრებო ჰიგიენური ჩვევები, სასწავლო ჩვევები, სპორტული ჩვევები, პროფესიონალური ჩვევები და ა.შ.

ანსხვავებენ მოტორულ და გონებრივ ჩვევებს: მოტორულს უწოდებენ მოძრაობის ჩვევას. მაგალითად: ცეკვის, ღილის შეკერის და ა.შ.

გონებრივს უწოდებენ ისეთ ჩვევებს, რომლებიც ავტომატიზირებულ გონებრივ ოპერაციას წარმოადგენენ: გამრავლების ტაბუ-

ლის ზეპირი ცოდნა, კითხვის, ანგარიშის ჩვევა და ა.შ. ცხადია, რომ ავტომატიზაციის შედეგად, ისეთი მოქმედება, როგორც ჩვევა, აზროვნების პროცესს აღარ წარმოადგენს.

➤ ჩვევათა მნიშვნელობა

რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ჩვევების გამომუშავებას? რა როლს ასრულებენ ჩვევები ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობაში? ცხადია, რომ ჩვევათა გამომუშავება, პირველ რიგში, დროისა და ენერჯის დიდ ეკონომიას გვაძლევს, ათავისუფლებს ცნობიერებას და აზროვნებას ჩვევად ქცეულ ოპერაციათა შესრულებისაგან. ხოლო რამდენადაც ჩვევებს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავთ, რამდენადაც ისინი ადამიანის ყოველდღიურ მოქმედებათა დიდ ნაწილს შეადგენენ, ამდენად, ამ დანაზოგის მნიშვნელობაც ადამიანის ცხოვრებაში განუზომელია.

მოქმედებები, რომლებიც ჩვევად იქცევიან, სრულყოფილდებიან და შედარებით ადვილად, ზუსტად და სწრაფად სრულდებიან.

ჩვევათა დიდი ნაწილი წარმოადგენს ადამიანისათვის ახალ მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც მას წინათ არ შეეძლო: ასეთია წონასწორობის დაცვა ველოსიპედზე, ცურვა, სპორტული ჩვევები და სხვა.

ჩვევების შემუშავება მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. მოზრდილი ადამიანის ყოველდღიურ მოქმედებათა უდიდესი ნაწილი, ამერიკელი ფსიქოლოგის უ. ჯეიმსის აზრით, 1000 მოქმედებიან 999 ჩვევის ხასიათს ატარებს.

➤ ჩვევათა შორის დამოკიდებულება

ჩვევათა შემუშავების პროცესში სხვადასხვა ჩვევები ერთმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ მხრივ, ჩვევათა შერევა (ინტერფერენცია) და გადატანა (ტრანსპოზიცია).

1. ინტერფერენცია შემდეგში მდგომარეობს: ერთ-ერთი ჩვევის შეთვისების, ანდა უკვე ათვისებულის მიმდინარეობის პროცესში, უნებლიედ ერევა სხვა, აქამდე შემუშავებული ჩვევა. მაგალითად, სპორტსმენი, რომელიც ქართულ ჭიდაობაში გამოდიოდა, კლასი-

კურ ჭიდაობაზე გადასვლის შემდეგ, კრიტიკულ მომენტში უნებურად ფეხს გამოიყენებს. ე.ი. აკეთებს კლასიკურ ჭიდაობაში დაუშვებელ მოძრაობას.

ინტერფენციის არიდების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს თითოეული იმ ჩვევის ცალ-ცალკე განმტკიცება, რომელთა შორისაც მოსალოდნელია ინტერფერენცია.

2. რაც შეეხება ერთი ჩვევის დადებით გავლენას მეორეზე, იგი თავს იჩინს ე.წ. გადატანის ანუ ტრანსპოზიციის ფორმით. ზოგიერთი სახის ჩვევათა დაუფლება ხელს უწყობს გარკვეული, სხვა სახის ჩვევათა გამოჩუმაებას. მაგალითად, ერთი ენის დაუფლება, ჩვეულებრივ, ხელს უწყობს მეორე, მონათესავე ენის დაუფლებას და ა.შ.

6. აზროვნება

შემეცნებით პროცესებს აღქმასთან და მეხსიერებასთან ერთად, აზროვნებაც მიეკუთვნება. თუმცა, ეს უკანასკნელი განსხვავდება როგორც აღქმის, ისე მეხსიერების პროცესებისაგან.

მეხსიერება, როგორც ზემოთ ითქვა, უკვე ასახულის შენახვას ემსახურება. ამ აზრით იგი „კონსერვაციის“ ფუნქციას ასრულებს.

აზროვნებისათვის დამახასიათებელია სუბიექტისათვის ახალი, უჩვეულო სიტუაციის გადაჭრისთვის საჭირო შესატყვისი მოქმედება. ამ მხრივ, აზროვნების ფუნქცია მეხსიერების ფუნქციის საპირისპიროა. აზროვნების პროცესის სტიმულს სუბიექტის წინაშე წარმოჭრილი კითხვა ან გაკვირება წარმოადგენს. რა არის ეს? როგორ მოვიქცე? და ა.შ.

➤ ლოგიკური აზროვნების ძირითადი ფორმები

ზრდასრული ადამიანის აზროვნებას ლოგიკურს, ვერბალურს ან ცნებით აზროვნებას უწოდებენ.

არჩევნ ვერბალური აზროვნების 3 ძირითად ფორმას. ესენია: ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

ლოგიკის გავლენით, ფსიქოლოგიაშიც არჩევნ დასკვნის 3 ძირითად ფორმას: 1) ინდუქცია ან ინდუქციური დასკვნა — კერძო მსჯელობებიდან ზოგადის გამოყვანა; 2) დედუქცია ან დედუქციუ-

რი დასკვნა – ზოგადი მსჯელობიდან კერძო დასკვნის მიღება და
3) ანალოგიით დასკვნა – ერთი კერძო მოვლენიდან ანალოგიური
კერძო მოვლენის შესახებ დასკვნა.

აზროვნების ძირითადი ოპერაციებია:

1. ანალიზი – მთელიდან მისი ცალკეული ნაწილების, მხა-
რებისა და თვისებების გამოყოფის უნარი.

2. განყენება ანუ აბსტრაქცია – მთელიდან გამოყოფილი და
ერთ-ერთი, სხვაზე არადაპირდაპირი ნაწილის გააზრება.

3. სინთეზი – ანალიზის საწინააღმდეგო პროცესია, რომე-
ლიც წარმოადგენს ცალკეული ელემენტების, ნაწილების ან თვისე-
ბების გაერთიანებით ერთი მთლიანი შინაარსის სახით გააზრებას.

➤ აზროვნების გენეტიკური ფესვები

ა. ხატოვანი ანუ თვალსაჩინო აზროვნება

ცნებითი აზროვნება ზრდასრული ადამიანისათვისაა დამახასია-
თებელი. სანამ კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარე-
ბის პროცესში აზროვნების ეს უმაღლესი დონე ჩამოყალიბდებოდა,
ცხადია, ადამიანს ექნებოდა აზროვნების უფრო დაბალი ფორმა.

მე-19 ს-ში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი იყო კულტურის უკი-
დურესად დაბალ დონეზე მდგომი ე.წ. პრიმიტიული ტომი. მათი
აზროვნების, ისევე როგორც ბავშვის აზროვნების შესწავლის შე-
დეგად, გამოვლინდა აზროვნების ისეთი დაბალი ფორმის არსებობა,
რომელიც წინ უსწრებს ცნებით აზროვნებას და რომლისთვისაც
დამახასიათებელია არა ცნებებით, არამედ თვალსაჩინო წარმოდგე-
ნებით აზროვნება.

აზროვნების ამ შედარებით დაბალ ფორმას „ხატოვანი აზ-
როვნება“ ან „თვალსაჩინო აზროვნება“ ჰქვია, ზოგი მეცნიერი მას
„საგნობრივ აზროვნებასაც“ უწოდებს.

როგორც ლოგიკური აზროვნების ძირითად ფორმას ცნება
წარმოადგენს, ისე, ხატოვანი აზროვნების ძირითადი ფორმა,
თვალსაჩინო წარმოდგენაა.

პრიმიტიულ ტომთა აზროვნების კონკრეტული და თვალსა-
ჩინო ხასიათი უპირველეს ყოვლისა, მათ მეტყველებაში იჩენს

თავს. პრიმიტიული ენების ძირითად ფსიქოლოგიურ თავისებურებას შეადგენს ზოგადი ცნებების უქონლობა და სიტყვების მეტად ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობა, რაც არაჩვეულებრივად ამღიდრებს სიტყვათა მარაგს. მაგალითად, ლაფლანდიელების (შორეულ ჩრდილოეთში მცხოვრები ერთერთი ხალხი) მეურნეობა უმთავრესად ირმების მოშენებაში მდგომარეობს, თუმცა არ მოეპოვებათ ცნება “ირემი”. აქვთ რამდენიმე სიტყვა ირმის კონკრეტულ სახეობათა აღსანიშნავად. მაგ., სხვადასხვა ფერის, სქესისა და ასაკის ირემს სხვადასხვა სიტყვით აღნიშნავენ. იმავე ხალხს, რომლებიც მუდამ თოვლში ცხოვრობენ, არა აქვთ ცნება “თოვლი”. თოვლის აღსანიშნავად ისინი 41 განსხვავებულ სიტყვას იყენებენ.

ცნებითი და ხატოვანი აზროვნების გარდა ექსპერიმენტულად დადგენილია აზროვნების კიდევ ერთი ფორმა — აზროვნებამდელი გონიერი მოქმედება, რომელიც დამახასიათებელია, როგორც ბავშვის ან პრიმიტიულ დონეზე მყოფი ადამიანისათვის, ასევე ანთროპოიდისათვის.

7. მეტყველება

მეტყველების გარეშე ლოგიკური აზროვნების აღმოცენება და განვითარება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია ცნების ჩამოყალიბება სიტყვის გარეშე.

ენა და მეტყველება — ეს არ არის ერთი და იგივე. მეტყველება კონკრეტული ადამიანის მოქმედებაა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში ენის გამოყენებით ხორციელდება.

ენა (ქართული, რუსული, ინგლისური და ა.შ.) წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ პროდუქტს, რომელიც ცალკე, ინდივიდის გარეშეც არსებობს და მისგან დამოუკიდებლად საკუთარი სტრუქტურა, გარკვეული ფორმები, წესები და კანონები აქვს. ეს სტრუქტურა და კანონები არ იცვლება იმის გამო, რომ ვინმე ამ ენაზე არასწორად მეტყველებს. არსებობს ე.წ. მკვდარი ენები, რომელზედაც აღარავინ ლაპარაკობს, მაგრამ ამ ენებსაც თავისი სტრუქტურა და კანონები აქვს, რომელსაც ჩვენ დღეს ვსწავლობთ.

მეტყველება ინდივიდის მოქმედებაა ენის გამოყენებით. იგი იცვლება ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა, მისი შინაგანი მდგომარეობისა და სიტუაციის მიხედვით. ყოველი ადამიანი გარკვეულ ფარგლებში თავისებურად მეტყველებს იმისდა მიხედვით, ბავშვს ელაპარაკება თუ ტოლს, ახლობელს თუ უცხოს, აღელვებულია თუ დამშვიდებული და ა.შ.

➤ მეტყველების ფუნქცია

1. კომუნიკაცია. მეტყველების ძირითადი ფუნქცია ადამიანთა შორის ცნობიერი ურთიერთობის განხორციელებაში მდგომარეობს. მეტყველება ადამიანთა ურთიერთგაგებინების საშუალებაა.

2. ექსპრესია. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მეტყველების საშუალებით კომუნიკაცია, ცხადია, მას ექსპრესიის ანუ განცდათა გამოხატვის_ფუნქცია უნდა ჰქონდეს. განცდა მისი გამოსახვის გარეშე სხვისთვის მიუწვდომელი დარჩება. მაგრამ, ექსპრესიის ფუნქცია არ არის საკმარისი ადამიანთა შორის ცნობიერი კომუნიკაციის შესასრულებლად.

3. სიგნიფიკაცია. სიტყვას იმიტომ შეუძლია შეგნებული კომუნიკაციის როლის შესრულება, რომ მას აღმნიშვნელობითი ანუ სიგნიფიკაციური ფუნქცია აქვს. იგი აღნიშნავს შინაარსს (საგანს, აზრს) და მხოლოდ ბგერითი კომპლექსი არ არის. ამ აღმნიშვნელობით ფუნქციას სიტყვა მიიღებს კომუნიკაციის პროცესში მისი გამოყენების შედეგად.

➤ სიტყვა და აზრი

სიტყვის მოწყვეტა აზრისაგან შეუძლებელია, რადგანაც სიტყვა გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია და, მაშასადამე, აზროვნების გამოვლინებაა. თუთიყუშის მიერ ნათქვამი „სიტყვა“ წაბადვის ინსტიქტის მოქმედების შედეგად აღმოცენებული რეფლექსური ბგერებია და არა მეტყველება, რადგანაც ამ ბგერების მნიშვნელობა მას არ ესმის.

მეტყველება – ინტელექტუალური ოპერაციაა

მეორე მხრივ, სიტყვა აზრის „მატერიალური დასაყრდენია“, აზრი სიტყვების მეშვეობით ყალიბდება და იქმნება. სიტყვა და აზ-

რი ორი დამოუკიდებელი რამ კი არ არის, რაც ცალ-ცალკე არსებობს და შემდეგ უკავშირდება ერთმანეთს, აზრი სიტყვათა და წინადადებათა მეშვეობით იქმნება და ყალიბდება.

➤ შინაგანი მეტყველება

მეტყველებისა და აზროვნების ერთიანობაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ თავისთვის აზროვნებისას ადამიანი იყენებს ხოლმე სიტყვებს ანუ თავისთვის „მეტყველებს“. ასეთ „გამოუთქმელ“ მეტყველებას „შინაგან მეტყველებას“ უწოდებენ. ამ მეტყველების ერთადერთ ფუნქციას აზროვნების პროცესში მონაწილეობა შეადგენს. შინაგანი მეტყველება აზროვნების იარაღია.

➤ წერითი მეტყველება

ზეპირი, ანუ ბგერითი მეტყველებისაგან, ასხვავებენ მეტყველების წერით ფორმას – წერით მეტყველებას. იგი მოკლებულია გამოსახულებით საშუალებას (მიმიკა, ჟესტები, ხმის ინტონაცია) და ამიტომ წერითი მეტყველების დროს სასურველია აზრის უფრო დასრულებულ, ჩამოყალიბებულ და ლაკონურ ფორმაში გადმოცემა.

მეტყველების პათოლოგიას აფაზია ეწოდება.

აფაზია – ეს არის მეტყველების უნარის დარღვევა, რომელიც აღმოცენდება ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს ლოკალური დაზიანების შედეგად. მაგ., არსებობს დინამიკური აფაზია, რომელიც ვლინდება ინდივიდის მიერ სიტყვების თანმიმდევრულად წარმოთქმის დარღვევაში.

8. წარმოსახვა

წარმოსახვა ანუ ფანტაზია, ისევე როგორც აზროვნება, მიეკუთვნება უმაღლესი შემეცნებითი პროცესების რიცხვს. ადამიანის საქმიანობა შეუძლებელია ფანტაზიის გარეშე. ყოველი შრომითი პროცესი მოითხოვს ფანტაზიის რაღაც ნაწილს. ამით განსხვავდება ადამიანის საქმიანობა ცხოველის ინსტიქტური ქცევისაგან. გარ-

და ამისა, წარმოსახვა – ეს არის ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის აუცილებელი ელემენტი.

წარმოსახვის, როგორც ფსიქიკური პროცესის, პირველი და უმნიშვნელოვანესი დანიშნულება, მდგომარეობს იმაში, რომ იგი საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ შრომის შედეგი ჯერ კიდევ სამუშაოს დაწყებამდე.

აზროვნება და ფანტაზია მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. წარმოსახვის ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელს უწყობს პრობლემურ სიტუაციაში გამოსავლის მოძებნასა და გადაწყვეტილების მიღებას, ზოგჯერ არასაკმარისი ცოდნის საფუძველზეც კი.

➤ წარმოსახვის ძირითადი ოპერაციები

1. თვალსაჩინო ანალიზი და თვალსაჩინო განყენება

მთლიან წარმოდგენას სუბიექტი დაშლის შემადგენელ თვალსაჩინო შინაარსებად.

თვალსაჩინო ანალიზისას სუბიექტი ერთ მთლიანს შლის შემადგენელ ელემენტებად და ცალ-ცალკე განიხილავს მათ.

თვალსაჩინო განყენების დროს სუბიექტი მთელის დაშლილი ნაწილებიდან გამოყოფს ერთ არადამოუკიდებელ ელემენტს და ახდენს მის განხილვას.

2. თვალსაჩინო სინთეზი

ეს არის თვალსაჩინო ელემენტების გაერთიანება ახალ კომბინაციაში ერთი მთლიანი წარმოდგენის სახით.

3. აგლუტინაცია

თვალსაჩინო სინთეზის შედარებით მარტივ ფორმას, რომელიც რამდენიმე მთელი საგნის ან საგნის დიდი ნაწილების ერთი მთლიანის სახით მარტივ შეერთებას წარმოადგენს, აგლუტინაციას უწოდებენ. ფანტაზიის ამგვარი მოქმედების ნაყოფს ხშირად შეხვედებით ზღაპრებში და მითოლოგიაში.

4. თვალსაჩინო განზოგადოება

იგი დამახასიათებელია განსაკუთრებით მხატვრული შემოქმედებისათვის. მაგალითად, რომელიმე ლიტერატურული გმირი, რომელიც კონკრეტული ადამიანის სახით არის წარმოდგენილი, მაგ-

რამ ზოგადად ახასიათებს ამა თუ იმ ეპოქას, საზოგადოების ყოფას და ა.შ.

5. სიმბოლიზაცია

სიმბოლიზაცია ფართოდ არის გამოყენებული ხელოვნებაში ისეთი ხერხებით, როგორცაა ალეგორიები, მეტაფორები და ა.შ.

6. აქცენტუალიზაცია

თვალსაჩინო განზოგადობისა და სიმბოლიზაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს გამოცდილებიდან აღებული ცალკე მომენტების, შტრიხების, მხარეებისა და თვისებების ხაზგასმა—წინ წამოწევა.

7. გაზვიადება

განსაკუთრებით ხშირია და ტლანქ ფორმაში გამოვლინდება ზღაპრებში. მაგ., დევები, ქონდრისკაცები, მრავალთავიანი გველეშაპები და სხვა. ეს ოპერაცია არ არის უცხო მხატვრული ლიტერატურისთვისაც.

➤ წარმოსახვის ფორმები ანუ სახეები

პირველ რიგში, უნდა განვასხვაოთ ნებისმიერი ანუ აქტიური და უნებლიე ანუ პასიური ფანტაზია.

პასიური ფანტაზია. იგი უნებლიე ხასიათისაა. მაგალითად, სიზმარში ნანახი უჩვეულო ამბები თუ მოვლენები. პასიური ფანტაზიის გამოვლინებაში განასხვაებენ ფანტაზიის შეზღუდულ და თავისუფალ ფორმებს.

აქტიური ფანტაზია

ეს არის წარმოსახვის უფრო მაღალი ფორმა, როდესაც ადამიანი რაიმე მიზნის მისაღწევად, მაგალითად, გარკვეული იდეის განსახორციელებლად, შეგნებულად, განზრახ მიმართავს წარმოსახვას. იგი ძირითადად, შემოქმედებაში, განსაკუთრებით ფართოდ კი მხატვრულ შემოქმედებაში ვლინდება. აქ გამოიყენება წარმოსახვის ძირითადი ოპერაციები, როგორცაა სიმბოლიზაცია, აქცენტუალიზაცია, თვალსაჩინო განზოგადობა და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფანტაზიის როლი მეცნიერულ აღმოჩენებსა და ტექნიკურ გამოგონებებში.

ნებისმიერი (აქტიური) წარმოსახვის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ცოდნის შექმნაც იმ მოვლენათა შესახებ, რომელიც

არ გვინახავს. მაგალითად, სკოლის მოსწავლეს, თანამედროვე კულტურის პირობებში, უამრავ მოვლენებზე წარმოდგენის შეზღუდვა, ფანტაზიის მეშვეობით უხდება.

9. გრძნობები

ადამიანი არამარტო გარესინამდვილეს შეიმეცნებს, არამედ აქვს საკუთარი დამოკიდებულება მისი ცალკეული მოვლენის მიმართ, რაც გრძნობებსა და განცდებში გამოიხატება

გრძნობა – ეს არის ადამიანის მიერ სხვადასხვა ფორმით განცდილი შინაგანი დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც ხდება მის ცხოვრებაში, რასაც იგი აკეთებს ან შეიმეცნებს.

გრძნობის განცდის სხვადასხვა ფორმები – ემოციები, განწყობილება, სტრესული მდგომარეობა, მისწრაფებები – ქმნიან პიროვნების ემოციურ სფეროს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ქცევის ერთ-ერთ მარეგულირებელს. გრძნობები ხელს უწყობენ იმ საგნების გამოყოფას, რომლებიც აკმაყოფილებენ პიროვნების მოთხოვნილებებს. გრძნობა სუბიექტურად ადამიანისათვის გამოდის როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესი. დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს თან სდევს უარყოფითი ემოციები (მწუხარება, სირცხვილი და ა.შ.).

ემოციებსა და გრძნობებში მქლავდება ასევე პიროვნების დაკმაყოფილება თუ უკმაყოფილება საკუთარი ქცევით, მოქმედებით, საქმიანობით. გრძნობები და ემოციები დამოკიდებულია ასახული საგნების თავისებურებებზე. ადამიანსა და გარესამყაროს შორის მყარდება ობიექტური დამოკიდებულება, რომელიც იქცევა გრძნობებისა და ემოციების საგნად.

ჩვენი გრძნობები ასრულებენ ორ ფუნქციას: სასიგნალოსა და მარეგულირებელს.

გრძნობათა სასიგნალო ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ განცდები აღმოცენდებიან და იცვლებიან გარესამყაროში ან ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით.

გრძნობათა მარეგულირებელი ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ მყარი განცდები მართავენ ჩვენს ქცევას, მხარს უჭერენ მას, გვეხმარებიან წინააღმდეგობების გადალახვაში, ემოციების რეგულატორულ მექანიზმებს შეუძლიათ მოხსნან ემოციური აგზნების სიჭარბე ან ხელი შეუწყონ მის გაზრდას. მაგალითად, ნაღველი, მწუხარება, ღრმად მოიცავს ადამიანს. ისინი ანიჭებენ არა მარტო ფსიქიკურ ტკივილს, არამედ იწვევენ ორგანულ ცვლილებებსაც. ასეთი ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნება უკიდურესად სახიფათოა. ამასთანავე ხშირად ადამიანს არ ძალუძს მისი მოხსნა (განტვირთვა).

არანაკლებ სახიფათოა ადამიანისათვის დიდი სიხარული, აღტაცება.

ადამიანის ემოციებსა და გრძნობებს თან ახლავს გამომსახველობითი მოძრაობები: მიმიკური და პანტომიმიკური, ასევე მეტყველების ინტონაციები. ხმის რეაქციები, მიმიკური გამოვლინებები – ესენია ურთიერთობის უფაქიზესი ინსტრუმენტები, მაგრამ, ადამიანის ფსიქიკა იბღენად რთულია, რომ ყოველთვის არ შეგვიძლია გამოხატული მოძრაობებით ვიმსჯელოთ განცდებზე. რაც უფრო გამოცდილია ადამიანი, მით უფრო თავისებურია მისი განცდების გამოხატვის ფორმები და მით მეტად შეუძლია მას შენიღბოს საკუთარი გრძნობები.

➤ გრძნობათა სახეები

- მორალური გრძნობები, რომელთაც აქვთ სოციალური ხასიათი;
- ინტელექტუალური გრძნობები, მათ მიეკუთვნება იუმორისა და ირონიულობის გრძნობაც, რომელთა საშუალებითაც ადამიანი აფასებს მის მიერ შეცნობილ საგნებსა და მოვლენებს;
- ესთეტიკური გრძნობები (სილამაზის, სიდიადის განცდა);
- გატაცებები და ლტოლვები (ვნებები).

➤ გრძნობის ძირითადი თვისებები

- გრძნობის სუბიექტურობა;
- ემოციური განცდის ერთიანობა;
- პოლარობა (დადებითი-უარყოფითი, მაგალითად, სიყვარული-სიძულვილი);

- ამბივალენტობა („ორპოლუსიანობა“- სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობათა ელფერის შერწყმა);
- გრძნობის დინამიკურობა;
- გრძნობის ინტენსივობა;
- გრძნობის ექსტენსივობა (გავრცელება სუბიექტში);
- გრძნობის სიმტკიცე ანუ ხანიერება;
- გრძნობის სიღრმე;
- გრძნობათა სერიოზულობა – არასერიოზულობა.

10. ემოციები

ნებისმიერი მოვლენა, სიტუაცია, ცალკეული საგნებიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანებზე, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით, იწვევენ სხვადასხვა ხარისხით გამოხატულ ემოციებს, ემოციურ განცდას და შესატყვის ემოციურ რეაქციას, ანუ ეს ფაქტორები ემოციოგენურია. ტვინისათვის არ არის სულერთი აქვს თუ არა სტიმულს ემოციოგენურობა.

ერთსა და იმავე სიტუაციაში ყოველი ინდივიდი რამდენადმე განსხვავებულ ემოციურ შეფერვას ანიჭებს აღქმულ სტიმულს. ემოციების გამომსახველობის შესახებ მათი გამოვლენის – მიმიკის, მოძრაობის, ვეგეტატიკის(გაწითლება, გაფითრება, გაოფლიანება), თვალების გამომეტყველების, გუგის ზომის მიხედვით ვმსჯელობთ.

ადამიანს ემოციები ყველაზე უფრო გამომსახველად გამოეხატება სახეზე და სხეულის პოზაში.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ეულდორტსმა სახის ყველა შესაძლო გამომეტყველება, მთელი ექსპრესიული მიმიკა, ექვს ტიპად დაყო. ესენია:

1. სიყვარული, ბედნიერება, მზიარულება; 2. გაკვირვება; 3. შიში, ტანჯვა; 4. გამბედაობა, სიმტკიცე; 5. ზიზღი; 6. სიძულვილი, აბურჩად აგდება.

სხვადასხვა ხალხები ერთმანეთის მსგავსად გამოხატავენ ემოციებს. ამერიკელი ფსიქოლოგი კ. იზარდი ფოტოსურათებზე სახის გამომეტყველების შეფასების მიხედვით გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ეროვნული ჯგუფი – ამერიკელები, ინგლისელები,

გერმანელები, შვედები, ფრანგები, ბერძნები, იაპონელები, მექსიკელები – დაახლოებით ერთნაირად გამოხატავენ სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას: სიხარულს, გაკვირვებას, მწუხარება-ტანჯვას, ზიზღს, რისხვას და გაშმაგებას, სირცხვილს, დამცირებას, შიშსა და თავზარდაცემას.

თვალები და პირი, ცხადია, მთავარ როლს ასრულებენ სახის ემოციურ გამომეტყველებაში. სხვადასხვა მდგომარეობის გამომხატველი სახეების ფოტოსურათებს ჰორიზონტალურად თუ ვაკვრით და განსხვავებული სურათების ზედა და ქვედა ნაწილებს მივაწებებთ ერთმანეს, დავინახავთ, რომ ემოციის ხასიათი უმთავრესად პირის გამომეტყველებით განისაზღვრება. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები ხელოვნურად გამოხატავენ ემოციებს. ამიტომ, თუ ადამიანის ჭეშმარიტი ემოციური მდგომარეობის გარკვევა გსურთ, თვალებში ჩახედეთ მას. ადამიანები ხომ ოდითგანვე ასეც იქცევიან. თუმცა, წარმოდგენაც არა აქვთ თავიანთი გამჭრიახობის რეალურ მიზეზებზე.

ხელებსაც განსაკუთრებული როლი აქვთ ემოციურობის გამოხატვაში. აბა შეხედეთ, როგორ ლაპარაკობენ ადამიანები: ხელებით, უსიტყვოდაც გასაგებია ყველაფერი. უესტიკულაციის მიხედვით ემოციების გამოცნობა ისევე ადვილია, როგორც სახის გამომეტყველებით; ხშირაც ადვილად იდენტიფიცირდება ემოციები. შეიძლება თუ არა ხასიათის გამოვლენა ერთი ასო-ბგერის წაკითხვით? ჩატარებულია ცდები, რომლებშიც ცდისპირები უშეცლოდ საზღვრავენ ემოციებს ადამიანის ხმის მიხედვით ა-დან კ-მდე ასოების წაკითხვისას.

ემოციების ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე აღწერა ეკუთვნის ჩ.დარვინს, რომელმაც 1872 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომი „ემოციების გამოხატულება ადამიანსა და ცხოველებში“.

გარეგნულად ადამიანი შეიძლება მშვიდად გამოიყურებოდეს, მაგრამ სულში ემოციების ქარიშხალი უტრიალებდეს. აქედან გამომდინარე, ემოციური მდგომარეობისა და ემოციების გამოხატვის მექანიზმები, ადამიანს განსხვავებული აქვს.

ემოციებმა სწორად უნდა ასახონ სამყარო – სასაცილოზე ადამიანმა უნდა გაიცინოს; სამწუხაროზე – იდარდოს, მაგრამ ადამიანი ყოველთვის ადექვატურად როდი ასახავს სიტუაციას. ნერეუ-

ლი სისტემის შეცვლილმა მდგომარეობამ, შეიძლება მთლიანად გააუკუღმართოს ადამიანის დამოკიდებულება რეალური მოვლენებისადმი. ტყუილად კი არ ამბობენ, სიხარულის დროს ადამიანი „ვარდისფრად“ ხელავსო სამყაროს.

რეალური მოვლენის შეფასების დამახინჯება ყველაზე აშკარად შეიმჩნევა ფსიქიკური დაავადებების დროს. პოლონელი ფსიქოლოგი ი. რეიკოვსკი აღნიშნავს, რომ შიშშილით გამოწვეული ხანგრძლივი და ძლიერი ემოციური დაძაბულობის პირობებში, შესამჩნევად იზრდება მგრძობელობა ყველაფრისადმი, რაც საჭმელთან არის დაკავშირებული. ძლიერდება ფანტაზიები, რომელთა შინაარსი ხშირად „სურვილების დაკმაყოფილების“ ხასიათს ატარებს.

ადამიანთა სოციალური ურთიერთობები მარტო სიტყვებით კი არა, ქცევითაც განისაზღვრება. ქცევის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პიროვნების ემოციური გამოხატულება ანუ ადამიანის მთელი იერსახის გამოსახვა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია კოლექტივის ფსიქოლოგიური კლიმატისათვის.

მარტოხელა და ჯგუფში მყოფი ადამიანი სულ სხვადასხვაგვარად ავლენს თავის ემოციებს. მაგალითად, ბრბოში მოხვედრისას ადამიანი იმუხტება ამ ბრბოს ემოციებით, თუნდაც თვითონ არ მონაწილეობდეს მოვლენებში. სიხარული ისევე გადამდებია, როგორც შიში და რისხვა.

➤ ემოციათა სახეები

1. აფექტი – წარმოადგენს ერთბაშად წამოჭრილ, სწრაფად წარმავალ და უკიდურესად ინტენსიურ ემოციას, რომელიც მისი განცდის მომენტში ეუფლება პიროვნებას, წარმართავს მის ქცევას და ძლიერი გამომხატველი მოძრაობებით ხასიათდება.

აფექტის დროს უაღრესად ირღვევა წონასწორობა სუბიექტსა და გარემოს შორის, ისე რომ ადამიანი ობიექტურად ვერ აფასებს შექმნილ მდგომარეობას და ავლენს მიზანშეუწონელ, ხშირად ქაოსურ რეაქციას.

აფექტი მთლიანად მოიცავს ადამიანის ცნობიერებას, რომელიც ვიწროვდება. აფექტის დროს ადამიანს არ შეუძლია ნორმალური მსჯელობა, თავისი ქცევის საღი შეფასება. ძლიერი აფექტი

ადამიანის მოქმედების ღებორგანიზაციას იწვევს. იგი კარგავს საკუთარი ქცევის შეგნებული კონტროლის უნარს, მაგრამ ეს მდგომარეობა ღიდხანს არ გრძელდება. აფექტი დროის მცირე პერიოდით ხასიათდება, მას „ფეთქებად“ ემოციას უწოდებენ – იგი უცბად იფეთქებს და უცბადვე გაივლის. აფექტი შეიძლება გამოიწვიოს ძლიერმა რისხვამ, შიშმა, ასევე ძლიერმა სიხარულმა ან მწუხარებამ და სხვა. აფექტის კულმინაციად ითვლება ადამიანის მიერ გონების დაკარგვა.

აფექტებს ჰყოფენ ორ ჯგუფად: სთენიკურად და ასთენიკურად.

სთენიკური აფექტის დროს ძლიერდება გულისცემა და სუნთქვა, კუნთების ძალა მატულობს. მაგალითად, სთენიკური აფექტებია: რისხვა, აღტაცება, სიხარული. ასთენიკურისათვის დამახასიათებელია ყველა თანმხლები პროცესის მოდუნება, დასუსტება და შენელება. ამ დროს სუნთქვა ჩერდება. ადამიანი გაშეშდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ცოდნა, რომ სთენიკური აფექტის დროს ადამიანს შეუძლია ჩაიღინოს თვითმკვლელობაც და მკვლელობაც.

2. ვნებები

ვნებაც თავისებური სახის ემოციას წარმოადგენს. იგი ინტენსიური და მეტად ხანიერია, მტკიცეა, რომელსაც ახასიათებს სუბიექტის ინტენსიური სწრაფვა გრძნობის საგნის მიმართ.

ვნება წარმოადგენს მოქმედებისათვის ენერგიის მძლავრ წყაროს. იგი აძლევს ადამიანს ქცევის მიმართულებას. ვნება ქრონიკული ემოციური მდგომარეობაა, აფექტი კი მომენტალური. ვნება გრძელდება წლების მანძილზე. იგი ყველაზე უფრო ხანიერი ემოციური მდგომარეობაა.

3. გუნება

გუნებას განსაკუთრებით ღიდი ექსტენსივობა ახასიათებს. იგი პიროვნების ყველა განცდაზე ვრცელდება. მეორე მისი დამახასიათებელი თვისება არის სუსტი ინტენსივობა, ამ მხრივ იგი აფექტის საწინააღმდეგოა – გუნება არ წარმოადგენს ძლიერ, მწვავე გრძნობას. გარდა ამისა, გუნებას ახასიათებს ღიდი ხანიერება აფექტთან შედარებით. იგი შეიძლება გრძელდებოდეს კვირების და თვეების განმავლობაში.

➤ პიროვნების ემოციური თვისებები

თუ ადამიანთა დახასიათებას საფუძვლად დავუდებთ პიროვნების ემოციურ ნიშან-თვისებებს, შეგვიძლია გამოვყოთ ადამიანთა შემდეგი ტიპები: ემოციური, სენტიმენტალური, ვნებიანი და ბოლოს, ცივი. დავახასიათოთ მოკლედ თითოეული მათგანი:

1. ემოციური ნატურა ძალზედ აგზნებადია, სწრაფად ღიზიანდება. მისთვის დამახასიათებელია ხშირად აფექტში გადასული იმპულსურობა.

2. სენტიმენტალური ადამიანისათვის სამყარო აისახება თითქოს და განცდებისა და ემოციური მდგომარეობების პრიზმაში, რაც დაღს ასვამს არა მარტო აღქმის პროცესს, არამედ განსაზღვრავს ადამიანის შეხედულებებს გარშემომყოფი პიროვნებების შესახებ. ეს ადამიანები მგრძნობიარენი და პასიურნი არიან.

3. ვნებიანი პიროვნებები განსაკუთრებულად ენერგიულნი, საქმიანები, მოძრავნი არიან, მიისწრაფვიან საყვარელი საქმის კეთებისაკენ. ისინი ცხოვრობენ შინაარსიანი, ემოციურად დატვირთული ცხოვრებით, გამოირჩევიან დიდი გრძნობებითა და განცდებით.

4. რაც შეეხება „ცივ“ ნატურებს, ესენი არიან ადამიანები, რომელნიც უფრო ხშირად ცხოვრობენ „ცივი გონებით“. მათთვის დამახასიათებელია დაქვეითებული ემოციური აგზნებადობა.

11. ნებისყოფა

ნებისყოფა, როგორც ნებითი მოქმედების უნარი, ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკურობას შეადგენს. ცხოველს, ისევე როგორც სულ პატარა ბავშვს მხოლოდ უნებლიე მოქმედების უნარი გააჩნია, მოქმედებისა, რომელიც თავისი იმპულსური ბუნებით ნებითი მოქმედების საპირისპიროა.

იმპულსური მოქმედების ძირითადი მახასიათებელია მისი უშუალო უნებლიე ხასიათი: გაჩნდა თუ არა რაიმე მოთხოვნილების საფუძველზე მოქმედების იმპულსი, იგი უშუალოდ, სუბიექტის მიერ მისი შეფასებისა და კონტროლის გარეშე, მასზე მსჯელობის გარეშე, გადადის მოქმედებაში. მოქმედება განზრახვის ან გადაწყვეტილე-

ბის და მიზნის დასახვის საფუძველზე კი არ აღმოცენდება, არამედ მოქმედების იმპულსის უშუალო განხორციელებას წარმოადგენს.

ნებითი მოქმედება პირიქით, სუბიექტის მიერ განზრახული, მიზანდასახული, გაცნობიერებული მოქმედებაა: სუბიექტი ჯერ შეაფასებს სიტუაციას, აწონ-დაწონის შესაძლო მოქმედებას, იმსჯელებს მის შესახებ და ამ შეფასების შედეგად გამოიტანს გადაწყვეტილებას, განიზრახავს და ამ განზრახვის თანახმად იმოქმედებს.

➤ ა პ რ ა ქ ს ი ა

ნებითი მოქმედების ფსიქოლოგიურ ბუნებას განსაკუთრებით ნათელს ხდის მისი შედარება ასეთი მოქმედების უნარდაკარგული ავადმყოფის ქცევასთან. ასეთ ავადმყოფობას აპრაქსია ეწოდება. ბერძნულად **apraxia** ნიშნავს უმოქმედობას. ეს არის მიზანდასახული მოქმედებებისა და ქცევების განხორციელების დარღვევა, რომელიც არ არის გამოწვეული მაგალითად, დამბლით, არამედ დაკავშირებულია უმაღლესი დონის მამოძრავებელი აქტების დარღვევასთან. ავადმყოფს ბოძრობითი სისტემა დარღვეული არა აქვს, იმპულსურად, სათანადო მოთხოვნებისა და სიტუაციის ნაკარნახევ ყოველ მოქმედებას იგი ნორმალურად ასრულებს, მაგრამ იმავე ბოძრობას, როდესაც საამისო იმპულსი არ არის, ნებით ვერ შეასრულებს. მაგალითად, როდესაც სიცივეში გარეთ გასულ ავადმყოფს შეცივდება, იმპულსურად იგი შეიკრავს ყველა ღილს პალტოზე. მაგრამ თბილ ოთახში ექიმის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ამას ვერ აკეთებს. როდესაც იგი დასაძინებლად დაწვება, იმპულსურად დახუჭავს თვალებს, მაგრამ ნებით, თვალს ვერ ხუჭავს. ნორმალურად მეტყველი ავადმყოფი კარგ ამინდში ვერ გამოთქვამს „ღღეს წვიმს“ ანდა პირიქით. ე.ი. აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისყოფის დარღვევის გამო, ავადმყოფი სიტუაციისა და თავისი იმპულსების მონაა, იგი ვერ მართავს საკუთარ ქცევას.

ნებისყოფა, როგორც ნებითი მოქმედების უნარი, ათავისუფლებს ადამიანს სიტუაციის მონობიდან.

მოტივი. ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი და ცხადია, ადამიანის ნებისყოფაც მიზეზობრიობისაგან თავისუფალი არ არის. გადაწყვეტილების გამოტანისას სუბიექტი რაღაც მოტივით ხელმძღვანელობს. ნებითი მოქმედება_მოტივით განსაზღვრული მოქმედებაა, რადგან გადაწყვეტილების მიღებას მოტივი განსაზღვრავს. მოტივი არის ის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზე ადამიანი განზრახულ ნებით მოქმედებას შეასრულებს. მაგალითად, მან ვერ შეძლო თამბაქოს წვეისათვის თავის დაწებება, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმოდა ამის მავნებლობა. მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მოტივი არ აღმოჩნდა საკმარისი. მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ მისი ფილტვებით დაავადებული ვაჟიშვილი არ დაანებებს თავს მოწვევას სანამ მამამისი ეწვეა, ამ ადამიანმა მყისვე დაანება თავი თამბაქოს. შეილღის ჯანმრთელობის შენარჩუნების მოტივი მისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ნებისყოფის იმ აქტის განსახორციელებლად, რომელსაც იგი სხვა მოტივით ვერ ასრულებდა.

მოტივს, რომლითაც ხელმძღვანელობს ადამიანი გადაწყვეტილების გამოტანისას, გარკვეული მიზეზები აქვს.

➤ ნებითი მოქმედების პერიოდები

დასრულებული ნებითი მოქმედება სამ პერიოდს მოიცავს. პირველ პერიოდს შესაძლებელ მოქმედებათა გაცნობიერება და მათი შეფასება შეადგენს. რა უპირატესობა აქვს ამა თუ იმ მოქმედებას, პიროვნება ამის შესახებ მსჯელობს. როგორ მოვიქცე? - უსვამს საკუთარ თავს კითხვას. ეს პერიოდი, ძირითადად, გონებრივ პროცესს წარმოადგენს, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანმა იმოქმედოს. ამისათვის გადაწყვეტილების გამოტანაა საჭირო.

მეორე პერიოდს გადაწყვეტილების გამოტანა შეადგენს.

გადაწყვეტილების აქტი სპეციფიკური ფსიქიკური პროცესია. იგი სხვა ფსიქიკურ მოვლენებზე ვერ დაიყვანება. არსებობენ სუსტი ნებისყოფის, გაუბედავი ადამიანები, რომლებსაც საზოგადოდ უჭირთ გადაწყვეტილების გამოტანა. ასეთი სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანები მერყეობენ გადაწყვეტილების მიღებისას, გაურბიან პასუხისმგებლობას.

გადაწყვეტილების აქტის სპეციფიკურობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ უნარის იმ პათოლოგიური დარღვევის შემთხვევა-თა გათვალისწინებისას, რასაც აბულია ეწოდება. აბულით შე-ყრობილ ადამიანს არ შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა სულ უბრალო შემთხვევაშიც კი. მაგალითად, იგი ვერ გადაწყვეტს ამ საღამოს გააკეთოს ხვალისათვის გასაკეთებელი საქმე, თუ ადრე დაიბინოს და ხვალ დილას გააკეთოს. იგი გონივრულად იმსჯე-ლებს ამ საკითხზე, მაგრამ საკითხს ვერ გადაწყვეტს, იყოყმანებს მანამ, სანამ გვიანი დროის გამო გადასაწყვეტი აღარაფერი იქნება.

მესამე პერიოდი გადაწყვეტილების განხორციელებაში მულა-ვდება. ამ დროს განსაკუთრებით ვლინდება ნებისყოფის სისუსტე თუ სიძლიერე. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ ასრულებს გა-დაწყვეტილებას ოდნავი დაბრკოლების შემთხვევაშიც კი. მაგალი-თად, ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს თამბაქოს წვეისათვის თა-ვის დანებება, მაგრამ როდესაც მოწვევის მოთხოვნილება შეაწუ-ხებს, დაარღვევს ამ გადაწყვეტილებას და საამისო „გასამართლე-ბელ საბუთებსაც“ მონახავს. მაგალითად: „ერთი ზედმეტი პაპირო-სი რას მიზამს“. ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, პირიქით, დიდ დაბრკოლებებსაც გადალახავს მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილე-ბის შესასრულებლად.

პიროვნება

ადამიანი, ერთი მხრივ, ბიოლოგიური არსებაა, რომელსაც აქვს ცნობიერება, მეტყველების უნარი, შეუძლია შრომა, გარემომ-ცველი სამყაროს შეცნობა და მისი აქტიური შეცვლა. მეორეს მხრივ, იგი არის საზოგადოებრივი არსება.

ფსიქოლოგიაში, „ადამიანის“ ცნების გარდა, გამოიყენება უფ-რო ვიწრო ცნება - „პიროვნება“. პიროვნება – ეს იგივე ადამიანია, მხოლოდ განხილული როგორც საზოგადოებრივი, სოციალური არ-სება. როდესაც პიროვნებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში არა ვვაქვს მისი ბიოლოგიური მხარე.

ფსიქოლოგიაში „ადამიანისა“ და „პიროვნების“ ცნებების გვერდით იხმარება კიდევ ერთი ცნება, რომელსაც ეწოდება „ინდი-

ვიდეოალობა". ერთი ადამიანისათვის დამახასიათებელია მეორისაგან განსხვავებული თვისებები, ფსიქიკისა და პიროვნების თავისებურება, მისი განუმეორებლობა. ინდივიდუალობა ვლინდება ტემპერამენტში, ხასიათის თვისებებში, ინტერესების სპეციფიკაში, აღქმის პროცესებში და ინტელექტში, მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებში. ადამიანის ინდივიდუალობის ჩამოყალიბების წანამძღვრებს წარმოადგენენ ის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები, რომლებიც იცვლებიან აღზრდის პროცესში.

თითოეული ადამიანის ცხოვრებისეული გზა თავისებური და განუმეორებელია. განსხვავებულია მისი ცხოვრების და საქმიანობის პირობები, სწავლა-აღზრდა. ამიტომ შეუძლებელია ორი აბსოლუტურად ერთნაირი პიროვნების არსებობა.

აღვნიშნოთ პიროვნების სამი ძირითადი ფსიქოლოგიური მახასიათებელი.

პირველი – ეს არის პიროვნების თვისებების მდგრადობა (სიძვარე);

მეორე – პიროვნების მთლიანობა, როცა მისი ნიშან-თვისებები მჭიდროდაა ერთმანეთთან კავშირში;

მესამე – პიროვნების აქტიუობა, რომელიც ვლინდება მრავალმხრივ საქმიანობაში.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ინტენსიური კვლევა წარმოებს პიროვნების ბუნების თავისებურებისა და მისი კვლევის მეთოდების შესასწავლად. მიუხედავად ამისა, მკვლევართა შორის არ არსებობს თანხმობა პიროვნების ცნების განსაზღვრაში.

ამჟამად არსებული განმარტებებიდან ყველაზე ტიპურია პიროვნების უნივერსალური განსაზღვრა, რომლის თანახმადაც პიროვნება არის თანშობილი მიდრეკილებების, იმპულსების, ინსტიქტების, აგრეთვე გამოცდილების გზით შექმნილი თვისებების ჯამი. სიტყვა ჯამის ნაცვლად იხმარება კომპლექსი, კონფიგურაცია, ერთობლიობა. პიროვნების სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორების, ამ სტრუქტურის ტიპოლოგიის პრობლემა შეადგენს პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ძირითად ღერძს.

1. პიროვნების პრობლემა ზ. ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში

მე-20 საუკუნის დასავლეთის ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა – ფსიქოანალიზი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ ფროიდიზმი, რომლის ფუძემდებელია ავსტრიელი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი.

ფსიქოანალიზი წარმოადგენს ნერვებით დაავადებული ადამიანის მკურნალობის ერთ-ერთ მეთოდს და ამისათვის ამ სფეროში კეთდება რაღაც განსხვავებული და შეიძლება ითქვას, საპირისპიროც კი იმისა, რაც მიღებულია მედიცინაში.

ანალიტიკური მკურნალობის დროს არაფერი არ ხდება გარდა სიტყვების გაცვლა-გამოცვლისა ანალიტიკოსსა და პაციენტს შორის. იგი ყველა წარსული განცდის და შთაბეჭდილების შესახებ გამოთქვამს საკუთარ სურვილებსა და გრძნობებს. ფსიქოანალიტიკოსი უსმენს, ცდილობს წარმართოს მისი აზრების მიმართულება, რაღაცას ახსენებს, განმარტებას აძლევს.

საუბარი, რომელიც შეიცავს ფსიქოანალიტიკურ მკურნალობას, კრძალავს სხვათა თანდასწრებას, მისი დემონსტრირება შეუძლებელია.

ფსიქოანალიზი, ფროიდის რწმენით, არა მარტო თერაპიული სიახლეა, არამედ ამავე დროს იგი „ახალი ფსიქოლოგიაცაა“, იმ აზრით, რომ მისი კვლევა-ძიების სფერო გახდა მანამდე ხელმიუწვდომელი სინამდვილე, რომელსაც ეწოდება „არაცნობიერი ფსიქიკა“. ფსიქოანალიზი, როგორც ახალი ფსიქოლოგია, სიღრმის ფსიქოლოგიაა, რადგანაც იგი არის მოძღვრება ცნობიერებისათვის პირდაპირი გზით მიუწვდომელი, ღრმად მდებარე სულიერი პროცესების შესახებ. აქედან გამომდინარე, ფროიდის ფორმულაა „სიღრმის ფსიქოლოგია, ანუ არაცნობიერი ფსიქოლოგია“.

პიროვნების რაობის გარკვევის ამოცანა ყოველთვის იდგა ფროიდის კონცეპციის ცენტრში. ფსიქოანალიზი დაუპირისპირდა არსებულ ემპირიულ ფსიქოლოგიას იმ მხრივ, რომ ფსიქიკის შემეცნების საკითხი არსებითად დაუკავშირდა ადამიანის ბუნების გაგების საქმეს.

ფსიქიკის სფეროს დახასიათებისას ფროიდი აღნიშნავდა, რომ ის შეიცავს სამ ინსტანციას: „იგი“, „მე“, „ზე-მე“. ფროიდის რწმენით, ეს ინსტანციები იგივე პიროვნული ფენებია, ადამიანის სტრუქ-

ტურის მომენტებია. მთელი პიროვნული ქცევა და მოქმედება მათი შედეგებითურთ, ფსიქონალიზის რწმენით, ამომწურავად აიხსნება ამ ფენებს შორის არსებული ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

ფსიქიკისა და პიროვნების თავდაპირველი ფენაა „იგი“. ამ უკანასკნელის წიაღიდან აღმოცენდება „მე“, რომელიც წარმოადგენს ობიექტური რეალობის ზემოქმედების გზით „იგი“-ს მოდიფიცირებულ ფენას. თავის მხრივ „მე“ –დანაც აღმოცენდება „ზე-მე“, რაც განასახიერებს აწმყოსა და წარსულის ზეგავლენას. „იგი“ წარმოადგენს არაცნობიერი ფსიქიკის რაობას, სადაც თავს იყრიან ლტოლვები. ფროიდმა ლტოლვის თეორიას მითოლოგია უწოდა, იმ გაგებით, რომ ლტოლვა მოკლებულია განსაზღვრულობას. ლტოლვების შემეცნება საბოლოოდ მიღწეული არ არის.

ფროიდის მიხედვით, ფსიქონალიზური თვალსაზრისი ლტოლვების საკითხში, თავიდანვე დუალისტური იყო და ასეთად დარჩა ბოლომდე. ჯერ ერთმანეთს დაუპირისპირდა სექსუალური ლტოლვები, და „მე“-ლტოლვები. შემდეგ მოხდა ლტოლვათა ახალი დაჯგუფება: სექსუალური ლტოლვები და „მე“-ლტოლვები გაერთიანდნენ სექსუალური ლტოლვების ტერმინის ქვეშ, რომელიც ფროიდმა ეროტიულის სახელწოდებითაც აღნიშნა და მას დაუპირისპირა აგრესიული ლტოლვები, ამ უკანასკნელს ის დესტრუქციულ ლტოლვებად უწოდებს. ეს დაპირისპირება ფროიდს მიაჩნდა სიცოცხლისა და სიკვდილისადმი ლტოლვების ეკვივალენტურად.

ფსიქონალიზმმა ერთმანეთისაგან განასხვავა ეროტიული, რაც შენარჩუნებისა და გაერთიანებისაკენ წარმმართველი მისწრაფებაა და დესტრუქციის (დანგრევისა და განადგურების) ლტოლვები. ორივე ლტოლვა აუცილებელია. ფსიქონალიზში ლიბიდო არის სექსუალური ლტოლვის ფსიქიკური ენერჯიის გამოშხატველი ტერმინი.

ფსიქონალიზური კვლევის ძირითად შედეგად ფროიდი მიიჩნევს:

1. სექსუალური ცხოვრება იწყება არა სქესობრივი სიმწიფით, არამედ დაბადების მომენტიდანვე.

2. არაა ერთი და იგივე „სექსუალური“ და „სქესობრივი“. სექსუალური ფართო მოცულობის ცნებაა სქესობრივთან შედარებით და მოიცავს ისეთ მოქმედებას, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს სასქესო ორგანოებთან.

ადამიანში ლტოლვითი მხარის გაცნობიერება, ფროიდის მიხედვით, თავზარდამცემი აღმოჩნდა კაცობრიობის პატივმოყვარეობისათვის. მეცნიერულმა აზროვნებამ, ფროიდის გაგებით, კაცობრიობის თავმოყვარეობას სამჯერ დასცა თავზარი: პირველი – კოპერნიკის აღმოჩენა, მეორე – დარვინის გამოკვლევები, ყველაზე მგრძნობიარე დარტყმა კი მან ფსიქოლოგიის მხრიდან მიიღო.

კითხვაზე – რა არის ადამიანის არსებითი მხარე – ფროიდს გარკვეული პასუხი აქვს: „ჩვენი არსების გულს ბნელი “იგი” ქმნის”, ადამიანის აღნიშნულ მხარეს უპირისპირდებიან, ერთი მხრივ- “მე” და, მეორე მხრივ – “ზე-მე”.

ფსიქოანალიზური კონცეფცია ადამიანს წარმოადგენს კონფლიქტის ბუნების მქონედ. კონფლიქტის საფუძველია თვით პიროვნების ფენები. კონფლიქტი ადამიანისათვის შემთხვევითი კი არაა, არამედ არსებითი მდგომარეობაა. პიროვნების ფენებს – „იგი“, “მე”, “ზე-მე” – ამოძრავებთ მხოლოდ საკუთარი ინტერესები. იმარჯვებს ის, ვისაც დანარჩენებთან შედარებით მეტი ძალა და მოხერხებულობა აღმოაჩნდება. ასეთი რამ კი უმეტესად “იგი”-ს შეუძლია. ამიტომ, რომ ადამიანის ძირითადი ქცევა და მოღვაწეობა სწორედ “იგი”-ს მოთხოვნებს ემორჩილება. ამას წინ ეღობება “ზე-მე” და სოციალური გარემო.

პირველყოფილი ადამიანის მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება ცხოველური მდგომარეობისაგან. ამ საფეხურზე ადამიანს არ გააჩნია პიროვნული ფენები. ჯერ კიდევ არაა წარმოშობილი “მე”- და “ზე-მე”. ესაა ადამიანის ე.წ. შინაგანი უკონფლიქტო და პარმონიული ყოფა. სამაგიეროდ, კონფლიქტი არსებობს თვითონ პირველყოფილ ადამიანებს შორის, რადგანაც, ფროიდის გაგებით, პრეისტორიული ადამიანი ცხოვრობდა მკაცრი და ეჭვიანი მამის აბსოლუტური და ტირანული ძალაუფლების ქვეშ. აქ ორგანიზაციის ერთადერთი საწყისი, მამის შიშის შთამაგონებელი ძალაუფლება იყო. მაგრამ კონფლიქტმა მამას და ვაჟიშვილებს შორის მიაღწია კრიტიკულ მომენტს – ერთ მშვენიერ დღეს განდევნილი ძმები გაერთიანდნენ, მოკლეს და შეჭამეს მამა და ბოლო მოუღეს პატრიარქალურ ყოფას. ამ მოქმედებიდან აღმოცენდა ბრალის ცნობიერება.

ეს ვითარება, ფროიდის გაგებით, გახდა სწორედ რომ, საკუთრივ ადამიანური არსებობის დასაწყისი, რადგანაც “იგი”-ში

უკვე ჩაისახა და ჩამოყალიბება დაიწყო “ზე-მე”-მ და შემდგომ “ზე-მე”-მ. ბრალის ცნობიერებამ შექმნა ცენზურა “იგი”-სა და “მე”-ს, “მე”-სა და “ზე-მე”-ს შორის და ფსიქიკის მექანიზმში “განდევნა” იქცა უდიდეს დინამიკურ ძალად.

ფროიდის მიხედვით, ფსიქიკის ევლუციამ ორი ეტაპი განვლო. ერთია გვაროვნული, ხოლო მეორე – ცივილიზაციის. ევოლუციის გვაროვნულ ეტაპზე სულ უფრო მატულობს ლტოლვითი იმპულსების შეკავება. მაგ., ტაბუ სისხლის აღებაზე და ტოტემური ცხოველის მოკვლაზე და სხვ. კაცობრიობის ისტორიის ყოველი ახალი ნაბიჯი ხორციელდება ლტოლვისაგან თავშეკავების რომელიმე აქტით. ლტოლვების დათრგუნვისა და განდევნის აქტები ადამიანს ცივილიზაციის პერიოდთან აახლოვებს.

ლტოლვების განდევნის პროცესი ფსიქიკაზე იმ გავლენას ახდენს, რომ ლტოლვის ყოველი დათრგუნვა არაცნობიერი “იგი”-ს სფეროს იმპულსებით აფართოებს. არაცნობიერი ივსება ენერგიით. მეორე მხრივ, ამ დროს, “იგი”-ში ერთი ნაწილი იქცევა “მე”-დ, რომელიც ლტოლვას უპირისპირდება, ვითარცა გონი. მე-დან აღმოცენებული ზე-მე, თავის მხრივ, წარმოდგენილი ტაბუს, ზნეობრივი ნორმებისა და რელიგიურ მცნებათა სფეროდ, იქცევა ტირანად, რომელიც შემდგომში სოციალური და ფსიქიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა ხდება.

ცივილიზაციის პროგრესი სექსუალურ ლტოლვებთან ერთად დესტრუქციის ლტოლვებსაც განდევნის. მასიური ნგრევა და ომები აგრესიული ლტოლვების აჯანყებაა საზოგადოების შემაკავებული ზეგავლენისა და ინდივიდუალური “ზე-მე”-ს წინააღმდეგ. დესტრუქციული ლტოლვები წარმოდგენენ ომებისა და ინკვიზიციის საფუძველს. კულტურის ისტორიის მთელ მანძილზე, პირველყოფილი ადამიანი, დესტრუქციული ლტოლვის თვალთანხედვით, ფროიდთან დახასიათებულა როგორც გააფთრებული არსება, ცხოველზე უფრო სასტიკი და მძვინვარე. მკვლელობა იყო მისი ბუნებრივი მდგომარეობა. სოციალური საწყისის შესუსტების მომენტში ცივილიზებული ადამიანი უბრუნდება პირველყოფილ მდგომარეობას. ადამიანები, თუკი ისინი შეფასებული იქნებიან მათი არაცნობიერი სურვილების მიხედვით, ფროიდის თქმით, მკვლელთა ბანდაა.

2. პიროვნების პრობლემა ა. ადლერის ინდივიდუალ ფსიქოლოგიაში

ა. ადლერის თეორია – ინდივიდუალფსიქოლოგია – გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ცნობილია როგორც სილრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება; მე-20 ს-ის დასაწყისში ა. ადლერი, ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის მიმდევარი და დამკველი იყო. 1911 წელს ის ჩამოშორდა ფსიქოანალიზურ მიმდინარეობას და დააარსა „თავისუფალი ფსიქოანალიზის წრე“, რომელსაც ერთი წლის შემდეგ ეწოდა “ინდივიდუალფსიქოლოგიის წრე”.

ა.ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია ეხება პიროვნების ბუნების ცხადად გამოვლენის პრობლემას. პიროვნება, ადლერის მიხედვით, მთლიანია, განუყოფელია, *individuum*-ია (ინდივიდუუმი). სწორედ აღნიშნული ვითარებაა ასახული ტერმინში – ინდივიდუალფსიქოლოგია. მაშასადამე, ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია შინაარსობრივად არის მთლიანის, დაუნაწევრებლის ფსიქოლოგია.

ა. ადლერის კონცეფციის ძირითადი ცნებებია: ნაკლოვანების გრძნობა, კოლექტიურობის განცდა, ცხოვრების სტილი, სრულყოფისაკენ სწრაფვა, კომპენსაცია. აღნიშნული ცნებებით ავტორი ცდილობს პიროვნების იმ ასპექტით დახასიათებასა და ცხადყოფას, რომელიც მისი რწმენით, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო.

ადამიანის სულიერი ცხოვრება განსაზღვრულია მიზნით. ეს ზოგადი დებულება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ყოველი კონკრეტული მოვლენის მიმართ. სულში არ შეიძლება მოხდეს რაიმე, რაც ამ ზოგად კანონს არ დაექვემდებარება. აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის ყოველი აქტი განპირობებული და წარმართულია მიზნით. სულიერი ცხოვრების განვითარებას მიზანი წარმართავს.

ინდივიდუალფსიქოლოგიას საქმე აქვს პიროვნებასთან. პიროვნება მთლიანობაა. ა. ადლერი სულიერ ცხოვრებაში მთლიანისა და დაუნაწევრებლის წინ წამოწევას საკუთარ დამსახურებად თვლიდა. სულიერ ცხოვრებას აქვს მიზანდასახულობა. ადლერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში არსებული მოძრაობის კანონი ანუ წამყვანი ხაზი ადამიანის თავისებურებების განმპირობებელი ფაქტია. სწორედ აღნიშნული, განუმეორებელი ინდივიდი წარმოადგენს ინდივიდუალფსიქოლოგიის ინტერესის საგანს.

ა. ადლერის კონცეპციის მიხედვით, „სიცოცხლე ეს არის თვითგანვითარება“. ადამიანის მიზანი აღმოცენდება შემოქმედი ძალისაგან, ანუ “მე”-სგან და ემსახურება სიძნელების დაძლევის, გადალახვის საქმეს.

ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის არსებითია ის, რომ იგი მულამ დგას ამოცანის წინაშე. ეს ამოცანა პრინციპულ კავშირშია „ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკასთან“. ადლერის აზრით, სულის კვლევა ინდივიდუალფსიქოლოგიაში იმ სფეროში მიმდინარეობს, სადაც ერთმანეთს ერწყმის სამი მომენტი: ნაკლოვანების გრძნობა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა და კოლექტიურობის გრძნობა. ძალაუფლებისაკენ სწრაფვისა (სრულყოფილებისკენ მიწრაფვის ერთ-ერთი სახე) და კოლექტიურობის გრძნობის პრობლემის გადაჭრის ცდაში ავტორი ხედავს საკუთარი თეორიის მთელ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

პიროვნების სტრუქტურაში ნაკლოვანების გრძნობას იმდენად ცენტრალური ადგილი უჭირავს რომ, ადლერის განცხადებით, „ადამიანად ყოფნა ნიშნავს ნაკლოვანების გრძნობის ფლობას“. იგი თვლის, რომ ორგანოთა ნაკლოვანების შესახებ მოძღვრება ინდივიდუალფსიქოლოგიის ბიოლოგიური და ანატომიური საფუძველია. ადლერი ნაკლოვანი ორგანოს ცნებაში შემდეგ შინაარსს დებს: „ნაკლოვანება ეხება არამზა, განვითარებაში ჩამორჩენილ, მთლიანად ან ცალკეულ ნაწილში ზრდაშეჩერებულ ან შეცვლილ ორგანოს“. როცა მსჯელობაა ნაკლოვან ორგანოზე, ცნება ორგანოში არ იგულისხმება მხოლოდ შეგრძნების ორგანო. ამ ცნების ქვეშ ერთიანდება ორგანიზმის ყველა, მეტად თუ ნაკლებად ავტონომიური ანატომიურ-ფიზიოლოგიური ერთეული.

ნაკლოვანების გრძნობა გაპირობებულია არა მხოლოდ ორგანიზმის რომელიმე შემადგენელი ნაწილის ნაკლოვანებით, არამედ, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს პიროვნების გარემოსადმი (ფიზიკური, სოციალური) შეგუების სუბიექტური და ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორებით.

ადლერი ადასტურებს კავშირს, რომელიც არსებობს ნაკლოვან ორგანოსა და ფსიქიკის განვითარებას შორის, იცავს აზრს, რომ ორგანოს ნაკლოვანების განცდა არის ინდივიდის ფსიქიკის განვითარების სტიმული. ინდივიდში ყოველთვის არსებობს ბიძგი მიმართული ნაკლოვანების დაძლევისაკენ, გადალახვისაკენ, რაც სიცოცხლის ძირითადი კანონის გამოვლინებაა. ა. ადლერის დამსა-

ხურებად თვლიან იმას, რომ მან პირველმა მიუთითა ნაკლოვანი ორგანოს ფსიქიკურ კომპენსაციაზე იმ მაგალითზე დაყრდნობით, რომ ბავშვობაში ენაბლუ დემოსთენე ცნობილი ორატორი გახდა. ნაკლოვანების გრძნობა ბავშვის ფსიქიკაში იწვევს ცხოვრების სტილის შექმნას, რაც კომპენსაციის ტენდენციის საფუძველზე, საკვებით გარკვეული მიმართულებით, პიროვნების განვითარებას იძლევა. ადამიანის ყოველი წარმატება ემყარება ნაკლოვანების გრძნობის გადალახვას. ადამიანის გონება მუდამ მიმართულია იქით, რომ მისი არსებობა სრულყოფილი გახადოს.

ინდივიდუალფსიქოლოგიაში ნაკლოვანების გრძნობის გარდა მიუთითებენ ნაკლოვანების კომპლექსზე. ნაკლოვანების გრძნობა შეიძლება გადაიქცეს კომპლექსად იმ შემთხვევაში, როცა გრძნობა ინტენსიური ხდება. ნაკლოვანების გრძნობის გაღრმავების ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია მცდარ საფუძვლებზე დამყარებული აღზრდა. ა. ადლერი ნაკლოვანების კომპლექსს შემდგენაირად განმარტავს: ცხოვრებისეული პრობლემების სოციალურად გადაჭრის უუნარობა.

აადლერის მიხედვით, პიროვნების ჩამოყალიბებისა და მისი ცხოვრების მთელი ისტორია ორ პოლუსს შორისაა. ერთია ნაკლოვანების გრძნობა, მეორე კი – პიროვნების იდეალი. ადამიანის ცხოვრების გზა – ეს არის სულა ქვევიდან ზევით. იმ განწყობას, რომელიც აღმოცენებულია პიროვნებაში საკუთარი თავის ნაკლოვანი მდგომარეობიდან, ინდივიდუალფსიქოლოგიაში ეწოდება „მამაკაცის პროტესტი“, რომელიც პიროვნული ძლიერების მოთხოვნას უკავშირდება.

კაცობრიობის ისტორია არ იცნობს იზოლირებულ ადამიანს. ინდივიდუალფსიქოლოგია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა აქცენტი გააკეთა კოლექტიურობის გრძნობის ფუძემდებლურ მნიშვნელობაზე.

ადამიანთა ერთად ცხოვრება ის ძირითადი მდგომარეობაა, რომელიც ცალკეულ ინდივიდზე ახდენს განუწყვეტელ ზემოქმედებას. ადამიანი თანდათანობით უახლოვდება „აბსოლუტურ ჭეშმარიტებას“ (ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკას).

საზოგადოებრივი მოთხოვნები აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთობებს. სოციალური ინტერესი ანუ კოლექტიურობის გრძნობა თანშობილია. ჩვენი ცხოვრების ყველა პრობლემა სოციალურია და ამიტომ მათი გადაჭრა მოითხოვს კოლექტიურობის გრძნობის მაღალ დონეს. სოციალური ინტერესი არა აქვს მას, ვინც საკუთარ თავზე უფრო მეტად ფიქრობს და ზრუნავს ვიდრე სხვაზე, ვისაც

მიზნად დაუსახავს ისე იცხოვროს, თითქოს ამოცანა მხოლოდ მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

3. ტემპერამენტი

ტემპერამენტი წარმოადგენს პიროვნების ემოციური ცხოვრების საფუძველს, ანალოგიურად იმისა, როგორც ინტელექტი წარმოადგენს ადამიანის აზროვნების საფუძველს. აუღელვებელია, ცივია ადამიანი თუ პირიქით, ემოციურია, აფექტურია, მშფოთვარე, სუსტი გრძნობები ახასიათებს მას თუ ძლიერი, ეს დამოკიდებულია უპირველესად ადამიანის ტემპერამენტზე.

გრძნობების თავისებურებასთან ერთად ტემპერამენტი ადამიანის ქცევაშიც ვლინდება. კერძოდ, მისი მოქმედებების თავისებურებებში, სისწრაფეში, აჩქარებულობასა თუ სიძინჯეში. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ტემპერამენტზე არ არის დამოკიდებული პიროვნების არც ინტერესები, არც გატაცებები, არც სოციალური განწყობები და არც მორალური შეხედულებები.

ადამიანის ეს ფსიქიკური თვისება – ტემპერამენტი – პირველად აღწერა და კლასიფიკაცია მოგვცა ჰიპოკრატემ (ძვ.წ-ით V ს.). იგი თვლიდა, რომ ადამიანის სხეულში არსებობს ოთხი სითხე: სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნაღველი. ამ სითხეების ჰარმონიული შერევის შემთხვევაში ადამიანი არის ჯანმრთელი, სხვა შემთხვევაში – ავადმყოფი. როცა ერთ-ერთი სითხე ჭარბობს, სწორედ ის განსაზღვრავს ადამიანის ტემპერამენტს.

პრობლემის კვლევაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ი. პავლოვს.

მისი მიხედვით, უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპები წარმოადგენენ ტემპერამენტის საფუძველს. მან გააკეთა შემდეგი ტიპოლოგია:

1. ძლიერი გაუწონასწორებელი, შეუკავებელი. ამ ტიპის ნერვული მოქმედება ხასიათდება ავზნების ძლიერი პროცესით და ნაკლებად ძლიერი შეკავებით;

2. ძლიერი გაწონასწორებული (ავზნების პროცესი ბალანსირდება შეკავების პროცესთან), მოძრავი;

3. ძლიერი გაწონასწორებული, ინერტული;

4. სუსტი – ხასიათდება აგზნება-შეკავების პროცესების სისუსტით, ნერვული პროცესების ნაკლები მოძრაობით.

➤ ტემპერამენტის ტიპები და მათი ფსიქოლოგიური დახასიათება

1. სანგვინიკური ტემპერამენტი. ამ ტიპის ადამიანში გრძნობები ადვილად აღმოცენდება. შედარებით უბრალო და უმნიშვნელო მოვლენაც მასში გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს გრძნობა ადვილადვე და მალე გადაივლის. მისი გრძნობები არაა ღრმა და მტკიცე. ამრიგად, სანგვინიკისათვის დამახასიათებელია გრძნობების დიდი აგზნებადობა, ე.ი. ადვილი და სწრაფი აღმოცენება, მაგრამ სწრაფი წარმავლობაც. ამასთანავე, მას ახასიათებს სიამოვნების ემოციური განცდებისადმი, ე.ი. უფრო დადებითი გრძნობებისაკენ მიდრეკილება. იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი, უფრო კარგს მოელის, ვიდრე ცუდს. ცხოვრებაში უფრო კარგ მხარეებს ამჩნევს, ხშირად უდარდელია. ადამიანების მიმართ უფრო სიმპათიით არის განწყობილი, ვიდრე ანტიპათიით. მისთვის უცხოა გულჩათხრობილობა. სანგვინიკი მოძრავი ადამიანია. მისი შესტები სწრაფია. ხშირად იმპულსურია. ამ ტიპის ტემპერამენტის წარმომადგენელს პავლოვი ახასიათებს როგორც ძალიან პროდუქტიულ ადამიანს. როდესაც მას საქმე არ აქვს, იგი ხდება მოშვებული, მოსაწყენი. სანგვინიკისათვის ჩვეულებრივია დიდი მოძრაობა, ადვილი ადაპტაცია ცვალებად ცხოვრებისეულ პირობებთან. იგი ადვილად და სწრაფად პოულობს კონტაქტს ადამიანებთან, ახალ გარემოში არ განიცდის შებოჭილობას. კამპანიაში სანგვინიკი მზიარულია, სიცოცხლისმოყვარული, ძალიან სწრაფად შეუძლია გატაცება რაიმე საქმით, მაგრამ შესაძლებელია ის სწრაფად ჩაქრეს, თუ საქმე მოითხოვს მოთმინებას და ატარებს ყოველდღიურ ხასიათს.

რადგანაც სანგვინიკთან ემოციები ადვილად აღმოცენდება და ადვილად გაივლის, ეს ერთ-ერთი პირობაა იმისა, რომ მას შეუძლია სწრაფად გათავისუფლდეს დამღლევი განწყობილებისაგან. სანგვინიკი გონებამახვილია, სწრაფად ითვისებს ახალს, ადვილად შეუძლია ყურადღების გადატანა ერთი საქმიდან მეორეზე. მას აქვს სწრაფი რეაქციის უნარი.

2. ქოლერიკული ტემპერამენტი. ამ ტიპის ადამიანთა ც გრძობები ადვილად და სწრაფად აღმოცენდება. ეს ტიპიც ადვილად აგზნებადია, ხშირად აფექტურიც, მაგრამ სანგვინიკური ტემპერამენტისაგან განსხვავებით, ქოლერიკისათვის დამახასიათებელია შედარებით უფრო მტკიცე, უფრო ხანიერი და ღრმა გრძობები.

გრძობების შინაარსის მხრივ, ქოლერიკი სანგვინიკის საწინააღმდეგოა. მისთვის არსებითია უარყოფითი განცდებისადმი მიდრეკილება: უკმაყოფილება, გაჯავრება, პესიმისტური ტენდენციები. ამ ტიპის წარმომადგენლები, გამოირჩევიან მომატებული აგზნებადობით, ხოლო აქედან გამომდინარე, გაუწონასწორებელი ქცევით. ქოლერიკი აგრესიულია, ფეთქებადი, ურთიერთობებში სწორხაზოვანი, საქმიანობაში ენერგიული. ქოლერიკისათვის დამახასიათებელია მუშაობაში ციკლურობა. რაღაც დროის პერიოდში ისინი მთელი შემართებით გატაცებულნი არიან საქმით, მაგრამ დგება დრო, როდესაც ძალა ეცლებათ და ექნებათ დათრგუნული განწყობილება. ასეთი ციკლურობა არის მათი გაუწონასწორებული ნერვული მოქმედების შედეგი.

3. ფლევმატიკური ტემპერამენტი. გრძობების აგზნებადობის თვალსაზრისით, ეს ტიპი ორივე ზემოთ აღწერილი ტიპის საპირისპიროა. მას ახასიათებს გრძობების სუსტი აგზნებადობა. ეს არის მშვიდი, გულგრილი ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა აფექტები. ფლევმატურ ადამიანში გრძობის გამოწვევა ძნელია. გრძობები აღმოცენდება ნელა, გვიან. სამაგიეროდ, სანგვინიკის საწინააღმდეგოდ, ფლევმატიკის გრძობები მტკიცე და ღრმაა, არ ქრება და ხშირად, დროის განმავლობაში სულ უფრო ღვივდება და ძლიერდება.

პავლოვის დახასიათებით, ფლევმატიკი წყნარია, გაწონასწორებული, შეუპოვარი. ნერვული პროცესების ინერტულობა და გაწონასწორებულობა ფლევმატიკს საშუალებას აძლევს დარჩეს მშვიდი ყოველგვარ პირობებში.

ფლევმატიკის უარყოფით თვისებას წარმოადგენს მისი ინერტულობა; ნაკლები მოძრაობა. მას სჭირდება დრო ყურადღების გადანაცვლებისათვის ერთი ობიექტიდან მეორეზე. მას არ შეუძლია სტერეოტიპების შეცვლა, რომელიც ჩამოყალიბებული აქვს. იგი ხშირად ცივისსხლიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მისი ინერტულობა ზოგჯერ დადებითიც არის, რადგანაც ფლევმატიკი, გამომდინარე აქედან, წინდახედულია, სტაბილური ხასიათისა და აქვს ხანგრძლივი შრომისა და საქმიანობის უნარი.

გრძნობების შინაარსის მხრივ სანგეინიკი და ფლეგმატიკი ერთმანეთს უახლოვდება. ორივესათვის უფრო დამახასიათებელია დადებითი გრძნობებისადმი მიდრეკილება, ვიდრე უარყოფითისადმი. ორივეს ოპტიმისტური ტენდენციები ახასიათებს. ფლეგმატიკის წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია, აუღელვებელია, მისი მიმიკები და ჟესტიკულაცია – შეკავებული.

4. მელანქოლიკური ტემპერამენტი. ამ ტიპის ადამიანისათვის დამახასიათებელია მიდრეკილება უარყოფითი გრძნობებისადმი. მის გრძნობებში ბევრად სჭარბობს უარყოფითი. იგი პესიმისტია. მუდამ ცუდს მოელის ცხოვრებისაგან, ხედავს უფრო უსიამოვნო მხარეებს. მისთვის ჩვეულებრივია ნაღვლიანობა, ცუდ გუნებაზე ყოფნა /არა სასოწარკვეთილება/. ამ ტემპერამენტს გრძნობების სუსტი აგზნებადობა ახასიათებს. ამ ტიპის ადამიანის მოქმედებაც, ჩვეულებრივ, მოდუნებულია, უღონო, უხალისო. ცხოვრების ტონუსი დაქვეითებული აქვს. მელანქოლიკი რამდენადმე ჩაკეტილი პიროვნებაა, განსაკუთრებით ახალ ადამიანებთან შეხვედრის დროს. რთულ სიტუაციებში უჭირს გადაწყვეტილების გამოტანა.

ამრიგად, ტემპერამენტი გავლენას ახდენს პიროვნების აქტივობის ხასიათზე /სოციალური კონტაქტი, კომუნიკაბელობა/ და ასევე შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციის უნარზე.

4. ხასიათი

თანამედროვე მეცნიერებაში, ადამიანის ხასიათის გაგებასთან დაკავშირებით, აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, მაგრამ უდავოა, რომ ხასიათი პიროვნების ძირითად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანთა მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ თავისებურებებს განსაზღვრავს და საფუძვლად უდევს მათ მოქმედებებს.

რამდენადაც ხასიათი თავს იჩენს უმთავრესად ინდივიდის ქცევაში, მის დამოკიდებულებაში სხვა ადამიანებთან, იმ მოტივებსა და მიზნებში, რომელნიც განსაზღვრავენ საქმიანობის სტილს, იმდენად გასაგებია, რომ მეცნიერებაში სულ უფრო ვრცელდება შეხედულება, რომელიც ხასიათს თვლის ადამიანის ნებისყოფის საფუძვლად.

ხასიათის ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ის გარემო, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება; საქმიანობის ის სფერო, სადაც მოღვაწეობს; მისი პროფესია; ცხოვრების რეჟიმი და ა.შ.

ადამიანის პიროვნების ხასიათი ყოველთვის მრავალწახნაგოვანია. მასში შეიძლება გამოიყოს ცალკეული ნიშნები ან თავისებურებები, რომლებიც ერთიანდებიან რამდენიმე მსხვილ ბლოკში, ჯგუფში და ასახავენ ინდივიდის დამოკიდებულებას ცხოვრებისეული მხარეებისადმი.

ცნობილია ხასიათის კლასიფიკაციათა მთელი რიგი, მაგრამ დღემდე მოცემული კლასიფიკაციებიდან არც ერთი არ არის საყოველთაოდ მიღებული. ხასიათის მეცნიერული შესწავლა შედარებით ახალი საქმეა. ამ მიმართულებით მუშაობა თანამედროვე მეცნიერებაში გაიშალა.

ხასიათის მრავალგვარი კლასიფიკაცია გვაქვს, რომელთაგანაც ყველაზე დიდი პოპულარობა ჰპოვა კ. ლეონგარდისა და ა. ლიჩკოს კლასიფიკაციებმა. მიიჩნევენ, რომ არსებობს:

1. ჰიპერთიმიული ტიპი. ამ ტიპის პიროვნების შესაძინევე თავისებურებას წარმოადგენს მუდმივად(ან ხშირად) ამაღლებულ განწყობილებაზე ყოფნა, იმ დროსაც კი, როცა საამისო მიზეზი არ არსებობს. ეს ეიფორია შერწყმულია მაღალ აქტიურობასთან, საქმიანობის წყურვილთან. ჰიპერთიმიული პიროვნებისათვის დამახასიათებელია კომუნიკაბელურობა, ენაწყლიანობა. ის ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებს და არ კარგავს ამ თვისებას წინააღმდეგობების აღმოცენების დროსაც.
2. შენელებული(რიგიდული) ტიპი. პიროვნების ეს ტიპი აფექტისადმი მაღალი მდგრადობით გამოირჩევა. პირადი ინტერესისა და ღირსების შელახვას დიდხანს ვერ ივიწყებს და არავის არ პატიობს. გამოძინარე აქედან, გარშემომყოფი ადამიანები მას ხშირად ახასიათებენ როგორც გულღრმოსა და შურისმაძიებელს.
3. ემოციური ტიპი. ემოციური პიროვნების ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მაღალი მგრძობელობა და ფაქიზი ემოციების სფეროში ღრმა რეაქციები. მისთვის დამახასიათებელია გულკეთილობა, გულწრფელობა, გულისხმიერება, ემპათიურობა(თანაგრძობის უნარი). განსაკუთრებული თვისებაა მომეტებული მტირელობა. როგორც წესი, იგი მუდმივად მზადაა სატირლად.
4. პედანტური ტიპი. ამ ტიპის შესაძინევე გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს აკურატულობა, წესრიგისადმი სწრაფვა, გა-

დაუწყვეტლობა და სიფრთხილე. სანამ რაიმეს მოიმოქმედებდეს, იგი დიდხანს ფიქრობს. ასეთ პიროვნებას უჭირს პასუხისმგებლობის აღება. არის კეთილსინდისიერი და ცდილობს დაწყებული საქმე მიიყვანოს ბოლომდე.

5. **შფოთვარე-შფრთხალი ტიპი.** ძირითადი ნიშან-თვისებაა მომატებული შფოთიანობა შესაძლო წარუმატებლობაზე; საკუთარ და ახლო მეგობრების ბედ-იღბალზე ზრუნვა და წუხილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საამისოდ ობიექტური მიზეზები არ არსებობს. გამოირჩევა მორიდებულობით, არაიშვიათად დამყოლობითაც. მუდმივი დაძაბულობა შერწყმულია საკუთარ ძალებში დაუჯერებლობასთან.
6. **დისთიმური ტიპი.** დისთიმური პიროვნება ჰიპერთიმულის ანტიპოლია. იგი, ჩვეულებრივ კონცენტრირებულია ცხოვრების ნაღვლიან და ნაცრისფერ მხარეებზე, რაც ყველაფერში ვლინდება: ქცევაში, ურთიერთობებში, აღქმის თავისებურებებში და სხვ. არის სერიოზული. აქტიურობა და ინიციატივის გამოჩენა მისთვის სრულიად უცხოა.
7. **დემონსტრაციული ტიპი.** დემონსტრაციული პიროვნების გამოკვეთილ ნიშან-თვისებას წარმოადგენს შთაბეჭდილების მოხდენის, ყურადღების მიქცევის, ცენტრში ყოფნის მოთხოვნილება და ამისკენ მუდმივად მისწრაფება. არის პატივმოყვარე და საკუთარ თავს ცენტრალურ ფიგურად აღიქვამს ნებისმიერ სიტუაციაში. აქვს მიდრეკილება ფანტაზიორობისა და ტყუილებისადმი. უყვარს თავის ქება.
8. **აგზნებადი ტიპი.** ასეთი პიროვნების ქცევა იმპულსურია, გაპირობებულაა ლტოლვებითა და ინსტინქტებით. მას უჭირს საკუთარი თავის გაკონტროლება, და გამომდინარე აქედან, ხასიათდება უკიდურესად დაბალი ტოლერანტობით.
9. **აფექტურ - ეგზალტირებული ტიპი.** ძირითად ნიშან-თვისებას წარმოადგენს მიმდინარე მოვლენებზე მძაფრი, ბობოქარი რეაქციების გამოხატვის უნარი. იგი ძალიან ადვილად მოდის აღტაცებაში - სასიხარულო და უიმედობაში - სამწუხარო ფაქტებისგან. არის უკიდურასად შთაბეჭდილებიანი.
10. **ციკლოთიმური ტიპი.** ციკლოთიმური პიროვნების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ჰიპერთიმული და დისთიმური მდგომარეობების სისტემატური ცვალებადობა.

სოციალური ფსიქოლოგია

სოციალური ფსიქოლოგია თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგია, რომელიც იმ ფსიქიკურ მოვლენებს შეისწავლის, რომლებიც აღმოცენდებიან ჯგუფში და კოლექტივებში ადამიანებს შორის ურთიერთმოქმედების პროცესში.

ფსიქოლოგიის ეს დარგი მე-19 ს-ის შუახანებიდან ჩამოყალიბდა. მის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ო. კონტის პოზიტივისტურმა იდეებმა, რომელსაც ეყრდნობოდნენ მთელი რიგი სოციოლოგები.

სოციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ითვლებიან: ფრანგი იურისტი და სოციოლოგი გ. თარდი, ფრანგი სოციოლოგი გ. ლებონი და ამერიკელი ფსიქოლოგი უ. მაკდაუგოლი.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის განვითარება, როდესაც დაიწყო ექსპერიმენტული და მათემატიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება სოციალურ ფსიქოლოგიაში.

სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს სოციალური გარემო, პიროვნება, ჯგუფი (მცირე, დიდი), ამასთან ჯგუფის პრობლემა ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან პიროვნებამ საკუთარი ქცევა, მოქმედება, შესაძლებელია, განახორციელოს მხოლოდ ჯგუფში. მას აქ მეტი საშუალება აქვს დაიხარჯოს, გამოავლინოს საკუთარი თავი.

ძირითადი თეორიები, რომელთა საფუძველზეც ხდება სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავება, ზოგადფსიქოლოგიურია. უნდა აღინიშნოს, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორია დიდ შესაძლებლობებს იძლევა სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების კვლევისათვის.

ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს თავისი ობიექტური კანონები აქვს. ის მხოლოდ ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანს არ წარმოადგენს, რადგან შორს სცილდება ფსიქიკური კანონზომიერების მოქმედების არეს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ადამიანის შრომით საქმიანობაზე არსებით გავლენას ახდენს არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქო-სოციალური გარემოც.

➤ მცირე ჯგუფის პრობლემა სოციალურ ფსიქოლოგიაში

მცირე ჯგუფის ქვეშ იგულისხმება ერთობლიობა, რომელშიც ადამიანები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან საერთო სოციალური საქმიანობით და იმყოფებიან უშუალოდ პიროვნულ ურთიერთობაში. ეს წარმოადგენს საფუძველს მათ შორის ემოციური მიმართებების, ჯგუფში ჯგუფური პროცესებისა და ნორმების აღმოცენებისათვის.

მცირე ჯგუფის პრობლემის კვლევა სოციალურ ფსიქოლოგიაში დაიწყო იმის შემდეგ, რაც განიხილეს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთზემოქმედების და ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. რა თქმა უნდა, მცირე ჯგუფი არის პიროვნებისათვის ის პირველადი გარემო, რომელშიც იგი დგამს პირველ ნაბიჯებს და რომლის საშუალებითაც იღებს პირველად ინფორმაციას გარემო სინამდვილის შესახებ. ადამიანი – პიროვნება ყოველთვის რომელიმე მცირე ჯგუფის წევრია: იქნება ეს ოჯახი, მეგობართა წრე, ის დაწესებულება სადაც მუშაობს თუ სხვა რაიმე ორგანიზაცია. სოციალურ ფსიქოლოგიას აინტერესებს რა ურთიერთობები ხორციელდება ამ მცირე ჯგუფებსა და პიროვნებას შორის, როგორ ზემოქმედებას განიცდიან ისინი, რა განსაზღვრავს მათ შორის ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და ა.შ.

ლიტერატურაში დიდი ხანია დავაა მცირე ჯგუფის „ზედა“ და „ქვედა“ ზღვრის გარშემო. გავრცელებულია მოსაზრება, რომ მცირე ჯგუფი წარმოადგენს ორი კაცისაგან შემდგარ ჯგუფს ანუ „დიადას“.

შეხედულებას, რომ მცირე ჯგუფის ქვედა ზღვარი იწყება „დიადადან“, ეწინააღმდეგება აზრი იმის შესახებ, რომ მცირე ჯგუფის უმცირესი ოდენობა უნდა იყოს არა ორი, არამედ სამი ადამიანი ანუ „ტრიადა“. ამის შესახებ კამათი შესაძლოა გაგრძელდეს უსასრულოდ, თუ არ მოვიტანთ არგუმენტებს რომელიმე შეხედულების სასარგებლოდ. „დიადაში“ პრიპციპულად გადაუწყვეტია კონფლიქტი, რადგან იგი აუცილებლად იღებს წმინდა პიროვნებათშორისი კონფლიქტის ხასიათს. ჯგუფში მესამე პირის დასწრება ქმნის ახალ პოზიციას – დამკვირვებელისას და ეს მატებს აღმოცენებულ ურთი-

ერთმიმართებათა სისტემას ახალ მომენტს, კერძოდ შესაძლოა დამკვირვებელმა გადაწყვიტოს თავისი ჩარევით კონფლიქტური საკითხი.

არანაკლებ მძაფრად დგას ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საკითხი მცირე ჯგუფის „ზედა“ ზღერის შესახებ. რა რაოდენობამდე შეიძლება იგი გაიზარდოს? ზედა ზღერის მაჩვენებელი სხვადასხვა მკვლევართან განსხვავებულია. მაგალითად, ერთნი ასახელებენ 10, 15, 20 ადამიანს, მეორენი — 30-40 ადამიანს.

ტრადიციულად სოციალურ ფსიქოლოგიაში შეისწავლება, უპირველეს ყოვლისა, ჯგუფის ზოგიერთი ელემენტარული პარამეტრი, რომლებიცაა: ჯგუფის კომპოზიცია (ანუ მისი შემადგენლობა), ჯგუფის სტრუქტურა, ჯგუფური პროცესები, ნორმები და ღირებულებები. ჩვენ არ შევუდგებით ამ პარამეტრების ცალ-ცალკე დახასიათებას. განვიხილავთ მხოლოდ ლიდერობასა და ხელმძღვანელობას მცირე ჯგუფში.

არ არსებობს მცირე სოციალური ჯგუფი, რომელსაც არ ჰყავდეს საკუთარი ლიდერი ან ხელმძღვანელი. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ეს პრობლემა მნიშვნელოვანს მცირე ჯგუფების მახასიათებლების განხილვისას. დასავლურ ფსიქოლოგიაში არ გამოყოფენ კონკრეტულად ლიდერსა და ხელმძღვანელს, აქ ეს ორი მცნება ერთმანეთთან თითქმის გაიგივებულია. ჩვენთან ლიდერი და ხელმძღვანელი განსხვავებულია მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით და როცა დადგება ის მომენტი, რომ ხელმძღვანელი შეასრულებს ლიდერის ფუნქციასაც, ე.ი. ხელმძღვანელი იქნება იგივე ლიდერიც, მაშინ გვეყოლება ალბათ იდეალური ხელმძღვანელი. მაინც რაში მდგომარეობს მათ შორის განსხვავება?

1. ლიდერი ძირითადად ჯგუფში პიროვნებათშორისი ურთიერთობების რეგულაციას ახდენს, იმ დროს, როდესაც ხელმძღვანელი ოფიციალურ დამოკიდებულებებს აწესრიგებს;

2. ლიდერი მიკროგარემოს წარმომადგენელია, ხელმძღვანელი — მაკროგარემოსი;

3. ლიდერობა ნაკლებ სტაბილურია, ლიდერის წინ წამოწევა დამოკიდებულია ჯგუფის ხასიათზე, ამ დროს როცა ხელმძღვანელობა სტაბილურია;

4. ლიდერი ირჩევა სტიქიურად, მის არჩევას ხელს უწყობს სხვადასხვა პირობა, სიტუაცია, ხოლო ხელმძღვანელი ან აირჩევა ან

ინიშნება. ეს არის მიზანდასახული პროცესი და ხორციელდება სოციალური სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტების კონტროლის ქვეშ.

5. ხელმძღვანელს აქვს სანქციების განსაზღვრული სისტემა, რომელიც ლიდერს არა აქვს, ლიდერს არ შეუძლია ვინმეს დასჯა ან წახალისება.

6. ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გაცილებით რთულია და განსაზღვრულია მრავალი სხვადასხვა სიტუაციით, იმ დროს როცა ლიდერი იღებს უფრო უშუალო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჯგუფის მოქმედებასთანაა დაკავშირებული.

7. ლიდერის მოქმედების სფერო ძირითადად ის ჯგუფია, რომლის ლიდერიც თვითონ არის. ხელმძღვანელს კი ამ მხრივ უფრო რთული ფუნქცია აკისრია, იგი წარმოადგენს ამ მცირე ჯგუფს ჯგუფთა სხვა, უფრო დიდ და რთულ სოციალურ სისტემაში.

რაც შეეხება ლიდერობის სტილს, გამოყოფილია სამი ტიპი:

1. ლიდერობის ავტორიტარული სტილი – საქმიანი, მოკლე ბრძანებები, მკაცრი ენა, არასასიამოვნო ტონი, ქება და ძაგება სუბიექტურია, ემოციები მხედველობაში არ მიიღება, ჯგუფში საქმეები იგეგმება წინასწარ. ხელმძღვანელის პოზიცია არის გადამწყვეტი, ამასთან ჯგუფისა და ლიდერის პოზიციები ერთიმეორისაგან განსხვავდება.

2. ლიდერობის დემოკრატიული სტილი – ინსტრუქციები წინადადებების ფორმით; არა მშრალი ლაპარაკი, არამედ ამხანაგური ტონი; დასჯა-წახალისება რჩევების სახით; ღონისძიებები იგეგმება არა წინასწარ, არამედ ჯგუფში; ლიდერის პოზიცია მაქსიმალურად გამოხატავს ჯგუფის აზრს. შედეგებზე პასუხისმგებელია ყველა.

3. ლიდერობის მიშვებული (ლიბერალური) სტილი – საუბრის ტონი-კონვენციონალური; დასჯა-წახალისება არ არსებობს; არავითარი თანამშრომლობა; ლიდერის პოზიცია შეუმჩნეველია, ჯგუფში საქმეები მიედინება თავისთავად. ლიდერი არ იძლევა არავითარ მითითებებსა და წინადადებებს.

➤ გარემო და ფსიქიკური აქტივობის ორგანიზაცია

ადამიანის ფსიქიკა განვითარების სხვადასხვა დონის აქტივობითი შრეებისაგან შედგება. ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ადამიანს როგორი სიძნელის ამოცანის შესრულება უხდება. გარემოსთან ურთიერთობაში ადამიანი თავისი ფსიქიკური ორგანიზაციის სირთულის მიხედვით, შესაძლებელია, დახასიათებულ იქნეს, როგორც ა) ინდივიდი; ბ) სუბიექტი; გ) პიროვნება.

ამ თვალსაზრისით, ადამიანის განვითარების პროცესი შესაძლებელია აგრეთვე დახასიათდეს, როგორც მისი სოციალური ჩამოყალიბების პროცესი, მისი სოციალიზაცია.

ა. ადამიანი როგორც ცოცხალი ინდივიდი

ინდივიდი, როგორც ორგანიზმი, გარესამყაროსთან ბიოლოგიური მოთხოვნილებებით არის დაკავშირებული და მისი ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ახორციელებს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტივობას.

უზნადის განწყობის თეორიის მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმის, როგორც მთლიანი სისტემის, მოქმედების საფუძველს, ერთიანი ფსიქოფიზიკური მდგომარეობა — განწყობა წარმოადგენს. განწყობა არის ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, რომელიც ინდივიდში გარკვეული მოთხოვნილებისა და მისთვის შესატყვისი გარემოს ერთდროული ზემოქმედების შედეგად აღმოცენდება.

ცოცხალი ორგანიზმი გარკვეულ ფუნქციონალურ სისტემას წარმოადგენს იგი, ისევე როგორც ყოველი ფიზიკური სისტემა, გარემოს ზემოქმედების შედეგად რღვევას განიცდის. გარესიგნალების ზემოქმედება იწვევს მისი ორგანიზაციის დაშლას. მაგრამ ინდივიდი მანამ წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, ვიდრე მისი ნაწილები გარკვეულ წონასწორობაში იმყოფება ერთმანეთთან. ინდივიდის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ თავისი წონასწორობის დარღვევას ის განიცდის, როგორც გარკვეულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებას. ბიოლოგიურ-ვიტალური მოთხოვნილებები, უპირველეს ყოვლისა, არის რაიმე მიმართულებით დანაკლისის განცდა და მიუთითებს ორგანიზმის წონასწორობის დარღვევის იმ დონეზე, რომელიც საშიშროებას უქმნის ინდივიდის მთლიანობას. მაგალითად, თუ ცოცხალმა ორგანიზმმა დიდი რაოდენობით

დაკარგა სითხე, მას წყურვილის მოთხოვნილება უჩნდება და თუ ვერ მოახერხა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, დანაკლისის შევსება, დაილუპება. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, წონასწორობის აღდგენისათვის საჭირო საგნები და მოვლენები გარესინამდვილეში არსებობს და ამისათვის ორგანიზმი გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს გარემოსთან.

ბ. ადამიანი როგორც სუბიექტი

ადამიანი, გარდა იმისა რომ ცოცხალი ინდივიდია, ამავე დროს სუბიექტიც არის. ადამიანი, როგორც სუბიექტი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უფრო მეტად არის დიფერენცირებული სინამდვილისაგან.

ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ერთ-ერთ ძირითად თვისებურებას წარმოადგენს ის, რომ შეუძლია შეწყვიტოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, გამოეყოს, დაუპირისპირდეს სინამდვილეს და მასთან თეორიული, შემეცნებითი ურთიერთობა დაამყაროს. ადამიანის ამ სპეციფიკურ აქტივობას დ. უზნაძე ობიექტივაციის აქტს უწოდებს.

ამ აქტს ადამიანი მაშინ მიმართავს, როდესაც იგი განწყობილ-სეული აქტივობის საფუძველზე ვეღარ ახერხებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ქცევის დამაბრკოლებელ საგნებთან შეჯახების შემთხვევაში ინდივიდს ეცვლება დამოკიდებულება სინამდვილესთან. მის წინაშე დგება თეორიული საკითხი - „რა არის ეს?“, „რაშია საქმე?“ ამგვარი კითხვების გაჩენის დროს ის სუბიექტად იქცევა და სინამდვილეს განიხილავს, როგორც განსჯის საგანს. ამგვარ მეორე დონის ფსიქიკურ აქტივობას გულისხმობს ყოველგვარი აზროვნებისა და შემეცნების პროცესი, რომელიც კონფლიქტურ, პრობლემურ სიტუაციაში ჩნდება. მეორე დონის ფსიქიკური აქტივობა ცნობიერების მონაწილეობას გულისხმობს.

ცხადია, ადამიანის ფსიქიკური აქტივობის თავისებურებანი მხოლოდ ამ ორი დონის აქტივობით არ ამოიწურება. როგორც ცნობილია, ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდი და შემეცნებელი სუბიექტია, აგრეთვე პიროვნებასაც წარმოადგენს, რომელიც სოციალურ გარემოში ცხოვრობს. ადამიანს, როგორც სოციალურ პიროვნებას, აქვს მორალური შეხედულებებისა და სოციალური მოლოდინების სისტემები, ის იმყოფება სხვა ადამიანებთან სო-

ციალურ ურთიერთქმედებაში და ფსიქიკური აქტივობის პროცესში საკუთარ მოთხოვნილებათა გარდა, ანგარიშს უწევს სოციალურ მოთხოვნილებასაც. სოციალური პიროვნების ფსიქიკური აქტივობა უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდება, ვიდრე სუბიექტისა.

გ. ადამიანი როგორც პიროვნება

ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ის პიროვნებას წარმოადგენს, მას შეუძლია ისეთი ქცევის განხორციელება, რომელიც მის უშუალო მოთხოვნილებებს არ ემსახურება. ასეთ შემთხვევაში პიროვნება სპეციფიკურ აქტივობას ახორციელებს, თვითონ ახდენს თავისი ქცევის ორგანიზაციას და რეალიზაციას, პიროვნების ნებით განხორციელებული ამგვარი ქცევა ხშირად უშუალო მოთხოვნილებებისა და საგნობრივი იმპულსების მოქმედების საწინააღმდეგოდ არის მიმართული და თავის ენერგეტიკულ წყაროდ მათგან განსხვავებულ პიროვნულ ძალებს იყენებს. ამგვარი ქცევა ხშირად ადამიანის ისეთ მოთხოვნილებებს ემსახურება, რომლებიც მას შეიძლება მომავალში გაუჩნდეს. ასეთი ქცევა შესაძლებელია ხშირად მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდეს. მისთვის საზოგადოდ ისაა დამახასიათებელი, რომ ის ობიექტი ღირებულებისადმი ორიენტირებული.

- ✓ პიროვნების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ნებელობა წარმოადგენს.

ამ ნიშანს პიროვნება ნებელობითი ქცევის განხორციელების დროს ამჟღავნებს. ვთქვათ, ადამიანმა გარკვეული მოსაზრების გამო უარი თქვა თამბაქოს მოწევაზე. ის ასეთ შემთხვევაში ებრძვის თამბაქოს მოწევის მოთხოვნილებას და არ ეწევა.

ნებელობის აქტივობა იმპულსური ქცევის შეკავებით იწყება. იმპულსური ქცევის შეფერხება იმის გამო არ ხდება, რომ მის რეალიზაციას გარე სინამდვილის საგნები უშლის ხელს. იმპულსური ქცევის დამაბრკოლებელი მოვლენები თვითონ პიროვნებაშია მოცემული. იმპულსური ქცევა ხშირად კონფლიქტში მოდის იმ სოციალურ და მორალურ შეხედულებებთან, რომლებიც პიროვნებას საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს შეუძლებელია და რომელთა საფუძველზეც ის აგებს თავის სოციალურ ქცევას.

დ. უზნაძის აზრით, პიროვნებისათვის მიუღებელ ქცევად ისეთი იმპულსური ქცევა შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის მაღალ მოთხოვნილებებს, ესენია: ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური.

სოციალური ქცევის შესრულება პიროვნებას შეუძლია. პიროვნებას აქვს სათანადო ფსიქიკური ძალები და საშუალებანი, რათა საჭიროების მიხედვით თვითონ შექმნას, გამოიწვიოს სოციალური განწყობა და თვითონ წარმართოს სოციალური ქცევა. ყოველი სუბიექტი როდია პიროვნება. სოციალური ურთიერთობის პროცესში მას უყალიბდება და უვითარდება სპეციფიკური ფსიქიკური უნარები, რომლებიც მას საშუალებას აძლევს ჩაერთოს საზოგადოების ცხოვრებაში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანს ჩამოუყალიბდება სოციალურ ღირებულებითი ორიენტაციები, მორალური შეხედულებები და ნებელობითი აქტუალობისათვის საჭირო სხვა ფსიქიკური აქტივობანი, ის შეძლებს სოციალურად ორიენტირებული განწყობის შექმნას, სოციალური ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებას. ამის შემდეგ, ადამიანი გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული არსება – პიროვნება – ხდება; იგი საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარდა, სოციალურ მოთხოვნებსაც ასრულებს. ამიტომ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება განხილულ უნდა იქნეს, როგორც სუბიექტის სოციალიზაციის პროცესი.

პიროვნების მიერ განხორციელებული სოციალური ქცევა უფრო რთული სტრუქტურული ბუნებით ხასიათდება, ვიდრე პრაქტიკული ან თეორიული ქცევა. სოციალური ქცევის შესრულებისათვის საჭირო სოციალური განწყობის ფორმირება მეორე დონის ფსიქიკური აქტივობის გარდა, ისეთ დამატებით ფაქტორებს საჭიროებს, რომელიც ადამიანის სოციალურ ქცევას ედება საფუძვლად და მხოლოდ ღირებულებისადმი ორიენტირებულ პიროვნებას ექმნება.

➤ ადამიანთა ურთიერთქმედება

პიროვნება და საზოგადოება ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პიროვნება სოციალურობის ნიშანს ატარებს.

მე-20 საუკუნეში სოციალური ქცევის მეცნიერული შესწავლისადმი ინტერესის ზრდა აიხსნება იმით, რომ გაჩნდა კონკრეტულ

პირობებში პიროვნების სოციალური ქცევის პროგნოზირებისა და მათი მიზანდასახული მართვის სოციალური მოთხოვნილება, აგრეთვე შეიქმნა სოციალური ქცევის კვლევისათვის აუცილებელი მეთოდოლოგია.

სოციალური ქცევა ძირითადად სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტია. სოციალური ფსიქოლოგია დღეისათვის განისაზღვრება, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ფსიქიკის მოვლენებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ადამიანთა სხვადასხვა ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ერთობლობებში მათი ურთიერთმოქმედების პროცესში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ამერიკაში, განსაკუთრებით გააქტიურდა ჯგუფის პროცესების სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა. დღეისათვის ჯგუფური ფენომენის კვლევა გასცდა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ჩარჩოებს და ფართოდ გამოიყენება სოციალური სფეროს მართვის ორგანიზაციაში. ამ კვლევების შედეგები გათვალისწინებულია კადრების მომზადების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ადამიანთა სხვადასხვაგვარი ტიპის ჯგუფების დაკომპლექტებაში და ა.შ.

ამერიკელი ფსიქოლოგი დ. ფესტინგერი აღნიშნავს, რომ ჯგუფური დინამიკის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების შექმნა განაპირობა კითხვამ, რატომღა, რომ ერთი ჯგუფი დიდ გავლენას ახდენს თავის წევრებზე, მეორე კი — ვერა. ამ განსხვავების ასახსნელად საჭიროა მოინახოს ჯგუფის განვითარების ისეთი კანონები, რომლებიც არა მხოლოდ ახსნის ამ ფენომენს, არამედ შესაძლებელს გახდის ჯგუფის წევრებზე ჯგუფის გავლენის მიმართულების წინასწარმეტყველებას.

ამ პრობლემათა შორის 50-იანი წლებიდან ინტენსიური სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტი გახდა პიროვნების ქცევის შესწავლა ისეთ სიტუაციებში, როცა მისი ინდივიდუალური ორიენტაციები და ნორმები აღმოჩნდებიან ჯგუფთან წინააღმდეგობაში. ასეთი კონფლიქტები შესაძლოა წარმოიშვას პიროვნებაზე ჯგუფის უშუალო გავლენის პირობებში, რასაც ჯგუფურ ზეწოლას უწოდებენ. ჯგუფსა და ინდივიდს შორის კონფლიქტის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს კონფორმულობა. მიღებული განმარტების მიხედვით, ეს არის ჯგუფური ზეწოლისადმი ინდივიდის მორჩილება, რაც ვლინდება ჯგუფისადმი ერთგვაროვან ქცევაში.

➤ კონფორმულობის ცნების ფსიქოლოგიური შინაარსი

კონფორმულობის პრობლემის ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევა დაიწყო ამერიკელი ფსიქოლოგების აშის, კრანფილდის, კრენის, შერიფის, ფესტინჯერის გამოკვლევების გამოქვეყნების შემდეგ.

აშის ექსპერიმენტული ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ინდივიდზე ჯგუფის გავლენის მართვა-მანიპულირება და ინდივიდის მიერ ჯგუფის გავლენის მიღების ხარისხის გაზომვა, შემდეგში მდგომარეობს: ცდისპირების ჯგუფი ექსპერიმენტატორის თხოვნით იკრიბებოდა ლაბორატორიაში ვიზუალური შეფასების კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. ისინი სხდებოდნენ მაგიდის ირკელივ და ეძლეოდათ შემდეგი ინსტრუქცია: „თქვენს წინაშეა ფურცლების წყვილი. ერთ-ერთზე დახაზულია ერთი ხაზი ე.წ. სტანდარტი, მეორეზე – 3 ერთმანეთისაგან განსხვავებული სიგრძის ხაზი. ერთერთი ამ სამი ხაზიდან არის სტანდარტის ტოლი. თქვენ უნდა შეაფასოთ, რომელია ამ სამიდან სტანდარტის ტოლი და ხმამაღლა დაასახელოთ ამ ხაზის ნომერი. ხაზები დანომრილია 1, 2, 3. სულ მოგეცემათ რამდენიმე ასეთი შესადარებელი წყვილი, რომელშიც სტანდარტისა და შესადარებელი ხაზების სიგრძეები იცვლება. ეცადეთ იყოთ რაც შეიძლება ზუსტი, უპასუხეთ რიგ-რიგობით მარცხნიდან მარჯვნივ“.

ექსპერიმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფში ყველა, გარდა ერთისა, წინასწარ არიან გაფრთხილებულნი ექსპერიმენტატორის მიერ, რათა, რამდენიმე ცდაში (18-დან 12-ში) უპასუხონ ერთსულოვნად მცდარად. ეს ერთი არის ნამდვილი ე.წ. გულუბრყვილო ცდისპირი. მან არაფერი არ იცის ჯგუფის და ექსპერიმენტატორის წინასწარი შეთანხმების შესახებ. ექსპერიმენტში მონაწილენი ისე სხედან, რომ გულუბრყვილო ცდისპირმა უნდა უპასუხოს ბოლოდან მეორემ. ამგვარად, ნამდვილ ცდისპირს ესმის ცდისპირთა ერთსულოვანი პასუხები. მას ექმნება კონფლიქტი, რადგან ან უნდა უპასუხოს ისე, როგორც ხედავს ან ისე, როგორც სხვები პასუხობენ. სხვები კი ამკარად ძალიან განსხვავებული სიგრძის ხაზს ასახელებენ სტანდარტის ტოლად, როცა იქვეა სტანდარტის ტოლი ხაზი. აშის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობდა 123 ცდისპირი. აქედან 37%-მა გაიმეორა ჯგუფის

არასწორი შეფასება, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მისი საკუთარი მხედველობის მონაცემებს.

აშის მონაცემების მიხედვით ამერიკელების ერთ მესამედს არ გააჩნია დამოკიდებულება გადაწყვეტილების მიღებაში და ურჩევნია ამოეფაროს ჯგუფის აზრს, რითაც თავიდან იხსნის პირად პასუხისმგებლობას და ინიციატივას.

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გაავრცელეს ეს შედეგები ადამიანის მთელ სოციალურ ცხოვრებაზე და გამოაცხადეს კონფორმულობა პიროვნების ფუნდამენტურ თვისებად.

დღეისათვის კონფორმიზმი გაგებულია, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელი შედეგი, როგორც ადამიანის ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ერთ-ერთი სახე: ადამიანს არ უნდა მოუხდეს კონფლიქტები საზოგადოებასთან და არ უნდა დაიშახუროს ნეგატიური სანქციები (თუნდაც ძალიან უმნიშვნელო).

თანამედროვე ფსიქოლოგიის წარმომადგენლებისათვის კონფორმულობა ნიშნავს პიროვნების როლის ნიველირებას საზოგადოების დიქტატის გამო. ამერიკელი ფსიქოლოგის აშისა და სხვათა მიერ ჩატარებული კვლევების შემდეგ დაიწყო ადამიანების დაყოფა კონფორმისტებად და არაკონფორმისტებად. კონფორმისტებად ითვლებიან ადამიანები, რომლებიც ჯგუფის გავლენით იცვლიან თავის შეხედულებებს, სოციალურ განწყობებს, ქცევის ნორმებს, მაშინაც კი, როცა ჯგუფი მცდარია. არაკონფორმისტებად მიჩნეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ჯგუფის გავლენას და, მიუხედავად ჯგუფის ძალდატანებისა, ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს. სწორედ არაკონფორმისტები ხასიათდებიან პიროვნების სიმყარით. მათ ახასიათებთ დამოუკიდებლობა შეხედულებებში. ისინი კონფლიქტში მოდიან სხვებთან, რადგანაც მათი გადახრები შეუთავსებელია კულტურის ზოგად შეფასებებთან.

ამერიკელი ფსიქოლოგების ნაშრომებში, დამანაშავეები, შემოქმედებითი პიროვნებები, არაკონფორმისტები ერთმანეთის გვერდით არიან დაყენებულნი, რადგან მათ აერთიანებთ მისწრაფება – განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი საშუალო პიროვნებისაგან, რის გამოც ისინი საზოგადოებიდან სანქციებს იმსახურებენ. რუსი ფსიქოლოგი ბოჟოვიჩი აღნიშნავს, რომ, არ არის მართებული პიროვნების სიმყარედ ჩაითვალოს მხოლოდ მისი ანტაგონიზმი საზოგადოებასთან, რადგან

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და ამდენად საზოგადოების გარკვეული ნორმები და წესები მისივე საკუთარი ნორმები და წესებია.

ადამიანის კონფორმული ქცევის მაგალითები ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში დიდი ხანია ცნობილია. ზღაპრები ან შუა საუკუნეების დროინდელი ისტორიები უბედური ქალების შესახებ, რომლებსაც ჯადოქრობას აბრალებდნენ და სჯიდნენ გასამართლების გარეშე, რასაც განათლებული ადამიანებიც კი ეთანხმებოდნენ, ასეთი ქცევის მაგალითებს წარმოადგენენ. მაშ რატომაა, რომ სწორედ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ექსპერიმენტებში აღმოჩენილმა კონფორმული ქცევის შემთხვევებმა გამოიწვია ასეთი შემოფოტება არა მხოლოდ ფსიქოლოგებში, არამედ მთელს საზოგადოებაში. ალბათ იმიტომ, რომ აშის და სხვათა კვლევებში დაინახეს იმის ექსპერიმენტული დასაბუთება, რომ კონფორმიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, გაპირობებულია ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებით, კერძოდ, მისი განსაკუთრებული დამყოლობით.

კონფორმულობის ფენომენს იხილავენ აგრეთვე როგორც ადამიანის მიერ გარე სინამდვილესთან შეგუების ერთ-ერთ ფორმას. გარემო ადამიანებისათვის მხოლოდ ფიზიკური სამყაროთი არ ამოიწურება. სოციალურ გარემოში, რომელიც ადამიანთა ჯგუფებით და კოლექტივებითაა წარმოდგენილი, ადამიანი არჩევს შეგუების სხვადასხვა ფორმებს, კონფორმულობა გვეკლინება როგორც სოციალურ სინამდვილესთან შეგუების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც უნდა განაპირობებდეს ადამიანის ფსიქიკის ზოგადი კანონზომიერებანი, რაც ადამიანის გარემოსთან შეგუების ყოველ ეტაპზე იჩენს თავს.

თავისი სიცოცხლის მანძილზე ადამიანს მრავალ სოციალურ ჯგუფში უხდება ცხოვრება და ურთიერთქმედება. ყოველ სოციალურ ჯგუფს აქვს თავისი სტრუქტურა, თავისი მიზნები, ამოცანები, ღირებულებები, ორიენტაციები, ქცევის ნორმები და ა.შ. თითოეულ ჯგუფში წევრების უფლება-მოვალეობები განსხვავებულია, თითოეული ჯგუფი ერთიან მოთხოვნებს უყენებს ჯგუფის ყველა წევრს და ამავე დროს ამ საერთო მოთხოვნების შიგნით სხვადასხვა მოთხოვნები აქვს ჯგუფის თითოეული წევრისათვის. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჯგუფის თითოეული წევრის პოზიცია ჯგუფში, ხშირად თითოეული წევრი სხვებისაგან განსხვავებული მოტივითაა გაერთიანებული ჯგუფში. ჯგუფი შესაძლოა განსხვავე-

ბულად აღიქმებოდეს თითოეული წევრის მიერ და ბოლოს ჯგუფის თითოეული წევრი განუმეორებელი ინდივიდია, სხვადასხვა თვისებების მატარებელია და ჯგუფში შესვლამდე თითოეულს თავისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ისტორია აქვს. მიუხედავად მასში შემაჯალი წევრების განსხვავებულობისა, თითოეული სოციალური ჯგუფი რაღაც ერთს, მთლიანს წარმოადგენს, რომელსაც თავისი, მხოლოდ ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა აქვს. ეს მის წევრებზეც ვრცელდება და ჩვენ ვარჩევთ, რომ ეს ინდივიდი ან ამ ჯგუფის წარმომადგენელია, ან იმ ჯგუფის და ა.შ.

ჯგუფისა და ინდივიდის მიმართების პრობლემა ერთ-ერთი მთავარია სოციალურ ფსიქოლოგიაში. მიღებულია შეხედულება, რომ ჯგუფი ინდივიდზე მოქმედებს ძირითადად ორი გზით. ერთია არაპირდაპირი გზით მოქმედება – ესაა ზემოქმედება საზოგადოებაში მიღებული სოციალური როლების მეშვეობით. მეორე – პირდაპირი, უშუალო ზემოქმედება, რომელიც შეადგენს ჩვენი ინტერესისა და მსჯელობის საგანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯგუფის უშუალო გავლენით ცვლილებებს ინდივიდის ქცევასა თუ შეხედულებებში სოციალურ ფსიქოლოგიაში აღნიშნავენ კონფორმულობის ცნებით. ტერმინი „კონფორმულობა“ ხშირად გვხვდება სოციალურ ფსიქოლოგიაში და მასში რამდენადმე განსხვავებული შინაარსი იგულისხმება. აბიტომ დგება კონფორმულობის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის, ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრის აუცილებლობა.

ხშირად კონფორმულობას უწოდებენ ადამიანთა ქცევაში ერთგვაროვნებას და ამბობენ, რომ ადამიანებს აქვთ ერთნაირი შეხედულებები, ღირებულებები, ქცევები, რადგანაც ისინი კონფორმულები არიან. მაგრამ შეხედულებებისა და ქცევების მსგავსება შეიძლება იყოს უნიფორმიზმისა და კონვენციონალიზმის შედეგი. განვასხვავოთ ეს სამი ცნება ერთმანეთისაგან.

სოციალურ შეხედულებებში, ქცევებში არსებული მაღალი უნიფორმულობა კონფორმულობას არ ნიშნავს. მრავალი მიზეზი განაპირობებს საერთო განწყობილებისა და ქცევის არსებობას საზოგადოებაში და ეს საერთოობა შესაძლოა სულაც არ იყოს ჯგუფის გავლენის, ჯგუფური „ზეწოლის“ შედეგი. მაგალითად, ყველა ადამიანს, მიუხედავად განათლების დონისა, აქვს შეხედულება,

რომ დედამიწა მრგვალია, მაგრამ ეს ადამიანის კონფორმულობის დამადასტურებელი საბუთი არ არის.

კონვენციონალიზმიც არ უდრის კონფორმულობას. საზოგადოდ მიღებულია, რომ კონვენციონალიზმი სოციალური ქცევის ის მექანიზმია, რომელიც მზა სახით არსებობს და მინიმალური კონფლიქტით სრულდება. ადამიანი რომ ატარებს შარვალს, პერანგს, ყელსახვევს, ისე როგორც ყველა სხვა, ესაღმება ხელის ჩამორთმევით, ეს არ არის მისი კონფორმულობის მაჩვენებელი. კონვენციონალიზმი და უნიფორმულობა შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს კონფორმულობით. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ კონფორმულ პიროვნებებს ტენდენცია აქვთ უფრო კონვენციალური ღირებულების მიღებისა, მაგრამ საწინააღმდეგო მტკიცება არ იქნება სწორი. ძლიერ კონვენციონალურ ინდივიდებს ხშირად აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ ჯგუფის ზეგავლენას.

კონფორმულობის არსი, უნიფორმულობასა და კონვენციონალიზმისაგან განსხვავებით, მდგომარეობს ჯგუფის „ზეწოლისადმი“ დათანხმებაში. კონფორმულობაზე რომ ვილაპარაკოთ, უნდა იყოს კონფლიქტი იმ ძალებს შორის, რომელნიც უბიძგებენ ინდივიდს იმოქმედოს ერთი სახით და იმ ძალებს შორის, რომელნიც გამოძდინარეობენ ჯგუფიდან და უბიძგებენ ინდივიდს იმოქმედოს მეორენაირად. არ არის აუცილებელი ჯგუფი იყოს წარმოდგენილი იქვე. უბრალოდ იმის ცოდნა, რომ ჯგუფის აზრი განსხვავდება მისი აზრისაგან, უბიძგებს პიროვნებას გადაწყვიტოს კონფლიქტი. როცა პიროვნება განიცდის თავის უთანხმოებას ჯგუფთან, მან ან უნდა აღიაროს თავისი დამოუკიდებლობა, ან გამოაცხადოს თანხმობა ჯგუფისადმი. კონფორმულ რეაქციას შეიძლება ჰქონდეს თვალსაჩინო ქცევის სახე ან მხოლოდ სიტყვიერი თანხმობით იყოს გამოხატული.

დღეისათვის ყველაზე ზუსტი იქნება კონფორმულობა განისაზღვროს, როგორც ცვლილება ინდივიდის ქცევაში, შეხედულებებში, სოციალურ განწყობებში, რწმენაში, რომელიც ჩნდება რეალური ან წარმოსახული ჯგუფის გავლენის შედეგად. ეს განსაზღვრება შედარებით ზოგადი შინაარსისაა და არ ითვალისწინებს უფრო ფაქიზ დიფერენციაციას კონფორმული ქცევის უკან მდგარი განსხვავებული ფსიქოლოგიური მექანიზმების მიხედვით.

➤ კომუნიკაცია

ცოცხალი ორგანიზმის მრავალ სახეობას კომუნიკაციის თავისი საკუთარი საშუალებები აქვს, რომელთა გამოყენებითაც ისინი მათორგანიზებულ გავლენას ახდენენ ურთიერთზე. ადამიანური მეტყველება, რომელიც კომუნიკაციის სპეციფიკურ იარაღს – ენას იყენებს, კომუნიკაციის ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმად ითვლება. მეტყველების პროცესში ადამიანები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ, რაც აზრების გადამცემისაგან და მიმღებისაგან გარკვეულ აქტივობას მოითხოვს. ეს აქტივობა სოციალურ ურთიერთქმედებას წარმოადგენს.


კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი, რომელიც ხორციელდება ადამიანებს შორის. კომუნიკაციაში ყოველთვის იგულისხმება ოთხი კომპონენტი, რომელთა გარეშეც რაიმე პროცესი კომუნიკაციურ აქტივობად ვერ ჩაითვლება. ეს კომპონენტებია: კომუნიკაციის გამცემი, კომუნიკაციის მიმღები, ინფორმაცია, რომლის გაცვლა ხდება და გარკვეული ენა.

ადამიანი, როგორც პიროვნება, საზოგადოებაში ყალიბდება. იგი იმთავითვე ერთვება სოციალურ გარემოში და მისი ცხოვრება მუდმივი კონტაქტების სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. მშობლები სპეციალურად ქმნიან გარემოს, რომელშიც შესაძლებელი ხდება ბავშვის ბუნებრივი განვითარება. ამ გარემოს ერთ-ერთ აუცილებელ ასპექტს ბავშვისა და მშობლის ურთიერთგაგება, შეთანხმებული ურთიერთმოქმედება წარმოადგენს. ადრეული ურთიერთგაგება ბავშვსა და მშობელს შორის სპეციალური ლინგვისტური საშუალებების გარეშე ხდება, მაგრამ მოზრდილი ადამიანისათვის ურთიერთმოქმედება არსებითად და ბუნებრივად არის დაკავშირებული მეტყველების საშუალების გამოყენებასთან. სამეტყველო იარაღი ენა, რომლითაც მშობელი და ბავშვი ავითარებენ და ამრავალფეროვნებენ თავიანთ თავდაპირველ ბუნებრივ კონტაქტებს, სოციალური წარმოშობისაა. ენა ადამიანთა სოციალური აქტივობის პროდუქტს წარმოადგენს და მისი საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია ამ ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სოციალური სტრუქტურის შესატყვისი ხდება.

ფსიქოლოგიაში, ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე, დასაბუთებულა, რომ ენის გამოყენებით, მეტყველებით ადამიანი მხოლოდ სხვა ადამიანის ქცევაზე როდი ახდენს გავლენას. ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბება, აზროვნება და თვითკონტროლი მეტყველებითი აქტივობის საშუალებით ხდება. ენის გამოყენებით ადამიანი ახდენს როგორც სხვისთვის გასაზიარებელი აზრის ფორმირებას, ისე აზრების თავისთვის ნათელყოფას.

ადამიანი გარეგანი მეტყველების გარდა შინაგან მეტყველება-საც მიმართავს. შინაგანი მეტყველება არ შეიძლება უბრალოდ აზროვნების, წმინდა ცნობიერების პროცესის სახით იქნეს გაგებული. შინაგანი მეტყველების დროს ადამიანი, მართალია, ხმამაღლა, სხვისთვის გასაგონად არ წარმოთქვამს სიტყვებს, მაგრამ იგი მეტყველებით აქტივობას მაინც მიმართავს. მისი მეტყველებითი აპარატი ამ დროს დიდი და რთული ელექტროიმპულსაციური აქტივობით ხასიათდება.

კომუნიკაციის პროცესის სპეციფიკური თავისებურება სწორედ ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლაში ვლინდება და ამ გზით ადამიანები ერთმანეთის ფსიქიკურ აქტივობაზე ახდენენ გავლენას. ეს პროცესი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს.



როგორც ამ სქემიდან ჩანს, პიროვნება კომუნიკაციის საშუალებით გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქიკურ აქტივობაზე და პირიქით, მისი საშუალებით თავადაც გავლენას განიცდის სხვა ადამიანისაგან. კომუნიკაციის პროცესთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ერთი (A) პიროვნება ცნობას, შეტყობინებას გადასცემს მეორე (B) პიროვნებას. ერთი პიროვნების მიერ მეორისათვის ცნობის მიწოდება ნიშნავს მეორე პიროვნების ცნობიერებაში და საერთოდ ფსიქიკაში მიზანდასახული ცვლილებების შეტანას. ამ დროს კომუნიკატორი იკავებს კომუნიკაციის მიმღების ცნობიერებას. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ კომუნიკაციის მიმღებმა არ მიიღოს ზუსტად ის ინფორმაცია, რაც მას კომუნიკატორმა გადასცა. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ინფორმაციის დაკარგვას, რაც ხშირად

აძნელებს კომუნიკაციის პროცესში მყოფ ადამიანთა თანამშრომლობას. ინფორმაციაში, ჩვეულებრივ მოცემულია არა მხოლოდ ინფორმაცია გარკვეული ობიექტების შესახებ, არამედ დამოკიდებულებაც ამ ობიექტის მიმართ. მაგალითად, კომუნიკატორის გამოთქმა: „ერთი თვის გავლის შემდეგ გუშინ ბოლოს და ბოლოს იწვიმა“, მის სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებას გამოხატავს ამ ფაქტისადმი, განსხვავებით მეორე კომუნიკაციისაგან, რომელიც ამავე ფაქტს ასე გადმოგვცემს: „ერთი თვის მზიანი დღეების შემდეგ მაინცდამაინც გუშინ იწვიმა“. ამ ფრაზებიდან ვიგებთ არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გუშინ იწვიმა, არამედ იმასაც, რომ პირველ კომუნიკატორს გუშინდელი წვიმისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო მეორეს — უარყოფითი. კომუნიკაციის პროცესის სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ადამიანები მეტყველების პროცესში ერთმანეთს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენების და საგნების შესახებ უზიარებენ აზრს, არამედ გადასცემენ თავიანთ დამოკიდებულებასაც ამ აზრების მიმართ.

ადამიანებს მეტყველება შეთანხმებული მოქმედების ორგანიზებისათვის სჭირდებათ და ამიტომ კომუნიკაციის პროცესში მათთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას თუ რა აზრებს უზიარებენ ერთმანეთს, არამედ იმასაც, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ ამ აზრების მიმართ. ადამიანთა შორის ნდობა და ურთიერთგაგება სწორედ მაშინ მყარდება, როდესაც მათ უჩნდებათ განცდა, რომ ერთნაირი დამოკიდებულებანი აქვთ ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.

ადამიანთა კომუნიკაციის პროცესები აღსავსეა მსგავსი სიტუაციებით, რომელშიც ადამიანები ობიექტების შესახებ ცნობათა გაცვლასთან ერთად არკვევენ თავიანთ დამოკიდებულებებს, განწყობებს ამ ობიექტებისა და ერთმანეთის მიმართ. კომუნიკაციის ყოველ პროცესში სხვადასხვა დოზით არის წარმოდგენილი ცნობა ობიექტებისა და პიროვნებების შესახებ, რომლებიც კომუნიკაციის პროცესში იმყოფებიან. საყოველთაოდ გავრცელებული პარადოქსული ფრაზა, რომ „ადამიანს ენა იმისათვის აქვს, რათა საკუთარი აზრები დამალოს“, იმდენად იმ აზრებს არ ეხება, რომელიც მეტყველების პროცესში გარკვეული ობიექტების შესახებ გამოითქმის, არამედ ამ აზრებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას და განწყობას.

„დიპლომატიური“ საუბრები აზრების საინტერესოდ გამოთქმას და გაშლას გულისხმობს. მაგრამ აზრების გაშლა ასეთ შემთხვევაში ისე ხდება, რომ იმავე დროს სხვისთვის დაფარული დარჩეს მოლაპარაკის დამოკიდებულება გამოთქმულისადმი. ასეთ სიტუაციებში კომუნიკაციის პროცესში მყოფი წევრები ცდილობენ მსმენელს შეუქმნან არასწორი შეხედულება მათი განწყობების და პოზიციების მიმართ, განხილული საკითხების და აზრების მიმართ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის პროცესში ადამიანები გამოთქვამენ გარკვეულ აზრებს საგნებისა და მოვლენების შესახებ და ამავე დროს გამოხატავენ თავის განწყობებს მათ მიმართ. კომუნიკაციის პროცესში ხდება ობიექტის თავისებურებათა და ადამიანთა დამოკიდებულებების შესახებ ცნობების გაცვლა. კომუნიკაციის პროცესის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ცნობათა ეს გაცვლა კომუნიკაციაში მყოფ პიროვნებათა ერთიანობის კავშირურთიერთობის სახით რეალიზდება. იგი კომუნიკაციის ერთიან ველში ხორციელდება და ამ ველის მთლიან თავისებურებებზე დამოკიდებულია კომუნიკაციის თითოეული წევრის კომუნიკაციური აქტივობა.

არსებითი ფენომენი, რომელიც ზოგიერთი მეცნიერის აზრით ხორციელდება კომუნიკაციის პროცესში, ეს არის „თანხმობა“. თანხმობა ესაა სინამდვილის მიმართ საერთო სურათის შექმნა მათ მიერ, ვინც გაერთიანებულია ერთიან, კოლექტიურ მოქმედებაში. თანხმობა იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანებისათვის ურთიერთზემოქმედების დროს არსებობს ერთი გარკვეული სიტუაცია, ერთიანი ფსიქოფიზიკური გარემო.

შიბუტანი იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ერთნაირად შეიძლება განიცდიდნენ ადამიანები გარემოს ერთიანი საქმიანობის დროს, განიხილავს რენოლდის შრომას, რომელიც ერთი საქმიანობით დაკავებულ ადამიანთა სისხლის შემადგენლობის გამოკვლევას ეხება. შესწავლილ იქნა ნიჩბოსანთა გუნდის წევრების ეოზინოფილების ცირკულაციის დონის ამადლების საკითხი. ამ თვალსაზრისით გამოიკვლიეს მწვრთნელის, მესაჭისა და ნიჩბოსანთა სისხლის ნიმუშები. აღმოჩნდა, რომ შეჯიბრების პროცესში, რომელიც მეტისმეტად დაბაბულად მიმდინარეობდა, მათი სისხლის ნიმუშები ერთსა და იმავე ტიპის სურათს იძლეოდნენ, თუმცა, მათი კუნთუ-

რი მუშაობა სულაც არ იყო ერთნაირი. ერთნაირი დამოკიდებულება სიტუაციისადმი, მისი ერთნაირი განცდა, სუბიექტების ერთნაირი ტიპის ზოგად რეაქციას იწვევს, რომლის ფონზე შემდგომ შესაძლებელი ხდება კომუნიკაციის ეფექტური განხორციელება. კომუნიკაციის ველი არის ადამიანთა ურთიერთმოქმედების ერთიანი ფსიქიკური მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სხვისი შესტებისა და საკომუნიკაციო წესების შესატყვისი ინტერპრეტაცია, სიტუაციის ერთგვაროვანი განცდა. სხვისი განცდების საკუთართან იდენტიფიკაცია, საკუთარი განცდების პროექცია სხვაში განამტკიცებენ და აღრმავენ თანხმობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანხმობის განვითარება და გაღრმავება სულაც არ ნიშნავს ადამიანთა შეხედულებების, ინტერესებისა და მისწრაფებების ჰარმონიზებას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს შიბუტანი, კონფლიქტის შემთხვევაშიც კომუნიკაციის პროცესში მყოფნი თანხმობაში არიან ურთიერთგაგების თვალსაზრისით. როდესაც მტრულ ურთიერთობაში მყოფი ადამიანებიდან ერთ-ერთი მეორეს შეურაცხყოფას აყენებს და მეორე ამის გამო აღშფოთებას გამოხატავს, ამით ორივე შინაგანად ადასტურებს თავის შეხედულებას ერთმანეთის მიმართ. ამავე დროს ისინი თანხმდებიან და ურთიერთს უდასტურებენ თავიანთ ანტიპატიურ დამოკიდებულებას. სრულიად გაუგებარი და არაკანონზომიერი ურთიერთმოქმედება აღმოცენდებოდა ასეთ ადამიანებს შორის და თანხმობის არაბუნებრივ დარღვევას ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, მათ შორის რომ სხვაგვარი ურთიერთმოქმედება გათამაშებულიყო. შიბუტანის მიხედვით, მაგალითად, შეურაცხყოფელი ქცევის საპასუხოდ მეორეს რომ ჩვეული კონტრდარტემის მაგივრად მოულოდნელად „მეორე ლოყა მიეშვირა“ და კეთილი ღიმილი გამოეხატა, ეს მათ შორის არსებულ თანხმობას, ურთიერთგაგებას სრულიად დაარღვევდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაცია არის გარკვეული „თანხმობის“ შემდგომი შენარჩუნება-განვითარების პროცესი, სულ ერთია, ეს თანხმობა უარყოფითი ნიშნით ხასიათდება, თუ დადებითით. თანხმობა იმაშიც, რომ ადამიანები ურთიერთისადმი თუნდაც უარყოფით დამოკიდებულებაში არიან, ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს კომუნიკაციის ველის ორგანიზებისათვის, რომლის შემდგომი ამა თუ იმ მიმართულებით განვითარება-გაღრმავება სოციალური ურთიერთმოქმედებით არის გაპირობებული.

კომუნიკაციის ველის ეს თავისებურება აქვთ მხედველობაში ამ საკითხთა მკვლევარებს, როდესაც ემპათიის ცნებაზე ლაპარაკობენ. ემპათიის ცნებაში იგულისხმება სოციალური ბუნების ფსიქიკური პროცესი, რომელიც ადამიანს უჩნდება, როგორც სხვისი შინაგანი ბუნების გაგების განცდა. ხშირად ადამიანები კომუნიკაციის პროცესის განხორციელებამდეც უგებენ ერთმანეთს. მათ შორის თითქოს ადგილი აქვს ერთგვარ „თანაგაგების“ პროცესს. მკვლევარებმა სცადეს მოეხდინათ ემპათიის უნარის გაზომვა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანების ურთიერთისაგან განსხვავება. ეს საშუალებას მოგვცემდა ემპათია გამოგვეყენებინა, როგორც ტიპოლოგიური პიროვნული ნიშანი, მაგრამ ეს განცდა თავისი მრავალგანზომილებიანობის გამო უფრო რთული გასაზომი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

რაც უნდა რთული სტრუქტურის იყოს ემპათიის განცდა, იგი, ჩვენი აზრით, კომუნიკაციის ველის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც კომუნიკაციური ურთიერთობის, განვითარების მაღალ საფეხურზე დამოუკიდებელი და თავისთავადი განცდის სახით გვეძლევა. იგი კომუნიკაციის პროცესის კონვენციური ელემენტების გამოყენებამდე იგულისხმება და კომუნიკაციის მთლიან კონტექსტში ხორციელდება.

კომუნიკაციის პროცესის ანალიზის დროს ერთმანეთისაგან ადგილი გამოსარჩევია ინფორმაციის გადამცემი, ინფორმაციის მიმღები, ინფორმაცია, ცნობა, რომლის გაზიარება ხდება ამ პროცესში და ის იარაღი — ენა, რომელიც, როგორც ობიექტური საშუალება, გამოიყენება, ამ პროცესის გასახორციელებლად.

კომუნიკაცია ყოველთვის ორმხრივ პროცესს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ადამიანი უყვება მეორეს გარკვეულ ამბავს და მეორე მხოლოდ მსმენელის როლში გამოდის, ამ დროსაც მთხრობელი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, გაიგო თუ არა მისი ნათქვამი მსმენელმა, როგორ გაიგო და სხვა. მაშინაც კი, როდესაც მსმენელი ნამდვილად არ უგდებს ყურს მოსაუბრეს, მან გარკვეულ მომენტებში ისეთი რეაქციები უნდა განახორციელოს, თითქოს მას ნამდვილად ესმის მოსაუბრისა. როდესაც მოსაუბრეს უკუუკავშირების საფუძველზე შთაბეჭდილება რჩება რომ მას უსმენენ, ის ჩვეულებრივ აგრძელებს თხრობას. მაგრამ საკმა-

რისია მან აღმოაჩინოს, რომ მის მსმენელს თურმე ჩაეძინა და აღარ უსმენს, რომ მთხრობელმა შეწყვიტოს კომუნიკაციური აქტივობა. კომუნიკატორის აქტივობა ყოველთვის გულისხმობს იმის დადასტურებას, რომ კომუნიკაციის პროცესი ხორციელდება.

ინფორმაციის ყოველგვარი გადაცემა კომუნიკაციის პროცესად ვერ ჩაითვლება. მეტყველების საკითხების შესწავლისას ხშირად მიუთითებენ, რომ ადამიანები ზოგჯერ მეტყველებას კომუნიკაციის მიზნით არ იყენებენ. თავის ფიქრებში ჩაძირული ან განრისხებული ადამიანი ზოგჯერ თავისთავს ელაპარაკება, საიდანაც დამკვირვებელმა გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მიიღოს. ასეთ შემთხვევების განხილვის დროს ზოგჯერ ძნელია იმის დადგენა, გვაქვს თუ არა საქმე კომუნიკაციის პროცესთან. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი გარკვეულ წარმოსახულ პიროვნებას ეკამათება და ესაუბრება, ასეთი აქტივობა კომუნიკაციის პროცესის კანონზომიერებით ხასიათდება. მაგრამ თუ ადამიანი ხმაძალა გამოხატავს თავის განცდებს, ისე რომ ის არც რეალური და არც წარმოსახული პიროვნებისაკენ არაა მიმართული, ასეთ შემთხვევაში განცდების გამოხატვის ექსპრესიის პროცესთან გვაქვს საქმე, რაც არსებითად განსხვავდება კომუნიკაციური აქტივობისაგან. მეტყველება პირობითად და ძირითადად, კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ მეტყველების ფაქტი ყოველთვის არ მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ აუცილებლად კომუნიკაციის პროცესთან გვაქვს საქმე.

არც ის უკიდურესად საწინააღმდეგო აზრია მისაღები, რომელსაც ფ. პიაჟე ავითარებს. პიაჟეს აზრით, მეტყველება დასაწყისში, სანამ ბავშვის სოციალიზაცია მოხდებოდეს, არსებითად ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს. ბავშვის ე.წ. „ეგოცენტრული მეტყველება“, პიაჟეს აზრით, კომუნიკაციის ფუნქციას არ ემსახურება. ეგოცენტრული მეტყველების პროცესში ბავშვი თავისთვის ლაპარაკობს, ის არ ითვალისწინებს მსმენელს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მეტყველება თავისი ბუნებით არაა სოციალური ხასიათის მქონე აქტივობა. იგი სოციალური უნდა გახდეს განვითარების პროცესში. პიაჟეს აზრით, მეტყველების სოციალიზაცია 7 წლის ასაკში მიიღწევა, მაგრამ ვიგოტსკის და მილერის გამოკვლევათა საფუძველზე ირკვევა, რომ ე.წ. ეგოცენტრული მეტყველება მხოლოდ ექსპრესიის მოთხოვნილებას არ უნდა აკმაყოფილებდეს.

კომუნიკაციის პროცესი კომუნიკაციის საერთო ველის შექმნით იწყება. ამ დროს კომუნიკაციის პროცესში მოფ ინდივიდებს ექმნებათ გარკვეული პოზა, პოზიცია, განწყობა, მოლოდინები გარკვეული აზრის, ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, როდესაც ქუჩაში უცნობი ისეთ პოზას იღებს თითქოს რაღაცის შეკითხვა სურს, ჩვენ ვემზადებით მისი შეკითხვის გასაგებად. თუ უცნობმა შეკითხვა ისეთი აქცენტით მოგვცა, რომლის მოსმენას მისგან ჩვენ სრულიად არ ველოდით, ჩვენი ფსიქოფიზიკური მომზადება, შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს შეკითხვის გასაგებად და შეიძლება მექანიკურად ვკითხოთ: „რა ბრძანეთ?“ ასეთ შემთხვევაში გამეორებულ შეკითხვას ჩვენ მეტი გულსყურით ვხვდებით და უფრო ადვილად ვახერხებთ მის გაგებას.

კომუნიკაციის პროცესს ადამიანები გარკვეული საჭიროების გამო მიმართავენ. იგი მოტივირებული პროცესია. ადამიანს ის რაღაცისათვის სჭირდება. საკითხავია, რისთვის სჭირდებათ ადამიანებს გარკვეული ინფორმაციის გადაცემა და იმის დადასტურება, რომ იგი მიღებულ იქნეს პარტნიორის მიერ? ამისათვის გარკვეული მოტივები არსებობს და ისინი შეიძლება სათანადოდ იქნეს კლასიფიცირებული.

ნიუკომბი ამგვარი მოტივების კლასიფიკაციისას იყენებს მოტივთა ორიენტირების პრინციპს კომუნიკაციის წევრების მიმართ. კომუნიკაცია ყოველთვის იმისათვის სრულდება, რომ კომუნიკაციის წევრებს სჭირდებათ გარკვეული ინფორმაცია თავისი საქმიანობის გასახორციელებლად. კომუნიკაციის პროცესში სუბიექტი შეიძლება იმისათვის ერთგებოდეს, რომ ძირითადად მას სჭირდება ინფორმაციის გაცემა. შესაძლებელია სუბიექტი კომუნიკაციის პროცესში იმისათვის შედიოდეს, რომ მისი პარტნიორის საქმიანობისათვის არის საჭირო გარკვეული ინფორმაციის გაცემა.

გარდა ამისა, შესაძლებელია, კომუნიკაციის პროცესში გადაიქცეს ინფორმაცია, რომელიც ორივე წევრს სჭირდება. ამ თვალსაზრისით, ნიუკომბი განასხვავებს კომუნიკაციის პროცესის სამ სახეს.

1. კომუნიკაციის პროცესს ადამიანი იმიტომ ახორციელებს, რომ მას თვითონ სჭირდება ინფორმაციის გაცემა. ეს არის თავისთავზე ორიენტირებული მოტივით გახორციელებული კომუნიკაცია. კომუნიკაციის ასეთ პროცესს იმისათვის აღძრავს და წარმართავს

A სუბიექტი, რომ ამ პროცესიდან მიიღოს გარკვეული სარგებლობა, მისი დახმარებით უკეთესად წარმართოს თავისი საქმიანობა.

2. კომუნიკაციის პროცესში შეიძლება იმისათვის შედლოდეს ადამიანი, რომ ინფორმაციის გაცვლა მეორე, B სუბიექტს, სჭირდება და მისი საქმიანობის ნაყოფიერი წარმართვისათვის არის საჭირო. ასეთი აქტივობა სხვისადმი ორიენტირებული მოტივით ხორციელდება.

3. კომუნიკაციის პროცესი ძალიან ხშირად იმისათვის ხორციელდება, რომ იგი კომუნიკაციის ორივე წევრის საქმიანობისათვის არის საჭირო.

მიუხედავად იმისა, თუ რა მოტივით ხორციელდება კომუნიკაციის პროცესი, ადამიანმა ამ პროცესში ისეთი ზემოქმედება უნდა მოახდინოს პარტნიორზე, რომ ის თანახმა იყოს კომუნიკაციის გაგრძელებაზე. ამის ფუნქციას მეტყველების პროცესში გამოხატული განწყობები და ორიენტაციები ასრულებენ, რომელთა შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ. კომუნიკაციის პროცესში გამოხატული განწყობები გარკვეულ კანონზომიერ გავლენას ახდენს ადამიანზე და კომუნიკაციის შეწყვეტას ან განმტკიცება-გაზანგრძლივებას იწვევს. ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე კარგად არის ცნობილი, რომ ურთიერთისადმი დადებითი განწყობის შემთხვევაში ადამიანები კომუნიკაციის უფრო მეტ აქტებს ახორციელებენ, ვიდრე უარყოფითი განწყობის შემთხვევაში.

ექსპერიმენტული გამოკვლევები უჩვენებენ, რომ არსებობს გარკვეული სიტუაციები, სოციალური გარემო, რომელიც იწვევს კომუნიკაციის პროცესის გაძლიერებას; არის სიტუაციები, სადაც ადამიანებს ტენდენცია ექმნებათ მიიღონ ინფორმაცია პარტნიორისაგან; არის სიტუაციები, სადაც ადამიანს ინფორმაციის გაცემის ტენდენცია უძლიერდება; ზოგიერთ სოციალურ სიტუაციაში კი, საერთოდ კომუნიკაციის აღკვეთის ტენდენცია უჩნდება.

➤ ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი

სინამდვილესთან დაპირისპირების პროცესში ადამიანი აჩერებს იმპულსურ აქტივობას და აცნობიერებს თავისი აქტივობის კომპონენტებს: ქცევაში ჩართულ საგნებს, თავის „მე“-ს, საკუთარ ქცევას და სხვა ადამიანებს. მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული თვალსაზრი-

სით, მას თავისი “მე”-ს გაცნობიერებაც უხდება. ამგვარი აქტების გარდა ადამიანი აცნობიერებს თავის მოთხოვნილებებს, მისწრაფებებს, შემეცნების უნარს, ხასიათის თავისებურებებს და სხვა.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შექმნაში, საკუთარი თავის უშუალო განცდის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ადამიანთა რეაქციებს პიროვნების „მე“-ს მიმართ. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი ამ მონაცემების ერთიანობის საფუძველზე იქმნება.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი წარმოადგენს ადამიანის პიროვნულ გარკვეულობას, ერთი მხრივ, დროსა და სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ ურთიერთობათა პროცესში. ამიტომ მის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის წარმოდგენები საკუთარი პიროვნების შესახებ და ისიც, თუ რა ადგილს იკავებს იგი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორია სოციალური გარემოს რეაქცია მის მიმართ. ამ სახით ჩამოყალიბებულ შეხედულებას საკუთარი თავის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისათვის, რადგან რასაც აკეთებს ან არ აკეთებს ადამიანი, მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული იმით, თუ რა შეხედულება აქვს მას საკუთარ თავზე.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი არ დაიყვანება და არ ამოიწურება შეხედულებით საკუთარი გარეგნობის შესახებ, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის ჩამოყალიბებაში. ამის საუკეთესო დადასტურებას იძლევა მოლტზის მდიდარი პრაქტიკა, რომელიც მან, როგორც ქირურგმა მიიღო.

მოლტზი იყო სახის პლასტიკური ოპერაციების ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი. მან თავისი პრაქტიკის პროცესში შეამჩნია, რომ სახის პლასტიკური ოპერაციის შემდეგ მისი ბევრი პაციენტი ფიზიკური ცვლილებების, გარეგნული ესთეტიზების გარდა ღრმა ფსიქოპიროვნულ ცვლილებებს განიცდიდა. შემდგომ სპეციალური დაკვირვებებისა და გამოკვლევების საფუძველზე მან დაადგინა, რომ საკუთარ გარეგნობაში რადიკალურ ცვლილებებს შეუძლიათ გარკვეული ცვლილებების შეტანა პიროვნებაში.

წარმოდგენებს თავისი გარეგნობის შესახებ ფსიქოლოგიურ ავტოპორტრეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ იგი მხოლოდ თვალსაჩინო წარმოდგენების ერთობლიობით არ ამოიწურება. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი ისეთ შინაარსს გულისხმობს, რო-

მელიც მნიშვნელოვნად სცილდება იმ დროულ და სივრცულ საზღვრებს, რომელიც ადამიანის სხეულს უკავია. თავისი საკუთარი სხეულის ფარგლებს გარეთ განცდასა და გაფართოებას ადამიანი ე.წ. იდენტიფიკაციის ფენომენის საფუძველზე ასრულებს. ცნობილია, რომ ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ თავის წინაპრებთან, სამართლიანად ამაყობენ ხოლმე წინაპრების ღირსებებით, თავიანთი ხალხის ისტორიითა და კულტურით. მათ მიმართ უდიერ მოპყრობას ხშირად ადამიანები საკუთარი პიროვნების ხელყოფად მიიჩნევენ. ასეთ შემთხვევებში მათ ექმნებათ განცდა, რომ მის პიროვნებას შეეხნენ. პატრიოტული გრძნობების, საკუთარი ხალხის წარსულის პატივისცემა, ცხადია, იდენტიფიკაციით არ ამოიწურება, მაგრამ ამ ფენომენს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ადამიანი თავის პიროვნებას მომავალზეც აერცვლებს. შეილება ისა და ქვეყნის მომავალი თაობის წარმატება—წარუმატებლობას იგი ხშირად ისევე ემოციურად განიცდის, როგორც საკუთარ მდგომარეობას. იდენტიფიკაციის ფენომენი აქაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის მნიშვნელოვან კომპონენტებს ისეთი მოვლენებიც წარმოადგენენ, რომლებიც მის დაბადებამდე არსებობდა ან მისი სიკვდილის შემდეგ მოხდება. ადამიანი ხშირად ძნელ და სასახელო საქმიანობას ეწევა იმის გამო, რომ, მისი სახელოვანი წინაპრების ჩამომავალს არ შეჰფერის სხვაგვარი მოღვაწეობა. ასევე ხშირად ადამიანები დაძაბული ფიზიკური და სულიერი აქტივობის ფასად ქმნიან პირობებს, რომლებშიც მათი შეილები — მომავალი თაობა— მიიღებს მატერიალურ და სულიერ დაკმაყოფილებას. მომავალი თაობებისადმი სამსახური გაფართოებული პიროვნული ინტერესებისადმი სამსახურია. ვინც ასეთ საქმიანობას ეწევა, მისი ფსიქიკური ავტოპორტრეტი მნიშვნელოვნად სცილდება მისივე სხეულის დროით და სივრცით საზღვრებს. ასეთი მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტი არ არის მხოლოდ საკუთარი სხეულის ან სულიერი პროცესების შესახებ შემუშავებული წარმოდგენები და აზრები.

ყოველივე ამის საფუძველზე, რასაც დიდი პიროვნული ღირებულება აქვს ადამიანისათვის და რის გამოც იგი გარკვეულ აქტივობას ახორციელებს, ადამიანს ექმნება ფსიქიკური ავტოპორტრეტი. იგი არის შეხედულებათა სისტემა საკუთარი თავის შესახებ.

ფსიქიკური ავტობორტრეტი მხოლოდ საკუთარი თავის უშუალო განცდისა და თვითდაკვირვების მონაცემების საფუძველზე არ იქმნება. მისი ფორმირებისათვის ერთ-ერთ სერიოზულ წყაროს პიროვნებისადმი სხვა ადამიანების რეაქციები წარმოადგენენ.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გერმანელი ფსიქოლოგის მეცგერის გამოკვლევები. დაწყებით კლასში მიღებული მცირეწლოვანი ბავშვები ასაკობრივი შეუსატყვისობის გამო ძნელად ითვისებდნენ მიწოდებულ მასალას. ისინი იმავე კლასში დატოვების შემდეგაც ცუდ მოსწავლეებად დარჩნენ, თუმცა გარკვეული ცოდნა მაინც შეიძინეს. აღმოჩნდა, რომ თავისთავის შესახებ მათ შემუშავეს ცუდი მოსწავლის შეხედულება, რადგან მათ ასე აფასებდნენ. ასეთი თვითშეფასება მეტად უარყოფითი ზემოქმედების მომხდენი აღმოჩნდა მათ შემდგომ სწავლის პროცესზე.

მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაასაბუთეს, რომ საკუთარი თავის შესახებ შეხედულების შემუშავების პროცესში სხვის შეხედულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. ადამიანი თავისი „მე“-ს განსაზღვრის დროს საზოგადოებას იყენებს როგორც სარკეს. ისე როგორც სარკე გვაძლევს ჩვენი გარეგნობის სურათს, საზოგადოება, სხვა პიროვნებები თავიანთი რეაქციებით გვაძლევენ „მე“-ს ზატს. თუ საზოგადოება მუდმივად და სტერეოტიპულად ეპყრობა ადამიანს, როგორც განსაკუთრებულ, გამორჩეულ პიროვნებას, ასეთ შემთხვევაში, ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, თავისთავს განიცდის როგორც გამორჩეულსა და განსაკუთრებულს.

ფსიქიკური ავტობორტრეტის ფორმირებისას, თავისი თავისა და თავის ქცევათა უშუალო განცდის გვერდით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა რეაქციებს იღებს ადამიანი საკუთარი სოციალური გარემოდან მისი „მე“-ს შეფასებისას. უშუალო განცდებისა და იმ შეფასებათა ერთიანობის საფუძველზე, რომელიც მისი აზრით არსებობს საზოგადოებაში მასზე, ადამიანს უყალიბდება ფსიქიკური ავტობორტრეტი. ფსიქიკური ავტობორტრეტი წარმოადგენს თვითგანცდისა და ფსიქიკურ აქტივობათა ნაყოფს, რის გამოც ის სოციალურ ფსიქოლოგიურ ფენომენტა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ადამიანები თავისი აქტივობის მხოლოდ ძირითად ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს არ იკმაყოფილებენ. ისინი ცდილობენ ისეთი საქმიანობა

განახორციელონ, რაც მის ფსიქიკურ ავტოპორტრეტთანაა დაკავშირებული და პირიქით. მეორე მხრივ, ადამიანები ხშირად უკმაყოფილონი არიან საკუთარი ფსიქიკური ავტოპორტრეტით, რის გამოც დაძაბულ აქტივობას მიმართავენ: შურს იძიებენ, იბრძვიან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და სხვა.

ფსიქიკური ავტოპორტრეტის ძირითად ჩონჩხს ადამიანის მოტივთა სისტემის ის იერარქია ქმნის, რომელიც პიროვნებას სოციალური ურთიერთქმედების პროცესში აქვს შემუშავებული. მართალია, ფსიქიკური ავტოპორტრეტი ტენდენციურად, სელექციურად არის შედგენილი, მასში როგორც წესი, ადამიანისათვის კარგი და მისაღები მხარეებია წინ წამოწეული და გაზვიადებული, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მასში მაინც აისახება ადამიანისათვის უსიამოვნო და მიუღებელი მხარეები. ადამიანებს მეტ-ნაკლებად მიკერძოებული და შელამაზებული ფსიქიკური ავტოპორტრეტი აქვთ, მაგრამ თავისთავს მაინც არავენ თვლის ბოლომდე იდეალურ ადამიანად.

საკუთარი ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის ზოგიერთი მხარის მიმართ, ჩვენ უარყოფითი დამოკიდებულებანი გვაქვს. ადამიანებმა ბევრი რამ იციან თავისი ნაკლის შესახებ, რომელთაც ყოველთვის ვერ უმაღავენ სხვებს და საკუთარ თავს. მაგალითად, ნარკომანებს, მართალია, სათანადო „იდეოლოგიაც“ აქვთ შემუშავებული და ამტკიცებენ, რომ ცხოვრების სხვა მისწრაფებანი ფუჭია და თავისმოტყუებაა, მაგრამ მრავალი ნარკომანი ნათლად განიცდის, რომ იგი თავისი მავნე მოთხოვნების მსხვერპლია. იგი შინაგანად დაპირისპირებულია და ებრძვის ამ მისსავე მიუღებელ ტენდენციას, მაგრამ ვერ ახერხებს მის დათრგუნვას. სხვათა შორის, ნარკომანის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ და მნიშვნელოვან ეტაპს, სწორედ ეს ფსიქოლოგიური ბრძოლა წარმოადგენს. მის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი საშუალება, მკურნალობა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ ამ პროცესში ნარკომანი თავისი ვიტალური მოთხოვნისათვის წინააღმდეგ მკურნალის მხარდაჭერი იქნება.

ადამიანებმა ზოგჯერ იციან თავიანთი ზოგიერთი უარყოფითი პიროვნული მხარის შესახებ. ამიტომაც, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტის მიმართ მათ რთული და დიფერენცირებული განწყობები აქვთ. ინდივიდები ზოგიერთი პიროვნული ნიშნით ამაყოფენ, მოსწონთ ისინი, ზოგიერთი თვისების მიმართ კი მათ უარყოფითი

დამოკიდებულება აქვთ. ამის გამო ადამიანები მუდმივად ცდილობენ ფსიქიკური ავტოპორტრეტის რეკონსტრუქციას იმ იდეალური პორტრეტის დასამსგავსებლად, რომლის ხატი მათ სოციალური ურთიერთობის პროცესში აქვთ შექმნილი.

ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტი ადამიანის ქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს. ფსიქიკურ ავტოპორტრეტს თავისთავად და დამოუკიდებლად არ შეუძლია ადამიანის ქცევაზე გავლენის მოხდენა. იგი ქცევის მორგანიზებელი მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს.

ფსიქიკური ავტოპორტრეტი ადამიანის სოციალური ქცევის განმსაზღვრელი განწყობის ფორმირებაში მონაწილეობს, იგი სოციალური განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ შინაგან ფაქტორს წარმოადგენს. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის სოციალური ქცევის შესწავლის, სოციალური ქცევის განწყობათა ფორმირების კვლევის პროცესში.

იმპულსური აქტივობის დროს ადამიანი არც განიცდის თავის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს. მისი აქტუალიზაცია, განცდა ადამიანს მაშინ უჩნდება, როდესაც იმპულსური ქცევა გარკვეულ კონფლიქტში მოდის მის პიროვნებასთან. როდესაც ადამიანი ალტერნატივის წინაშე დგას, მაშინ განსაკუთრებით ნათლად განიცდის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს. იგი მხოლოდ ხატი ან ცოდნა არ არის საკუთარ თავზე. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი ამავე დროს იმ მოტივების, მოთხოვნებისა და მისწრაფებების ერთობლიობაა, რომელიც ადამიანს, როგორც მოქმედ პიროვნებას აქვს.

იურიდიული ფსიქოლოგია

იურიდიული ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკური კანონზომიერებებისა და ფსიქოლოგიური ცოდნის გამოვლინებასა და გამოყენებას სამართლებრივი რეგულირების სფეროსა და იურიდიულ საქმიანობაში.

იურიდიული ფსიქოლოგიის ამოცანებია:

- განახორციელოს ფსიქოლოგიური და იურიდიული ცოდნის მეცნიერული სინთეზი;
- გახსნას ბაზისური სამართლებრივი კატეგორიების იურიდიულ-ფსიქოლოგიური არსი;
- უზრუნველყოს იურისტების მიერ თავიანთი საქმიანობის ობიექტის – ადამიანის ქცევის – სიღრმისეული გაგება;
- ახსნას სამართლებრივი მიმართებების სხვადასხვა სუბიექტების ფსიქიკური საქმიანობისა და მდგომარეობის თავისებურებები;
- შეიმუშაოს რეკომენდაციები საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების დახელოვნებასთან დაკავშირებით.

ფსიქოლოგიური ცოდნა აუცილებელია იურისტისათვის ბაზისური სამართლებრივი კატეგორიების(როგორცაა: ბრალი, მოტივი, მიზანი, დამნაშავეს პიროვნება და ა.შ.) და ცალკეული იურიდიული საკითხების(მაგ., სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა, დანაშაულის კვალიფიკაცია და სხვ.) გადასაჭრელად.

იურიდიულ ფსიქოლოგიაში გამოყენებულ კვლევის ზოგად-ფსიქოლოგიურ მეთოდებს აქვს განსაზღვრული საეციფიკა, რაც გაპირობებული გამოსაკვლევი ობიექტის თავისებურებებით. ამ მეთოდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტრუქტურულ ანალიზს, ბუნებრივ ექსპერიმენტს, დაკვირებას, დოკუმენტების შესწავლას, კონტენტ-ანალიზსა და ინტერვიურებას.

სტრუქტურული ანალიზის მეთოდი წამყვან როლს ასრულებს სამართლის სხვადასხვა სუბიექტის, დამნაშავეს პიროვნების ფსიქიკური ნიშან-თვისებების, აგრეთვე განსხვავებული სახის იურიდიული საქმიანობის ფსიქოლოგიური არსის შესწავლაში.

იურიდიული ფსიქოლოგიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ფაქტორული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს. მათი ერთობლიობა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს გამოსაკვლევი მოვლენის ფუნქციონირების მიზეზები და პირობები.

სასჯელადსრულებითი ფსიქოლოგიის ამოცანების გადასაწყვეტად ფსიქოლოგიურ მეთოდებთან ერთად პედაგოგიური მეთოდებიც გამოიყენება.

იურიდიულ-ფსიქოლოგიურ კვლევებში ზოგჯერ იყენებენ ლაბორატორიულ ექსპერიმენტსაც, მაგრამ ფართოდ გავრცელებულია ბუნებრივი ექსპერიმენტი, როდესაც გამოსაცდელი პირები ექსპერიმენტის გარემოს აღიქვამენ როგორც ნამდვილს. დიდი გამოყენება აქვს, ასევე, საუბრის მეთოდსაც.

იურიდიული ფსიქოლოგიის დამხმარე მეთოდია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების, საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების შესწავლა.

პიროვნების შესასწავლად გამოიყენება, ასევე, ბიოგრაფიული, დამოუკიდებელ მახასიათებელთა განზოგადების მეთოდები, ანკეტირება და სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

ბიოგრაფიული მეთოდი — ეს არის ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლა და განზოგადება. იგი კვლევის გენეტიკური მეთოდის ნაირსახეობას წარმოადგენს. ამასთან, ცნობები მიიღება გამოსაკვლევი პირის ავტობიოგრაფიიდანაც, მასთან დაკავშირებული დოკუმენტებიდან, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებებიდან. აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავების დახასიათებას და ა.შ. ეს მონაცემები, შესაძლოა, არ იყოს ადეკვატური, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ბიოგრაფიული დოკუმენტი პიროვნების მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას ადასტურებს, რომლის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია პიროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი. ფსიქოლოგიური გამოკვლევისას შეიძლება სხვადასხვა ტესტებისა და კითხვარების გამოყენებაც.

დამოუკიდებელი მახასიათებლების განზოგადების მეთოდი დაკავშირებულია სხვადასხვა წყაროებიდან პიროვნების შესახებ საშსახურებრივი ცნობების მიღებასთან, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მისი ტენდენციური, არაადეკვატური შეფასება.

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ანუ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ინდივიდში შესაძლო ფსიქიკური ანომალიების გამოვლენა ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით.

მასიური გამოკვლევისას, ტესტირების გარდა, ფართოდ გამოიყენება ანკეტირება და ინტერვიუება.

იურიდიული ფსიქოლოგიის სპეციფიკურ მეთოდს შეადგენს ცალკეული შემთხვევის შესწავლა ანუ მონოგრაფიული მეთოდი. მაგალითად, ერთი რომელიმე კონკრეტული მოვლენის ძირფესვიანი სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა.

იურიდიული ფსიქოლოგიის სტრუქტურა

იურიდიულ ფსიქოლოგიას აქვს კატეგორიათა საკუთარი სისტემა, რომელიც სამართლებრივი რეგულაციის სფეროში ადამიანის ჩართულობის ლოგიკას შეესატყვისება. იგი შედგება ხუთი ნაწილისაგან. ესენია:

- სამართლებრივი ფსიქოლოგია;
- კრიმინალური ფსიქოლოგია;
- სისხლის სამართალწარმოების ფსიქოლოგია, რომელიც თავის მხრივ ორი ნაწილისაგან შედგება: წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგია და სასამართლო ფსიქოლოგია;
- სასჯელაღსრულებითი ფსიქოლოგია;
- სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ფსიქოლოგია.

კრიმინალური ქცევის დეტერმინაციის ფსიქოლოგიური, გენეტიკური და სოციალური ფაქტორების სისტემა

კრიმინალური ფსიქოლოგია – ეს არის იურიდიული ფსიქოლოგიის დარგი (სფერო), რომელიც შეისწავლის სამართალდამრღვევთა ფსიქოლოგიას, დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების მიერ დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, დანაშაულისა და იურიდიული პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

1. სისტემური მიდგომა ქცევითი მოვლენების ანალიზისადმი.

ადამიანის ქცევა რთული მრავალფაქტორიანი მოვლენაა. მისი შესწავლა მოითხოვს სისტემური ალბათური პროცესების შესახებ თანამედროვე წარმოდგენების ცოდნას. ყოველი ქცევითი აქტის არსი

განსაზღვრება მისი ადგილით პიროვნების ქცევის ზოგად სტრუქტურაში. ინდივიდუალური განვითარების პროცესში ქცევითი სისტემები ტრანსფორმირდება ინდივიდუალური ქცევითი სტრატეგიის რთულ კომპლექსში და წარმოქმნიან პიროვნების ქცევით ტიპს.

ადამიანის ქცევა დეტერმინირებულია და კანონზომიერად გაპირობებულია სხვადასხვა ფაქტორთა სისტემით.

ტრადიციულად ეს ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად – სოციალურად და ბიოლოგიურად. თუმცაღა, ნორმიდან გადახრილი ქცევის მრავალრიცხოვანი გამოვლინებების ანალიზის საფუძველზე, მეცნიერი ფსიქოლოგები მივიდნენ იმ აუცილებლობამდე, რომ ზემოხსენებული პრობლემის წინ წამოწევა საჭიროა განსხვავებულ, სისტემურ – ინტეგრირებულ პლანში.

დიღემაში, სოციალური თუ ბიოლოგიური, აუცილებელია სისტემის წარმომქმნელი „ფსიქიკური“ ფაქტორის შემოტანა და ადამიანის ქცევის დეტერმინაციის პრობლემების ერთობლიობის, როგორც სოციო-ფსიქო-ბიოლოგიური კომპლექსის, განსაზღვრის აღნიშვნა. ამასთან, „ფსიქო“ ფაქტორის შუალედური მდგომარეობა აღნიშნავს მის ინტეგრირებად ფუნქციას როგორც სოციალურ, ასევე ბიოლოგიურ ფაქტორთან მიმართებაში.

კრიმინალური ქცევის დეტერმინაციაზე საუბრისას აუცილებელია, მივეთითოთ პრობლემის ანალიზის ძირითად პრინციპებზე.

1. კრიმინალური, ისევე როგორც ნორმალური ქცევა, მრავალფაქტორულია. ის არ წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე მიზეზის შედეგს.

მაგრამ მრავალფაქტორული განპირობებულობა და ცალკეული ინდივიდუალური დანაშაულის ალბათური ხასიათი არ მიუთითებს მისი შესწავლის პრინციპულ შეუძლებლობაზე. აქ უპირატეს მნიშვნელობას იძენს დამნაშავეთა ცალკეული კატეგორიებისთვის დამახასიათებელი ტიპიური ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, ღირებულებითი ორიენტაციები, ასოციალური და ანტი-სოციალური სტერეოტიპების სისტემები, რომლებიც წარმოქმნიან დანაშაულებრივ ქცევას.

სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები იქცევიან კრიმინალური ქცევის დეტერმინანტებად არა თავისთავადად, არამედ ინტეგრირდებიან დამნაშავის პიროვნულ-ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებებში.

2. კრიმინალური ქცევა განსხვავდება სოციალურ-პოზიტიური ქცევისგან როგორც მიმართულების შინაარსობრივი, ასევე ფსიქორეგულაციური თავისებურებებით. სქემატურად ადამიანის ქცევა ხასიათდება მისი მოთხოვნილებების სფეროთი, გაცნობიერებული და გაუსცნობიერებელი მისწრაფებებით, მიზანდასახულობისა და მიზნის მიღწევის თავისებურებებით.

დამნაშვეთა ურმაველსობის ქცევისთვის დამახასიათებელია სოციალურ-ღირებულებითი დეზადაპტაცია და თვითრეგულაციის დეფექტები. ინდივიდის დაბალი რეგულაციური შესაძლებლობებისას ასოციალური და ანტისოციალური განწყობები და ჩვევები არა მხოლოდ არ კონტროლდებიან, არამედ თვითონ წარმოადგენენ ქცევის მიზნის ჩამომყალიბებელ მექანიზმებს.

3. დანაშაულებრივი ქცევა ხორციელდება ინდივიდის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნის საფუძველზე, თვითგამართლებადი მოტივაციის მექანიზმის დახმარებით, რაც გამოვლინდება საზოგადოდ მიღებული ფასეულობების უგულებელყოფაში.

მაინც რა თვისებებია არსებითი დამნაშავეის პიროვნებისათვის, რომლებიც განაპირობებენ მის დანაშაულებრივ ქმედებას?

ადამიანის ქცევა დეტერმინირდება მისი მოთხოვნილებით — ორიენტაციული სფეროთი, მის მიერ აღიარებული ფასეულობების სისტემით, სოციალიზირების დონით, ზოგადსაკაცობრიო კულტურასთან ზიარების ხარისხით. ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით, არ არის განწირული ქცევის რომელიმე ერთიანი სქემის შესრულებისათვის, არამედ იგი პოლიფუნქციონალურია. მისი ქცევა აღმოცენდება არა ერთმნიშვნელოვანი ინსტინქტური მისწრაფებებით, არამედ სოციალიზირებულობის ზომით.

პიროვნების სოციალურ-პოზიტიური თვითრეალიზაციისათვის შედარებით სახიფათოა მისი “ამოვარდნა” სოციალური კავშირების სისტემიდან და სოციალური თვითკონტროლის მექანიზმის შესუსტება.

დანაშაულებრივი ქმედება კონფლიქტური ქცევაა. იგი ყოველთვის დამყარებულია საზოგადოებაში, სოციალურ ჯგუფებში, სოციალურ ჯგუფსა და პიროვნებას, ცალკეულ პიროვნებებს შორის და ბოლოს, თვით პიროვნებაში არსებულ დაპირისპირებულობებზე.

დანაშაულებრივი ქცევა არ წარმოადგენს ადამიანზე მხოლოდ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგს. ისინი პიროვნებაში ჩამოყალიბებული შინაგანი პირობების სისტემის პრიზმაში გარდატყდება. ამ სისტემას განეკუთვნება ღირებულებითი ორიენტაციები, მიზანდასახულობისა და მიზნის მიღწევის თავისებურებები, ქცევის განზოგადებული ხერხები, თვითრეგულაციის ფსიქოღინამიკური თვისებები.

ქცევის განზოგადებული ხერხები ანუ ინდივიდის ქარაქტეროლოგიური თავისებურებები, ყალიბდება უპირატესად გარემო პირობების ზეგავლენით. ფსიქოღინამიკური თავისებურებები არის ბიოლოგიური ფაქტორების ანუ გენოტიპის შედეგი. ქცევის ყველა აღნიშნული ფაქტორი არ არის განცალკევებული, არამედ წარმოქმნიან ქცევის ფსიქიკური რეგულაციის ერთიან პიროვნულ სისტემას.

როდესაც ისმის კითხვა თუ რატომ ჩადის მოცემული ინდივიდი დანაშაულს, ჩვენ ვაწყდებით ფსიქოლოგიური ანალიზის აუცილებლობას. ამ რთულ პროცესში კი ურთიერთქმედებაში იმყოფებიან სოციალური, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები.

2. ბიოსოციალური ფაქტორების როლი დანაშაულებრივი ქმედების დეტერმინაციაში

რამდენადაც ადამიანის ქცევაში გარეგანი სიტუაციების სისტემა გადის შინაგანი პირობების სისტემის პრიზმაში, არ შეიძლება განკერძოებულად განვიხილოთ ადამიანის ცხოველქმედების არც ობიექტური და არც სუბიექტური ფაქტორები. არც ერთი სიტუაცია თავისთავად არ ბადებს ქცევით აქტს. ადამიანები ღიდად არიან დამოკიდებულნი სოციალურ პირობებზე. სოციალური ფაქტორები მათ ქცევაზე ზემოქმედებენ არა სწორხაზოვნად, არამედ გაშუალებულნი არიან მრავალი შიდაპიროვნული და ინდივიდუალური მოვლენებით. სოციალური ზეგავლენები განსხვავებულად „აწეებიან“ ინდივიდუალურ ბუნებრივ საფუძველს, რაც ზოგჯერ „დანაშაულებრივი ბუნების“ ილუზიას ქმნის.

იურიდიულ და ბიოლოგიურ ლიტერატურაში ზოგჯერ ვხვდებით ბიოლოგიური დეტერმინიზმის უკიდურეს პოზიციებს. კიდევ უფრო მეტად გავერცელებულია ადამიანის ჩამოყალიბების ბიოლოგიური ასპექტების იგნორირების პოზიცია. არ არსებობს დანაშაულებისადმი ბუნებრივი მიდრეკილება, მაგრამ არსებობს გენეტიკური წინასწარგანწყობა გარემოს იმ ზეგავლენებისადმი, რომლებსაც შეუძლიათ განაპირობონ ინდივიდის მიერ დანაშაულის ჩადენა.

განვიხილოთ ქცევის ბიოლოგიური ფაქტორების როლი ფსიქიკური ანომალიების მაგალითზე.

სოციალურად ადაპტაციური ან დეზადაპტაციური ქცევა დაკავშირებულია ქცევის თვითრეგულაციასთან. თვითრეგულაციის პროცესი ხორციელდება შინაარსობრივ-აზრობრივ მნიშვნელობებთან, ენერგეტიკულ და ნეიროდინამიკურ პროცესებთან ერთიანობაში. აქ შესაძლებელია როგორც ნორმის ვარიაციები, აგრეთვე თვითრეგულაციის სხვადასხვაგვარი ანომალიები, ფსიქიკური გადახრები, მოსაზღვრე მდგომარეობები (გონებრივი ჩამორჩენილობა, ფსიქოპათიები, ხასიათის აქცენტუაციები). ამასთან ადამიანის ინტელექტი ძირითადად შენარჩუნდება, ირღვევა ცალკეული რეგულაციური მექანიზმები. ფსიქიკური რეგულაციის ასეთი ბუნებრივად განპირობებული დარღვევები დაიყვანება ძირითადად შემდეგ ნაირსახეობებზე:

1. გუნება-განწყობილების სწრაფი და ხშირი ცვალებადობა; ინდივიდის ფსიქოენერგეტიკული შესაძლებლობების უკმარისობა; მომატებული ნერვულ-ფსიქიკური გამოფიტვა. ეს დარღვევები მიიღება მაშინ, როცა ინდივიდი ცალკეულ გარეგან ზემოქმედებას ზემნიშვნელობას ანიჭებს

2. რიგიდულობა, ნერვულ-ფსიქიკური პროცესების ნაკლები ლაბილობა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ინდივიდის ჩაკეტილობას, ადამიანებთან კონტაქტისაგან თავის არიდებას, მარტოობისადმი მისწრაფებას, გარემომცველი სამყაროსადმი დაპირისპირებულებას.

3. მომატებული აგზნებადობა, იმპულსურობა, მძვინვარება, განაწყენება, მრისხანება, სიმკაცრე, მიდრეკილება კონფლიქტური ქმედებისაკენ, თვითშეფასების მომატება, ეგოისტურობა.

4. ამაღლებული კონფორმულობა, სუსტი ხასიათი, ინტელექტუალური შეზღუდულობა, არაკრიტიკულობა, გონებრივი ჩამორჩენილობა.

რაც ნაკლებ სოციალიზირებულია პიროვნება (როგორც წესი ეს წარმოადგენს დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელ თავისებურებას), მით მეტია ბიოლოგიური ფაქტორების ავტონომიზაციის შესაძლებლობა. რაც უფრო შეზღუდულია ადამიანის ფსიქიკური განვითარება, მით უფრო დიდ როლს თამაშობენ მის ქცევაში მოტივაციის იერარქიულად დაბალი ღონეები.

ცნება „ბიოლოგიური“ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ადამიანში ცხოველური ინსტინქტების გამოვლინება. ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით, არ განისაზღვრება წინასწარ ბუნებრივი არსებობის ხერხებით, მაგრამ იგი არ არის თავისუფალი ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ნეიროდინამიკური ბუნებრივი წანამძღვრებისაგან.

ადამიანის ბიოლოგიურად შემკვიდრული თვისებები უნდა გავიგოთ როგორც გარკვეული ფსიქიკური ნიშან-თვისებების განვითარების ქვესისტემა.

ფსიქიკურისა და ბიოლოგიურის უწყვეტი კავშირი მკვეთრად გამოიხატება ფსიქიკურ ანომალიებში, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ფსიქიკური ანომალიები, გენეტიკურად განპირობებული არაპათოლოგიური ნერვეულ-ფსიქიკური დარღვევები გარემოს ზეგავლენებთან არახელსაყრელი შეთანხმებით აქვეითებენ ინდივიდის ადაპტაციურ შესაძლებლობებს. ფსიქიკური ანომალიები თავისთავად არ არის კრიმინოგენული, მაგრამ, ინდივიდის ქმედების განსაზღვრულ პირობებში, შესაძლოა, გამოვიდნენ დანაშაულებრივი ქცევის საფუძვლის როლში.

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირების ქცევისთვის დამახასიათებელია ისეთი თავისებურებები, როგორიცაა კონფლიქტურობა, მომატებული იმპულსურობა, ლტოლვების სპონტანურობა, მეორე სასიგნალო სისტემის დეფექტები, მოტივაციურ-ცნებითი რეგულაციის მექანიზმის შესუსტება, იმპულსურ-აგრესიული ქცევითი რეაქციების სიჭარბე.

ფსიქიკური ანომალიები – ესენია ე.წ. მოსაზღვრე ფსიქიკური მდგომარეობები, არაპათოლოგიური ფსიქიკური დარღვევები,

რომლებიც არ არიან ფსიქოზის დონემდე მისული (ფსიქოზი წარმოადგენს დაავადებას, რომელიც ხასიათდება კარდინალური ფსიქიკური დარღვევებით, რაც განაპირობებს შეურაცხადობას).

ფსიქიკურ ანომალიებს მიეკუთვნება: ფსიქოპათიები, ხასიათის აქცენტუაციები, ოლიგოფრენია (გონებრივი ჩამორჩენილობა), ნევროზები, სექსუალური პერვერზიები (სექსობრივი გაუკუღმართება).

ფსიქოპათია – ეს არის თანდაყოლილი ან ადრეულ ასაკში განვითარებული დარღვევა, უმაღლესი ნერვული მოქმედების ანომალიურობა, რომელიც განაპირობებს პიროვნების ფსიქიკურ არასრულფასოვნებას. პიროვნების ქცევა მოდიფიცირდება ფსიქოპათიის ფორმისგან დამოკიდებულებით, იძენს რა ანომალურ რეაქტიულობას გამლიზიანებელთა ცალკეულ ჯგუფებზე. ფსიქოპათიის მიმდინარეობასა და განვითარებაში განსხვავებულია ფსიქოპათიური ნიშნების გამწვავების სტადიები, დეკომპენსაციის ფაზები. გამოიყოფა ისტერიული, აგზნებადი და ასთენიკური წრის ფსიქოპათიები.

პიროვნების ფსიქოპათიური წყობა აღმოცენდება ნერვული სისტემის ადრე შექნილი ან თანდაყოლილი ბიოლოგიური არასრულფასოვნებისა და გარემოს მკვეთრად ნეგატიური პირობების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე. ფსიქოპათიზირებული პიროვნების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი ემოციურ-ნებელობითი სფეროს დისპარმონიულობა ინტელექტის შედარებით შენარჩუნებულობის პირობებში. პიროვნების ფსიქოპათიური თავისებურებები ამნელებენ მის სოციალურ ადაპტაციას, ხოლო ფსიქოტრაუმირებადი გარემოებებისას იწვევენ მასში დეზადაპტაციურ, მათ შორის სამართალდამრღვევი ქცევითი აქტების აღმოცენებას.

ფსიქოპათებისთვის არ არის არსებითი შეუქცევადი პიროვნული დეფექტები. ხელსაყრელ გარემო პირობებში მათი ფსიქიკური ანომალიები ქვეითდება, თუმცაღა მათთვის ფსიქიკურად ძნელ პირობებში გარდაუვალია ქცევითი დეზადაპტაცია (იმ პირთა შორის, რომლებმაც ჩაიღინეს ძალადობრივი დანაშაულები, ფსიქოპათებს წამყვანი ადგილი უკავიათ). ფსიქოპათებისთვის დამახასიათებელია ფსიქიკის მოუმწიფებლობა(რაც ვლინდება ამაღლებულ შთაგონებაში, უსაფუძვლო ეჭვში), ასევე მიდრეკილება გაზვიადებისადმი.

პიროვნების ფსიქოპათიზაციის წამყვან ფაქტორად ერთ შემთხვევაში გამოდიან თანშობილი კონსტიტუციური თავისებურებები (ე.წ. „ბირთვული“ ფსიქოპათია), სხვა შემთხვევაში – გარემოს ფსიქოგენური ზემოქმედება („ინდივიდის ფსიქო-ქარაქტეროლოგიური განვითარება“).

არახელსაყრელი სოციალური ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედება შეიძლება გახდეს პიროვნების ფსიქოპათიური განვითარების, მისი დამახინჯებული ფსიქიკური ჩამოყალიბების ძირითადი მიზეზი. პიროვნება, რომელიც იზრდება და ყალიბდება მუდმივი უხეშობის, დამცირების, შეურაცხყოფის პირობებში, იწყებს მორიდებულობის, დათრგუნულობის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის ან პირიქით, მომატებული აგზნებადობის, აგრესიულობის, წინააღმდეგობრიობის გამოვლინებას. ისეთმა გარემომებამ კი, სადაც ბავშვს ყველა სურვილს უსიტყვოდ უსრულებენ, მისით აღტაცებულნი და აღფრთოვანებულები არიან, შეიძლება გამოიწვიოს ისტერიოიდული ტიპის პიროვნების ჩამოყალიბება, ეგოცენტრიზმის, ნარცისიზმის განვითარება. ამასთან ერთად ყალიბდება ექსპლოზიურობის (ფეთქებადობის, იმპულსურობის) ნიშან-თვისებები. მოჭარბებული მზრუნველობის პირობებში ფორმირდება უინიციატივობა, უსუსურობა, ექსტერნალური ქცევითი ორიენტირებულობა (როდესაც საკუთარ წარუმატებლობას აბრალებენ გარეგან მდგომარეობებს). რამდენადაც პიროვნების პათოქარაქტეროლოგიური განვითარება უპირატესად განპირობებულია სოციალური ფაქტორით, შესაძლოა ამ პროცესის აღკვეთა. ხელსაყრელ სოციალურ პირობებში ფსიქოპათიების კლასიფიკაცია ჯერ კიდევ დისკუსიურ ხასიათს ატარებს. გამოვყოთ და განვიხილოთ ოთხი სახეობა: ასთენიკური, აგზნებადი (ფეთქებადი), ისტერიული და პარანოიალური.

ფსიქასთენიკური ფსიქოპათები გამოირჩევიან შფოთიანობის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის მომატებული დონით, ფსიქოტრავმირებადი მოვლენებისადმი უკიდურესად ამაღლებული მგრძობილობით, ფსიქიკურად დაძაბულ სიტუაციებში დეზადაპტაციურობით. მათი ინტელექტუალური წყობა, ცხოვრებისეული გეგმები მოწყვეტილია რეალურ ცხოვრებისეულ პირობებს, ისინი მიდრეკილნი არიან ავადმყოფური ბრძნული აზრებისკენ. აკვიატებული იდეებისკენ. ფსიქასთენიკებისთვის დამახასიათებელია უმაღლესი

ნერვული მოქმედების ენერგეტიკული სისუსტე, ასევე ნერვული პროცესების შეკავების შეღარებითი შესუსტება. მათი მოტივაციური სფერო ხასიათდება უძრავი, აკვიატებული მისწრაფებებით.

აგზნებადი (ფეთქებადი) ფსიქოპათები ხასიათდებიან მომატებული გაღიზიანებადობით, მუდმივი ფსიქიკური დაძაბულობით, ფეთქადი ემოციური რეაქტიულობით, რომელიც ზოგჯერ მძინეარების არაადექვატურ შეტევებამდე მიდის. მათთვის დამახასიათებელია გარშემომყოფი ადამიანებისგან გადაჭარბებული მომთხონელობა, უკიდურესი ეგოიზმი და საკუთარი თავის სიყვარული, უნდობლობა და ეჭვიანობა. ისინი ხშირად ვარდებიან დისფორიის მდგომარეობაში. ისინი ჯიუტები და კონფლიქტურები არიან, მიდრეკილება აქვთ მეწვრილმანეობისა და ძალაუფლებისადმი. ურთიერთობაში უხეშობენ, არიან ძალზედ აგრესიულები, შეუძლიათ მძიმე ფიზიკური დაზიანება მიაყენონ ადამიანს, უკან არ იხვევენ მკვლელობაზეც კი. მათი აფექტური ქცევა ხდება შევიწროებული ცნობიერების ფონზე.

ისტერიული ფსიქოპათები გამოირჩევიან ძირითადად საკუთარი პიროვნების აღიარების წყურვილით. ისინი ისწრაფვიან თავიანთი მნიშვნელობის გარეგანი გამოვლინებებისაკენ, ცდილობენ მოახდინონ საკუთარი უპირატესობის დემონსტრირება, აქვთ თეატრალურობისა და პოზიორობისადმი მიდრეკილება. მოკლებულნი არ არიან ტყუილსა და ფანტაზიორობას. მათი აღტაცება და წყენა გამოვლინდება ბობოქრად და ექსპრესიულად, მათი ცხოვრებისეული სტრატეგიაა იყვნენ ყურადღების ცენტრში ნებისმიერი საშუალებით. ასეთი ადამიანების ფსიქიკა მოუმწიფებელია, ინფანტილურია. მათი უშუალო შთაბეჭდილებები იმდენად თვალნათლივია, რომ თრგუნავენ აზროვნების კრიტიკულობას.

პარანოიალური ფსიქოპათები (პარანოიკები) გამოირჩევიან „ზეღირებულებითი იდეებისადმი“ მომატებული მიდრეკილებით, რაც გაპირობებულია მათი აზროვნების უკიდურესი შევიწროებით, ინტერესების ერთმიმართულებიანობით, მომეტებული თვითმეფასებით, ეგოცენტრიზმით, სხვა ადამიანებთან მიმართებაში ეჭვიანობით. ფსიქიკის დაბალი პლასტიკურობა მათ ქცევას ხდის კონფლიქტურს, ისინი მუდმივად უხილავ მტრებს ებრძვიან. მათი ძირითადი მიმართულობაა - „გამომგონებლობა“ და „რეფორმატორობა“. საკუ-

თარი დამსახურებების არადიარება მათ უბიძგებს გარემოსთან შეჯახებისკენ, ანონიმური დასმენებისკენ და ა.შ.

პირველადი და რეციდიული დანაშაულებები ფსიქოპათიურ პიროვნებებში გვხვდება ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებში. ტერმინი „ფსიქოპათია“, კრიმინალური ქცევის თავისებურებების ანალიზთან დაკავშირებით, ჩაისახა სასამართლო – ფსიქიატრიულ გამოკვლევებში.

ფსიქიკურად ანომალური პირების ქცევის თავისებურებები ინიღბება მათი ფსიქიკის ისეთი ნორმალური მხარეებით, როგორცაა პროფესიული ცოდნა და ურთიერთობის შედარებით განვითარებული უნარ-ჩვევები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების შესაძლებლობები. ფსიქიკური ჩავარდნები ამ პირებში მიმდინარეობს ამორჩევიტად – მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომლებიც ეხებიან მათი ნერვული და ფსიქიკური ორგანიზაციის შედარებით სუსტ მხარეებს. თუკი ფსიქიკურად ჯანმრთელი დამნაშავე მიზანმიმართულად არღვევს სამართლებრივ კანონებს, მაშინ ფსიქიკურად ანომალური პიროვნება, მისთვის მწვავე, ექსტრემალურ სიტუაციებში, ვერ იცავს სამართლებრივ მოთხოვნებს, რადგან ვერ აკონტროლებს საკუთარ ქცევას. ასეთ შემთხვევებში დანაშაულებრივი ქმედების აღმძვრელი ძალა შეიძლება იყოს არა გაცნობიერებული მოტივები, არამედ გაუცნობიერებული მისწრაფებები თვითაქტუალიზაციისადმი და მოუთმენლობა საწინააღმდეგო მოქმედებისადმი.

ფსიქოპათების იმპულსურობა დაკავშირებულია დაძაბულობისა და დეპრივაციისადმი დაქვეითებულ ტოლერანტობასთან. ფსიქოპათებისთვის დამახასიათებელია უკიდურესად შევიწროებული ქცევის მორიენტირებელი საფუძველი, აგრეთვე სურვილების დაკმაყოფილებისადმი მისწრაფება მათი მიღწევის პირობების ანალიზის გარეშე. ყველა მკვლევარი ფსიქოპათებში აღნიშნავს უმაღლესი ემოციების, გრძნობების განუვითარებლობას, მათ მიერ ისეთი კატეგორიების გაუგებრობას, როგორცაა მოქალაქეობრიობა, სამშობლოს სიყვარული, სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ. ამასთან ერთად მათში ჰიპერბოლიზირებულია ის უმაღლესი ემოციები, რომლებიც დომინირებად როლს ასრულებენ მიზნის ჩამოყალიბებასა და მიზნის მიღწევაში. უმნიშვნელო წარუმატებლობის დროსაც

კი მათში აღმოცენდება აგრესიულობის აფექტური მდგომარეობა, მკვეთრად ქვეითდება თვითკონტროლის დონე.

არაპათოლოგიური ფსიქიკური ანომალიები – ფსიქოპათიები, დებილობის, გონებრივი ჩამორჩენილობის მსუბუქი ფორმები, ხასიათის აქცენტუაციები – ახდენენ პიროვნების მოტივაციურ – ღირებულებითი იერარქირებულობის, შიდაპიროვნული სტრუქტურების დეფორმირებას, ბადებენ კომპენსატორულ ტენდენციებს.

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დაბალი თვითშეფასება ზრდის მათ დამოკიდებულებას გარე ზეგავლენებზე, მიმდინარე მოვლენებზე, აჩენს სხვადასხვა კომპენსაციებისადმი მისწრაფებას, რომელთაგან ბევრი იძენს ანტისოციალურ მიმართულებას.

აღიარებულია, რომ სამართალდამრღვევდა საერთო მასაში ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა ზვედრითი წონა შეადგენს დაახლოებით 70%-ს.

კრიმინალური ქცევის ბიოლოგიურ დეტერმინანტებს არაიშვიათად მიაკუთვნებენ გენეტიკურ ანომალიებსაც – კლაინფელტერის სინდრომს (ზედმეტი X- ქრომოსომა – 47/XXY სინდრომი ან ზედმეტი Y – ქრომოსომა – 47/XYY სინდრომი). ზედმეტი X – ქრომოსომა უკავშირდება მომატებულ აგრესიულობას. ზედმეტი Y – ქრომოსომა კი დაკავშირებულია მიზანდასახულობისა და მიზნის მიღწევის სფეროში ანომალიებთან, ასევე ქცევის ნებელობითი რეგულაციის დარღვევასთან.

ინდივიდის გენეტიკური თავისებურებები არ წარმოადგენენ დანაშაულებრივი ქცევის განცალკევებულ მიზეზს, მაგრამ შეუძლიათ განსაზღვრონ იგი სოციალურ ფაქტორებთან ურთიერთქმედებისას. ადამიანის ქცევაში სოციალური ზეგავლენა გადაეყვება ბუნებრივ ორგანიზაციას. თანამედროვე გენეტიკის მიღწევებმა შეცვალეს ადრე შექმნილი შეხედულება ინდივიდის ფსიქიკის წმინდა „გარემოთი“ განპირობებულობასთან დაკავშირებით. ბიოლოგიური და სოციალური წარმოქმნიან ადამიანური ქცევის დეტერმინაციის რთულ სისტემურ ბიოსოციალურ ფაქტორს. მხოლოდ გენეტიკა არ განსაზღვრავს დევიანტურ ქცევას, მაგრამ ფსიქიკით გაშუალების შემდეგ, ინდივიდის გენეტიკური თავისებურებები მისი ქცევის მოდიფიკაციაში არსებით მნიშვნელობას იძენენ. ნერვული სტრუქტურების გენეტიკურად გამაგრებული თანაფარდობა, მათი ფუნქციური

თავისებურებები განსაზღვრავენ ინდივიდის წინასწარგანწყობას ცალკეული გარეგანი ზემოქმედებისა და ქცევითი გამოვლინებებისადმი. მაგალითად, ადამიანის აგრესიულობა, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების საწინააღმდეგოდ მიმართულ მრავალ დანაშაულს, განპირობებულია ბიოსოციალური ფაქტორების კომპლექსით.

აგრესიულობა — ეს არის ინდივიდის მდგრადი მისწრაფება მიაყენოს სხვა ადამიანს ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი. აგრესია შეიძლება იყოს ფრუსტრაციული, იმპულსური და აფექტური, აგრეთვე — განზრახ და ინსტრუმენტული (როცა აგრესია გამოიყენება როგორც მიზნის მიღწევის საშუალება). აგრესიულობა, როგორც პიროვნების მყარი ნიშან-თვისება ყალიბდება ფსიქიკური განვითარების არახელსაყრელ პირობებში და წარმოადგენს პიროვნებაში სოციალური იდენტიფიკაციის ჩამოუყალიბებლობის მაჩვენებელს. ბიოლოგების უმეტესობა აგრესიულობას განიხილავს როგორც ქცევის თანდაყოლილ ფორმას.

აქ დაწვრილებით არ ვეცდებით განვსაზღვროთ აგრესიულობის პირველწყარო და მივაკუთვნოთ აგრესიულობა ინსტინქტებს, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ადამიანის ყველა ინსტინქტი გარდაიქმნება სოციალიზაციის პროცესში. ასევე რაც უფრო დაბალია სოციალიზირებულობის დონე, მით უფრო მაღალია ინდივიდის აგრესიულობა. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდის აგრესიულობის ხარისხი წარმოადგენს მისი სოციალიზირებულობის დონის მაჩვენებელს.

ფსიქოლოგები საუბრობენ ინდივიდის მიერ აგრესიულობის განსხვავებული ფორმების გამოვლენაზე. ესენია: აგრესია — გადატანა; აგრესია — უარყოფითი ემოციების გამოთავისუფლება; აგრესია — პროტესტის გამოხატვა; აგრესია — საღიზმისა და მაზოხიზმის გამოვლინება.

ინდივიდის აგრესიულობა დაკავშირებულია სოციალიზაციის დეფექტებთან, მასობრივი კულტურის ნეგატიურ ზეგავლენასთან და ინდივიდის ფსიქიკური თვითრეგულაციის ზოგად დეფექტებთან. თუმცაღა ინდივიდის აგრესიულობაში არსებით როლს თამაშობენ გენეტიკური ანომალიები და ინდივიდის ენდოკრინულ-ჰუმორალური ორგანიზაციის თავისებურებები.

ინდივიდის აგრესიულობას კომპლექსური მრავალფაქტორიანი გაპირობებულობა აქვს, ზოგიერთი ბიოლოგიური წანამძღერის გარ-

და, მის ფორმირებაში არსებითია აგრესიის დასწავლა, ანუ „აგრესიული ტრენინგი“. სუბიექტის აგრესიულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ გარემოს როგორ სტიმულებს მიაკუთვნებს იგი იმ ზღვრულგარე შემოქმედებებს, რომლებიც მოითხოვენ საერთო ემოციურ აგრესიულ რეაქციას. ინდივიდები აგრესიით რეაგირებენ სტრესულ სიტუაციებზე, რომლებიც ემოქრებიან მათ ბაზისურ ფასეულობებს.

აგრესიული რეაქციების ინტენსივობა წინასწარ განისაზღვრება ინდივიდის ბუნებრივი თავისებურებებით. როგორც ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტის გამოვლინება, აგრესიულობა დაკავშირებულია ინდივიდში ანტიისტრესული თავდაცვის სისუსტესთან, იმპულსურობასთან და შფოთვის მომატებულ დონესთან. აგრესიული ტიპების ჩამოყალიბებაში აღინიშნება მათი ადრეული ემოციური დეპრიაკცია (ადრეულ ბავშვობაში დადებითი ემოციების უკმარისობა), მიმართებების სიმკაცრე, შშობლებისა და ახლობლების გულგრილი და უხეში დამოკიდებულება. არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც ოჯახებში, სხვადასხვა მცირე ჯგუფებებში, აგრესია ვითარდება როგორც ავტორიტარული ძალაუფლებისადმი დაპირისპირებული ქმედება, როცა ინდივიდს რჩება ერთადერთი შანსი თვითდამკვიდრებისათვის, რასაც განახორციელებს მხოლოდ აგრესიული მოქმედებების დახმარებით.

ბიოლოგიურ-სოციალური ფაქტორების კომპლექსთან არის დაკავშირებული სექსუალური ანომალიებიც. ისინი ახდენენ ინდივიდის ქცევის მკვეთრ მოდიფიცირებას. მაგალითად, ჰიპერლიბიდომია, ანუ სექსუალური მოთხოვნილებების პათოლოგიური გაძლიერება, სექსუალობას გადააქცევს ცალკეული ინდივიდებისთვის ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში ძირითად ფაქტორად. მათთვის დამახასიათებელია მოუწესრიგებელი სექსობრივი კონტაქტები, შემთხვევითი პარტნიორების ხშირი ცვლა.

ჰიპოლიბიდომიის დროს, რომელიც წარმოადგენს სექსუალობის დაქვეითებას, ასევე აღმოცენდება განსაზღვრული ქცევითი დისპარმონიები, რომლებიც გამოვლინდება მომატებულ მგრძობელობაში, გაღიზიანებადობაში. ჰიპოსექსუალობა შესაძლოა იყოს არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შედეგიც. არაიშვიათად ის გამოწვეულია ცხოვრებისეული წარუმატებლობითაც.

სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სისტემატურმა წინააღმდეგობებმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სექსუალური კომპლექსები: სექსუალური ფობიები(შიშები), სექსუალური არასრულფასოვნების, იმპოტენციის კომპლექსი. ქორწინებაში სექსუალური ფობიების აღმოცენება არაიშვიათად უკავშირდება მეუღლის აგრესიულ ქცევას, მასში სექსუალურ-დევიანტური მიდრეკილებების არსებობას. სექსუალური ფობიები იწვევენ მომატებული ფსიქიკური დაძაბულობის მდგომარეობას და შეიძლება გამოვლინდნენ სხვადასხვაგვარ არაადეკვატურ ქცევით აქტებში. ქალებთან, რომელთაც ხანგრძლივი შესვენება აქვთ სექსუალურ კონტაქტებში, შესაძლებელია აღმოცენდეს მომატებული მგრძობილობა მამაკაცების სხვადასხვა ქცევითი გამოვლინებებისადმი, მათი მოქმედებების არაადეკვატურ ინტერპრეტაციაში. ემოციური დაძაბულობის აკვიატებული მდგომარეობა, დაკავშირებული ჩვეულებრივ სქესობრივ კონტაქტებთან, ზოგჯერ იწვევს სექსუალური დაკმაყოფილების დევიანტური ხერხების ძიებას.

ბიოლოგიურ წანამძღვრებთან არის დაკავშირებული გონებრივი უკმარისობის (ოლიგოფრენიის) განსხვავებული დონეებიც.

ოლიგოფრენია (ჭკუასუსტობა) ეს არის თანდაყოლილი ან ადრეულ ასაკში (ცხოვრების პირველ სამ წელიწადში) შეძენილი ფსიქიკის განუვითარებლობა, ძირითადად ინტელექტისა, ფიზიკური განვითარების სხვადასხვაგვარ დეფექტებთან შეთანაწყობაში. ის აღმოცენდება ნაყოფის დაზიანების შედეგად, ასევე ადრეულ ბავშვობაში მექანიკური ტრავმების, დაავადებების შედეგადაც. გონებრივი განუვითარებლობის ხარისხის მიხედვით ოლიგოფრენიაში გამოჰყოფენ: დებილობას, იმბიცილობას და იდიოტიზმს.

ამ გრადაციებს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს. ზოგჯერ ოლიგოფრენს მნიშვნელოვან ჭკუასუსტობასთან ერთად შეიძლება განვითარებული ჰქონდეს ერთმხრივი ნიჭიერება – მუსიკალური, მხატვრული და სხვ. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა (ოლიგოფრენია) უნდა გავარჩიოთ დემენციისაგან – შეძენილი ჭკუასუსტობისგან, ფსიქიკური საქმიანობის მოშლისგან. ოლიგოფრენებს არ წარმოადგენენ ნაკლებნიჭიერი და ისეთი ბავშვები, რომელთაც სომატური დაავადებებიდან ან გარემოსა და აღზრდის

არასრულფასოვანი და არახელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე ფსიქიკურ განვითარებაში დროებითი შეჩერება აღენიშნებათ.

ჭკუასუსტობისგან ტოტალურად, დიფუზიურად ქვეითდება არა მხოლოდ შემეცნებითი საქმიანობა, არამედ მთლიანად პიროვნება (მეტყველება, მოტორიკა, ემოციურ-ნებელობითი სფერო, ღირებულებითი ორიენტაცია). შედარებით შენარჩუნებადია არჩაული ფუნქციები, ინსტინქტები, განსაკუთრებით კი ქვეითდება აბსტრაქტული აზროვნება, რაც უცილობლად აისახება გააზრებულ აღქმაზე, ნებელობით დახსოვებაზე და ქცევით კრიტიკულობაზე.

მოსაზღვრე ფსიქიკურ მდგომარეობებს (არაპათოლოგიურ ფსიქიკურ ანომალიებს) მიეკუთვნება მხოლოდ ჭკუასუსტობის მსუბუქი ხარისხი – დებილობა. დებილებს შეუძლიათ ისწავლონ და აითვისონ უმარტივესი შრომითი ჩვევები. მათი ქცევა ბევრ შემთხვევაში სიტუაციური პირობების ადექვატურია, რამაც შესაძლოა შენიღბოს აზროვნების სისუსტე. მაგრამ ყველა დებილი (როგორც აპათიური, ასევე აგზნებადი) გამოირჩევა ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტებით (თვითფლობის დაბალი დონე, ქცევის იმპულსურობა, მაღალი შთაგონებადობა, საკუთარი ლტოლევების დათრგუნვის უუნარობა, მოტივებისა და მოქმედების საშუალებების გახლეჩვა). არსებობს დებილობის სამი ხარისხი: მკვეთრად გამოხატული, საშუალო და მსუბუქი. მსუბუქი დებილობა თითქმის არ განსხვავდება ნორმალური ინტელექტის ქვედა ზღვარისგან.

ოლიგოფრენია შეიძლება განპირობებული იყოს მთელი რიგი მემკვიდრული ფაქტორებით. მაგალითად, დებილობა (დაუნის დაავადება) გამოწვეულია ქრომოსომული აბერაციებით – კლაინფელტერის სინდრომით, შერეშევსკი – ტერნერის სინდრომით (მდედრობითი სქესის პიროვნების ქრომოსომულ აპარატში ერთი X-ქრომოსომის უკმარისობა), შშობლების სასქესო უჯრედების ეკზოგენური ფაქტორების (რადიაცია, ქიმიური აგენტები) ზეგავლენის შედეგად მიღებული დაზიანებით. ასეთი ფსიქიკური ანომალიის სიხშირე აღწევს 1:500-ს. მოცემული ფსიქიკური ანომალიის გარეგანი გამოვლინებები საკმაოდ ტიპურია: მომცრო ტანი, მოკლე კიდურები, მოკლე თითები, ზედა ყბა განუვითარებელია, ქვედა წინწამოწეულია, მომცრო თავის ქალა გამკვრივებული ცხვირის ფუძით, სქესობრივი ნიშნები განუვითარებელია.

მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ფსიქიკურ ანომალიებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ინდივიდის ცნობიერების უკიდურესად დაბალი დონე, მისი ღირებულებით—კატეგორიალური შეზღუდულობა. ყველა ფსიქიკური ანომალია დაკავშირებულია ცნობიერების შევიწროების გარკვეულ ხარისხთან, ქვეცნობიერი და არაცნობიერი მექანიზმების რეგულაციური როლის ამალღებასთან. სწორედაც რომ ამით განისაზღვრება ფსიქიკური ანომალიების კრიმინოგენული ხასიათი. კრიმინოგენულია პიროვნების სოციალურ-ფსიქიკური თვისებების სუბორდინაციის ნებისმიერი შესუსტება, ადამიანის რთულ ბიოფსიქოსოციალურ რეგულატორულ სისტემაში ბიოლოგიური ფაქტორის ნებისმიერი სიჭარბე.

ამრიგად, გენეტიკურად განპირობებული ფსიქიკურად ანომალური პიროვნებების ქცევის საერთო თავისებურებას წარმოადგენს არაადეკვატური რეაქციები, არამდგრადობა ფსიქოტრავმირებადი ზემოქმედებისადმი, ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმების დარღვევა, ცალკეული ტიპის რეაქციების უკონტროლობა, ფსიქიკურად ანომალიური რეაქციები ხშირად უკავშირდება მარცხის ავადმყოფურ განცდას, პიროვნული პრეტენზიების კრახს. პიროვნულად რთულ სიტუაციებში ფსიქიკური დეზორგანიზაცია იწვევს ინდივიდის მთელი ცნობიერი საქმიანობის ემოციურ დაპყრობას — ცნობიერების შევიწროებას. ამ მდგომარეობებს თან ერთვის ლოგიკური აზროვნების დარღვევა, შთაგონებადობის გაზრდა, აკვიატებული იდეები, გარესამყაროსთან კონფლიქტური ურთიერთქმედება.

ქცევის კონფლიქტურობა წარმოადგენს ფსიქიკურად ანომალური ინდივიდების ძირითად თავისებურებას. ეს კონფლიქტურობა ატარებს არა მხოლოდ პიროვნებათაშორის, არამედ შიდაპიროვნულ ხასიათსაც, გამოვლინებულს არათანმიმდევრულ მოქმედებებში, გადაუწყვეტელობაში, არამდგრადობაში, რიგიდულობაში (მოუქნელობაში), სიჯიუტეში. ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები ინციდენტის აღმოცენების შემთხვევაში მიდრეკილნი არიან კონფლიქტის გაძლიერებისკენ (ესკალაციისკენ), პრობლემური სიტუაციის გაღრმავებისკენ, აგრესიული მოქმედებების მომატებისკენ.

მათთვის გაფართოებულია კრიმინოგენული სიტუაციების „ველი“. ემპირიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ფსიქიკური

ანომალიები ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ქცევის კრიმინალიზაციაში.

მთელი რიგი მკვლევარებისა თვლის, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები, რომელთაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა, უნდა მიეკუთვნებოდნენ განსაკუთრებულ კრიმინოგენულ ტიპს. დამნაშავეთა ასეთი კატეგორიის ტიპოლოგიის საფუძვლად უნდა დაიდოს ფსიქობიოლოგიური კრიტერიუმები – ემოციურ-ნებელობითი და ინტელექტუალური საქმიანობის დეფორმაციის ხარისხობრივი თავისებურებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გენეტიკური ფაქტორებით არის განპირობებული.

გამოკვლევები აჩვენებს, რომ დანაშაულებათა ცალკეული სახეები ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან განსაზღვრულ ფსიქიკურ ანომალიებთან. ფსიქოპათიზირებული ინდივიდების წილი განსაკუთრებით მაღალია ძალადობრივი დანაშაულებების ჩამდენ პირთა შორის. გონებრივად ჩამორჩენილი ინდივიდები სხვებზე ხშირად ჩადიან სქესობრივ დანაშაულს.

კრიმინალისტური კუთხით, ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დანაშაულებამდელი ქცევა საჭიროებს მათი გახსნისა და გამოძიების სპეციალურ მეთოდებს. ფსიქიკური ანომალიების გათვალისწინება ასევე აუცილებელია სასჯელის დადგენისას. საჭიროა ამ კატეგორიის პირთათვის ფსიქიკური რეაბილიტაციის ეფექტური ხერხების სპეციალური სისტემის შემუშავება. ფსიქიკური ანომალიები კავშირშია ინდივიდის სოციალური ადაპტაციის სირთულეებთან, მის დაქვეითებულ შესაძლებლობებთან ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებებსა და მართოს ისინი.

ეს გარემოება განსაკუთრებით ყურადსაღებია მოცემული კატეგორიის პირთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისას მათი იურიდიული პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის პროცესში.

ამრიგად, ადამიანის ქცევა გაპირობებულია მისი ცხოველქმედების რეალური პირობებით. მაგრამ ეს პირობები განსხვავებულად გადატყდებიან ინდივიდის ფსიქიკაში, ქმნიან სხვადასხვაგვარ „ინდივიდუალურ მატრიცას“. დანაშაული დეტერმინირებულია გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებით ინდივიდის „არახელსაყრელ“ ფსიქიკურ თავისებურებებზე. ცნობილია, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე ინდივიდმა, რომელიც იმყოფება ნორმალურ სოციალურ

პირობებში, შეიძლება არ გამოავლინოს კრიმინალისადმი მიდრეკილება, ისე როგორც ძალზედ მძიმე ცხოვრებისეულ პირობებშიც კი სოციალიზირებული პიროვნება დარჩეს ადამიანური ყოფიერების კანონების ერთგული. დანაშაული განისაზღვრება როგორც გარემოს დეფექტებისა და კონკრეტული ინდივიდის ფსიქიკის დეფექტების „გადაჯაჭვულობა“.

3. დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგია

სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი ადამიანი განსაზღვრულია სხვადასხვაგვარი ტერმინებით: „დანაშაულის ჩამდენი პირი“, „დამნაშავის პიროვნება“, „დამნაშავე“.

დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნული თავისებურებების ანალიზი აუცილებელია იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად, თუ როგორ და რატომ ჩაიდინა მოცემულმა პიროვნებამ ესა თუ ის დანაშაული; როგორი პასუხისმგებლობა აკისრია კონკრეტულ დამნაშავეს, მისი რესოციალიზაციისთვის ხერხების რა სისტემა უნდა იქნეს გამოყენებული; როგორია დამნაშავის პიროვნების ფორმირების წინასწარ გაფრთხილებისა და აღკვეთის საშუალებები და ა.შ.

დამნაშავის პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებები მხედველობაში მიიღება როგორც დანაშაულის კონკრეტული შემადგენლების კონსტრუქციის, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და დასჯის ინდივიდუალიზაციის დროსაც. მონაცემები დამნაშავის პიროვნების შესახებ პირველხარისხოვან მნიშვნელობას ატარებენ გამოძიების მიმართულების განსაზღვრისთვის, საგამოძიებო ვერსიების აგებისა და შემოწმებისათვის, საგამოძიებო მოქმედებების სისტემის გარკვევისთვის.

დამნაშავის პიროვნების დახასიათება ნიშნავს ინდივიდის კრიმინოგენულად მნიშვნელოვანი ტიპოლოგიური თვისებების განსაზღვრას და გამოკვლევას.

დამნაშავის პიროვნება ეს არის ინდივიდის ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას.

დანაშაულის ჩამდენი პიროვნების შეფასებისას აუცილებელია მისი ცხოველქმედების განზოგადოებული ხერხების და წარმმართველი ზრახვების გამოვლენა, რომლებიც წარმოქმნიან მისი ქცევის საერთო სქემას, მის ცხოვრებისეულ სტრატეგიას. ადამიანური ქცევის ორგანიზაციას ახდენს პიროვნების განსაზღვრული, ამომავალი ღირებულებითი პოზიციები. ადამიანის მიერ მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების ამორჩევა განისაზღვრება სუბიექტის თვითშემეცნებით, ამორჩეული მიზნებისა და ქცევის ხერხების თვითსანქცირებით.

დამნაშავის ქცევის ნამდვილმა საწყისმა მოტივებმა შესაძლოა სახე შეიცვალოს, მისთვის მისაღები ფორმა მიიღოს.

დანაშაულის მოტივაცია ყალიბდება დამნაშავის ნეგატიური პიროვნული ნიშან-თვისებებით. დამნაშავე რეციდივისტებისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებით ღრმა ძვრები მოთხოვნის მოტივაციურ სფეროში. ის უკიდურესად პრიმიტიულია, მისი მოქმედებები ხორციელდება რეგულაციის დაბალ იმპულსურ დონეზე.

ყოველი ადამიანის მოთხოვნისებები გამოდიან როგორც მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური აუცილებლობების სისტემა. ასხვაებენ ობიექტურად აუცილებელ და სხვადასხვაგვარ მოთხოვნისებათა შრეებს, ანუ კვაზიმოთხოვნისებებს.

დამნაშავეთა უმრავლესობის მოთხოვნისებები ატარებენ მკვეთრად დამახასიათებელ თავისებურებებს. სოციალიზირებულ პიროვნებას არ შეუძლია მხოლოდ გამოყენებით დონეზე არსებობა. მისი ფსიქიკური განვითარება ითვალისწინებს მოთხოვნისებათა ცენტრის გადანაცვლებას აღმშენებლობაზე, თვითგანვითარებასა და თვითრეალიზაციაზე. მაგრამ სოციალიზირებული პიროვნებისთვის დამახასიათებელი ეს არსებითი ნიშანი ჩამოყალიბებული არა აქვს დამნაშავეთა უმეტესობას.

დანაშაულის ჩამდენი პირების მოთხოვნისებები გამოირჩევა შეზღუდულობით, სივიწროვით, მატერიალურ-უტილიტარული ცალმხრივობით, სოციალურად დადებითი სახეების განუვითარებლობით, უმდაბლესი დონის მოთხოვნისებების ჰიპერტროფიულობით, გაზრწნილობით.

დამნაშავეთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია სტიქიურად აღმოცენებადი ლტოლვები, მათი დამოკიდებულება შემთხვე-

ვით სიტუაციებზე. პიროვნების მთლიანობით—რეგულაციური სისტემის დეზინტეგრირებულობა წარმოადგენს დამნაშავეთა უმეტესობისთვის განმასხვავებელ თავისებურებას.

ადამიანის ქცევის რეგულაციური მექანიზმები გამოვლინდება ინტეგრაციულად და პიროვნებაც წარმოადგენს ქცევის ამ ინტეგრაციულ, მთლიანობით—რეგულაციურ მექანიზმს.

პიროვნული კონტაქტების სისტემა ყალიბდება ონტოგენეზში. მის ცალკეულ შემადგენლებს, ინდივიდის ცხოვრების სხვადასხვა სენზიტიურ პერიოდებში, აქვთ უპირატესი ჩამოყალიბების უნარი. მაგალითად, ემოციურ კონტაქტებს მოკლებული ბავშვი ხდება აგრესიული. მას თუ არ გამოუცდია სხვებისგან კეთილგანწყობა, ის თვითონ არ გამოიჩინებს სიკეთეს სხვა ადამიანებისადმი.

ადამიანის ძირითადი ქცევითი ფონდი სტერეოტიპიზირებულია. მოცემული პიროვნების გამარტივებული ქცევის განზოგადებული ხერხები მისი ქარაქტეროლოგიური ნიშან-თვისებებია. საკუთარ ქცევაზე პიროვნება პასუხისმგებელია მთლიანობაში და არა მისი ცალკეული სტრუქტურული კომპონენტები (ცნობიერება თუ ქვეცნობიერება). პიროვნება ყოველთვის კონსტანტურია, მყარია და მთლიანობითაა ყველა სიტუაციურ პირობაში. მისი ლტოლვები და მისწრაფებები დამოკიდებულია სიტუაციაზე იმდენად, რამდენადაც მოცემული სიტუაციისადმი პიროვნება შეარჩევს (ცნობიერად თუ არაცნობიერად) განსაზღვრულ, მისთვის დამახასიათებელ რეაქციას. პიროვნება იდენტურია, თავისთავად იგივეობრივია ყველა თავის სიტუაციურ გამოვლინებაში.

როგორია ის აღმგზნები, წამქეზებელი მექანიზმები, მაგალითად, ისეთი მოქმედებისა, როცა დამნაშავე უეცრად თავს ესხმის უცნობს და სცემს მას განსაკუთრებული სისასტიკით? რაში მდგომარეობს ასეთი დანაშაულის მოტივი? აღმოჩნდა, რომ ასეთი მოტივი უბრალოდ არ არსებობს. ასეთი მოქმედებების პიროვნული აზრი მდგომარეობს ანტისოციალური სუბიექტის აგრესიულობის განტვირთვაში. წამქეზებელი მიზეზი კი სიტუაციურად მიმართული აგრესიულობაა. ეს არის სუბიექტის ე.წ. ველზე დამოკიდებული ქცევა, ანუ ქცევა, რომლის დროსაც სუბიექტი იმპულსურად რეაგირებს იმ სტიმულებზე, რომელთაც აქვთ მისი ქცევის შემავალი-

ანებელი ძალა მიზნების წინასწარი ჩამოყალიბების გარეშე, გამოძღინარე აქედან, ქცევის გაუცნობიერებელი მოტივების გარეშე.

არაადექვატური ქცევის მითითებული ფორმის გარდა არსებობს სხვა ფორმებიც: პიროვნების მიერ საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება, ქცევის ვერბალური და რეალური გეგმების გახლენჯვა, ქცევის რეალიზაციაზე კონტროლის კრიტიკულობის შესუსტება და ა.შ.

ქცევის არაადექვატურ ფორმებს მიეკუთვნება ასევე არამოტივირებული რისკი — პიროვნების მიერ ქცევის საშიში ვარიანტებისადმი უპირატესობის მუდმივი მინიჭება. ბრბოს სიტუაციაში ინდივიდების განსაზღვრული ქცევის გამომწვევი შეიძლება იყოს ფსიქიკური, ემოციური გადადება, სიტუაციის რაციონალური შეფასების დაბლოკვა, რაც ამაღლებს აგრესიული ქცევის შესაძლებლობებს.

ამ პირობებში სინამდვილე აისახება შეზღუდულად. არასაკმარისი ინტელექტუალური განვითარება, დაქვეითებული თვითრეფლექსია წარმოადგენს დამნაშავეთა უმეტესობის ფსიქიკის განმასხვავებელ თავისებურებებს.

ამასთან ერთად, მყარი ანტისოციალური მიმართულება, რაც არსებითია აგრესიული დამნაშავეებისთვის, რეციდივისტებისთვის, ადასტურებს მათში შესაბამისი დომინირებადი კრიმინოგენული მოტივების, სოციალურად საშიში გაცნობიერებული მისწრაფებების ოდენობას, რომლებიც იმორჩილებენ მათი ცხოველქმედების ყველა სხვა გამოვლინებას.

ამგვარად, არაცალკეული, იზოლირებული ცნობიერი მოტივები, არამედ ზოგადი მიმართულობა და ქცევის განზოგადოებული ხერხები განსაზღვრავენ მდგრადი დამნაშავეების ქცევას, რომელთა ქცევის მექანიზმების გასაგებად აუცილებელია გავარკვიოთ ცნება „პიროვნების ტიპი“.

პიროვნების ტიპი — ეს არის მიმართულობა, ღირებულებათა ორიენტაცია მისთვის დამახასიათებელი ქცევის საერთო ხერხებითა და საშუალებებით. პიროვნების სტრუქტურა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს დანაშაულის პირველწყაროს, მაგრამ მისი განხილვა აუცილებელია, რამეთუ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას პიროვნების ქცევითი ტიპი გვეკლინება იმ ძირითად მიზეზად, რომელიც მოითხოვს კომპეტენტურ ანალიზს.

4. დამნაშავეის პიროვნების ტიპოლოგია

დამნაშავეის პიროვნების ტიპოლოგიაში აუცილებელია გამოვ-
ყოს: 1/დამნაშავეის ზოგადი ტიპი; 2/განსაზღვრული კატეგორიის
დამნაშავე; და 3/განსაზღვრული ტიპის დამნაშავე. ეს გრადაციები
შეეთანაწყოება ერთმანეთს როგორც საერთო, განსაკუთრებული და
ერთეული.

რამდენადაც პიროვნების სოციალურ ბირთვს წარმოადგენს
მისი მიმართულება, ცხოვრებისეული დამოკიდებულებების სისტე-
მა, მოტივაციურ-ღირებულებითი ორიენტაცია, მაშინ ამ ბირთვმა
უნდა განაპირობოს დამნაშავეის ტიპიც.

დამნაშავეში ტიპის განსაზღვრის კრიტერიუმს წარმოადგენს
მისი საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხი, მისი ასოციალური,
ანტიასოციალური დეფორმაციის ზომა და ფსიქიკური თვითრეგუ-
ლაციის დეფექტები. ამ კრიტერიუმის მიხედვით, შეიძლება გამოი-
ყოს დამნაშავეის სამი ტიპი: ანტიასოციალური (ბოროტმოქმედი),
ასოციალური (ნაკლებად ბოროტი) და დამნაშავეის პიროვნების
ისეთი ტიპი, რომელიც ხასიათდება ფსიქიკური თვითრეგულაციის
დეფექტებით (შემთხვევითი).

პიროვნების კრიმინალურ-ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის სა-
ფუძვლად მიჩნეულა პიროვნების განზრახვები, მოტივები, მყარი მიზ-
ნები და დანაშაულის ჩადენის ხერხები, პიროვნების დესოციალიზირე-
ბულობის ზომა, მისი ანტიასოციალური მიმართულობის ხასიათი.

დამნაშავეის პიროვნება ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებების
ერთობლიობით:

- ჩადენილი დანაშაულის სახეობით;
 - დანაშაულის ფორმით, მიზნითა და მოტივით;
 - დანაშაულის ჩადენის ხერხით, როგორც დამნაშავეის ანტიასოცი-
ალური მიმართულების ინტენსივობის მაჩვენებლით;
სიტუაციითა და დანაშაულის ჩადენის საბაბით;
პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარე-
მოებების ოდენობით;
- დამნაშავეის დამოკიდებულებით ჩადენილი ქმედებისადმი, დამნა-
შავეის ქცევით დანაშაულის ჩადენის შემდგომ (დანაშაულის

აღიარება გამოცხადება, გამოძიებისა და სასამართლოსთვის თავის არიდება, გამოძიებისადმი დახმარების გაწევა და ა.შ.).

აღნიშნული ნიშან-თვისებების ერთობლიობა ახასიათებს დამნაშავეს პიროვნების დესოციალიზირებულობის ზომას. დამნაშავეს ტიპოლოგიის საფუძველი კი სწორედ რომ მათი დესოციალიზირებულობის ხარისხია სოციალურ-ღირებულებითი ქცევითი ღებადატაციის ზომასთან ერთად.

სოციალური ღებადატაციის ხარისხის მიხედვით არჩევენ ორი ტიპის დამნაშავეს პიროვნებას.

1. ანტი-სოციალური ტიპი – პირი, რომელმაც არაერთხელ ჩაიდინა დანაშაული მყარი ანტი-სოციალური მიმართულობის ბაზაზე, ანუ ეს არის „ბოროტმოქმედი“ დამნაშავეს ტიპი.

2. ასოციალური ტიპი – პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული საერთო ასოციალური მიმართულების საფუძველზე, ანუ იგი წარმოადგენს არა სოციალიზირებულ, „ნაკლებ ბოროტ-მოქმედი“ დამნაშავეს ტიპს.

ფსიქორეგულაციური საფუძველის მიხედვით, გამოყოფილია დამნაშავეს პიროვნების ისეთი ტიპი, რომელსაც ახასიათებს ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტები. ესენი არიან პირები, რომელთაც დანაშაული პირველად ჩაიდინეს და რასაც ხელი შეუწყო გარემოებათა შემთხვევითმა თანხვედრამ. ასეთი ინდივიდები ვერ უმკლავდებიან კრიმინოგენულ სიტუაციას; მათ პიროვნულ თავისებურებას წარმოადგენს თვითკონტროლის დაბალი დონე, ქცევის სიტუაციური განპირობებულობა.

თვითრეგულაციის დეფექტების მქონე დამნაშავეები დაყოფილია ოთხ ნაირსახეობად:

- ა) პირები, რომლებიც უშვებენ დანაშაულებრივ გულგრილობას, უმოქმედობას;
- ბ) პირები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან უკიდურესი თავდაჯერებულობის შედეგად;
- გ) პირები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან ძლიერი სულიერი მღელვარების შედეგად და სხვა პიროვნების მხრიდან არამართლზომიერი მოქმედებების საპასუხოდ;
- დ) პირები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან მომატებული სიტუაციური ღებადატაციის მაღალი დონიდან გამომდინარე.

პიროვნების ღირებულებით – ორიენტაციული მიმართულების შინაარსის თანახმად გამოყოფილია დამნაშავეთა შემდეგი ჯგუფები:

1. დამნაშავეები ანტისოციალური ანგარებითი მიმართულებით. აქ გამოყოფილია შემდეგი ქვეჯგუფები:

ა) ანგარებით–სამეურნეო დამნაშავეების ქვეჯგუფი (საქონლის ფალსიფიცირება, ლიცენზირების წესების დარღვევა, გადასახადების იგნორირება);

ბ) ანგარებით–სამსახურეობრივი დამნაშავეების ქვეჯგუფი (ქონების დატაცება სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, კლიენტების მოტყუება, ქრთამის გამოძალვა);

გ) ქურდები;

დ) თაღლითები ;

2. დამნაშავეები ანტისოციალური ანგარებით–ძალადობრივი მიმართულებით (გამოძალვა, ყჩაღური თავდასხმა, ძარცვა).

3. ანტიჰუმანური, აგრესიული მიმართულების მქონე დამნაშავეები – პირები, რომლებიც უკიდურესად უგულბებელყოფენ სხვა ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და პირად ღირსებას. ამ ჯგუფში გამოიყოფა შემდეგი ოთხი ქვეჯგუფი:

ა) ხულიგნები;

ბ) ბოროტი ხულიგნები;

გ) პირები, რომელთაც მორალური ზარალი მიაყენეს სხვა ადამიანების პიროვნულ ღირსებას შეურაცხყოფისა და ცილისწამების გზით;

დ) პირები, რომელთაც პიროვნების წინააღმდეგ ჩაიდინეს აგრესიულ–ძალადობრივი ქმედება – მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულის დაზიანება.

ინდივიდის ქცევითი რეგრესიის ყოველგვარი გამოვლინება დაკავშირებულია სოციოკულტურული სტანდარტებიდან მის ამოვარდნასთან.

დესოციალიზაციისა და ღირებულებითი დეფექტების ხარისხიდან გამომდინარე, არჩევენ დამნაშავე ინდივიდუალისთვის პიროვნებასა და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი დამნაშავის პიროვნებას.

დამნაშავის ყოველ ტიპს აქვს თავისებური „პიროვნული სქემა“, რომელიც გამოიხატება მოთხოვნილებით – მოტივაციური მი-

მართულების სპეციფიკაში, ინტელექტუალური, ნებელობითი, ემოციური და ინსტრუმენტალურ-ქცევით თვისებებში.

აანალიზებს რა დამნაშავეის პიროვნებას მისი ტიპოლოგიის მეშვეობით, იურისტი ავლენს დამნაშავეის პიროვნების სოციალური დეზადაპტაციის ხარისხსა და ორიენტაციულ-ქცევით სქემას.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შორის, მათი პიროვნული ჩამოყალიბებლობიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი დამნაშავეის „ტიპის“ გამოყოფა. არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი დანაშაული, უმეტეს წილად, დაკავშირებულია მათი მოტივაციური სფეროს არამდგრადობასთან და არა განსაზღვრული მყარი სოციალურად უარყოფითი მიმართულების სიჭარბესთან.

ამრიგად, დამნაშავეის პიროვნება ეს არის დამნაშავეის ნეგატიური, სოციალურად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების ერთობლიობა, რომელიც ვლინდება კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისას. დამნაშავეის პიროვნების თვისებები განხილულ უნდა იქნას მათი იერარქიული სტრუქტურირებულობის თვალსაზრისით. აქ კი წინა პლანზე წამოწეულია პიროვნების, როგორც ზოგადი ღირებულებით – ორიენტაციული სქემა, ასევე დამნაშავეთა ცალკეული კატეგორიის ფსიქოლოგიური თავისებურებები.

5. სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეთა ფსიქოლოგიური თავისებურებები

მოდლაღე ტიპის დამნაშავე

იმ პირთა ძირითად მახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ჩადიან ძალადობრივ დანაშაულს, წარმოადგენს სოციალური იდენტიფიკაციის დეფექტურობა, ემოციური სიჩლუნგე, იმპულსური აგრესიულობა. პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან მკვლელობებში, სხეულის დაზიანებაში, გაუპატიურებაში, ხულიგნურ მოქმედებებში გამოირჩევიან უკიდურესი დესოციალიზირებულობით, ასოციალური ქცევითი ჩვევების სტერეოტიპიურობით და უმეტეს შემთხვევებში შეპყრობილნი არიან ალკოჰოლიზმით. მათი ქცევისთვის არსებითია უკიდურესი ეგოცენტრიზმი, სპონტანურად აღმოცენებუ-

ლი სურვილების დაუყოვნებლივი დაკმაყოფილებისადმი მისწრაფება, პრიმიტივიზმი და ცინიზმი. ისინი ძალადობაში ხვდავენ კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთ საშუალებას. ასეთი პიროვნებისთვის დამახასიათებელია ფსიქოლოგიური თავდაცვის ხერხების ფართო გამოყენება, რაც გამოიხატება თავიანთი ანტისოციალური ქცევის გამართლებაში, დაზარალებულზე და გარეგან სიტუაციებზე დანაშაულის გადაბრალებაში.

მოცემული კატეგორიის დამნაშავეთა ნეგატიური თვისებები ყალიბდება მიკროგარემოს უკიდურესად უარყოფით, დაქვეითებული სოციალური კონტროლის პირობებში. ასეთი ქცევის ჩამოყალიბების არსებითი ფაქტორებია ბავშვობაში ემოციური დეპრევაცია, ოჯახისგან და სოციალურად დადებითი ჯგუფებისგან გაუცხოება. მათ ცხოველქმედებაში აგრესიული ქცევა მუდმივად უპირატესი იყო გამომდინარე აქედან, ფორმირდებოდა მყარი მზაობა სხვა ადამიანებისადმი ზიანის მიყენებისათვის, რაც მკაფიოდ გამოვლინდება აგრესიულ ქცევებში.

აგრესია არის ვინმესადმი ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება. აგრესიას თან სდევს მტრული განწყობილება, მძვინვარება, სიძულვილი. განასხვავებენ რეაქტიულ და მყარ აგრესიულობას. ზოგჯერ შესაძლებელია ე.წ. ინსტრუმენტული აგრესიულობაც, რაც გამოიხატება აგრესიულობის განტვირთვაში ნებისმიერ შემთხვევით შემხვედრ ობიექტზე.

ინდივიდის მუდმივი მზადყოფნა აგრესიული ქცევისადმი, მეტყველებს მისი პიროვნების მდგრად ნიშან-თვისებაზე – აგრესიულობაზე.

ინდივიდის აგრესიულობა არის ოჯახში, სასწავლო და საწარმოო დაწესებულებებში, სხვადასხვა არაფორმალურ სოციალურ გარემოში მისი სოციალიზაციის დეფექტურობის შედეგი.

აგრესიულობის, როგორც პიროვნული ნიშან-თვისების ჩამოყალიბება გამოწვეულია პირობების მთელი კომპლექსით. მაგრამ კონკრეტული აგრესიული ქცევა შეიძლება განსაზღვრული იყოს სხვადასხვა იძულებითი მექანიზმით: კონფლიქტური სიტუაციის აგრესიული ფორმით გადაჭრის აუცილებლობით; აფექტური მდგომარეობით; ფრუსტრაციის მიერ პროვოცირებული გარემოებით; იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობით, რომელიც განსაზღვრავს ძალადო-

ბას, როგორც ჯგუფურ ნორმას; ფსიქიკური ანომალიებით (ფობიები, ნევროზები, ისტერიული ფსიქოპათიები); ხასიათის აქცენტუაციებით; პიროვნების „სუსტი ადგილების“ ჰიპერკომპენსაციის განწყობით; ემოციური არამდგრადობით.

აგრესიულ ქცევასთან კავშირშია პიროვნების ისეთი ნეგატიური თვისებები, როგორიცაა შფოთიანობის მომატებული დონე, ამაღლებული თვითშეფასება, ეგოცენტრიზმი, დაქვეითებული ტოლერანტობა, ღვარძლიანობა, აუტიზმი (სოციალური გაუცხოება), ემოციური თანაგრძნობის არ არსებობა, სოციალური იდენტიფიკაციის დეფექტები. ამასთან ერთად, აგრესიულობა ყველა შემთხვევაში წარმოადგენს პიროვნების დესოციალიზირებულობის ანუ საზოგადოდ მიღებული სოციალური ნორმებისადმი მისი ქცევის დაუქვემდებარებლობის, პიროვნების სოციალურ-ღირებულებითი დეფორმაციის მაჩვენებელს. ყველა ეს ფაქტორი მკვეთრად ძლიერდება ავზნებადი ტიპის უმაღლესი ნერვული მოქმედების მქონე ინდივიდში.

აგრესიულობა შესაძლოა იყოს საგნობრივ-არადიფერენცირებული (ხასიათის კონფლიქტურობა, ღვარძლიანობა) ან ამორჩევით-საგნობრივი (როდესაც მიმართულია განსაზღვრულ სოციალურ ობიექტებზე — ქვეშევრდომებზე, ოჯახის ცალკეულ წევრებზე, გარკვეული პიროვნული ნიშან-თვისებების მქონე ადამიანებზე).

ძალადობით დანაშაულებში ხშირად ვლინდება სასტიკი აგრესია, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს აყენებს მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ ტრავმებს. აგრესიული ქცევის ეს ტიპი ადასტურებს ღრმა პიროვნულ დეფორმაციას, პიროვნებაში აგრესიული ქცევისადმი მყარი განწყობის ფორმირებას, ინდივიდის მუდმივ მზადყოფნას სხვა ადამიანებისადმი ზიანის მიყენებაზე, პიროვნების სოციალური თვითკონტროლის უკიდურეს დაქვეითებას. მითითებული პიროვნული დეფექტები მთელ რიგ შემთხვევებში ღრმავდება ალკოჰოლიზმით, ფსიქიკური დაავადებებით, თავის ქალის ტრავმებით. ამ პირების ქცევა მათთვის კონფლიქტურ სიტუაციებში, რომლებიც შეიცავენ პიროვნულად კრიტიკულ ნიშნებს, ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: ინდივიდის უუნარობით შეიკავოს პირველი აგრესიული ლტოლვა, იმპულსი; ასევე იწინასწარმეტყველოს კონფლიქტის განვითარება და აგრესიული მოქმედებების შედეგები.

არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების უმრავლესობა, დაკავშირებულია იმპულსურ აგრესიულობასთან, მათი აღმოცენება სიტუაციურად განპირობებულია და უკავშირდება სიტუაციის სუბიექტურ შეფასებებს. ასეთი დანაშაულების დროს, წინა პლანზე გამოდის ე.წ. მტრული აგრესია, ანუ ზიანის მიყენება გამოდის როგორც თვითმიზანი. ძალადობის ხანგრძლივობა და უღმობელოება დამოკიდებულია დანაშაულებრივ მიზანზე – რაც შეიძლება მეტად დაამციროს მსხვერპლი, მიაყენოს მას დიდი მწუხარება და განცდა ეჭიანობის, სამაგიეროს გადახდის, თვითგანმტკიცების და ა.შ. ნიადაგზე. ჯგუფური ძალადობის შემთხვევაში აგრესია ხშირად გამოწვეულია ჯგუფური ზეწოლის, ჯგუფური ტრადიციების ზეგავლენით.

დაზარალებულთან ურთიერთქმედების სხვადასხვაგვარობიდან გამომდინარე, ძალადობრივი დანაშაულები შეიძლება დაიყოს ორ ნაირსახეობად: 1) მსხვერპლი არ არის დაკავშირებული დამნაშავის აგრესიულობასთან და 2) დაზარალებულმა მოახდინა დამნაშავესთან კონფლიქტური ურთიერთქმედების პროვოცირება; დამნაშავის აგრესიულობა აღმოცენდა პიროვნებათაშორისი კონფლიქტის მიმდინარეობისას. ამ დროს გამახვილებულია წინააღმდეგობრიობა დამნაშავისა და დაზარალებულის აქტუალურ ინტერესებს, განწყობებსა და მიზნებს შორის, რომლის შედეგადაც აღმოცენდება ინტერაქტიული ანტაგონიზმი.

მხარეთა კონფლიქტური ურთიერთქმედება იწყება მათთვის ნებისმიერი სახის მუქარის აღმოცენებისთანავე. ამავდროულად მობილიზდება ურთიერთსაპირისპირო მხარეების ინტელექტუალური, ემოციურ-ნებელობითი და ფიზიკური რესურსები. მხარეები ახორციელებენ მუქარის გამოძახებულ, თავმოყვარეობის, ინტერესების შემლახავ და მიზნის დამბლოკავ მოქმედებებს, ანუ ისეთ დესტრუქციულ მოქმედებებს, რომლებიც დაარღვევენ პარტნიორის ფუნქციონირებას. ჩნდება კონფლიქტში მყოფი პიროვნებების ფსიქიკური სტრუქტურების ურთიერთშეჯიბრება. ყოველი მხარე მიისწრაფვის დაიკავოს სტრატეგიულად მომგებიანი პოზიცია, ცდილობს გამოიცილოს მეორე მხარის შესაძლო ქცევა და თავად შესატყვის მოქმედებებს ასრულებს.

არაიშვიათად კონფლიქტები, რომლებიც იწვევენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს, წარმოადგენენ ხანგრძლივად დაძაბულ ურთიერთობებში მყოფი მხარეებისთვის კულმინაციას, მთელ რიგ შემთხვევებში კი აღმოცენდებიან სპონტანურად. ზოგჯერ ძალადობის მსხვერპლი დამნაშავეისთვის გამოდის როგორც პოტენციური საფრთხე.

აგრესიული დასასრულის მქონე სპონტანურად აღმოცენებული კონფლიქტები ყველაზე ხშირად გამოწვეულია სიტუაციური დომინირებისკენ, მატერიალური ფასეულობების ფლობისკენ მისწრაფებით, ასიმეტრიული უფლებების სიტუაციით (როცა ერთ-ერთ მოწინააღმდეგე მხარეს უპირატესი უფლება აქვს რაღაც კეთილდღეობაზე), თანაბრად მიმართული მოქმედებების არათავსებადობით. შესაძლოა აგრეთვე პირდაპირი პროვოკაციებიც ემოციური დაძაბულობის განტვირთვის მიზნით, როცა იქმნება საბაბი აგრესიული თავდასხმისთვის. ნებისმიერ აღმოცენებულ კონფლიქტს აქვს ტენდენცია ესკალაციისაკენ (გაფართოებისკენ).

შემთხვევითი დამნაშავეების დანაშაულებრივი ქმედებები წარმოადგენენ მათი არაადექვატური რეაქციების რეზულტატს უეცრად აღმოცენებულ მძაფრ კონფლიქტურ სიტუაციებზე. მათი დანაშაულებრივი ქცევა უკავშირდება კონფლიქტური სიტუაციიდან ადეკვატური გამოსვლის ხერხების არცოდნასა და ჩამოუყალიბებლობას. მრავალ შემთხვევაში, ძალადობრივი დანაშაულებები მათ მიერ ჩადენილია გრძნობების მოზღვაუებიდან გამოძინარე, როგორც ოჯახში, ან ჯგუფურ გარემოცვაში დაგროვილი კონფლიქტების თანდათანობითი განმუხტვა. ეს დანაშაულები დაკავშირებულია აფექტურ აგზნებადობასთან, რომელიც გამოწვეულია სამაგიეროს გადახდის, ეჭვიანობის, წყენის და გარეგნულად უმნიშვნელო მიზეზების ნიადაგზე.

ძალადობრივი დამნაშავეის მდგრადი ტიპი გამოირჩევა მუდმივი აგრესიული მიმართულებით, მასში ჩამოყალიბებულია უხეში ძალის გამოყენების (და ამისათვის ყოველთვის მოიძებნება მიზეზი) სტერეოტიპი.

მოძალადე დამნაშავეის ბოროტი ტიპისთვის დამახასიათებელია აგრესიული ქცევის სტერეოტიპულობა, მათთვის აგრესიულობა თვითგანმტკიცების დომინირებულ ხერხს წარმოადგენს, ხოლო მოქმედების სისასტიკე და უღმობლობა კი – თვითმიზანია. ასეთი

ტიპები არაიშვიათად კარგავენ სოციალური პასუხისმგებლობის „ნარჩენებსაც“ კი და არ ჩერდებიან მკვლევლობის წინაშეც.

ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ყველაზე რთულია მკვლელთა ტიპების გამოვლენა. მკვლევლების განზრახვა და მოტივი სხვადასხვაგვარია ხულიგნური მისწრაფებების, ეჭვია-ნობის, სამაგიეროს გადახდის, შურის, შიშის თუ მძვინვარების სა-ფუძველზე. მოკლედ, მრავალი მოტივი არსებობს, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ განსაკუთრებით საშიში მკვლევლები, რომლებიც უკიდურეს სისასტიკესა და ცინიზმს ავლენენ, არიან ის პირები, რომლებიც სწაღიან მკვლევლობას ყაჩაღური თავდასხმების ღროს (კრიმინალურ ფსიქოლოგიაში მათ უწოდებენ „ბოროტ“ მკვლევლებს).

ბოროტი მკვლელი – ეს არის დამნაშავის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტიპი. დამნაშავის ეს ტიპი გამოირჩევა მდგრადი ანტისოციალური განწყობით, პიროვნების ღრმა ანტისოციალური დეფორმირებულობით. მისი უკიდურესად პრიმიტიული ცხოვრებისე-ული ორიენტაცია, ამორალურობა, კვაზიმოთხოვნის სიჭარბე განაპირობებს ასევე მოქმედებების უკიდურესად პრიმიტიულ ხერხებს. მათი ყოველდღიური ქცევა ასოციალურია, ხორციელდება კრიმინალური სუბკულტურის პირობებში. გარედან ნებისმიერ ზემოქმედებას ისინი აღიქვამენ როგორც პირად თავდასხმას და განსაკუთრებული სიძულვილით არიან განწყობილნი „მართალი“, უზრუნველყოფილი ადამიანების მიმართ. განიცდიან რა ქრონიკულ ემოციურ-ფსიქიკურ დაძაბულობას, შფოთიანობას, ისინი მზად არიან იმპულსური გან-ტვირთვისთვის ნებისმიერი უმნიშვნელო მიზეზითაც კი ჩაიდინონ ისეთი უმძიმესი დანაშაული, როგორცაა მკვლევლობა.

ამრიგად, ბოროტი მკვლელის ძირითად თვისებას მისი პი-როვნების მთელი სტრუქტურის ღრმა ანტისოციალური დეფორმა-ცია წარმოადგენს.

შემთხვევითი მკვლელის ფსიქოლოგიური თავისებურებაა მი-სი ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტები. დაზარალებულის სიკვდილი მისთვის ტრაგიკულ შემთხვევითობას წარმოადგენს, მაგრამ, სინამდვილეში, ეს „შემთხვევითობა“ შემთხვევითი არ არის. აქ დომინირებს პიროვნების უუნარობა სოციალურად ადაპ-ტირებულად გამოვიდეს კრიტიკული, მწვავე კონფლიქტური სიტუ-

აცეხებიდან. როგორც წესი, ასეთი მკვლევლობა ხდება უარყოფითი ემოციების ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვების, გადატანილი მწუხარების ფონზე. არ ხედავს რა თავდაცვის ზნეობრივად დადებით და მართლზომიერ ხერხებს, ინდივიდი იყენებს უკიდურეს საშუალებას. ამ დროს იგი აცნობიერებს საკუთარ უიმედო მდგომარეობას, არ სჯერა სამართლიანობის. ამასთან, როგორც წესი, დაზარალებული ხანგრძლივად და უხეშად არღვევს ელემენტარულ ადამიანურ ურთიერთობებს, რითაც ახდენს დანაშაულის ჩადენის პროვოცირებას.

ცალკეული შემთხვევითი მკვლევლობები ხდება უეცრად (მოულოდნელადაც), ექსტრემალურ სიტუაციებში, განსაკუთრებით აფექტურ მდგომარეობაში.

უნდა გათვალისწინებულ იქნეს დიდი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური განსხვავებულობა განზრახ მკვლევლობასა და შემთხვევით მკვლევლობას შორის. ამ დანაშაულებში, ერთი და იგივე რეზულტატი დაკავშირებულია დამნაშავის მხრიდან საზოგადოებისთვის მიყენებულ როგორც სხვადასხვა საფრთხესთან, ასევე დამნაშავის განსხვავებულ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტიპთან. მაგრამ ორივე ტიპს აქვს საერთო თავისებურება – ერთიც და მეორეც მართლსაწინააღმდეგოა და წარმოადგენს პიროვნებაზე ძალადობის საშიშ სახეობას.

არცერთ სხვა დანაშაულში ანტიადამიანური ქმედება არ აღწევს ისეთ სიმძაფრეს, როგორც მკვლევლობისას. არაიშვიათად მკვლევლობა ჩადენილია ეჭვიანობის ნიადაგზე აღმოცენებული აფექტის მდგომარეობაში. ამ დროს ადგილი აქვს ინდივიდის ინტელექტუალურ-ნებელობით სფეროში მნიშვნელოვან დეფორმაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ სოციალურად საშიშ ქცევით პროგრამებს. ასხვავებენ ეჭვიანობის ფსიქოლოგიურ, კულტურულ-ისტორიულ და ბიოლოგიურ ასპექტებს.

ისტორიულად ფორმირებული მონოგამიის შემდგომ, მრუშობა (მეძაეობა) იქცა სოციალურად დასაგმობ, გასაკიცხ გარყვნილებად, ხოლო უმანკო (უბიწო) სექსუალურმა ქცევამ შეიძინა სოციალური ეტალონის მნიშვნელობა. ისტორიულად ჩამოყალიბდა დასჯის წესჩვეულებები ცოლ-ქმრულ ღალატთან დაკავშირებით, რომლებიც არაიშვიათად ძალზედ მკაცრი იყო. განსაკუთრებით გაზრდილ სოციალურ კონტროლს ექვემდებარებოდა ქალის ქცევა. ახლო დრომ-

დე ქალიშვილობის შენარჩუნება ქორწინებამდე იყო ოჯახური კეთილდღეობის გარდაუვალი პირობა.

განსაკუთრებით მძიმე განცდებს იწვევს ეჭვიანობა ნამდვილი ან წარმოსახული ღალატის მიზეზით. ამ დროს, ადვილად აქტიურიზირდება აგრესიული ქცევის არქაული მექანიზმები, მოწინააღმდეგისადმი ზიანის მიყენების სპონტანური მისწრაფება. ეჭვიანი პიროვნების ბობოქარმა წარმოსახვამ შეიძლება დახატოს ღალატის საშინელი სურათი ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლოდაც კი. ჰიპერტროფიული ეჭვიანობა შეიძლება იქცეს ხასიათის აქცენტუაციადაც, ინდივიდის ფსიქიკურ ბიძგად. ეჭვიანობა ამარცხებს საღ აზრს, ქმნის ნათლად წარმოსახულ ხატებს. ეჭვიანობას თან სდევს ტკივილი, რომელიც ზოგჯერ აუტანელია. ადამიანს არ ძალუძს მას გაუმკლავდეს და მკვლელობასაც კი სჩადის.

ქალისა და მამაკაცის ეჭვიანობა არ არის ერთნაირი, როგორც მათთან არ არის მსგავსი სიყვარულისა და სირცხვილის გრძნობები. მამაკაცებს ნაკლებად შეუძლიათ პატიება. არაიშვიათად აღმოცენდება ფსიქოლოგიურად პარადოქსალური მოვლენა – მოღალატისადმი სიყვარული იზრდება. ეს აძლიერებს ობიექტის დაპყრობისათვის ბრძოლის სურვილს და იზრდება აგრესიულობა და სიძულვილი მოწინააღმდეგისადმი.

ღალატის სიტუაციაში მხარეების ქცევა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია მათ კულტურულ დონეზე. რაც უფრო დაბალია ადამიანის კულტურის დონე, რაც უფრო ნაკლებ სოციალიზირებულია იგი, მით უფრო მეტია მისი მხრიდან აგრესიული ქცევის ალბათობა. ეს აგრესიულობა მკვეთრად, ტალღისებურად მატულობს ალკოჰოლის მიღების ფონზე, იძენს შეუკავებელი, გიჟური აგრესიულობის ხასიათს.

მრავალი მკვლელობა ხდება ე.წ. ყოფით ნიადაგზე, იმპულსურად, ზოგჯერ გასაოცრად უმნიშვნელო მიზეზით. ამ კატეგორიის მკვლელები ხშირად დაძმობულნი არიან არასრულფასოვნების კომპლექსით, მათი აგრესიული ქმედება უკავშირდება ჰიპერკომპენსაციას, წარმოადგენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი შურისძიების სურვილის შედეგს.

ისეთ სიტუაციებში, როდესაც პიროვნება განიცდის შეურაცხყოფას, უხეშ დაცინვას, ცემას, იგი ექცევა ტრავმირებადი გარე-

მოების სრულ დამოკიდებულებაში, მას არ შესწევს ძალა გააკონტროლოს საკუთარი ქცევა.

აღსანიშნავია, რომ ყველა განხილულ შემთხვევაში ვლინდება ღრმა პიროვნული დეფექტები, ინდივიდის უუნარობა გარემომცველ სამყაროსთან სოციალურად ადაპტირებული ურთიერთქმედებისადმი. უმეტეს შემთხვევებში მკვლელის ცხოვრებისეულ გზას თან სდევდა აგრესიული ქცევის გამოცდილების ხანგრძლივი დაგროვება. მოსახლეობის კანონდამცველ ნაწილთან შედარებით, მკვლელთა შორის ფსიქიკურად ანომალიური პირების რიცხვი, გაცილებით მაღალია.

მკვლელთა საერთო ფსიქოლოგიური თავისებურებაა უკიდურესად დაბალი სოციალური სტატუსი, საკუთარი როლის არაადეკვატური გაცნობიერება, პრეტენზიის დონესა და რეალურ შესაძლებლობებს შორის დიდი განსხვავება, ემოციური არასტაბილურობა.

დიდი იმპულსურობით გამოირჩევიან მამაკაცი მკვლელები. მკვლელობათა ნახევარზე მეტი ხდება მარტივი ჩანაფიქრით – პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვის და ამით სასჯელის თავიდან აცილების მისწრაფებით. უფრო დიდი საფრთხის შემცველი და საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიშია წინასწარგანზრახული მკვლელობა, როცა დამნაშავე ცდილობს უზრუნველყოს საკუთარი დაუსჯელობა(ეს მდგომარეობა, ზოგიერთი იურისტის აზრით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი).

მკვლელის პიროვნება ხასიათდება მკვლელობის ხერხის თავისებურებებითაც. მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა მოწმობს მკვლელის საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებაზე.

სასამართლო წარმოებაში სისასტიკის კრიტერიუმად გამოდის მიყენებულ ჭრილობათა მრავალრიცხოვნობა და მკვლელობა მოკლულის ახლობლების თანდასწრებით, მათთვის განსაკუთრებული მწუხარების მიყენების მიზნით. მაგრამ ჭრილობათა სიმრავლე არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის წინასწარგანზრახული ტანჯვის მიყენების მაჩვენებელს. ჭრილობათა მრავალრიცხოვნობა შეიძლება განპირობებული იყოს დანაშაულებრივი სიტუაციით, მაგალითად როდესაც დაზარალებული მკვლელს ფიზიკურად ჯაბნის

ან მკვლელი იყენებს შეუფერებელ იარაღს, მაგალითად: სკალპელს, ჩაქუჩს და ა.შ.

გარდა ამისა, ქაოტურად მიყენებული მრავალი ჭრილობა ადასტურებს დამნაშავეის ფიზიოლოგიურ აფექტის მდგომარეობას, რომელიც უმეტესწილად უეცრად აღმოცენდება. მკვლელის განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიუთითებენ ჭრილობათა არა რიცხობრივი, არამედ ხარისხობრივი თავისებურებები, სადაც გამოვლინდება დამნაშავეის მსხვერპლისადმი განსაკუთრებით გაუკუღმართებული ფსიქიკური დამოკიდებულება.

გარკვეული ფსიქოლოგიური ნიუანსები ახასიათებს სისასტიკის მეორე კრიტერიუმს – მკვლელობის ჩადენას მსხვერპლის (დაზარალებულის) ახლობლების თანდასწრებით. ახლობლების თანდასწრება მკვლელის მიერ უმეტეს შემთხვევებში არ გაცნობიერდება. მკვლელის წარმმართველი მოტივაცია, აღმოცენებული, როგორც წესი, განსაკუთრებულ კონფლიქტურ სიტუაციებში, ავიწროებენ მისი ცნობიერების ველს, განდევნიან ცნობიერებიდან ყოველივე იმას, რასაც არანაირი დამოკიდებულება არა აქვს კონფლიქტის გადაჭრასთან, მათ რიცხვში ექცევა მსხვერპლის ახლობლების დასწრებაც. მკვლელობათა მნიშვნელოვანი ოდენობა ჩადენილია ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.

ძალადობრივი დანაშაულის ყველა სახეობა უკავშირდება დაზარალებულისადმი ფიზიკური ზიანის მიყენებას ანუ დამნაშავეის აგრესიულობასა და სისასტიკეს.

მაგრამ ფიზიკური ზიანის გარდა, დამნაშავე მოძალადეები საკუთარ მსხვერპლს აყენებენ უდიდეს ფსიქიკურ ტრავმას. ამ კუთხით ძალადობრივ დანაშაულებთან შეიძლება გაერთიანდეს ხულიგნობაც, რომლის მიზანია აქტის ჩადენის პროცესში ზიანი მიაყენოს გარშემომყოფი ადამიანების პატივსა და ღირსებას.

ძალადობრივი და ხულიგნური დანაშაულების თითქმის 90% სიტუაციით არის გაპირობებული და აღმოცენდება ჩხუბის, ემოციური კონფლიქტის სიტუაციებში. უპირატესად ესენია საყოფაცხოვრებო კონფლიქტები, გამოწვეული როგორც დამნაშავეების, ასევე დაზარალებულთა უკიდურესად დაბალი კულტურის დონით.

ხულიგნობის საფუძველს წარმოადგენს ნაკლებად გაცნობიერებული, იმპულსური ქმედებები, კონფლიქტურ სიტუაციებში და-

ბალი ადაპტირებულობა, უკიდურესად ამაღლებული აგრესიულობა და შედარებით უკულტურობა.

ზოგიერთი ფსიქოლოგიური თავისებურებით გამოირჩევა ქალების დანაშაულებრივ-ძალადობრივი ქცევა. რა თქმა უნდა, ქალების მიერ ჩადენილი დანაშაული თავისი მოცულობით მნიშვნელოვნად ნაკლებია მამაკაცების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან შედარებით. ქალების ქცევის სპეციფიკა მდგომარეობს სინამდვილის ცალკეული მომენტების შედარებით მკვეთრად აღქმაში, მათზე ძლიერ ემოციურად რეაგირებაში, პიროვნებათა შორისი ურთიერთობების ზოგიერთი ფაქტებისადმი დიდი მნიშვნელობის მინიჭებაში.

დაძაბულ სიტუაციებში ქალები უფრო მეტად ხვდებიან ფსიქიკური ტრავმის ქვეშ. ისინი უფრო მტკივნეულად განიცდიან ოჯახურ ჩხუბსა და კონფლიქტებს. ფლობენ რა შფოთიანობის მომატებულ დონეს, ქალები მიდრეკილნი არიან მუქარის შემცველი სიტუაციების გადაფასებისკენ. მომეტებული სენზიტიურობა (მგრძნობელობა), ოჯახური პრობლემების სიუხვე, მათში ქმნის მყარ ფონს გაზრდილი ფსიქიკური დაძაბულობისათვის.

ქალებს უფრო მეტად აქვთ მიდრეკილება ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისადმი. ქალთა შორის ასევე მაღალია ფსიქიკური ანომალიების დონეც. დამნაშავე ქალების უმეტესობა გამოირჩევა მომეტებული აგზნებადობით, სოციალური ურთიერთქმედების დეფექტებით, ისტერიულობით, უემური ხასიათით. აგრესიულ მოქმედებებში ყველაზე ხშირად იყენებენ შემთხვევით ხელთ მოხვედრილ საგნებს. თუმცაღა, მძიმე, წინასწარ განზრახულ დანაშაულებებს ქალები, როგორც წესი, უფრო საფუძვლიანად გეგმავენ და საგულდაგულოდ ნიღბავენ. პიროვნების წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულს ჩვეულებრივ სჩადიან მამაკაცური ტიპის ქცევის მქონე ქალები.

ქალთა დანაშაულის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ოჯახში ცხოვრებისეული კოლიზიები, ამორალური ქცევის ხანგრძლივი გამოცდილება, ქალების აღზრდის სფეროში არსებული პრობლემები, პრიმიტიულობა, ინფანტილურობა, უკიდურესად შეზღუდული ინტერესები, ემოციური და ინტელექტუალური სიჩლუნგე. ესენია ქალური დევიანტური ქცევის ზოგადფსიქოლოგიური წინამძღვრები.

როგორც წესი, სოციალურ-ფსიქოლოგიური გაუცხოება ხდება ნაკლებად განათლებულ, ნაკლებკულტურულ ოჯახებში, სადაც დარღვეულია სოციალური კავშირები. ოჯახის მხრიდან უკონტრო-

ლოდ დარჩენილი გოგონები ადრეული ასაკიდან იწყებენ არეულ სქესობრივ ცხოვრებას, ამასთან ერთად, აღმოცენებული სოციალური დალი მკვეთრად ართულებს მის გამოსვლას შექმნილი მდგომარეობიდან. იგი იწყებს ქურდობას, ხეტიალს, პროსტიტუციას, თაღლითობას და ა.შ. მატულობს შფოთვის დონე, ქცევაში ძლიერდება აგრესიულობა, რასაც თან სდევს დანაშაულის ჩადენა. კრიმინალური სუბკულტურა, გავრცელებული სასჯელალსრულებით დაწესებულე-ბებში, კიდევ უფრო აღრმავებს დესოციალიზაციის პროცესს.

ძალადობრივს განეკუთვნება სექსუალური დანაშაულებაც. სექსუალური დამნაშავეების ყველანაირ ტიპში გაბატონებულ ფსიქიკურ თვისებას წარმოადგენს სექსუალური აგრესიულობა, რომელიც გამოიხატება სექსუალური ძალადობის მსხვერპლისადმი კიდევ ფიზიკური ზიანის მიყენების მდგრად მიდრეკილებაში, რაც არაიშვიათად სიკვდილით მთავრდება. ეს ადასტურებს პიროვნების ფსიქოპათიურ გადახრას. მოცემული ჯგუფისათვის დამახასიათებელია ასევე ემოციურობა და ჰიპერმგრძნობელობა ეროტოგენული გამღიზიანებლებისადმი.

სექსუალური დამნაშავეების უმეტესობას ჰქონდა ადრეული სექსუალური ინიციაცია, როგორც წესი, გაუკულმართებული ფორმით. ამ კატეგორიის დამნაშავეთა უმრავლესობა განსხვავდება პიროვნების ასოციალური განვითარებით.

სექსუალურ დამნაშავეთა შორის შედარებით მეტად აგრესიული ახალგაზრდობაა (უპირატესად ინტროვერტები), რომლებიც გამოირჩევიან ქცევის მომატებული იმპულსურობით. ნაკლებ აგრესიულები არიან პედოფილები. ისინი გამოირჩევიან ინფანტილურობით (ანუ ფსიქიკური განვითარების ბავშვურობით).

სექსუალური პერვერსიები (გაუკულმართებები) ფსიქიკური ანომალიების მქონე პირებთან ფორმირდება სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით. ესენია გენეტიკური, ენდოკრინული, ნევროგენული და ფსიქოფიზიოლოგიური. ზოგი ავტორი ფსიქოფიზიოლოგიური ეტიოლოგიის სექსუალურ პერვერსიებს პიროვნულ დისჰარმონიულობას უკავშირებს.

ფსიქიკური ანომალიებისას ირდევვა სქესობრივი აქტის მოტივთა იერარქიულობა. ნორმის ფარგლებში სქესობრივი აქტის პიროვნული აზრი იერარქიულია, ფსიქიკური ანომალიების დროს კი სოციალურად განპირობებული მოტივები (მაგალითად, კომუნიკაციური) დაბლოკილია.

როგორც ზოგიერთი ავტორი თვლის, კომუნიკაციური მოტივის ბლოკირება, ჩვეულებრივ უკავშირდება ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში ფსიქოტრავმირებად განცდებს, რაც იწვევს ინდივიდის ფსიქოპათიაციას.

სექსუალური დანაშაულებების ფსიქოლოგიის გაგება დაკავშირებულია სასამართლო სექსოლოგიისა და სექსოპათოლოგიის სფეროში დაგროვილ ცოდნასთან. სქესობრივი გაუკუღმართების პრობლემაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ორიენტაციას (თანამედროვე ტერმინოლოგიით – სექსუალურ პერვერსიებს ანუ სექსუალურ დევიაციებს).

სექსუალური დევიაცია (გადახრა) იყოფა სექსუალური ლტოლვის ობიექტისა და სექსუალური ზრახვების რეალიზაციის ხერხის მიხედვით.

სექსუალური ლტოლვის ობიექტის მიხედვით ანსხვავებენ შემდეგ სქესობრივ პერვერსიებს:

- ჰომოსექსუალიზმი – იმავე სქესის წარმომადგენლებისადმი სქესობრივი ლტოლვა;
პედოფილია – ბავშვებისადმი, არასრულწლოვანებისადმი სქესობრივი მისწრაფება;
გერონტოფილია – მოხუცებისადმი სქესობრივი ლტოლვა;
ზოოფილია – ცხოველებისადმი სქესობრივი ლტოლვა;
ნეკროფილია – გვამებისადმი სქესობრივი მისწრაფება.

სქესობრივი ზრახვების რეალიზაციის ხერხის მიხედვით გამოირჩევა: სადიზმი (ეს ტერმინი წარმოდგება ფრანგი მწერლის დე სადის სახელთან) რომელიც მდგომარეობს პარტნიორისადმი ფიზიკური ტკივილის მიყენებით სქესობრივ დაკმაყოფილებაში; მაზოხიზმი (დაკავშირებულია ავსტრიელი მწერლის ლ. ზახერ-მაზოხის სახელთან) – სექსუალური დაკმაყოფილების მიღება ფიზიკური ტკივილის შეგრძნებასთან ერთად. ამ დროს ერთი პარტნიორები ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებენ, ამცირებენ და ა.შ.

სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ანალიზისას, იურისტის ხედვა მთელ რიგ სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ და სექსოლოგიურ ტერმინებს. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი:

სქესობრივი ცნობიერება – ინდივიდის მიერ საკუთარი თავის განსაზღვრული სქესისადმი მიკუთვნებულობა; საკუთარი სექსუალური ქცევის რეგულაცია მოცემულ საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური ნორმების შესაბამისად.

სქესობრივი სოციალიზაცია — მამაკაცისა და ქალის სქესობრივი იდენტურობის ფორმირება მოცემულ საზოგადოებაში მიღებული კულტურული და მორალური ნორმების შესატყვისად.

ფსიქოსექსუალური ინფანტილიზმი — ფსიქოსექსუალური განვითარების შეჩერება.

მოზარდის ჰიპერსექსუალობა — დამახასიათებელია ფიზიკური და ფსიქოსექსუალური განვითარების პუბერტატული(მოზარდული) პერიოდისათვის, რასაც თან სდევს ფსიქიკის მომატებული ფიქსირება სექსუალურ-ეროტულ მოვლენებზე. ამ დროს მოჭარბებულია სქესობრივი აგზნებადობა, რასაც თან ახლავს სექსუალური ექსცესები.

სექსუალური ინიციაცია — ცხოვრებაში პირველი სქესობრივი კონტაქტი.

კოიტუსი — სქესობრივი აქტის სინონიმი, რომელიც გამოიყენება მისი სუროგატული ან დევიანტური ფორმების აღსანიშნავად.

პრომისკუიტეტი — უწესრიგო სქესობრივი კავშირები სხვადასხვა პარტნიორთან.

სექსუალური ფრუსტრაცია — დათრგუნული მდგომარეობა, განპირობებული დაუკმაყოფილებელი სექსუალური მოთხოვნილებებით.

ოიდიპოს კომპლექსი — ზ. ფროიდის მიერ ლიბიდოს(სექსუალური ენერჯის) განვითარების ფსიქოანალიტიკური განმარტება, რისთვისაც დამახასიათებელია ვაჟებში დედისადმი ლტოლვა და ამ ნიადაგზე მამის სიძულვილი.

ელექტრას კომპლექსი — გოგონებში მამისადმი სექსუალური მისწრაფება და დედის სიძულვილი.

რეპრესიული სქესობრივი მორალი — ანტისექსუალური მიმართულების მქონე სექსუალური ქცევის მკაცრი რეგლამენტირების სისტემა.

სქესობრივი დანაშაული კავშირშია სექსუალურ დევიაციებთან, გადახრებთან, რომლებიც შესაძლოა გაპირობებული იყოს როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქიკური ფაქტორებით.

სექსუალური დევიაციის ფსიქიკურ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია ოჯახური აღზრდის დეფექტები, ადრეულ ბავშვობაში კონფლიქტები, პიროვნების ნევროზულობა და ფსიქოპათიურობა, ფსიქიკური დაკომპლექსება, სექსუალური აუტოიდენტიფიკაციის დარღვევა, ფსიქოსექსუალური ტრავმები, ადრეული სექსუალური ინიციაცია, ვულგარული სექსუალური წარმოდგენების ფორმირება. მთელ

რივ შემთხვევაში დევიანტური სექსუალური ქცევა ვითარდება როგორც რეაქცია წინმსწრებ წარუმატებელ სექსუალურ ურთიერთობებზე. ამ პირობებში შესაძლოა აღმოცენდეს სექსუალური ფობიები.

სექსუალური დევიაციის სახესხვაობებია: ორალიზმი, ანალიზმი და ჰომოსექსუალიზმი. ასხვავებენ ჰომოსექსუალიზმის შემდეგ სახეებს: ლესბოსელობას, პედერასტიას, ეფეზოფილიას (სექსუალური კონტაქტი მამაკაცსა და მოზარდს შორის), ურანიზმს (მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი)

სექსუალურ დევიაციებს ასევე მიეკუთვნება სქესობრივი აუტოიდენტოფიკაციის დარღვევა — ტრანსსექსუალიზმი, ანუ ინდივიდის მიერ საკუთარი სხეულის აღქმა როგორც საწინააღმდეგო სქესისადმი მიკუთვნებულის, რაც განაპირობებს გარემომცველთაგან საკუთარი თავისადმი შესატყვისი დამოკიდებულების მოლოდინს. ტრანსსექსუალებთან ჰიპერტროფირებულია ეგოცენტრიზმი, მანერები, ვლინდება ჰომოსექსუალური მისწრაფებები.

თავიანთი სექსუალური ქცევის კონტროლი მკვეთრად აქვთ დარღვეული სექსუალური ობიექტის განუსხვავებლობის სინდრომით შეპყრობილ პირებს. მათგან მოსალოდნელია ყველა შესაძლო სექსუალური ქმედება — პედოფილური, ინცესტური (სქესობრივი კავშირი ახლო ნათესაებთან), ზოოფილური, ნეკროფილური და ა.შ. როგორც წესი, ეს დაკავშირებულია პიროვნების საერთო დეგრადაციასთან.

უკანასკნელ დროს სექსუალური დევიაციები ივსება ახალ-ახალი ფორმებით, რაც სულ უფრო საშიში ხდება, როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ისევე მთლიანად საზოგადოებისათვის.

ასეთია სექსუალური დევიაციების ანუ ნორმიდან სექსუალური გადახრების ძირითადი გამოვლინებები, რომლებიც წარმოადგენენ სექსუალური დანაშაულების პირობას და არა მიზეზს. მრავალი ასეთი გადახრის მქონე პირი ცდილობს არ გადააბიჯოს კანონს. სექსუალურ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს სექსუალური დევიაციის მხოლოდ ისეთი გამოვლინება, რომელიც აკრძალულია კანონით.

სექსუალური დანაშაულებაა გაუპატიურება, ქალის იძულება სქესობრივ კავშირზე, არასრულწლოვანთან სქესობრივი ურთიერთობების დამყარება და ყველანაირი გაუქუღმართებული გამრყენელი მოქმედება მათ მიმართ.

სექსუალურ ნიადაგზე მკვლელობათა გამოძიებისას აუცილებელია დამნაშავის პიროვნების ფსიქოსექსუალური სტრუქტურის გაცნობა, რომელსაც ექსპერტი ადგენს. უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლის მოკვლის განზრახვა აღმოცენდება გაუპატიურების პროცესში. სექსუალურ ნიადაგზე მკვლელობის ჩამდენნი, როგორც წესი, არიან ფსიქოპათები, სექსუალურად ფრუსტრირებულები, კონფლიქტურები, სოციალური კონტაქტების დამყარებისადმი ნაკლებ უნარიანები, ქალებთან წარუმატებელი ურთიერთობების შედეგად ფსიქოტრავმულნი, არაიშვიათად — ჰომოსექსუალებიც, რაც მათში განაპირობებს ქალის სექსუალურად საფრთხის შემცველ ობიექტად აღქმას.

მოდლაღე დამნაშავეებს აქვთ მთელი რიგი დეფორმაციები პიროვნების ღირებულებით—მოტივაციურ სფეროში. სინამდვილე მათში აისახება ვიწრო ეგოისტურ, ჰედონისტურ(სიამოვნების მიმღებ) კატეგორიებში. მათ სოციალური აკრძალვებისადმი ძალზედ დაქვეითებული მგრძობელობა აქვთ. ამ კატეგორიის დამნაშავეები გამოირჩევიან სისტემის “მოტივი — მიზანი” უპირატესობით. ისინი მიზანს აღწევენ პრიმიტიული, უხეში, აგრესიული ხერხებით. ამ შემთხვევაში აგრესია უნდა განვიხილოთ, როგორც ქცევის მოდელი და არა ემოცია.

ფსიქოლოგების დიდ ყურადღებას იმსახურებს აგრესიის ისეთი სოციალური წანამძღვარი, როგორიცაა აწმყოში ფრუსტრაცია, უფრო სწორედ, ამჟამად მიმდინარე მიზანმიმართული რეაქციების ბლოკირება. ერთი ინდივიდუუმის მიერ მეორის მიზანდასახული ქცევის შეწყვეტა, შესაძლოა, აგრესიის დეტონატორი გახდეს. მრავალი მეცნიერი ემზრობოდა თეორიას “ფრუსტრაცია — აგრესია”, რომლის თანახმადაც ნებისმიერ ფრუსტრაციას თან სდევს აგრესია და პირიქით, როდესაც არის აგრესია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადგილი ჰქონდა ფრუსტრაციას. ამჟამად ეს ჰიპოთეზა ზედმეტად განზოგადებულად ითვლება. ნაწილი ფსიქოლოგებისა ამტკიცებს, რომ მიზნის მიღწევის დაბლოკვა ყოველთვის არ იწვევს აგრესიულობას და ეს უკანასკნელი ხშირად გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებითაც. მიუხედავად ამ პოლარულად განსხვავებული თეორიებისა, კრიმინალურ ფსიქოლოგიაში ფრუსტრაცია აგრესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს და არაიშვიათად ახდენს დამნაშავის მზრიდან აგრესიული ქმედების პროვოცირებას.

6. დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგია

- ✓ დანაშაულს წარმოადგენს საზოგადოებისათვის საშიში, დანაშაულებრივი, კანონით დასჯადი ქმედება.

სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ნიშან-თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს განსაზღვრულ, საზოგადოებრივად საფრთხის შემცველ ქმედებას - დანაშაულს, აყალიბებს დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის შემადგენლობაში შედის ნიშან - თვისებათა ოთხი ჯგუფი, რომლებიც ახასიათებენ:

1. დანაშაულის ობიექტს, 2. ობიექტურ მხარეს, 3. სუბიექტს, 4. დანაშაულის სუბიექტურ მხარეს.

დანაშაულის სუბიექტად კანონი აღიარებს ფიზიკურ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და უნარი შესწევს საკუთარ ქმედებაზე აგოს სისხლის სამართლის პასუხი. პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მისი ასაკით (14-16წელი) და შერაცხადობით - ანუ ინდივიდის უნარით იმოქმედოს შეგნებულად და გააკონტროლოს საკუთარი ქცევა.

დანაშაულის სუბიექტურ მხარეს შეადგენს ბრალი, დანაშაულის მოტივები და მიზნები.

დანაშაული რეალიზდება მოქმედების ხერხის საშუალებით და ობიექტივირდება მოქმედების შედეგში. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოქმედების ხერხი და შედეგი ითვლება დანაშაულის ობიექტურ მხარეებად. თუმცაღა ფსიქოლოგიურად მოქმედების ხერხიც და რეზულტატიც წარმოადგენენ სუბიექტის ნებელობითი მოქმედების კომპონენტებს.

დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური ანალიზი წარმოადგენს მისი სტრუქტურული ელემენტების შინაარსის ფსიქოლოგიურ ანალიზს.

დანაშაული, როგორც ინდივიდის ნებითი მოქმედება, ხორციელდება რთული ნებელობითი ან მარტივი ქმედებების სახით. ადვილი მისახვედრია, რომ ყველა იმპულსურ-სიტუაციური დანაშაული ჩადენილია მარტივი ნებელობითი მოქმედების, ხოლო ყველა წინასწარგანზრახული დანაშაული კი - რთული ნებელობითი ქმედების ფორმით.

6.1. იმპულსური დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები

ბევრი დანაშაული ჩადენილია იმპულსურად, სპონტანურად, ყოველგვარი სპეციალურად შემუშავებული გეგმისა და მიზნის გარეშე. ეს დანაშაულებრივი აქტები ქმნიან ნაკლებგაცნობიერებული რეაქციების კლასს.

- იმპულსური მოქმედებები რეგულირდება ინდივიდის ქვეცნობიერი ლტოლვებითა და მისწრაფებებით, საერთო პიროვნული მიმართულებით.

დანაშაულებრივი იმპულსური მოქმედებების სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს მიზანი; მოტივი ემთხვევა მიზანს.

იმპულსური ქცევა შესაძლოა გამოწვეულ იყოს სხვადასხვა მიზეზით:

- ინდივიდში ადეკვატური რეაქციების არაფორმირებულობით აღმოცენებული ემოციოგენური სიტუაციებით;
- ინდივიდის საერთო ემოციური არამდგრადობით;
- სიმთვრალის მდგომარეობით;
- ქცევის ჩვეული ფორმებით;
- პიროვნების ფსიქოპათიური ანომალიებით.

ყველა იმპულსურ რეაქციაში ვლინდება ინდივიდის პიროვნული მზადყოფნა განსაზღვრული მოქმედებისადმი. კონფლიქტურ-ემოციურ სიტუაციებში გრძნობები, ემოციები თრგუნავენ ქცევის რეგულაციის რაციონალურ მექანიზმებს და იძენენ წამყვან რეგულატორულ ფუნქციას, გარდაიქმნებიან იმპულსური მოქმედებების ძირითად მექანიზმებად.

არაიშვიათად იმპულსური ქცევა ხორციელდება შინაგანი მიზეზით — ანუ პიროვნების თვითგანმტკიცებისადმი მისწრაფებით. ამ დროს იგი აჩვენებს საკუთარ უპირატესობას გარშემომყოფებზე, საშუალებას აძლევს თავს განიტვირთოს დაგროვილი უარყოფითი ემოციებისაგან.

იმპულსურობა შედარებით მკვეთრად გამოვლინდება აფექტის, ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში, რისთვისაც დამახასიათებელია ცნობიერების დეზორგანიზაცია, თავის ტვინის

ყველა ზონის საქმიანობის დამუხრუჭება(გარდა ჰიპერდომინანტური კერისა), უნებლიე თავდაცვითი და აგრესიული რეაქციების მძაფრი აქტივიზირება. აფექტის დროს გაცნობიერებული მიზნები და მოტივები თითქმის არ არსებობენ და ამოქმედებას იწყებს აფექტორის გადალახვის განწყობა. აფექტი დაკავშირებულია პიროვნების უუნარობასთან სოციალურად ადაპტირებული ხერხებით გამოვიდეს მოცემული მწვავე, კრიტიკული სიტუაციიდან.

აფექტის მდგომარეობა ამუხრუჭებს იმ ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ჰიპერდომინანტთან და ინდივიდს თავს ახვევს ქცევის ავარიულ სტერეოტიპს(გაქცევა, აგრესია, ყვირილი, ტირილი, ქაოტური მოძრაობები, ორგანიზმის ფუნქციონალურ-ფიზიოლოგიურ სტრუქტურაში ბიძგები). აფექტის მდგომარეობაში ირღვევა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი — ქცევითი აქტის არჩევითობა; მკვეთრად იცვლება ადამიანისათვის ჩვეული მოქმედება; დეფორმირდება მისი ცხოვრებისეული პოზიცია, ირღვევა მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დამყარების უნარი, ცნობიერებაში დომინირებას იწყებს რომელიღაც ერთი, ხშირად დამახინჯებული წარმოდგენა; მიმდინარეობს ე.წ. “ცნობიერების შევიწროება”.

ძლიერ სულიერ მღელვარებას კანონი შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევა. ამასთან გათვალისწინებულია, რომ მსგავსი მდგომარეობა აღმოცენდება უეცრად როგორც უშუალო იმპულსური რეაქცია ზედძლიერ გამღიზიანებელზე, რომლის დროსაც დანაშაულებრივი ჩანაფიქრი ყალიბდება ასევე მოულოდნელად, ხოლო დანაშაულებრივი ქმედება კი ხორციელდება დაზარალებულის მოქმედებებისთანავე. ამ შემთხვევაში მიზანი არ არის დაკონკრეტებული, დამნაშაის მოქმედებას აქვს მხოლოდ ზოგადი მიმართულობა.

კონფლიქტურ-ემოციურ მდგომარეობად, რომელიც ახდენს იმპულსური რეაქციების აქტივიზირებას, შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე სტრესიც, რომელიც მეცნიერებმა მიაკუთვნეს ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობების კატეგორიას. ცნება სტრესი მოიცავს უკიდურესი ფსიქიკური დაძაბულობის მქონე მდგომარეობების ნაირსახეობას, გამოვლენილს სხვადასხვა ექსტრემალური ზემოქმედებით(სტრესორებით).

ანსხვავებენ ფიზიოლოგიურ(ფიზიოლოგიური ფუნქციების უკიდურესი დაძაბულობა) და ფსიქოლოგიურ სტრესს. ეს უკანასკნელი იყოფა ინფორმაციულ და ემოციურ სტრესად.

ინფორმაციული სტრესი აღმოცენდება ადამიანის ოპერატიულ—ინფორმაციული გადატვირთვის პირობებში, მის მიერ გართულებული და დაძაბული ფუნქციების შესრულებისას. სტრესი მით მალალია, რაც უფრო დიდია მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა.

ემოციური სტრესი აღმოცენდება ექსტრემალურ, უკიდურესად საშიშ სიტუაციებში. ამ დროს ადამიანის ფსიქიკა მოდიფიცირდება სამ ფორმაში:

1). მიმდინარეობს იმპულსურ—მამოძრავებელი აქტივობის უკიდურესი აქტივიზაცია;

2). ვითარდება ღრმა დამამუხრუჭებელი პროცესები (სტუპორი);

3). ადგილი აქვს გენერალიზაციას ანუ აქტივობის გავრცელებას ობიექტების ფართო სფეროზე და მიზნების ამორჩევაში დიფერენცირებულობის დარღვევას.

დისტრესის დროს დეფორმირდება პიროვნების მთელი მოტივაციური სფერო და მისი ადაპტაციურ-ქცევითი უნარები, ირღვევა მოქმედების მიზანშეწონილობა, უარესდება მეტყველება. მაგრამ რიგ შემთხვევაში, სტრესი ახდენს პიროვნების ადაპტაციური შესაძლებლობების მობილიზებას(სტრესის ამ სახეობას ევსტრესი ეწოდება).

სტრესის მდგომარეობაში ადამიანის ქცევის იურიდიული შეფასებისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ევსტრესის ზემოქმედებისას ინდივიდის ცნობიერება შესაძლოა არც შევიწროვდეს — მას შეუძლია უკიდურესად დაძაბოს და მობილიზება გაუკეთოს თავის ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებს დამოახერხებს ექსტრემალური ზეგავლენის გადალახვა გონივრული მეთოდებით.

ადამიანის ქცევა როგორც აფექტის, ისევე სტრესის დროს არ დაიყვანება მთლიანად არაცნობიერ დონეზე. აფექტორის ან სტრესორის აღმოფხვრის მიზნით მისი მოქმედებები, იარაღისა და ქცევის ფორმების, მეტყველების საშუალებების არჩევა ინარჩუნებენ სოციალურ განპირობებულობას. აფექტის და სტრესის სიტუაციაში ცნობიერების შევიწროება არ ნიშნავს მის სრულ დარღვევას.

გამოძიების მიზნებისათვის არსებითა ინდივიდის ქცევის გამოკვლევა პოსტაფექტურ და პოსტსტრესულ მდგომარეობებში. ეს უკანასკნელი ყოველთვის ხასიათდება ძალისხმევის უკიდურესი დაქვეითებით, აპათიურობით, შენელებული მამოძრავებელი აქტივობით.

ადამიანის ემოციურ-ნებელობით სფეროში დეფორმაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ აფექტისა და სტრესის მდგომარეობებში. კონფლიქტური ფსიქიკური გარემოების ნაირსახეობას წარმოადგენს ფრუსტრაცია — ემოციურად უკიდურესად დაძაბული ნეგატიური მდგომარეობა, დაკავშირებული პიროვნებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის გზაზე აღმოცენებულ გადაულახავ წინააღმდეგობებთან. ფრუსტრაციის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რის გამოც ამჯერად ამ ფსიქიკურ მდგომარეობაზე დიდხანს არ შევჩერდებით, მაგრამ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ფრუსტრაცია იწვევს დებრესიას ანუ ინდივიდის გასვლას რეალობიდან, ქცევის დონის დაქვეითებას (თითქმის რეგრესიას). ნეიროფიზიოლოგიური თვალსაზრისით ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ უკიდურესად მომატებული ფსიქიკური დაძაბულობა, იწვევს რა სხეულში დაცვით შეკავებულობას, ამუხრუჭებს თვითრეგულაციის ფაქიზ და რთულ სტრუქტურებს. ყოველივე ამას შესაძლოა მოჰყვეს ნევროზები და ქარაქტეროლოგიური ცვლილებები — საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, თვითშეფასების, პრეტენზიის დონის დაქვეითება, რიგიდულობა, რაც გამოიხატება ინდივიდის მიერ საკუთარი ქცევის შეცვლის უუნარობაში.

აფექტის, სტრესისა და ფრუსტრაციის მდგომარეობები უნდა გათვალისწინებულ იქნეს სამართალწარმოებაში დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასებისას. მრავალი ე.წ. უმოტივო კანონდარღვევა უკავშირდება ინდივიდის ცნობიერების შევიწროებას მისთვის ექსტრემალურ სიტუაციაში.

ქცევის იმპულსურობა არსებითა ფსიქოპათიური და აქცენტურიებული ხასიათის მქონე პირებთან, რომლებიც მიისწრაფიან აქტუალიზირებული მოთხოვნილებების მყისიერად დაკმაყოფილები-საკენ. ქცევის რეგულაციაში მნიშვნელოვანი დეფორმაციები აღმოცენდება სიმთვრალის დროსაც. ალკოჰოლი ინდივიდს ასოციალური ქცევის განხორციელებას უმსუბუქებს.

ამრიგად, ყველა იმპულსური დანაშაულებრივი აქტი გამოირჩევა ქცევის ცნობიერი რეგულაციური კომპონენტების შემცირებით. ამ დროს, პიროვნების მოქმედების მოტივები და მიზნები გადაიფარება გენერალიზირებული ემოციური მისწრაფებით — ზიანი მიაყენოს ემოციოგენურ წყაროს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმპულსური დანაშაულებითი აქტები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევითი დანაშაულის ნაირსახეობა. ისინი კანონზომიერად განპირობებულია იმპულსური დამნაშავეების პიროვნული თავისებურებებით. ასევე ქცევის იმპულსურობა არ შეიძლება უსიტყვოდ განხილულ იქნეს როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ხშირ შემთხვევაში იმპულსურობა მიუთითებს პიროვნების მდგრად თავისებაზე, რაც განპირობებს მის უკიდურესად დაქვეითებულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც საკმაო საფრთხის შემცველია და საშიშია ნებისმიერი საზოგადოებისათვის.

6.2. წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები

ა. დანაშაულებამდელი ფსიქიკური მდგომარეობები. დანაშაულებრივი ქმედების მოტივები და მიზნები

ყველა ჩადენილი დანაშაული თავისი მექანიზმის მიხედვით ორ კლასად იყოფა:

1. დანაშაული, რომელიც ჩადენილია მარტივი ნებელობითი მოქმედების ფორმით;
2. დანაშაული, რომელიც ჩადენილია რთული ნებელობითი მოქმედების ფორმით.

მარტივი ნებელობითი მოქმედების ფორმით ანუ გაუცნობიერებლად ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ანალიზისას წინა პლანზე გამოდიან დამნაშავეის ოპერაციონალური განწყობები, მისი ქცევითი სტერეოტიპები. რთული ნებელობითი მოქმედების ფორმით ანუ გაცნობიერებულად ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ანალიზის დროს კი მხედველობაში მიიღება ქმედების ცალკეულ კომპონენტებს შორის ობიექტურ-სუბიექტური ურთიერთკავშირების

კომპლექსი, დანაშაულის სუბიექტის დანაშაულებამდელი, დანაშაულებრივი და დანაშაულის შემდგომი ქცევის თავისებურებები.

ადამიანის ცნობიერი ქცევა წარმართება მისწრაფებების, ზრახვების რთული კომპლექსით.

1. შეკითხვაზე თუ რატომ მივიდა ინდივიდი ამა თუ იმ მდგომარეობამდე, პასუხის გასაცემად ჩვენ ვიზილავთ მოტივაციური აქტივობის წყაროებს – მოთხოვნილებებს, ინტერესებს, განწყობებს, ინსტინქტებს და ა.შ.
2. შეკითხვაზე თუ რაზეა მიმართული ინდივიდის აქტივობა, რატომ აირჩია ქცევის მოცემული ფორმები და შესაბამისი ხერხები, პასუხის გასაცემად უნდა გავარკვიოთ ქცევის ცნობიერი რეგულაციის მექანიზმი, მისი მოტივები, რომლებიც უცილობლად უკავშირდება მიზნის არჩევას, გადაწყვეტილების მიღებას ალტერნატიულ სიტუაციებში.
3. შეკითხვაზე თუ როგორია მოცემული ქცევის დინამიკა, პასუხის გასაცემად განვიზილავთ ინდივიდის ემოციურ-ენერგეტიკულ, რეგულატორულ ფაქტორებს, მის ქცევით სტერეოტიპებს.

მოტივაციის პრობლემა მდგომარეობს ადამიანის აქტივობის არა მარტო საწყისი წამქეზებელი მომენტების, არამედ ყველა იმ ფაქტორის გამორკვევაში, რომლებიც წარმართავენ, არეგულირებენ და მხარს უჭერენ ადამიანის საქმიანობის განვითარებას.

მოქმედების ფორმირების პირველ სტადიაზე აქტუალურად გაცნობიერდება განსაზღვრული მოთხოვნილება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობების გარეშე.

მეორე ანუ მოტივის დადგენის სტადიაზე ხდება კონკრეტული მიზნების მიღწევის შესაძლებლობების გაცნობიერება არსებულ გარემო პირობებში. ამ სტადიაზე მიმდინარეობს ე.წ. *მოტივთა ბრძოლა*, უფრო სწორად იმ შესაძლებლობების გაცხრილვა, რომლებიც მოცემული ინდივიდისათვის პიროვნულად მიუღებელია.

მესამე სტადიაზე ყალიბდება საბოლოო გადაწყვეტილება და აღმოცენდება კონკრეტული მიზნისადმი ფსიქოლოგიური მიზანსწრაფვა. თუმცაღა, მოქმედების პროცესში მიზნები და მოტივები შეიძლება შეიცვალოს მოქმედების ცვალებად პირობების შესატყვისად, ხოლო დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შეუძლებლობა(ანუ

მოქმედების წარუმატებლობა) აქრობს პირველსაწყისად ჩამოყალიბებულ მოტივს ან იწვევს ახალი მოქმედების ფორმირებას.

დაქვეითებული თვითრეგულაციის მქონე ადამიანები გამოირჩევიან სიტუაციური მოტივაციის სიჭარბით; ისინი თავიანთი აქტუალიზირებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ილტვიან სიტუაციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. თავად, მათი აზრით, “მდგომარეობის მისაწვდომობა” არაიშვიათად პროვოცირებას უკეთებს შესაბამისი მოტივაციის ფორმირებას.

ტრადიციულად, იურისპრუდენციაში ჩამოყალიბებული ადამიანის ქცევის ერთმიმართული ქცევა *მოტივი – მიზანი – ხერხი – შედეგი* სინამდვილეში უფრო რთულია. დანაშაულებრივი ქმედების მოტივი აღარ უნდა განვიხილოთ როგორც იზოლირებული მომენტალური ფსიქიკური აქტი. ადამიანის ქცევის მოტივაცია წარმოადგენს ქცევის მექანიზმის სისტემაწარმომქმნელ ფაქტორს.

სისხლის სამართლის კანონში აღწერილი დანაშაულის მოტივაციური მხარის მოდელი საკმაოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს. იგი მოიცავს ცალკეულ მოტივაციურ ფაქტორებს, ისიც შერჩევით, რაც ბუნებრივია, არ ემთხვევა იმ მოტივაციური მხარის ფაქტობრივ მოდელს, რომელიც არსებითია რეალური დანაშაულებრივი ქცევისათვის.

✓ მოტივაცია – ეს არის აზრის წარმომქმნელი და აზრის მაკონტროლებელი ქცევითი ფაქტორი.

დანაშაულის ჩადენის მექანიზმში ინდივიდის ლტოლვები კავშირში არიან პიროვნულად მიღებულ ქცევის ხერხებთან.

სისტემის *მოტივი–მიზანი–ხერხი* ელემენტებს შორის არსებობს არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი კავშირები.

ამ სისტემის წარმომქმნელ ელემენტს წარმოადგენს არა მხოლოდ მოტივი, არამედ ქცევის ჩვეული ხერხიც. ადამიანისათვის ჩვეული გენერალიზებული მოქმედებები მოტივის მსგავსად, განსაზღვრავენ პიროვნების ქცევის მიმართულობას. ინდივიდის მიერ შემუშავებული მოქმედებების ფონდი უმეტესწილად მისი მიზანდასახულობის მთელ სისტემას განაპირობებს. არ ფლობს რა მოქმედების განზოგადებულ ხერხს, ადამიანი ვერასდროს ვერ დაისახავს შესატ-

ყვის მიზანს და მოტივაციურად ვერ გააძლიერებს მას. ქცევის ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს არა თავისთავად ცალკეული მოტივი, არამედ დამნაშავის პიროვნების მთელი მოტივაციური სფერო, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდის ქცევის განზოგადებული ხერხები. მაგრამ პიროვნების ქცევის ხერხების, მისი ოპერაციონალურ-სამემსრულებლო შესაძლებლობების აქტუალიზაცია წინასწარ განისაზღვრება გარემო პირობებით, მათი განხორციელების რეალური საშუალებებით. როგორც კი გარემო მისცემს მას პიროვნული მისწრაფებების რეალიზაციის საშუალებას, მოტივაციური სფეროც მაშინათვე იძლევა აუცილებელ სანქციას.

✓ დამნაშავის ქცევის გაგება ნიშნავს მისი ქცევითი სტერეოტიპებისა და მყარი მოტივების გაგებას.

ქცევის სოციალურად ადაპტირებული ხერხი ყველა სპონტანური განზრახვის გზაზე აყენებს ე.წ. სოციალურ ფილტრს, ანუ მორალურ არჩევანს. სოციალურად დეზადაპტაციური ქცევა კი ხასიათდება ასეთი ფილტრის შესუსტებულობით.

საქმიანობის პროცესში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოტივთა მხრიდან ბიძგებს, რაც ადასტურებს მოქმედი სუბიექტისათვის საქმიანობის ცალკეული მხარეების მნიშვნელობის ცვლილებას.

დანაშაულის კონსტრუქციაში მოტივები წარმოადგენენ მის სუბიექტურ მხარეს და ამიტომ საჭიროებენ გამოვლენასა და დასაბუთებას.

მოტივს ანუ ინდივიდის ცნობიერ მისწრაფებას კონკრეტული ქმედებისადმი, რამდენიმე არსებითი მნიშვნელობა აქვს:

ა/. დამნაშავის პიროვნებისა და მისი დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარე საზოგადოებისათვის მიყენებული საშიშროების დონის გასარკვევად;

ბ/. დანაშაულისათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად;

გ/. სასჯელის სახისა და ზომის გასასაზღვრად.

ადამიანის მოტივები და მიზნები ერთმანეთს ემთხვევიან მხოლოდ სტერეოტიპულ, ჩვეულ მოქმედებებში; კანონით გათვალისწინებულ ქმედებებში ისინი გამოდიან როგორც ცალკეული რეგულაციური კომპონენტები.

დანაშაულებრივი ქმედების მოტივი შესაძლოა არ იყოს კრიმინალური, მაგრამ მიზნები ყოველთვის დანაშაულებრივია. მოტივი ახასიათებს მოქმედების სუბიექტურ მნიშვნელობას, ხოლო მიზანი — მის ობიექტურ მიმართულობას.

ამრიგად, რთულ ნებელობით მოქმედებაში არსებობს მოქმედებისწინარე ეტაპი — სადაც ხდება დანაშაულის მიზნის განსაზღვრა და მისი პიროვნულად გათავისება. დანაშაულებითი ქცევა გამოჯდის როგორც დამნაშავეის მიერ განსაზღვრული დანაშაულებამდელი ქცევის, მისი სოციალური კონტაქტების, დანაშაულის ჩადენისათვის პირობების მომზადების შედეგი(კვალი რჩება არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ მისი მომზადების შედეგადაც).

სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენისათვის მოსამზადებელი პირობების დადებითი შეფასება წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების გახორციელების ერთ-ერთ წინამძღვარს.

უკვე დანაშაულის მომზადების ეტაპზე დამნაშავე ანალიზებს მისი შესრულების შესაძლებლობებს. დანაშაულის მიზნები ფორმირდება მათი მიღწევის საშუალებებიდან გამომდინარე.

დანაშაულის მომზადების ეტაპზე ხდება მნიშვნელოვანი ბიძგები დამნაშავეის ფსიქიკურ მდგომარეობაში: შიშის გრძნობის შესუსტება, საკუთარ წარმატებაში რწმენის გაძლიერება. დანაშაულის ხელშეწყობი პირობების აღმოჩენისას, დამნაშავე უფრო სწრაფად იღებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას.

დანაშაულებრივი ქმედების გარეგანი პირობები არა მხოლოდ მატერიალური გარემოა, არამედ სხვა ადამიანთა ქცევაც, სადაც შედიან როგორც პარტნიორები, ასევე მსხვერპლიც.

ბლოკის *მოტივი—მიზანი—პროგრამა* რეგულატორული მექანიზმი არ არის სტატიკური, არამედ განიცდის დინამიკურ ცვლილებებს ქცევითი სიტუაციების შეცვლასთან დაკავშირებით. დანაშაულის მომზადების, გახორციელების ეტაპები, შემდგომ დამნაშავეის ქცევა საგამოძიებო სიტუაციებში მუდმივად კორექტირდება მიმდინარე მოვლენებით.

განსაკუთრებით ინტენსიურად ქმედების მოტივები, მიზნები და პროგრამა ტრანსფორმირდებიან ექსტრემალურ პირობებში.

იურისპრუდენციაში დანაშაულებრივი მოქმედების მოტივები და მიზნები ერთიანდებიან ისეთ კომპლექსურ ცნებაში, როგორიცაა

დანაშაულებრივი განზრახვა. განზრახვის აღმოცენება წარმოადგენს დანაშაულის მომზადების ფსიქოლოგიურ აქტს, რომლის ანალიზიც ყოველთვის ავლენს დამნაშავეის პიროვნულ თავისებურებებს.

დანაშაულებრივი ქმედების შეფასებისა და კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განზრახვის შინაარსს და მიმართულებას. ეს ორი ცნება ხშირად ერთმანეთში ერევათ და ფორმულირებულია არასწორად. *განზრახვის მიმართულება* ეს არის დაგეგმილი ქმედების მომავალი შედეგი, რომლის მიღწევისკენაც არის მიმართული დანაშაულებრივი ქმედება. *განზრახვის შინაარსი* კი წარმოადგენს სუბიექტის ცნობიერებაში ყველა იმ გარემოების ასახვას, რომლებიც დაკავშირებული არიან მიზნის მიღწევასთან.

ბ. დანაშაულის საბაბი.

დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

დანაშაულის საბაბი — ეს არის გარეგანი მდგომარეობა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დამნაშავეის პიროვნების საზოგადოებრივად საშიში მიმართულება. წარმოადგენს რა დანაშაულებრივი ქმედების საწყის მომენტს, დანაშაულის საბაბი გვიჩვენებს თუ რა გარემოებას დაუკავშირა თავად დამნაშავემ საკუთარი ქმედება. საბაბს არ გააჩნია დამოუკიდებელი ზიანის მომტანი მნიშვნელობა. საბაბი მხოლოდ “განმუხტავს” ადრე ფორმულირებულ მიზეზს. თუმცაღა დანაშაულის საბაბი მნიშვნელოვანწილად ახასიათებს დამნაშავეის პიროვნებას, მის მიდრეკილებებს, სოციალურ პოზიციებს, დანაშაულის მოტივებსა და მიზნებს.

არც ერთი სიტუაცია, თავისთავად, ადამიანს არ უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ. თუ რა გზით წავიდეს პიროვნება, ეს დამოკიდებულია მისი სოციალიზირებულობის ხარისხზე. ინდივიდუუმის ქცევისათვის ამა თუ იმ სიტუაციის მნიშვნელობის დონე მეტყველებს მის მდგრად პიროვნულ ნიშან-თვისებებზე.

ადამიანის ქცევა უპირველესად გაპირობებულია პიროვნულად და არა სიტუაციურად, რითაც ადამიანური საქციელი განსხვავდება ცხოველურისგან. პიროვნებაზეა დამოკიდებული თუ როგორ ასახავს იგი სიტუაციას და როგორ მოქმედებებს შეასრულებს. სიტუაციის კრიმინოგენული ელფერი, მისი მაპროვოცირებელი და დანა-

შაულისადმი ხელშემწყობი ხასიათი ობიექტურად იწვევს პიროვნების პასუხისმგებლობის შემცირებას საკუთარ ქცევაზე.

ყველაზე მძიმე და კრიტიკულ სიტუაციებში მაღალი ზნეობის მქონე ადამიანები ღირსეულ გამოსავალს პოულობენ. და თუ არსებობს არჩევანის თავისუფლება, მაშინ თვითონ პიროვნება აგებს პასუხს ქცევის მის მიერ არჩეულ ვარიანტზე. სიტუაცია მხოლოდ ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც ავლენს პიროვნების არსს. დანაშაულის ხელშემწყობი არაეთიკური პირობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულებრივი ქცევის გამართლება.

დანაშაულებრივი ქმედებების აღმოცენების სიტუაცია წარმოადგენს მხოლოდ იმის მაჩვენებელს, თუ როგორ პირობებში შესწევს უნარი მოცემულ პიროვნებას ჩაიდინოს დანაშაული. იმ შემთხვევებში, როცა გარემოება ზეგავლენას ახდენს დანაშაულებრივი განზრახვის ფორმირებაზე, ისინი გამოდიან როგორც მოცემული ინდივიდის ქცევის მიზნის ჩამომყალიბებელი და არა როგორც ქცევის მიზეზობრივი მექანიზმები.

ადამიანი უნდა იყოს პატიოსანი. პატიოსნება წარმოადგენს უმაღლეს სოციალურ ფასეულობას, ერთ-ერთ ბაზისურ ადამიანურ ღირებულებას, რომლის ინტერნალიზაცია ადამიანს პიროვნებად აყალიბებს. ამ ღირებულების ზღვრიდან ნებისმიერი გადახრა, სულ მცირეც კი, უკვე დანაშაულია. მაგრამ მოცემული ინდივიდის მიერ დანაშაულის ჩადენის მექანიზმის გასაგებად საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორი პირობებია საკმარისი ამ ზღვარზე გადასაბიჯებლად. დანაშაულის ჩადენის სიტუაცია წარმოადგენს ინდივიდის სოციალური ადაპტირებულობის პიროვნული ზღურბლის მაჩვენებელს.

დანაშაულებრივი ქმედების გენეზისში კულმინაციურ აქტად გვევლინება გადაწყვეტილების მიღება – არჩეული დანაშაულებრივი ქცევის ვარიანტის საბოლოო “დამტკიცება”.

გადაწყვეტილების მიღება – ეს არის გაურკვეველ სიტუაციაში განსაზღვრული მოქმედების ცნობიერი არჩევანი. გადაწყვეტილება მოიცავს არსებულ ინფორმაციულ პირობებში მოქმედების მომავალი შედეგის ხატს. იგი დაკავშირებულია მოქმედების შესაძლო ვარიანტების “გონებაში განხილვასთან”. გადაწყვეტილებაში მიზანი აზრობრივად ერთიანდება მისი რეალიზაციის პირობებთან

და მთელი პირველადი(ამომავალი) ინფორმაციის საფუძველზე მიიღება მოქმედების ოპერატიული გეგმა.

კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს დასაბუთებული ანუ ტრანზიტიული და ნაკლებდასაბუთებული ანუ არატრანზიტიული(ამ შემთხვევაში არ ხდება დანაშაულის რეალიზაციის ყველა პირობის გათვალისწინება). შეიძლება ითქვას, რომ თავისი საფუძველიდან გამომდინარე, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება არატრანზიტიულია, რამეთუ არ ითვალისწინებს მოქმედების სოციალურ მავნებლობას.

მრავალი დანაშაულებრივი ქმედება ასევე არატრანზიტიულია თავიანთ ოპერაციონალურ რეალიზაციასთან მიმართებაში, რადგან არ ხდება შედეგების საფუძველიანი გათვლა, დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებისათვის ყველა შესაძლებლობის გათვალისწინება. ეს გამოწვეულია დამნაშავეთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი დაბალი ინტელექტუალური დონით, რაც ზღუდავს მათ ოპერატიულ აზროვნებას. კანონდამრღვევთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოირჩევა მოტივაციურ-რეგულაციურ სფეროში არსებითი დეფექტებით. მათ მიერ დასჯის საფრთხე ან არ გაცნობიერდება, ან სათანადოდ არ ფასდება. მათი კრიმინალური გადაწყვეტილებები ხშირად აღმოცენდება უეცრად, ეფუძნებიან რა მიწიერ გრძობებს – შურს, შურისძიებას, ეგოიზმს, აგრესიულობას და ა.შ. დამნაშავეის აზროვნება “მიჯაჭვული” ხდება ქცევის ჩვეულ ასოციალურ ხერხებზე.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი გარემოებებია: დაზარალებულის მაპროვოცირებელი საქციელი; კრიმინალური ჯგუფის მხრიდან ზეწოლა; თანამონაწილეების მხარდაჭერის იმედი; კონფლიქტურ-ემოციურ მდგომარეობებში ცნობიერი კონტროლის შესუსტება; ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღება; მხილების საშიშროების დაქვეითება და ა.შ.

გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ინდივიდი “შეოცნილია” საკუთარი გადაწყვეტილებით; მან შეიძლება ვერ შეაფასოს ის ხელმეორედ აღმოცენებული სიტუაციები, რომელთაც აგრეთვე მნიშვნელობა ჰქონდათ გადაწყვეტილებისწინარე სტადიაზე. გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს განზრახვას ანუ დასახული სამოქმედო პროგრამის რეალიზაციისადმი მყარ მისწრაფებას, განსაზ-

ღვრული მოქმედებების შესრულების განწყობას, რომელიც ზღუდავს ინდივიდის ამორჩევით შესაძლებლობებს. ინდივიდს უყალიბდება მიზნის მიღწევის მოტივაცია. მაგალითად, გარკვეული პირის მოკვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც წესი, სრულდება მაშინაც კი, როცა სიტუაცია უკიდურესად იძაბება ანუ მატულობს დამნაშავეს დაკავებისა და ამოცნობის ალბათობა. ინდივიდში აღმოცენდება მორჩენებითი ტრანზიტოულობის ფენომენი. ამ დროს იგი ითვალისწინებს ქმედების ოპტიმალურობისათვის კრიტერიუმთა ერთ ნაწილს, მაგრამ დანარჩენს ტოვებს უყურადღებოდ, რაც თავისთავად წარმოადგენს დანაშაულის ინდივიდუალიზირებულ კვალს, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავეს პიროვნების იდენტიფიკაციას. არ არსებობს დანაშაული, რომელიც ყოველმხრივ შეესატყვისება მოქმედების აბსოლუტურად ყველა პარამეტრს.

დანაშაულის ჩადენისას მოულოდნელად შეცვლილი პირობები არაიშვიათად იწვევენ ე.წ. თანმხლები გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კატეგორიულობითა და დაბალი ტრანზიტოულობით.

რიგ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება ოპერატიულად მიიღება მხოლოდ გარკვეული პირობების აღმოცენების შემდგომ, რომლებიც აუცილებელია დანაშაულის წარმატებით განხორციელებისათვის. ეს პირობები გამოდიან დანაშაულის ჩადენის საბაბად. სუბიექტის რეაგირება განსაზღვრულ საბაბზე გარკვეული კრიმინალური მოქმედებებით, წარმოადგენს დამნაშავეს პიროვნების თავისებურებების ერთ-ერთ გამოვლინებას.

გ. დანაშაულის განხორციელება. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხერხები

დანაშაულებრივი ქმედების დაწყებამდე დამნაშავე აანალიზებს მისი შესრულების პირობებს, გამახვილებულ ინტერესს იჩენს ყველაფრისადმი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს დანაშაულებრივი განზრახვის რეალიზაციას ან პირიქით, გააადვილოს ქმედების განხორციელება.

ზოგჯერ, დანაშაულებრივი ქმედების დაწყებისთანავე, დამნაშავე აღმოაჩენს მიღებული გადაწყვეტილების მცდარობას (მაგალი-

თად, შეცდომა ობიექტის, დროისა და ადგილის, დანაშაულის იარაღის ამორჩევასთან დაკავშირებით). ამ შემთხვევაში პირმა შეიძლება უარი თქვას დანაშაულზე ან გადადოს სამომავლოდ. თუკი დანაშაულის ჩადენის გარემოება შეესატყვისება დაშნაშავის მოლოდინებს, მისი მოქმედება ხორციელდება სტერეოტიპულად, მისთვის დამახასიათებელი, ჩვეული ხერხებით.

დანაშაულის ჩადენის გზაზე შესაძლოა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს დანაშაულებრივი მოტივაციის რეალიზაციის შესაძლებლობები, ჩამოყალიბდეს დამატებით ახალი დანაშაულებრივი მიზნები, გამტკიცდეს მოქმედების გადაწყვეტილება.

დანაშაულის შუალედური რეზულტატი შეიძლება გამოვიდეს ახალი დანაშაულის ჩადენის პირობის, საბაბისა და მოტივის რანგში. მომდევნო დანაშაული შეიძლება მოხდეს წინმსწრების დაფარვის მიზნით. მაგალითად, დანაშაულის ადგილზე შემთხვევითი მოწმის მოკვლა.

დანაშაულის შესრულების მექანიზმი გამოიხატება დაშნაშავის მიერ გაზორციელებული მოქმედებების ხერხების სისტემაში.

ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხი იძლევა მისი გახსნის გასაღებს. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, დანაშაულის მეთოდის ფსიქოლოგიური არსის განსაზღვრა. ამიტომ არ არის საკმარისი მხოლოდ მისი შემადგენელი კომპონენტების ჩამოთვლა (მაგალითად, საცავეში შეღწევა მოხდა სპეციალური გასაღებით, მკვლელობა ჩადენილია ცივი იარაღის გამოყენებით და ა.შ.).

ხერხი — ეს არის მოქმედების ოპერაციონალური კომპლექსების სისტემა, გაპირობებული მიზნითა და მოტივებით, ქცევის ფსიქოლოგიური და ფიზიკური თავისებურებებით. მოქმედების ხერხში გამოიკვეთება ინდივიდის ფსიქოფიზიოლოგიური და ქარაქტეროლოგიური ნიშან-თვისებები, მისი ცოდნა, უნარები, ჩვევები, შესაძლებლობები და გარე-სინამდვილის სხვადასხვა სფეროსადმი დამოკიდებულება. ყოველ ადამიანს აქვს მოქმედებათა ხერხების გაზოგადებული სისტემა, რაც მეტყველებს მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

მოქმედების ხერხისადმი ფსიქოლოგიური მიდგომისას უნდა გამოიყოს დაშნაშავის ქცევის არსებითი თვისებები, მისი მოქმედების ფსიქოლოგიური სპეციფიკურობა.

ქმედების განხორციელების ხერხი მჭიდრო კავშირშია ინდივიდის ფიზიკურ და ფუნქციონალურ შესაძლებლობებთან. ყოველ დანაშაულს აქვს თავისი სისტემური ნაკრები — მოქმედებათა და ოპერაციათა კომპლექსი. დანაშაულის ჩადენის ხერხი უნდა გავაიგივოთ ინდივიდუალურად სტერეოტიპიზირებულ ქცევით მექანიზმთან, რომელიც აისახება გარემოში, ანუ დანაშაულის კვალში. ქმედების ხერხი წარმოადგენს ინდივიდის ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური საშემსრულებლო სტერეოტიპების რეალიზაციას მიზნის მიღწევის გარკვეულ პირობებში. ეს კომპლექსები ისევე ინდივიდუალიზირებულია, როგორც მაგალითად თითის ანაბეჭდი და ყოველთვის ტოვებენ კვალს დანაშაულის ადგილზე.

ზშირად, ემზადება რა დანაშაულისათვის, პირი გულმოდგინედ ამუშავებს მისი დაფარვის ხერხებსაც — იგონებს ცრუ ალიბს, მიმართავს დეზინფორმაციის სხვადასხვა ხერხებს, სპობს დანაშაულის კვალს. დამნაშავე, როგორც წესი, გამოძიებლის ნაცვლად აზროვნებს, ახდენს მისი მსჯელობების რეფლექსიას. მაგრამ თვით დამნაშავის საქმიანობაც დანაშაულის დამალვასთან დაკავშირებით, ასევე იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მის ინდივიდუალურ ფსიქიკურ თავისებურებებზე და წარმოადგენს დანაშაულის გახსნის ერთ-ერთ წყაროს.

ამგვარად, დანაშაულის ჩადენის ხერხი აუცილებლად უკავშირდება დამნაშავის პიროვნების დანაშაულისწინარე და დანაშაულის შემდგომი ქცევის თავისებურებებს. მოქმედების ინდივიდუალური ხერხების განუმეორებლობა, ყოველი დანაშაულის ქცევითი უნიკალურობა ანუ დამნაშავის პიროვნული ანაბეჭდი, ყოველთვის რჩება დანაშაულის ადგილზე.

დანაშაულის შედეგები

დანაშაულებრივი ქმედების რეზულტატი იურიდიული და ფსიქოლოგიური კუთხით, დანაშაულებრივი ქცევის შედარებით მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებით არსებითია ინდივიდის დამოკიდებულება მიღწეული დანაშაულებრივი შედეგისადმი. ეს მიმართებები განსხვავებულია — დაწყებული გულწრფელი სინანულიდან, მიღწეულით ღრმა კმაყოფილებამდე.

მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება თუ დაუკმაყოფილებლობა იწვევს ახალი დანაშაულებრივი მიზნების გაჩენას ან დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტას. დანაშაულებრივი შედეგის დადებითი პიროვნული შეფასება წარმოადგენს პიროვნების ღრმა კრიზინალურ დეფორმირებულობას, ქცევის დანაშაულებრივი ტიპის ძირითად წანაპიღვარს. მიღებული რეზულტატის ნეგატიურმა სახემ კი შესაძლოა გამოიწვიოს სინდისის ქენჯნა, დამნაშავეობის გრძნობა და მონანიება, რასაც ხშირ შემთხვევაში მოსღვეს ინდივიდის მხრიდან უარი დანაშაულის ბოლომღე მიყვანაზე.

7. გამომძიებლის პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები

სამძებრო საქმიანობის მიზანს შეადგენს სამართალდარღვევისას ჭეშმარიტების დადგენა და დამნაშავეების სამართლისათვის გადაცემა. ეს მიზანი გამომძიებლის შემეცნებით-ძიებითი საქმიანობის პროცესში ხორციელდება.

გამომძიებლის საქმიანობა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: გამოძიების ვადებისა და საშუალებების პროცესუალური რეგლამენტირებულობით; გამომძიებლის სოციალური და როლის მაღალი ფორმალიზებულობით; რიგ შემთხვევაში, გამოძიების საწყის სტადიაზე ამომავალი ინფორმაციის უკმარისობით; პრაქტიკული ოპერატიულობით (ერთი მოქმედების პრაქტიკული შედეგები წინასწარ განსაზღვრავენ მეორე მოქმედების არჩევანს); დაინტერესებულ პირთა მხრიდან შესაძლო წინააღმდეგობის გადალახვით; გარკვეული უფლებამოსილებით; ფართო სოციალური კომუნიკაბელურობით; მიღებული გადაწყვეტილებებისადმი ამაღლებული პასუხისმგებლობით.

გამომძიებლისთვის მინიჭებულმა უფლებამოსილებებმა შეიძლება შექმნას მისი საქმიანობის ბრალდებითი მიმართულების ილუზია, ზოგ შემთხვევაში კი გამოიწვიოს შესაბამისი პროფესიული დეფორმაცია. ამასთან, გამომძიებლის ფუნქციას არ წარმოადგენს არც ბრალდება და არც დაცვა. არამედ მისი ვალია გამოძიების პროცესში ჭეშმარიტების ძიება საქმის ვითარების სრული, ობიექტური და ყოველმხრივი გამოკვლევის საშუალებით.

კანონი გამომძიებელს უკრძალავს გამოიყენოს ფსიქიკური ზეწოლა, პირდაპირი ან ირიბი შთავონება, ტყუილი დაპირება, შანტაჟი, დაშინება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ეჭვმიტანილის დამ-

ცირება. მას ეკრძალება დაუსვას მოწმეს, დაზარალებულს, ამომცნობს მისახვედრი კითხვები. სამართლიანობა, ობიექტურობა, ბრალდებითი მიმართულების თავიდან აცილება, კანონის განუზრელი რეალიზაცია — ეს არის სამძებრო საქმიანობის ძირითადი მოთხოვნები. პლატონის მიხედვით, კანონის დამცველისათვის მთავარია: თავმდაბლობა, კეთილსინდისიერება, სიმამაცე, სიბრძნე, კეთილშობილება, მოუსყიდველობა, კარგი სახელი.

მუშაობის მაღალი დამაბულობა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს გამომძიებლის ფსიქიკურ ორგანიზაციას. გამოკვლევების თანახმად, მათი 1/5 ვერ უძლებს მუშაობის რიტმსა და დატვირთვას.

გამომძიებლის პროფესიის მნიშვნელოვანი ნერვეულ-ფსიქიკური თავისებურებებია:

- სენზიტიურობა — გარეგანი გამღიზიანებლებისადმი მომატებული ნერვეულ-ფსიქიკური მგრძობელობა;
- ემოციური მდგრადობა;
- შფოთვის დაქვეითებული დონე — სახიფათო სიტუაციებში ზომიერი ემოციური აგზნებადობა;
- რეზისტენტულობა — გარეგანი და შინაგანი ფსიქოტრავმირებადი პირობებისადმი წინააღმდეგობრიობა;
- ტოლერანტობა — ნერვეულ-ფსიქიკური გადაღლისადმი გამძლეობა.

გამომძიებლის პიროვნული ნიშან-თვისებებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალურ, ნებელობით და კომუნიკაციურ თვისებებს.

გამომძიებლის ინტელექტუალური თვისებები უნდა პასუხობდნენ განვითარებული პიროვნების პრაქტიკული ჭკუის მოთხოვნებს.

როგორც ბ. ტეპლოვი აღნიშნავდა, ბევრი ფსიქოლოგი გონებრივი საქმიანობის ერთადერთ სახედ მიიჩნევდა მეცნიერ-თეორეტიკოსის მუშაობას. მაგრამ, პრაქტიკული საქმიანობაც ასევე მოითხოვს არანაკლებ ინტელექტუალურ ძალისხმევას.

პრაქტიკული აზროვნება არ დაიყვანება მხოლოდ თვალსაჩინო-მოქმედებით აზროვნებაზე. გამომძიებლის სააზროვნო მოქმედებას აქვს სპეციფიკური ხასიათი, მაგრამ ეს არაა აზროვნების განსაკუთრებული ფორმა. იგი ემორჩილება ზოგად-ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ კანონზომიერებებს. მისი აზროვნება უნდა იყოს ოპერატიული ანუ მაღალდინამიკური ინტელექტუალური ოპერაცია, რომელიც მუდმივად კორექტირდება პრაქტიკული საქმიანობის პირო-

ბების და შედეგების მიხედვით. გამოძიებლის ინტელექტისათვის პროფესიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭრიახობა და რეფლექსიურობა — ადამიანის გაგების და მათი შესაძლო მოქმედების განჭვრეტის უნარი.

გამომძიებლის ჭკუა უწყვეტ კავშირშია პრაქტიკასთან და მუდმივი გამოცდის ქვეშაა. სწორედ აქედან გამოძინარეობს გამოძიებლის პრაქტიკული აზროვნებისათვის არსებითი ძალადი პასუხისმგებლობა და დაძაბულობა. სასურველია იგი ფლობდეს ფაქიზი დაკვირვების უნარსაც.

დანაშაულის გახსნისას გამოძიებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სწორი სურათის აღდგენა განსაზღვრული ნიშნების მიხედვით. ასხვავებენ მტკიცებულებათა ორ სახეს — პირდაპირსა და ირიბს. თუ ადამიანმა ნახა მკვლელობა, მისი მონაცოლი პირდაპირი სამხილია. ასეთი მტკიცებულება ძალზე იშვიათად გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს მოწმეთა ისეთ ჩვენებებთან, რომლებიც აგვიწერენ მოკლულის ცხოვრების წესს, მის ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, ფსიქიკურ მდგომარეობას სიკვდილის წინ, მკვლელობის ადგილსა და დროს, გვამის მდებარეობას და ა.შ. ეს ირიბი მტკიცების ფორმებია, რომლებიც გამოძიებელმა ჭეშმარიტ სამხილად უნდა აქციოს.

გამომძიებელს უფრო ხშირად საქმე აქვს დანაშაულის გარკვეულ კვალთან. მაგრამ, კვალი შეიძლება აუხსნელი დარჩეს, თუ არ ვიცით მისი გამომწვევი ფაქტორები. ასხვავებენ მატერიალურ და ფსიქიკურ კვალს, რამდენადაც ყოველი დანაშაულებრივი ქმედება აისახება მატერიალურ გარემოსა და ადამიანის ფსიქიკაში.

მატერიალურმა კვალმა შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია ადამიანის ანთროპოლოგიური და ფუნქციურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების, მის მიერ განხორციელებული მოქმედებების თანმიმდევრობის, მოძრაობების დინამიკური მახასიათებლების — ამპლიტუდა, სიჩქარე, ძალა — შესახებ. მატერიალური კვალი (მაგალითად, იარაღით დატოვებული) ზოგ შემთხვევაში საშუალებას იძლევა განისაზღვროს დანაშაულის პროფესია, ასაკი, სიმაღლე, ფიზიკური ძალა, ცაციაობა და სხვ.

ძიებითი შეშეცნების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ გამოძიებელი იკვლევს როგორც უშუალოდ აღქმულ მოვლენას, ისე ფსიქიკაში აღბეჭდილ კვალს. პირველ შემთხვევაში, საქმე

გვაქვს ობიექტურად განპირობებულ ამოცანებთან, ხოლო მეორეში — სუბიექტურ გამოცანებთან.

გამომძიებელს ხშირად საქმე აქვს აღქმის თუ მეხსიერების ნებით ან უნებლიე შეცდომებთან. ასევე ხშირია დამნაშავეთა მიერ კვალის დაფარვის და გამოძიების მცდარი მიმართულებით წაყვანის მცდელობები. ასეთი გამოცანების ამოსახსნელად აუცილებელია მათი გამოძწვევი მიზეზების ცოდნა.

ფსიქიკური კვალი(ხატი) ვლინდება გამოკითხვის მეთოდით. ამისათვის ხორციელდება შესაბამისი საგამომძიებო ქმედებები — დაკითხვა, დაპირისპირება, სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მატერიალურისაგან განსხვავებით, ფსიქიკური კვალი არასტაბილურია, ცვალებადია, ფრაგმენტულია და აქვს წაშლის ტენდენციები. გამომძიებელს უნდა ანსოვდეს, რომ ადამიანები მოვლენებს ასახავენ სუბიექტურად, პიროვნული და სიტუაციური ზეგავლენების, დახსომების და აღდგენის თავისებური რეკონსტრუქციის მიხედვით. ისინი ხშირად მთავარს მეორეხარისხოვნისგან ვერ განასხვავებენ. ამიტომ გამომძიებლისთვის მნიშვნელოვანია მოვლენის დეტალების ზუსტი ანალიზი.

მტკიცებულებათა მიღების ერთ-ერთ ძირითად ხერხს წარმოადგენს იდენტიფიკაცია(გაიგივება). ამ შემთხვევაში ხდება “ერთზე დაყვანა”, რომ არ დარჩეს ადგილი ეჭვისათვის. ამ ვითარებას ართულებს ის, რომ სამძებრო ამოცანა გამოირჩევა საკვლევი ზონის განუსაზღვრელობით. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ამოცანის გადაჭრის განსაკუთრებული მექანიზმი — ევრისტიკული აზროვნება: სიტუაციის მოდელირება, მისი განვითარების განჭვრეტა. ეს პროცესი ხორციელდება კონცეპტუალური ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

გამომძიებლის აზროვნება ემყარება ჰიპოთეზას(ვერსიას). იგი იძლევა მაღალ ალბათურ ინფორმაციას საგნებსა და მოვლენებს შორის არსობრივი კავშირების არსებობის შესახებ. ყველა საბოლოო დასკვნის შემოწმება უნდა შეიძლებოდეს ფაქტების სისტემის შემოწმებით. გამომძიებლის ამოცანაა ჭეშმარიტება თავისთვის-გადააქციოს ჭეშმარიტებად ყველასათვის.

მუშაობის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გამომძიებლის პროფესიულ ინტუიციას, როცა ხდება სიმართლის პირდაპირი წვდომა მსჯელობათა სისტემის გაშლის გარეშე. ინტუიციას ხშირად თან ახლავს მისტიკური იდუმალების არეალი, თუმცა

იგი აზროვნების თავისებური ტიპია, როცა პროცესის ცალკეული რგოლები არაა გაცნობიერებული, მაგრამ ნათლად ცნობიერდება აზრის შედეგი.

გამომძიებლის ინტელექტუალური თვისებები უნდა შეესაბამებოდნენ მის პროფესიულ და ქარაქტეროლოგიურ თავისებურებებს. მათ შორის პირველ ადგილზეა ღირებულებითი ორიენტაციების სისტემა — მისი სოციალური, ზნეობრივი პოზიციები, მოქალაქეობრივი და სამსახურებრივი მოვალეობების გრძნობები და ა.შ.

გამომძიებლის პროცესუალური და სამსახურებრივი დამოუკიდებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მისგან მოითხოვს ინიციატურობას, ორგანიზებულობასა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეს.

მინიჭებულმა უფლებამოსილებამ შესაძლოა გამოიწვიოს და განამტკიცოს ისეთი ნეგატიური პიროვნული თავისებურებები, როგორცაა ქედმაღლობა, უხეშობა, ამპარტავნობა, ყოყოობა, ემოციური გულქვაობა. აგრეთვე მუდმივმა დაქვემდებარებამ რეკლამენტაციისადმი შეიძლება ხელი შეუწყოს მის პიროვნებაში რიგიდულობის, მოუქნელობის, შაბლონური გადაწყვეტილებებისადმი მიდრეკილების, ფორმალიზმის ჩამოყალიბებას, ხოლო ასოციალურ გამოვლინებებთან მუდმივმა შეხებამ კი მასში ჩამოაყალიბოს აქცენტუირებული ეჭვიანობა, საქმიანობაში ბრალდებითი მიმართულება, აკვიტებულობა. ხშირად, აღმოცენებული დროის დეფიციტი იწვევს აჩქარებულობას, ზედაპირულობას, ცალკეული პროცესუალური მოთხოვნის იგნორირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი შესაძლო პიროვნულ-პროფესიული დეფორმაციები აუცილებლად აღმოიფხვრება გამომძიებლის თვითკონტროლის განვითარებისა და გაძლიერების შედეგად.

იმყოფება რა მუდმივად ემოციოგენურ პირობებში, გამომძიებელი უნდა აელენდეს რაციონალურობას. ემოციურ მდგრადობას. აზროვნებდეს ცივი გონებით, ფლობდეს თვითდარწმუნებას, თვითდამშვიდების ხერხებს. ექსტრემალურ სიტუაციებში. გამომძიებლის პიროვნებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას გაძლიერებული სტაბილურობის განწყობა, რათა გადალახოს წარუმატებლობის შიში. რაც მთავარია, გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი ამოცანაა ბრძოლა არა ადამიანის წინააღმდეგ, არამედ ადამიანის დასაცავად.

ანომალიური ქცევა (პრაქტიკული სავარჯიშოები)

მარი — არის პირველ კურსზე და საკმაოდ პოპულარული პიროვნებაა თავის კოლეჯში. მას კარგი გარეგნობა აქვს, აზრიანი და ძალზე ენაწყლიანი გოგონაა. საღამოებზე, მეგობრებთან შეხვედრისას, იგი ყოველგვარი იბულების გარეშე ძალდაუტანებლად საუბრობს ნებისმიერ თემაზე. მის გარშემო მყოფ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ის თავქარიანია და მხოლოდ მხიარულებაზე ფიქრობს. თუმცაღა, როცა მარი ამაღლებულ განწყობილებაზეა, ნაწილობრივ ვერ აკონტროლებს საკუთარ ქცევას. იგი ფეთქებადია და ვინც კი შეეცდება მის გაკრიტიკებას, ყველას თავის ადგილზე „აყენებს“. მარის მშობლები საკუთარ თავს ადანაშაულებენ იმის გამო, რომ მათ ქალიშვილს ასეთი ხასიათი აქვს, მისი ორი და, სირცხვილისა და უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობს მარის გარეშე შეხვედეს მეგობრებს. დროდადრო მარი თითქოს მშვიდდება. მას მოიცავს ძლიერი ნაღველი და თავში ბნელი აზრები მოსდის. ის თავის თავში იკეტება, ცხოვრება ეჩვენება უაზროდ, რის გამოც, რაღაც მომენტში, სერიოზულად ფიქრობს თვითმკვლელობაზე, გეგმასაც კი აწყობს თუ როგორ უნდა გააკეთოს ეს. რამდენჯერმე შეეცადა კიდევ სიკვდილის წინ წერილი დაეწერა.

ისმის კითხვა: შეიძლება მარის ქცევა ფსიქიატრის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ანომალიურად ჩაითვალოს?

ანომალიური ქცევის გამოცნობა არ არის ადვილი. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, გავეცნოთ მისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშან-თვისებას, ასევე სხვადასხვა დარღვევების დიაგნოსტიკის პრობლემებს. მიზანშეწონილია, გვეჩინდეს წარმოდგენა უფრო მეტად გავრცელებული აფექტური და პიროვნული დარღვევების სიმპტომებზე, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიაზე, დისოციალური დარღვევების, შიზოფრენიისა და ტვინის ორგანულ სინდრომებზე. ამის შემდეგ შევძლებთ, შევაფასოთ მარის ქმედება.

➤ რა არის ანომალიური ქცევა?

სიტყვა „ანომალიური“ აღნიშნავს ნორმალურისგან ან ჩვეულებრივისგან, „საზოგადოდ მიღებულისაგან“ განსხვავებულს. ქცევა

ითვლება ანომალიურად, თუ ის უცნაურია ან შესამჩნევად განსხვავდება ჩვეულებრივი ქცევისგან. ფსიქოლოგების აზრით, არ შეიძლება ქცევა მივაკუთვნოთ ანომალიურის კატეგორიას, თუ მხოლოდ ერთი კრიტერიუმით – მისი არაჩვეულებრივობით ვიხელმძღვანელებთ. ალბერტ აინშტაინისა და დედა ტერეზას ქცევა შესამჩნევად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ადამიანის ქცევისაგან. მათ სწორედ ამით გაითქვეს სახელი. მიუხედავად თავიანთი უჩვეულობისა, მათი ქცევა იყო საესებით გამართლებული. იმისათვის რომ ქცევა ჩაითვალოს ანომალიურად, იგი უნდა იყოს არასასურველიც. ის ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ძალიან ცოტა იძინონ და ამასთანავე აქტიურად იმუშაონ, ჩვეულებრივად ითვლებიან ნორმალურებად. ანომალიურს უწოდებენ მხოლოდ იმათ, რომელთა ქცევაც აღიზიანებს ნათესავებს, მეგობრებს და ქმნის საშიშროებას გარშემომყოფთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, მით უმეტეს, თუკი მათ თავად არ შეუძლიათ გააკონტროლონ საკუთარი ქმედება. როგორც წესი, ანომალიური ქცევა წარმოადგენს ყველა შესაძლო ემოციური დარღვევის მიზეზს. ოჯახები, რომლებიც განიცდიან მუდმივ სტრესს თავიანთი წევრების ანომალიური ქცევის გამო, ხშირად ხდებიან დისფუნქციონალურები. ანომალიური ქცევა იწვევს შიდა ოჯახური ურთიერთობების დისპარმონიას, რამეთუ ოჯახის ყველა წევრმა, შესაძლოა, თავისებური რეაგირება მოახდინოს ამაზე. ანომალიური ქცევის მქონე ადამიანის შშობლები, დები, ძმები, შვილები სხვადასხვანაირად განიცდიან ოჯახში შექმნილ სიტუაციას. ერთნი ბრაზდებიან და გამოხატავენ გაღიზიანებას, მეორენი დარცხვენილები დადიან და ცდილობენ დაფარონ თავიანთი ოჯახური პრობლემები.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მარის ქცევის შეფასება. მოზრდილი ადამიანის ქცევა, რომელიც ხან უაზროდ ლაქლაქებს, ხან კი თავის მოკვლის სურვილი აქვს, არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივად. თვითმკვლელობის მცდელობა სახიფათოა არა მხოლოდ თავად პიროვნებისათვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის, ზოგადად საზოგადოებისთვის და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მარის აქვს ემოციური დარღვევის ყველა ნიშანი.

დისფუნქციონალური ოჯახი – ოჯახი, სადაც სტრესის შედეგად ირღვევა ქცევის ჩვეულებრივი სტანდარტები, რაც, თავის მხრივ გამოწვეულია ერთ-ერთი წევრის ანომალიური ქცევებით.

• სავარჯიშო

ჩამოთვალეთ ანომალიური ქცევის სამი კრიტერიუმი:

1. _____
2. _____
3. _____

დიაგნოსტიკის პრობლემები

ჯორჯ ელბი, ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, მიუთითებდა, რომ აპენდიციტი, ტვინის სიმსივნე და ჩუტყვავილა ყველა ადამიანში ერთნაირად მიმდინარეობს, დამოუკიდებლად მათი კულტურული ან კლასობრივი მიკუთვნებულობისა. ფსიქიკურ დარღვევებზე ეს წესი, ალბათ, არ ვრცელდება, ისინი ძნელად ექვემდებარება დიაგნოსტიკას. ფსიქოლოგები ყოველთვის არ მიდიან ერთ აზრამდე იმის შესახებ, თუ რომელი მდგომარეობა წარმოადგენს სინამდვილეში ნორმიდან გადახრას. ამას გარდა, უცნაური, ახირებული ქცევა ხშირად დროებით ხასიათს ატარებს. პრობლემის სერიოზულობა, დროთა განმავლობაში შესაძლოა, შეიცვალოს. მაგ. ადამიანი რაღაც პერიოდში განიცდის დეპრესიას ისეთი მსუბუქი ფორმით რომ, ძნელი სათქმელია, წარმოადგენს თუ არა მისი ქცევა ანომალიურს ან იგივე პიროვნება სხვა დროს შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ ღრმა დეპრესიაში, რომ აუცილებელი გახდეს ინტენსიური მკურნალობა.

ამჟამად, პრობლემური ქცევის დიაგნოსტიკისათვის ფართოდ გავრცელებულ სტანდარტს წარმოადგენს ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური ცნობარის მეოთხე გამოცემა. მისი დახმარებით ფსიქოლოგები და ფსიქიატრები გამოვლენილი დარღვევის შეფასების საერთო აზრამდე მიდიან. ცნობარში, რომელსაც „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია“ ეწოდება, აღწერილია სხვადასხვა დარღვევები. მათ ძირითად კატეგორიებს განეკუთვნება ნევროტული, სომატოფორმული და დისოციალური დარღვევები. ასევე გუნება-განწყობილების დარღვევა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების შედეგად მიღებული აშლილობები; პიროვნების დარღვევა; შიზოფრენია და ორგანული ფსიქიკური დარღვევები.

➤ შფოთვა

შფოთვა — უკიდურესად არასასიამოვნო გრძობაა. ადამიანი იწყებს აუხსნელი პანიკური შიშის განცდას, ზოგჯერ, თითქოსდა სრულიად უსაფუძვლოდ. შესაძლოა, ყველა ჩვენგანი შეხვედრია ადამიანს, რომელმაც ჩვენში გამოიწვია აუხსნელი შფოთვის გრძობა. მისი თანდასწრებით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ვგრძობთ უხერხულობას, გაღიზიანებას, დაძაბულობას და ა.შ. ამასთან, არ გვქონია აღელვების არანაირი კონკრეტული მიზეზი, მაგრამ განვიცდიდით უსიამოვნო დაძაბულობას. ზოგჯერ, ძალზედ მძიმე და საშინელი მოვლენების განცდისას, მიუხედავად იმისა რომ შიშის მიზეზი აღმოფხვრილია, ადამიანში კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება პანიკური შფოთვის გრძობა.

- ✓ მშფოთვარე დარღვევები ესენია დაძაბულობის, ღელვის, შიშის განუწყვეტელი შეგრძნებები.

➤ ფობიები

მშფოთვარე დარღვევების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ფობიები.

ფობიები მუდმივი უსაფუძვლო შიშებია, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანს ნორმალურ ქმედებაში. თუ, მაგალითად, ადამიანს ცხოველების ეშინია, ამასთან, არა მხოლოდ მტაცებლების, არამედ, საერთოდ, შინაურისა და სრულიად უსაფრთხო არსებების, ასეთი გაზვიადებული შიში შეიძლება ფობიად ჩაითვალოს. არსებობენ ფართოდ გავრცელებული ფობიები, რომლებიც არ იწყვენ სერიოზულ უარყოფით შედეგებს. მაგალითად, ზოგი ცუდად ხდება სისხლის დანახვაზე, სხვებს წრუწუნის ეშინიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ჩვეულებრივი, მხოლოდ რამდენადმე გადამეტებული შიში თითქმის არ ართულებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ყველაზე სერიოზული ფობია, რომელიც ხელს უშლის ადამიანს ნორმალურ ცხოვრებასა და საქმიანობაში არის — აგორაფობია. აგორაფობიად იწოდება ღია სივრცის შიში. იმ ადამიანთა ნა-

ხევარზე მეტი(განსაკუთრებით აშშ-ში), რომელნიც მიმართავენ შესაბამის დაწესებულებებს ფობიებისგან განკურნებისათვის, განიცდიან სწორედაც რომ აგორაფობიას. მათ არ შეუძლიათ გარეთ გასვლა საყიდლებზე, ავტომანქანის მართვა, ავტობუსით მგზავრობა ან უბრალოდ ქუჩაში სიარული.

საერთოდ, ფობიების სრული სია თითქმის არ არსებობს. მათგან ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი:

- აკროფობია — სიმაღლის შიში;
- ანდროფობია — მამაკაცების მიმართ შიში;
- აკვაფობია — წყლის შიში;
- აუტოფობია — მარტოობის შიში;
- კარდიოფობია — გულის დაავადების შიში;
- კრემატოფობია — ფულის შიში;
- კლაუსტროფობია — დახშული სივრცის შიში;
- ჰემოფობია — სისხლის შიში;
- ნეკროფობია — გვამების შიში;
- ნიკტოფობია — სიბნელის შიში;
- პანოფობია — ამ ქვეყნად ყველაფრის შიში;
- პიროფობია — ცეცხლის შიში;
- თანატოფობია — სიკვდილის შიში;
- ტოქსიკოფობია — მოწამვლის შიში;
- ტრისკაიდეკაფობია — 13 რიცხვის შიში;
- ზოოფობია — ცხოველების შიში;

ზოგიერთი ფობია მართლაც, სერიოზულ დაავადებას წარმოადგენს და, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველიც იყოს. ამიტომ, საჭიროა ფობიით შეპყრობილმა ადამიანმა დაუყოვნებლივ მიმართოს სამკურნალო დაწესებულებას.

ფობია — (ბერძნულიდან — შიში) თავისი ინტენსივობით ძლიერი განცდა, გადაჭარბებული და უსაფუძვლო შიში.

• სავარჯიშო

ქალბატონმა ქეთევანმა არ იცის ცურვა. მას ეშინია დახრჩობის და ყოველთვის, როცა იმყოფება გემზე ან იახტაზე, იცვამს სამაშველო ჟილეტს. პლაჟზე იგი ძალზედ ფრთხილად იქცევა და

ცურვისას არასოდეს გადის იმ ზონის მიღმა, რომელსაც მაშველები აკონტროლებენ.

ქალბატონ მაკასაც ემინია დახრჩობის. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში ისწავლა ცურვა, მისი წყალში შეყვანა ძალის გამოყენებითაც კი შეუძლებელია. ის არ ჯდება არც აბაზანაში და არც გასაბერ საცურაო აუზში. ის უარს ამბობს შხაპის მიღებაზე, როცა შადრევნის ახლოს ხვდება იწყებს ღელვას.

გთხოვთ, ახსნათ, რა გვაძლევს საფუძველს ჩავთვლოთ, რომ ქალბატონი მაკა შეპყრობილია ფობიით, ხოლო ქალბატონი ქეთევანი – არა.

საკვების მიღების დარღვევა

აღიარებულია, რომ შფოთვა წარმოადგენს საკვების მიღების დარღვევის მიზეზს. ერთ-ერთი ასეთი დარღვევა, ანორექსია, ყველაზე ხშირად დამახასიათებელია ახალგაზრდა გოგონებისათვის, რომელთაც გასუქების ემინიათ. დასაწყისში მათ უბრალოდ უფუჭდებათ მადა, შემდგომ კი თვით ჭამის სურვილი უჭრებათ. ისინი მუდმივად დიეტას იცავენ, მაშინაც კი, თუ იმდენად გახდებიან, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. ხშირ შემთხვევაში მათ გული ერევათ საჭმლის დანახვაზე.

მეცნიერები თვლიან, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ხშირად არიან დიეტაზე, რათა საკუთარი წონა შეინარჩუნონ. ამის შედეგად იმ პირთა 90%, რომელთაც აწუხებთ ანორექსია – ქალია.

ბულიმია, ანორექსიის მსგავსად, აგრეთვე წარმოადგენს საკვების მიღების დარღვევას. იმ დროს, როცა ანორექსიით დაავადებული ადამიანები, ჩვეულებრივ, გამხდრები არიან, ბულიმიკებს ნორმალური წონა აქვთ. ეს უკანასკნელნი ჯერ ზომაზე მეტს ჭამენ, შემდეგ კი იღებენ სასაქმებელს ან ცდილობენ უკან ამოაღებინონ საჭმელი. მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ბულიმიკები იმიტომ ჭამენ უაზროდ ბევრს, რომ ჩაიხშონ შფოთვა და შიში. მუცლის ერთ „დღესასწაულზე“ ბულიმიკს შეუძლია შთანთქოს რამოდენიმე ფილა შოკოლადი, მთელი ღვეზელი, დიდი პიცა, სამი თეფში ფაფა, სამი ბუტერბროდი, ერთი ქილა შოკოლადის კარაქი და სხვ.

როგორც წესი, ბულიმია შედარებით გავრცელებულია 17-დან 22 წლამდე გოგონებს შორის.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყველა ადამიანი, რომელიც იცავს მკაცრ დიეტას ან ახასიათებს გაუმადლობა, ჩაითვალოს ანორექსიით ან ბულიმიით დაავადებულად. ინდივიდს რომ დავუსვთ ანორექსიის დიაგნოზი, მან უნდა დაიკლოს თავისი პირველსაწყისი წონის 15% მაინც. ჭამის მოყვარულთა უმრავლესობაც არ არის ბულიმიკი, იმდენად, რამდენადაც საკვების მიღების შემდგომ არ იყენებს სასაქმებლებს და არ ცდილობს პირღებინებას.

❖ ობსესიურ-კომპულსიური დარღვევა

ობსესიები – აკვიატებული მდგომარეობების ნაირსახეობაა. მათ განეკუთვნება ყველა შესაძლო აკვიატებული იდეა, მოგონება, ფობია (მაგალითად, გარშემოყოფი ადამიანებისა და ცხოველებისაგან დაავადების მატარებელი მიკრობებით დასნებოვნების შიში). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანი გაურბის ხელის ჩამორთმევასა და, საერთოდ, ხალხთან კონტაქტსაც კი.

❖ ობსესიები: აკვიატებული და ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ აღმოცენებული აზრები, მოგონებები, ეჭვები, შიშები, ლტოლვები.

ობსესიები ხშირად ბადებენ კომპულსიებს ანუ აკვიატებულ მოქმედებებს. კომპულსიები შეიძლება ატარებდნენ იზოლირებული აკვიატებული მოქმედების (შუბლის შეჭმუხვნა, ტუჩების ლოკვა) ან რამდენიმე აკვიატებული ან შიშებთან და ეჭვებთან დაკავშირებული განყენებული ხასიათის რთული მოქმედებების თანმიმდევრობას.

ზოგჯერ კომპულსიები იძენენ რიტუალის ან ცერემონიის სახეს. მაგალითად, ხელების დაბანის რიტუალი, აღმოცენებული ავადმყოფობის მატარებელი მიკრობებისგან შესაძლო დაავადებისადმი აკვიატებული შიშით, შეიძლება შედგებოდეს შემდეგი ქმედებებისგან: ცხელი წყლის ქვეშ საპნით რამდენჯერმე ხელების დაბანა, ანტისეპტიკური საშუალების შესხურება და ხელების გაშრობა სწრაფი წრისებრი მოძრაობებით.

❖ კომპლუსიები: მოძრაობები და მოქმედებები, აღმოცენებული ადამიანის ნება-სურვილის საპირისპიროდ, რომლებიც ჯიუტად, გაუცნობიერებლად სრულდება.

❖ პოსტტრავმატული სტრესული დარღვევა

სერიოზულმა ნერვულმა რყევებმა ან ტრავმებმა, შესაძლოა, გამოიწვიონ შფოთიანობის მომატება. ზოგჯერ ეს შფოთიანობა ადამიანში შენარჩუნდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ადამიანს აქვს პოსტტრავმატული სტრესული დარღვევა (აშლილობა), რომლის სიმპტომებია: სიზმრები ტრავმირებადი მოვლენების შესახებ, ღელვა, დანაშაულის გრძნობა, ყურადღების მოდუნება, გადაჭარბებული ეჭვიანობა და იმ სიტუაციაზე ბოზოქარი რეაქცია, რომელიც ტრავმასთან არის დაკავშირებული. ბაუერის მონაცემებით, აშშ-ში დაახლოებით 12 მილიონმა ქალმა განიცადა პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა, რომლის მიზეზიც იყო გაუპატიურება, სექსუალური ან ფიზიკური ძალადობა ან მცდელობა, რომელმაც ძლიერი სტრესი გამოიწვია. ასეთი აშლილობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ხანძრის, მიწისძვრის ან დაბომბვის შედეგად. პოსტტრავმატულ სტრესულ დარღვევებს ხშირად განიცდიან ომის მონაწილეები.

• საკარჯიშო

ქვემოთ მოყვანილი სიმპტომების მიხედვით განსაზღვრეთ, თუ რომელ დარღვევას აქვს ადგილი ყოველ მოცემულ მაგალითში: ანორექსიას, ბულიმიას, ობსესიურ-კომპულსიურ დარღვევას, თუ პოსტტრავმატულ სტრესულ აშლილობას.

- ქალს, რომელიც გააუპატიურეს, ღამღამობით დღემდე აწუხებს კომპარები.
- ქალს იმდენად ეშინია სადმე დაგვიანების, რომ მუდმივად თან დააქვს მალვიძარა და ყოველ ხუთ წუთში უყურებს საათს.
- პიროვნება, რომელიც ბრძოლა და დაიჭრა აფხაზეთში, უკიდურესად გაღიზიანებულია. მას აწუხებს სირცხვილის, დანაშაულის გრძნობა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი გადარჩა, ხოლო მისი მეგობრები კი დაიღუპნენ.

- სტუდენტი გოგონა მიირთმევს ოცდახუთ ბლინს, ორ ღიდ კექსს, ოცდაოთხ ფუნთუშას, შემდეგ კი იღებს ძლიერ სასაქმებელს.
- ძალიან გამზდარი მოზარდი გოგონა საკუთარ თავს მსუქანად თვლის და არაფერს ჭამს.

❖ პოსტტრავმატული სტრესული დარღვევა ის დარღვევაა, რომლის დროსაც ადამიანი იძულებულია მუდმივად თავიდან განიცადოს ოდესღაც მის მიერ გადატანილი ნერვული შერყევა ან ტრავმული მოვლენა.

სომატოფორმული დარღვევები

ხდება ხოლმე, რომ ადამიანს უჩნდება ამა თუ იმ სომატური დაავადების სიმპტომები, თუმცაღა, ექიმები მასში ვერანაირ გადახრას ვერ პოულობენ – ყველა ორგანო წესრიგშია. ამერიკელები საკუთარი ზელფასის თითქმის ყოველ მეხუთე დოლარს ზარჯავენ სხვადასხვა ფსიქიკური დარღვევების სომატური სიმპტომების მკურნალობაზე. ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო და, საბედნიეროდ, იშვიათ მაგალითს წარმოადგენს კონვერსიული დარღვევა. ადამიანი უეცრად კარგავს მგრძნობელობას სხეულის რომელიმე ნაწილისადმი, მას ემართება დამბლა ან კარგავს ყნოსვას, სმენას, მხედველობას. ამ სიმპტომების ასახსნელად ექიმებს არ შეუძლიათ არანაირი ფიზიოლოგიური მიზეზის მოძებნა.

ზოგჯერ ჯანმრთელი ადამიანები თავიანთ თავს შთააგონებენ, რომ ავად არიან. ხომ შეგხვედრიათ პიროვნება, რომელიც მუდმივად ავადმყოფობაზე წუწუნებს, თუმცა ექიმები მასში ვერანაირ პათოლოგიას ვერ პოულობენ? შესაძლებელია, რომ ასეთ ადამიანს იპოპონდრია აქვს. იპოპონდრიკები მთლიანად ჩაფლულნი არიან საკუთარ ჯანმთრელობასთან დაკავშირებულ პრობლემებში. მათთვის ცნობილია დაავადებათა ურიცხვი სიმპტომი. ზოგჯერ იპოპონდრიკები თავიანთ თავში პოულობენ გულის დაავადების, კიბოს, შიდსის ან სხვა სერიოზული ავადმყოფობის სიმპტომებს. ადამიანს, რომელსაც აწუხებს იპოპონდრია, ჩვეულებრივი თავის ტკივილი შეიძლება მოეჩვენოს ინფარქტის ან ტვინის სიმსივნის სიმპტომად.

❖ კონვერსიული აშლილობა - რომელიმე ორგანოს, ან სხეულის ნაწილის მგრძნობელობის დაკარგვა ყოველგვარი ფიზიოლოგიური მიზეზის გარეშე.

იპოპონდრია: საკუთარი ჯანმრთელობისადმი უკიდურესი ყურადღებებიანობა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გაზვიადება.

ტესტი:

- რომელია ანომალიური ქცევის ნიშნები?
 - არასტანდარტულობა;
 - არასასურველობა;
 - ემოციური აშლილობა;
 - ყველა ზემოთ აღწერილი სამი ნიშან-თვისება.
- ბატონ ბესოს არ ჰყავს ცოლ-შვილი. ის ხშირად გვიანობამდე რჩება სამსახურში და გარდა ამისა, სამუშაოც მიაქვს სახლში. მას იშვიათად სძინავს ოთხ საათზე მეტი. შეიძლება მისი ქცევა ანომალიურად ჩაითვალოს?
 - დიახ, იმიტომ რომ ის უჩვეულოა;
 - დიახ, იმიტომ რომ ის არასასურველია;
 - არა, იმიტომ რომ ის არ არის არასასურველი;
 - დიახ, იმიტომ რომ ადამიანთა უმეტესობას მეტი ძილი ესაჭიროება.
- რისთვის გამოიყენება „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია“ (ცნობარი)?
 - დარღვევების დიაგნოსტიკებისათვის;
 - დარღვევების მიზეზების დადგენისათვის;
 - დარღვევების სამკურნალოდ;
 - დარღვევების ასახსნელად.
- ქვემოთ ჩამოთვლილი დარღვევების რომელი ტიპი შეიცავს ერთდროულად ფობიას, საკვების მიღების დარღვევას, ობსესიურ-კომპულსიურ დარღვევასა და პოსტტრავმატულ სტრესულ აშლილობას?
 - მშფოთვარე დარღვევა;
 - ანორექსია;
 - იპოპონდრია;
 - კონვერსიული მოშლილობა.

5. შშფოთვარე დარღვევებიდან რომელი გეხვდება ყველაზე ხშირად?
- საკვების მიღების დარღვევა;
 - შიში ყველაფრისადმი;
 - ობსესიურ—კომპულსიური დარღვევა;
 - პოსტტრავმატული სტრესული მოშლილობა.
6. რა არის ფობია?
- შიში, რომელსაც გააჩნია რეალური მიზეზი;
 - შიში ყველაფრისადმი;
 - უმიზეზო შიში;
 - საკვების მიღების მოშლილობა.
7. ბატონი კოტე შეპყრობილია აგორაფობიით. რას ნიშნავს ეს?
- მას ეშინია წყლის;
 - მას ეშინია საკვამურში გაჭედვის;
 - იგი არ განიცდის შიშის გრძნობას საერთოდ;
 - მას ეშინია საკუთარი სახლიდან გასვლა.
8. რომელი ფობია წარმოადგენს შედარებით სერიოზულ დარღვევას?
- აკროფობია;
 - აგორაფობია;
 - კლაუსტროფობია;
 - ზოოფობია.
9. რა აქვთ საერთო ანორექსიით და ბულიმიით დაავადებულ ადამიანებს?
- ორივეს აქვს ობსესიურ—კომპულსიური მოშლილობა;
 - ორივეს აქვს საკვების მიღების დარღვევა;
 - ორივეს აქვს პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა;
 - არცერთს არაფერი არ აწუხებს.
10. ქალბატონი ანა მუდმივად ფიქრობს, რომ გაწეწილი აქვს თმები და შეიძლება დაიხრჩოს. ამის გამო ის ყოველ ხუთ წუთში ტოვებს ყველანაირ საქმეს და იწყებს თმების დავარცხნის რიტუალს. ქვემოთ ჩამოთვლილი ნერვული აშლილობებიდან რომელს განეკუთვნება მისი ქცევა?

- ა. პოსტტრავმატულ სტრესულ მოშლილობას;
 - ბ. ანორექსიას;
 - გ. ობსესიურ-კომპულსიურ დარღვევას;
 - დ. თანატოფობიას.
11. ქვემოთ ჩამოთვლილი პიროვნებებიდან, რომელს აწუხებს პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა?
- ა. ძალადობის მსხვერპლს;
 - ბ. ქალს, რომელიც მიწისძვრისგან დაზარალდა;
 - გ. ომის მონაწილეს;
 - დ. ზემოთ ჩამოთვლილ სამივე პიროვნებას.

➤ დისოციაციური დარღვევები

დისოციაციური დარღვევის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პიროვნების გაორება ანუ გახლეჩა. ეს მოვლენა ხშირად გამოიყენება მხატვრული შემოქმედებაში, თუმცაღა ცხოვრებაში საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

პიროვნების გაორების (გახლეჩის) შემთხვევები ხშირია კინოფილმებისა და რომანების შექმნისას, მაგრამ მრავალი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი სერიოზულად ეჭვობს, რომ ეს დარღვევა სინამდვილეში ასე ფართოდ არის გავრცელებული. 1979 წლამდე აშშ-ში რეგისტრირებული იყო მხოლოდ 200 შემთხვევა, 1979 წლის შემდეგ კი დაფიქსირდა უკვე 2500 შემთხვევა. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ აშლილობით შეპყრობილნი არიან მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის მცხოვრებნი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დარღვევა სასამართლოს მიერ აღიარებულია დამნაშავეის დაცვის არგუმენტად, ბევრი საპეციალისტი ფიქრობს, რომ დამნაშავეები სიმულირებენ ამ დარღვევის სიმპტომებით. არსებობს მრავალი თეორია პიროვნების გაორების მიზეზებთან დაკავშირებით, მაგრამ რამდენადაც იგი გვხვდება იშვიათად, ნაკლებად შესწავლილია. პიროვნების გაორების მიზეზი კვლავ გამოუკვლი რჩება.

- პიროვნების გაორება საკუთარი თავის, როგორც ერთი მთლიანის გაცნობიერების მოშლა, შინაგანი რღვევის, გახლეჩის განცდა.
- ამნეზია - მეხსიერების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა.

დისოციაციური დარღვევის სხვა სახეს წარმოადგენს ამნეზია ანუ მეხსიერების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა. ამნეზიას შესაძლოა ჰქონდეს ფიზიოლოგიური მიზეზები, რომელთა შორისაა: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თავის ქალის ტრავმები და არასრულფასოვანი ან არასაკმარისი კვება. ამას გარდა, ამნეზია შეიძლება გამოწვეულ იქნას ფსქოლოგიური ხასიათის ფაქტორებითაც. ჩვეულებრივ, ამნეზიის ასეთი ფორმა აღმოცენდება ძლიერი სტრესის შედეგად და როგორც წესი, დროთა განმავლობაში გადის. ამნეზიის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს სხვადასხვა: რამდენიმე საათიდან ან დღიდან – რამდენიმე წლამდე. მეხსიერების დაკარგვას აქვს ასევე გავრცელებისა და ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხი: დაწყებული ტრავმირებადი მოვლენებთან დაკავშირებული ცალკეული მოგონებების ჩაქრობიდან - თვითცნობიერების სრული დაკარგვით დამთავრებული. ადამიანებს, რომელთაც აწუხებთ მძიმე ფორმის ამნეზია და ავიწყდებათ თუ ვინ არიან, სრულად კარგავენ რეალურ სამყაროსთან კავშირს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ძნელდება იმის განსაზღვრა, სინამდვილეში აწუხებს თუ არა ადამიანს (განსაკუთრებით დამნაშავეს) ასეთი მძიმე ფორმის ამნეზია, თუ უბრალოდ სიმულირებს მისი სიმპტომებით.

გუნება-განწყობილების დარღვევა (აფექტური აშლილობა)

ყოველი ადამიანი ხან კარგ გუნებაზეა, ხან – ცუდზე. რა თქმა უნდა, ჩვენც გვქონია მწუხარების განცდა, მოგვსვლია შებნელი აზრები, ვყოფილვართ აპათიაში. ეს გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, რომლებიც შეიძლება იყოს გამოცდაზე მიღებული ნიშანი, უახლოეს მეგობართან სერიოზული ჩხუბი, სამსახურის დაკარგვა და სხვ. არ არის გამორიცხული, რომ დათრგუნული განწყობილება და გაღიზიანებადობა შენარჩუნდეს რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაშიც. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ გვაწუხებდა დებრუსიის მსუბუქი ფორმა. ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ ისეთი მომენტებიც, როცა ბრწყინვალე განწყობილებაზე ვიყავით. თუმცა, ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის გუნება-განწყობილება სადღაც კარგისა და ცუდის შუაშია. ამისგან განსხვავებით,

დარღვევების მქონე ადამიანთა განწყობილება თითქმის ყოველთვის ან ერთ ან მეორე პოლუსზეა. ასეთი ადამიანები ან ძალზედ აგზნებულები, ანდა პირიქით, აპათიურები არიან და არ შეუძლიათ საკუთარი თავის გაკონტროლება. ზოგიერთი მათგანი განიცდის მხოლოდ დეპრესიას – მათ ყოველთვის ცუდი განწყობილება აქვთ. სხვებს აქვთ ან მოჭარბებული აქტიური (მანია), ან უკიდურესად პასიური (დეპრესია) განწყობილება. ასეთი მდგომარეობა ბიპოლარულ აფექტურ აშლილობად იწოდება.

➤ დეპრესია

❖ დეპრესია - დათრგუნული, ნაღვლიანი განწყობილება, რომელსაც თან სდევს საკუთარი არასრულფასოვნებისა და პესიმიზმის განცდა.

❖ სეზონური აფექტური აშლილობა - ძლიერი დეპრესია, რომელიც ჩნდება ჩვეულებრივ შემოდგომასა და ზამთარში და წარმატებულაა გაზაფხულზე.

ადამიანებზე, რომელთაც დაკარგეს საყვარელი პიროვნება და ამას ძლიან მძიმედ განიცდიან, რა თქმა უნდა, ზრუნავენ ახლობლები და მეგობრები. ისინი ცდილობენ მათი დეპრესიულობის შემცირებას. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დეპრესიულობას იწვევს არამარტო საყვარელი ადამიანის სიკვდილი, არამედ განქორწინებაც, რომლის შედეგადაც გამოწვეული დეპრესიული მდგომარეობა, შესაძლოა, უფრო ხანგრძლივი და მძიმე იყოს, რამეთუ განქორწინების შემდეგ ადამიანი იძულებულია თავის ახალ მდგომარეობას შეეგუოს და არ მიიღოს არანაირი მხარდაჭერა გარშემომყოფებისგან.

ზოგჯერ დეპრესია ჩნდება ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ფსიქიატრებმა აღმოაჩინეს, რომ დეპრესია შეიძლება აღმოცენდეს გარეგანი მოვლენებისაგან დამოუკიდებლად. გამოკვლევების თანახმად, მისი გამოწვევა შეუძლია ორგანიზმში ზოგიერთ ჰორმონალურ და ნეიროქიმიურ ცვლილებას.

ზოგიერთი ადამიანი მძიმე დეპრესიაში ვარდება ზამთრის პერიოდში. 1980-იან წლებში ფსიქიატრებმა გუნება-განწყობილების ზამთრის ასეთ დარღვევებს უწოდეს სეზონური აფექტური აშლი-

ლობა. ეს არის დეპრესიის სერიოზული ფორმა, რომელიც, ჩვეულებრივ, იწყება შემოდგომაზე ან ზამთარში და გადის გაზაფხულზე. დეპრესიის ასეთი ფორმა ყველაზე ხშირია ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ამინდის სეზონური ცვლილებები გაცილებით ხელშესახებია. ამერიკელმა მეცნიერმა ორეგონის უნივერსიტეტიდან ელ ლუიმ სინათლის თერაპიით დაიწყო ზამთრის დეპრესიით შეპყრობილი პაციენტების მკურნალობა. იგი მათ დროის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული ინტენსივობით ასხივებდა. პაციენტების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა რამდენიმე დღის შემდეგ. გამომდინარე შედეგებიდან, ლოქტორმა ლუიმ გააკეთა დასკვნა, რომ სინათლის თერაპიას შეუძლია იმ მოსახლეობის 20%-ს მოუტანოს სარგებლობა, რომლებიც ძირითადად ჩრდილოეთის შტატებში ცხოვრობენ. ამ ექსპერიმენტების შედეგად, მეცნიერები თვლიან, რომ ზამთრის დეპრესიას იწვევს დღის სინათლის შემცირება და არა ცივი ამინდი.

მაინც როგორია დეპრესიის სიმპტომები? ადამიანს, რომელიც შეწუხებულია დეპრესიით, არაფერი არ უნდა, არაფერი არ აინტერესებს, სწრაფად იღლება, უენერგიოა, აქვს დაბალი თვითშეფასება და ყოველთვის აზვიადებს ცხოვრების ნეგატიურ მხარეებს, კარგს ვერაფერს ხედავს, ვერ აფასებს საკუთარ მიღწევებს. დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანებს არ ჰყოფნით საკუთარ თავში დარწმუნებულობა, ამიტომაც მიდრეკილნი არიან კატასტროფიზაციისკენ, რაც ნიშნავს შესაძლო უსიამოვნებების გადაჭარბებას, გაზვიადებას. ადამიანებს, რომლებიც დეპრესიაში არიან, არ მოსწონთ, როცა ვინმე ცდილობს მათ გამხიარულებას, ისინი გაურბიან ხალხმრავალ და მხიარულ ადგილებს, მტირალები არიან, მეტ ხანს სძინაეთ. დეპრესიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სიმპტომია გარემომყოფ ხალხთან ურთიერთობის უუნარობა ან სურვილის არქონა. ზოგჯერ დეპრესიის დროს ხდება ადამიანის ქცევის მკვეთრი ცვლილება: მშვიდი პიროვნება ხდება განრისხებული და გამმაგებული, ან მეგობრული დამოკიდებულება გადაიქცევა მტრულად.

ამერიკელი ფსიქოლოგების მონაცემების თანახმად, მამაკაცებთან შედარებით, ქალები დეპრესიით ორჯერ მეტად არიან შეწუხებულინი. მხოლოდ აშშ-ში დეპრესიის ნებისმიერი ფორმა აწუხებს დაახლოებით შვიდ მილიონ ქალბატონს. ქალებში დეპრესიის არა-

რეგისტრირებული და არადიაგნოსტიკური შემთხვევებიც კი ორჯერ მეტია. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში თვით ექიმებსაც გაუჩნდათ მიდრეკილება, რომ ქალებს უფრო ხშირად დაუსვან დეპრესიულობის დიაგნოზი.

როგორ მოვიქცეთ, როცა დეპრესიაში მყოფ ადამიანს არ სურს, რომ მას დაეხმარონ, გაართონ? ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია პიროვნულად მხარში ამოვუდგეთ, თანაგრძნობა გამოვუცხადოთ, მაგრამ დეპრესიის დროს ადამიანისათვის აუცილებელია სპეციალისტის დახმარება.

• სავარჯიშო

ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან აღნიშნეთ ისინი, რომლებიც მიუთითებენ შესაძლო დეპრესიაზე:

- დაბალი თვითშეფასება;
- კატასტროფიზაცია;
- ენერჯის სიჭარბე;
- გაღიზიანებადობა;
- სიკვდილთან დაკავშირებული აზრები;
- უკიდურესი კომუნიკაბელურობა;
- მიზანდასახულობა;
- მტირალობა;
- უძილობა;
- უიმედობის გრძნობა;
- მხიარული გუნება-განწყობილება;
- ყურადღების კონცენტრირებულობა.

❖ ბიპოლარული აფექტური აშლილობა

მანია წარმოადგენს დეპრესიის სრულ საპირისპირო მდგომარეობას. მანია არის კეთილდღეობის გადაჭარბებული გრძნობა. მანიაკალურ მდგომარეობაში ადამიანი სავსეა ენერჯით, სურვილებით, გეგმებით, მეტყველება ხშირად აჩქარებულია, ფრაზები – გონებასახვილური. შესაძლოა, ვიფიქროთ კიდევ, რომ ამაზე უკეთესი რა არის თუ არა მუდმივად ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მანიაკალური მდგომარეობა წარმოადგენს იმდენად ექსტრემალურს, რომ ადამიანის ქცევა ხდება ირაციონალური.

მას შეუძლია უაზროდ ბევრი ფული დახარჯოს, ხშირად უჩინდება უგუნური იდეები, აქტიურობა იმდენად ამაღლებულია, რომ არაფერი არ მიჰყავს ბოლომდე. ადამიანი ისეა აგზნებული, რომ შეუძლია რამდენიმე დღე-ღამე არ დაიძინოს.

მანიაკალურ მდგომარეობას ყოველთვის აქვს მეორე მხარეც. დეპრესია არასოდეს არ იცვლება მანიაკალური მდგომარეობით, მაგრამ შემთხვევები, როცა მანია არ გადადის დეპრესიულობაში, ძალზე იშვიათია. მანიაკალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები თითქმის ყოველთვის გადაიან დეპრესიის პერიოდებს. მათი დაავადება ატარებს ბიპოლარული აფექტური აშლილობის სახელწოდებას, რამეთუ მათი გუნება-განწყობილება გადაერთვება მანიაკალური „პოლუსიდან“ დეპრესიის „პოლუსზე“. მაგრამ ამ აშლილობასაც აქვს დადებითი მხარე – ამ ნერვული აშლილობის მქონე ადამიანები, როგორც წესი, ფლობენ დიდ შემოქმედებით უნარ-შესაძლებლობებს.

➤ ნარკომანია და ალკოჰოლიზმი

სოციალური პირობების გამოკვლევისას, შეიძლება ბევრი რამ გავიგოთ იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ იყენებს ნარკოტიკებს. ისტორიული ცვლილებები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ნარკოტიკებისადმი ადამიანებში აღმოცენებულ მიდრეკილების ხასიათსა და მათი მოხმარების შედეგებზე. დაახლოებით 200 წლის წინ ადამიანებმა ისწავლეს მცენარეული ნედლეულიდან სუფთა ქიმიური ნივთიერებების მიღება, რამაც განაპირობა ძლიერი და საშიში ნარკოტიკების შექმნა. მე-19 ს-ის შუა ხანებში კანქვეშა ინექციებისათვის ნემსის გამოგონებამ ნარკომანებს საშუალება მისცათ, მოეტყუებინათ ორგანიზმის ბუნებრივი ბიოლოგიური დაცვითი მექანიზმები: მათ დაიწყეს ნარკოტიკების შეყვანა კანქვეშ. ამით მათ გვერდი აუარეს საჭმლის მომნელებელ ტრაქტს, სადაც ნარკოტიკი შეიწოვებოდა ძალზე ნელა, ხოლო მათი მწარე გემო იწვევდა უსიამოვნო შეგრძნებებს. მე-20 საუკუნეში, მრავალრიცხოვანი სინთეტიკური ნარკოტიკების შექმნით, ნარკომანების შესაძლებლობები შესამჩნევლად გაფართოვდა, ხოლო მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კულტურული გარემოს ზემოქმედება ნარკოტიკული დამოკიდებულების ხასიათზე ამით არ შემოიფარგლება. არანაკლებ მნიშ-

ენელოვან სტიმულს სხვა ნარკომანების მხრიდან დაშფეფთა წახალისება წარმოადგენს. თუკი ნარკოტიკული ნივთიერება ჩნდება იმ კულტურულ გარემოში, რომელსაც არ გააჩნია მისი მოხმარების ტრადიცია და არ არის მზად ადამიანებზე მისი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული სიტუაციებისათვის, მაშინ ნარკოტიკებზე დამოკიდებულება შეიძლება იქცეს მასიურ ეპიდემიად. მსგავსი რამ დაემართათ მაგალითად, ამერიკელი ინდიელების ტომებს, როდესაც მათ პირველად გასინჯეს ალკოჰოლი.

ალკოჰოლი და ნარკოტიკები იწვევენ თავის ტვინისა და სხვა ორგანოების დაზიანებას, რაც შემდგომში იწვევს სიკვდილს. ისევე, როგორც ალკოჰოლიკებს, ნარკომანებსაც აქვთ დაბალი თვითშეფასება და არ არიან საკუთარ თავში დაჯერებულნი, ყოველთვის ღელავენ შესაძლო მარცხზე, ავადმყოფურად რეაგირებენ კრიტიკაზე და საჭიროებენ მუდმივ წახალისებასა და შექებას. ხშირად ისინი ალკოჰოლს იღებენ შოთისა და შიშის დასაძლევად.

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან ალკოჰოლიკები, დეპრესიულობის დაქვეითების მიზნით, ჩვეულებრივ, ერთი ან ორი ულუფა სპირტიანი სასმელი ესაჭიროება. თუმცა მესამე ჭიქის შემდეგ დეპრესია ისევ ძლიერდება. ალკოჰოლიკი თუ აგრძელებს სმას, მისი დეპრესიულობა მატულობს. იმედოვნებენ რა, რომ დეპრესია მთლიანად გაივლის, ისინი შთანთქავენ ალკოჰოლის სულ უფრო დიდ რაოდენობას, თუმცა ამის გამო მათი დეპრესიულობა უფრო ღრმავდება.

ალკოჰოლიკები სვამენ სრულ დათრობამდე (გათიშვამდე) მათი მეტყველება ხდება გაუგებარი, ირღვევა მოძრაობების კოორდინაცია, მიმდინარეობს შესამჩნევი ცვლილებები ქცევისა და ხასიათში. ალკოჰოლიკები ხშირად მიდიან სამსახურში მთვრალეები, ზოგჯერ კი იქაც აგრძელებენ სმას. ისინი უარყოფენ თავიანთ დამოკიდებულებას ალკოჰოლზე. „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციათა“ ცნობარში ასეთი უარყოფა მოყვანილია როგორც ალკოჰოლიზმის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი. რამდენადაც ალკოჰოლიკები უარყოფენ თავიანთი პრობლემების არსებობას, ისინი ხშირად უსხდებიან საჭეს მთვრალ მდგომარეობაში, რაც იწვევს უბედურ შემთხვევებს, ტრაემებსა და სიკვდილს. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში არიან ალკოჰოლიკების ოჯახის წევრებიც. მშობლები განიცდიან დანაშაულის გრძობას, რომ ვერ შეძლეს თავიანთი შვილების დახსნა ამ საშინელებიდან. ალკოჰოლიკები, ხშირად,

არ ერიდებიან თავიანთი ახლობლებისადმი შეურაცხყოფის მიყენებასა და ფიზიკურ ძალადობას, რაც მათ პიროვნულ მდგომარეობაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ალკოპოლიზმისა და ნარკომანიისადმი მიდრეკილება ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობა ასრულებს ნარკომანიისა და ალკოპოლიზმისადმი წინასწარგანწყობის შემქმნელი ფაქტორის როლს, კულტურულმა და სოციალურმა ფაქტორებმა, შესაძლოა მნიშვნელოვნად გააძლიეროს მსგავსი მიდრეკილებები.

ზოგადად, ტექნიკურმა პროგრესმა მეცნიერებს საშუალება მისცა გაეგოთ ბევრი ახალი რამ ალკოპოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ადამიანის ტვინზე ზემოქმედების შესახებ.

იმ დროს როცა ალკოპოლი აძლიერებს დეპრესიას, კანონით აკრძალული მრავალი ნარკოტიკული ნივთიერება ხელს უწყობს შფოთვისა და დეპრესიის უეცარ გაქრობას, მაგრამ ნათელია, რომ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა რადგან ნარკომანები უფრო მეტად ხდებიან მათზე დამოკიდებულნი, ხოლო ის პრობლემები, რის გამოც მათ დაიწყეს ნარკოტიკების მოხმარება, უცვლელი რჩება და ხშირად მატულობს კიდევ. ნარკოტიკები, ჩვეულებრივ, გაცილებით ძვირია სპირტიან სასმელებთან შედარებით. გამომდინარე აქედან, ნარკოტიკების აქტიური მომხმარებლები იძულებულნი ხდებიან ნებისმიერი გზით იშოვონ ფული. ძალიან ხშირად ასეთი გზა ქურდობა და პროსტიტუციაა. ნარკომანები იყენებენ ნებისმიერ მეთოდს და არა აქვს მნიშვნელობა, კანონიერი იქნება ის თუ უკანონო, მთავარია შეინარჩუნონ ამაღლებული განწყობილება.

➤ თვითმკვლელობა

ალკოპოლიზმი ხშირად იწვევს თვითმკვლელობას. ამერიკელმა მკვლევარებმა გამოავლინეს, რომ ალკოპოლიკებთან თვითმკვლელობის ალბათობა ხუთჯერ მეტია საშუალო დონესთან შედარებით. ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ასაკი, სქესი, რასა, თვითმკვლელობის მცდელობა, დეპრესიის დონე და ფსიქიატრიული დარღვევები, არ იყო კავშირში ჩადენილ თვითმკვლელობათა რიცხობრიობასთან. ერთადერთ ფსიქიატრიულ დიაგნოზს, რომლის დროსაც თვითმკვლელობები იზრდებოდა, წარმოადგენდა ალკოპო-

ლიზმი. უმუშევრობა თავისთავად არ აღიღებს თვითმკვლელობის ჩადენის რისკს, მაგრამ ის მჭიდრო კავშირშია ალკოჰოლიზმთან.

თვითმკვლელობას ხშირად სწადიან მარტოხელები(რაც არ უნდა იყოს მარტოობის მიზეზი – სიბერე, განქორწინება თუ ოჯახის დაკარგვა). ადამიანებს, რომლებიც თვითმკვლეობამდე მიდიან, ხშირად არ ჰყავთ მეგობრები. თვითმკვლელობის დონე ყველაზე მაღალია ხანდაზმულებში, თუმცაღა, საკმაოდ იზრდება ახალგაზრდებს შორისაც. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში თვითმკვლელობა თავისი სიხშირით 15-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს შორის სიკვდილიანობის მეორე მიზეზს წარმოადგენს. (პირველ ადგილზეა უბედური შემთხვევა). ფსიქოლოგების აზრით, თვითმკვლელობის ნებისმიერი მუქარა უნდა სერიოზულად აღვიქვათ. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მეგობარი ან თანამშრომელი ხშირად ახსენებს თვითმკვლელობას. ჩვეულებრივ ამის უკან იმალება დახმარების სურვილი. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ ისაა, რომ ეს ადამიანი წავიყვანოთ ფსიქოლოგთან, ფსიქოთერაპევტთან ან ფსიქიატრთან. თუკი ის უარს ამბობს სპეციალისტთან წასვლაზე, მაშინ უნდა დავეხმაროთ გამოავლინოს საკუთარი გრძნობები, ჩვენ კი უნდა გამოვხატოთ მისდამი გულწრფელი თანაგრძნობა და ზრუნვა. შეგვიძლია შევთავაზოთ მას პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტი. გონივრულია გამოვარკვიოთ, აქვს თუ არა მას თვითმკვლელობის ჩადენის კონკრეტული გეგმა. თუ ასეთი გეგმა არსებობს, მაშინ სიტუაცია უფრო სახიფათოა. ადამიანი, რომელიც თვითმკვლელობაზე ფიქრობს, აუცილებელია, დავარწმუნოთ საკუთარ პიროვნულ ღირსებებში და იმაშიც, რომ ის საჭიროა გარშემომყოფებისთვის.

ტესტი:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან რომელი იწვევს აზნებობას?
 - ა. ტრავმირებადი მოვლენა;
 - ბ. ალკოჰოლიზმი;
 - გ. თავის ქალის ტრავმა;
 - დ. ავითამინოზი.

2. ამნეზიით შეპყრობილ რომელ პიროვნებას აღუდგება მეხსიერება უფრო სწრაფად?
 - ა. ნარკომანს;
 - ბ. ადამიანს, რომელმაც გადაიტანა თავის ტვინის ტრავმა;
 - გ. საავიაციო კატასტროფის მსხვერპლს;
 - დ. ფიზიკურად ძლიერ გამოფიტულ პიროვნებას.

3. სეზონური აფექტური დარღვევების მქონე ადამიანები წლის რომელ დროს განიცდიან ყველაზე მეტად დეპრესიას?
 - ა. ზამთარში;
 - ბ. გაზაფხულზე;
 - გ. ზაფხულში;
 - დ. შემოდგომაზე.

4. რა სდევს თან მანიაკალურ მდგომარეობას?
 - ა. პიროვნების გაორება;
 - ბ. ამნეზია;
 - გ. ალკოჰოლიზმი;
 - დ. დეპრესია.

5. ქვემოთ ჩამოთვლილი პირებიდან ვინ გახდება დამნაშავე?
 - ა. ადამიანი, რომელსაც აწუხებს დანაშაულის გრძობა;
 - ბ. ალკოჰოლიკი;
 - გ. დეპრესიაში მყოფი ადამიანი;
 - დ. ნარკომანი.

6. ქვემოთ ჩამოთვლილი პირებიდან ვინ მეტად ჩაიდენს თვითმკვლელობას?
 - ა. ადამიანი, რომელსაც აწუხებს პიროვნების გაორება;
 - ბ. ადამიანი, რომელსაც აწუხებს ბიპოლარული აშლილობა;
 - გ. ამნეზიით შეპყრობილი ადამიანი;
 - დ. ალკოჰოლიკი.

7. რომელ შემთხვევაში უნდა მივიღოთ სერიოზულად თვითმკვლელობის ჩადენის მუქარა?
 - ა. როცა ამას ამბობს ხანდაზმული ადამიანი;
 - ბ. როცა ამას ამბობს პიროვნება 15-დან 24 წლამდე;
 - გ. როცა არსებობს თვითმკვლელობის კონკრეტული გეგმა;
 - დ. ყოველთვის.

პიროვნების დარღვევა

პიროვნების დარღვევა არის ადამიანში ხასიათის ან ჩვევების ისეთი, საკმაოდ მდგრადი, ნიშან-თვისებების გარკვეული რაოდენობით არსებობა, რომლებიც ხელს უშლიან მას სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. ამ უარყოფითი ნიშნების უმრავლესობა ჩნდება ადრეულ ასაკში და დროთა განმავლობაში ღრმავდება. პიროვნული დარღვევების მქონე ადამიანები არ აღიარებენ თავიანთ პრობლემებს, თვლიან რა საკუთარ ქცევას ბუნებრივად და ნორმალურად. პიროვნული დარღვევების მრავალრიცხოვანი სახეობებიდან ჩვენ განვიხილავთ დისოციალურ და მოსაზღვრე დარღვევებს.

პიროვნების დისოციალური დარღვევა

დისოციალური პიროვნული დარღვევის მქონე ადამიანებში, თითქოსდა, არ არსებობს სინდისი და მორალური პრინციპები. როდესაც ისინი სხვებს შეურაცხყოფას აყენებენ ან კანონებს არღვევენ, არ გრძნობენ თავს დამნაშავედ. მათი უმრავლესობა სასიამოვნო გარეგნობის და საშუალოზე მაღალი ინტელექტის მქონე მამაკაცები არიან. ისინი მანიპულირებენ გარშემომყოფებით და გამოხატავენ გულწრფელ სინანულს, თუ დაიჭირეს ტყუილზე ან წაასწრეს დანაშაულზე. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ კომუნიკაბელურია და მომხიბვლელი. მეცნიერებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ დისოციალური პიროვნული დარღვევის დიაგნოსტიკა შესაძლებელია იმ მრავალ ახალგაზრდა მამაკაცში, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი.

❖ პიროვნების მოსაზღვრე დარღვევა

მოსაზღვრე პიროვნული დარღვევის მქონე ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარ თავში გარკვევა. მათ არამყარი ხასიათი აქვთ და მოქმედებენ პირველივე იმპულსით. მათი ქცევა არაპროგნოზირებადია, ისინი ხშირად განიცდიან მოწყენილობას და შინაგან სიცარიელეს. არსებობს მოსაზრება, რომ ადოლფ ჰიტლერსა და მერლინ მონროს აწუხებდათ ისეთი პიროვნული აშლილობა, რომლის გამოცნობა ყოველთვის არ არის ადვილი. თავისი გამოხატულებით იგი ხშირად დეპრესიას მოგვაგონებს და ზოგჯერ იწვევს ქცევის ისეთ თვითგამანადგურებელ ფორმებს, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, აზარტული თამაშები, სექსუალური აღვირაზნებლობა და თვით-

მკვლევლობაც კი. ასეთი აშლილობის პაციენტების დაახლოებით 2/3 აშშ-ში ქალბატონები არიან, ხოლო მისი აღმოცენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აღმოჩნდა ინცესტი. პიროვნების მოსაზღვრე დარღვევის მქონე ქალებში, ჩვეულებრივ ქალებთან შედარებით, მეტია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა რიცხვიც.

ამ გადახრის სიმპტომები არ ქრება მრავალი წლის განმავლობაში, თუმცაღა, ადამიანთა უმეტესობა 30 წლის ასაკის შემდგომ, როგორც წესი, იმარჯვებს და ტოვებს ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი სწრაფვას, ხოლო მათი ხასიათი სტაბილიზირებისკენ მიდის. დღემდე აშშ-ში მოსაზღვრე პიროვნული დარღვევის მქონე ადამიანები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ალკოჰოლიკები არიან და განიცდიან დეპრესიას, ფლობენ თვითმკვლელობის ჩადენის დიდ რისკს – ასეთ ხალხში თვითმკვლელობის დონე 37%-ს აღწევს.

• საეარჯიშო

გთხოვთ, მიუთითოთ, რომელი პიროვნული დარღვევა შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილ ქცევებს:

- ეს ადამიანი საერთოდ არ ფიქრობს გარშემომყოფ ხალხზე და ძალიან ადვილად არღვევს კანონს;
- ეს ადამიანი მუდმივად განიცდის მოწყენილობას და შინაგან სიცარიელეს;
- ამ ადამიანს არამდგრადი, ცვალებადი ხასიათი აქვს. მისი ქცევების წინასწარმეტყველება შეუძლებელია;
- ეს ადამიანი თავს მოგაჩვენებთ, თითქოსდა, ინანიებს ჩადენილ დანაშაულს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოახდინოს გარშემომყოფი ხალხის მანიპულირება.

➤ შიზოფრენია

შიზოფრენია სიტყვასიტყვით ნიშნავს გათიშულ გონებას. მაგრამ არ შეიძლება შიზოფრენიის არევა პიროვნების გაორებასთან. შიზოფრენიკების უმეტესობაში ეს დარღვევა არ შეიძინევა. შიზოფრენიის დროს ცნობიერება „წყდება“ რეალობას და ხდება ფრაგმენტული. შიზოფრენიკებში დაავადების სიმპტომებია: გონებრივი საქმიანობის მოშლილობა, დელუზიები და პალუცინაციები.

გონებრივი საქმიანობის მოშლილობა გამოიხატება იმაში, რომ ავადმყოფი იგონებს უცნაურ, არაადეკვატურ ასოციაციებს და „იბლანდება“ აზრებში. ამის შედეგად შიზოფრენიკის მეტყველება იმდენად გაუგებარი ხდება, რომ მას უწოდეს „სიტყვიერი სალა-თი“. ამ „სალათში“ გამოტოვებულია ზოგიერთი სიტყვა, ხშირად არ არსებობს დამთავრებული წინადადებაც. ასეთ მეტყველებას ზოგჯერ თან სდევს უცნაური ქცევაც. შიზოფრენიკს შეუძლია ხითხითი დაიწყოს სამწუხარო მოვლენასთან დაკავშირებით ან „გაცოფდეს“ სასიხარულო ამბის გაგებაზე. ზოგიერთი კი საერთოდ არ გამოხატავს რაიმე ემოციას.

დელუზიების მქონე შიზოფრენიკი წარმოიდგენს იმას, რაც არ შეესატყვისება სინამდვილეს. მიუხედავად მისი არარეალური იდეების დასაბუთებისა, იგი აგრძელებს ფანტაზირობას. მაგალითად, ქალბატონს სჯერა, თითქოსდა, ის მერილინ მონროს ქალიშვილია. მიუხედავად მრავალი საპირისპირო არგუმენტისა, ის კვლავ აგრძელებს საკუთარი დელუზიის დაცვას.

იმ შიზოფრენიკებს, რომლებიც შეპყრობილნი არიან ჰალუცინაციებით, ესმით წარმოსახული ხმები და ხედავენ სინამდვილეში არარსებულ ხატებს. ჰალუცინაციებისას ადამიანს სჯერა, რომ ხედავს რეალურ სურათს და ესმის ნამდვილი ბგერები (ხმები). მას შეუძლია საუბრის გაბმა წარმოსახულ მოსაუბრესთან. ძალიან ხშირად შიზოფრენიკის განცდებში წარმოსახული ხმები და ხილვები ასრულებენ ძირითად როლს.

შიზოფრენიის პირველი სიმპტომები, ჩვეულებრივ, ვლინდება ჭაბუკობის ან ახალგაზრდობის წლებში. როგორც წესი, სიმპტომები თანდათანობით ღრმავდება შიზოფრენიის გამძაფრებასთან ერთად, მაგრამ ზოგჯერ ისინი მოულოდნელად გამოვლინდებიან და დროთა განმავლობაში ქრებიან. დაავადების სერიოზულობა, მისი სიმპტომები და გამწვავების ხანგრძლივობა სრულიად განსხვავებულია.

არსებობს იმის დამადასტურებელი მონაცემები, რომ შიზოფრენია გადაეცემა მემკვიდრეობით. მეცნიერებმა, აღმოაჩინეს, რომ შიზოფრენიის გამწვავება შეიძლება გამოწვეულ იქნას სტრესის შედეგად. ამას გარდა, შიზოფრენია, შესაძლებელია, აღმოცენდეს გენეტიკური მემკვიდრეობისა და სტრესის ერთობლივი ზემოქმედებით და წარმოადგენს არა დამოუკიდებელ დაავადებას, არამედ რამდენიმე ავადმყოფობის შერწყმას.

უკანასკნელი ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ შიზოფრენიის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ე.წ. „პარადოქსალური კომუნიკაცია“ ბავშვობის ასაკში. მაგალითად, დედა ვაჟისთვის ყიდულობს ორ მაისურს – წითელს და ლურჯს და სთხოვს, მეორე დღეს სკოლაში ჩაიცვას ერთ-ერთი. შვილი ირჩევს ლურჯ მაისურს. დედა ღიზიანდება და გაბრაზებით ამბობს „ალბათ წითელი არ მოგეწონა“. ბავშვი ვარდება გაურკვეველ მდგომარეობაში, რასაც თან სდევს დაურწმუნებლობა. ფსიქოლოგების აზრით, თუკი ასეთი სტრესები ბავშვობის ასაკში ხშირად მეორდება, შიზოფრენიით დაავადების ალბათობაც იზრდება.

➤ ორგანული ფსიქიკური დარღვევები

მსგავსი დარღვევები აღმოცენდება თავის ტვინის დაზიანების ან ინსულტის მიზეზით. ზოგჯერ დაავადება ატარებს დროებით ხასიათს, როგორც მაგალითად ავითამინოზის შემთხვევაში. ნიაცინის (ვიტამინი PP) უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს პელაგრე, რომელსაც თან სდევს ბოდვა და ჰალუცინაციები. სწორი დიეტის შემდგომ მდგომარეობა კვლავ ნორმალურს უბრუნდება. თავის ტვინის დაზიანების სხვა მიზეზს წარმოადგენს სიფილისი, რაც ასევე განკურნებადია.

ხშირად ორგანული ფსიქიკური დარღვევები მყარია და იმდენად ღრმავდება, რომ იწვევს ავადმყოფის სიკვდილს. ამის მაგალითსაც წარმოადგენს ალცჰეიმერის დაავადება, რომელიც, დროთა განმავლობაში, იწვევს მენსიერების, გონებრივი და მამოძრავებელი უნარების დაკარგვას. სიბერით გამოწვეული ჭკუასუსტობის შემთხვევების დიდი ნაწილი, სწორედ რომ, ალცჰეიმერის დაავადებას უკავშირდება. სამწუხაროდ, ამ ავადმყოფობის დიაგნოსტიკა ძნელია და, ჩვეულებრივ, დიაგნოზს ყველა სხვა დანარჩენი დარღვევის შესაძლებლობის გამორიცხვის გზით სეაქმენ. მაგრამ ზუსტად დასმული დიაგნოზის შემთხვევაშიც კი, ალცჰეიმერის დაავადების მკურნალობის ეფექტური მეთოდები ჯერ არ არის შემუშავებული. გამოკვლევების შედეგებმა საშუალება მისცა მეცნიერებს, ევარაუდათ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ეს დაავადება შეიძლება გამოიწვიოს ვირუსულმა ინფექციამ. ალცჰეიმერის დაავადების აღმოცენების ზუსტი მიზეზი, მიუხედავად იმ დიდი კვლევითი მუშაობისა, რომელიც ამ მიმართულებით ტარდება, კვლავ ამოუცნობი რჩება.

ტესტი:

მოძებნეთ და შემოხაზეთ ერთადერთი სწორი პასუხი ყოველ კითხვაზე.

1. გ-ს აქვს პიროვნული აშლილობა. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი უფრო შეესაბამება ჭეშმარიტებას?
 - ა. იგი შეწუხებულია თავისი პრობლემით და ეძებს, ვის მიმართოს დახმარებისათვის;
 - ბ. იგი არ აღიარებს, რომ პრობლემა აქვს;
 - გ. მასთან პრობლემა აღმოცენდა უეცრად და ალბათ, გადაიჭრება რამდენიმე დღეში;
 - დ. მას აწუხებს პიროვნების გაორება.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი კანონდამრღვევებიდან ვინ არ იგრძნობს თავს დამნაშავედ?
 - ა. პირი, რომელსაც აწუხებს პიროვნების დისოციალური დარღვევა;
 - ბ. პირი, რომელსაც აწუხებს პიროვნების მოსაზღვრე აშლილობა;
 - გ. პირი, რომელიც დაავადებულია შიზოფრენიით;
 - დ. პირი, რომელსაც აქვს ალცჰეიმერის დაავადება.
3. ნ.-ს აქვს პიროვნების მოსაზღვრე აშლილობა. რომელ ასაკში მოხდება მისი მდგომარეობის გაუმჯობესება?
 - ა. 16 წლის;
 - ბ. 25 წლის;
 - გ. 35 წლის;
 - დ. 65 წლის.
4. რა „იხლიჩება“ შიზოფრენიისას?
 - ა. პიროვნება;
 - ბ. ტვინი;
 - გ. ცნობიერება და რეალობა;
 - დ. მეხსიერება და მამოძრავებელი უნარები.

5. ქალბატონი საუბრობს უცხოპლანეტელთან და მის “რჩევა-დარიგებას” ითვალისწინებს. რა სჭირს მას?

- ა. დელუზიები;
- ბ. ჰალუცინაციები;
- გ. პიროვნული დარღვევა;
- დ. „სიტყვიერი სალათი“.

6. ქვემოთ ჩამოთვლილი ტვინის ორგანული დაავადების მქონე ავადმყოფებიდან რომელს აქვს გამოჯანმრთელების ყველაზე მცირე ალბათობა?

- ა. ქალს, რომელსაც აქვს ავიტამინოზი;
- ბ. მამაკაცს, რომელსაც აწუხებს პელაგრე;
- გ. მამაკაცს, რომელსაც აწუხებს ადრეული სტადიის სიფილისი;
- დ. ქალს, რომელიც შეპყრობილია ალცჰეიმერის დაავადებით.

➤ საკითხები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

- ჩამოთვალეთ ანომალური ქცევის სამი კრიტერიუმი;
- დაასახელეთ მშფოთვარე დარღვევების ოთხი ტიპი;
- განსაზღვრეთ ფობია და ჩამოთვალეთ მათგან ყველაზე გავრცელებული ფორმები;
- აღწერეთ ანორექსიისა და ბულიმიის სიმპტომები;
- მიუთითეთ ობსესიურ – კომპულსიური დარღვევების სიმპტომები და ახსენით, რა განსხვავებაა ობსესიებსა და კომპულსიებს შორის;
- აღწერეთ იპოქონდრიისა და კონვერსიული აშლილობის სიმპტომები;
- აღწერეთ, რაში მდგომარეობს მსგავსება და განსხვავება პიროვნების გაორებასა და ამნეზიას შორის;
- ჩამოთვალეთ დეპრესიისა და ბიპოლარული დარღვევის სიმპტომები;
- აღწერეთ ალკოპოლიკებისა და ნარკომანების ქცევის მახასიათებელი ნიშნები;
- ახსენით, როგორ დაეხმარებით ადამიანს, რომელიც თვითმკვლელობით იმუქრება;
- დაახასიათეთ შიზოფრენიის შესაძლო მიზეზი და სიმპტომები;
- განსხვავეთ ერთმანეთისგან შიზოფრენია და პიროვნების გაორება.

დამხმარე სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

1. *ავტორიტარული ლიდერი* – ლიდერი, რომელიც ერთპიროვნულად მართავს ჯგუფს და თავად იღებს მთელ პასუხისმგებლობას.
2. *ავორაფობია* – ღია სიერცის შიში, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფობიას ჩვეულებრივი თანამდევი პანიკური შეტევებით.
3. *ავრესია* – ქცევა, რომელიც მორალურ ან ფიზიკურ ზიანს აყენებს გარშემომყოფ ადამიანებს.
4. *ავტრუიზმი* – ასლობლებსა და მეგობრებზე უანგარო ზრუნვა და მათი ინტერესების გამო პირადულის უკანა პლანზე გადაწევა.
5. *აზნეზია* – მეხსიერების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა.
6. *ანორექსია* – ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკვებზე უარის თქმა, რომელსაც თან სდევს წონაში ძლიერი დაკლება.
7. *ასერტიულობა* – ადამიანის უნარი, დაიცვას საკუთარი და, ამავე დროს, გაითვალისწინოს სხვა ადამიანთა უფლებებიც.
8. *არაცნობიერი* – გრძობებისა და მოთხოვნილებების კომპლექსი, რომლებიც ადამიანის ქცევაზე გაუცნობიერებლად ახდენენ ზეგავლენას.
9. *ავტოკეიშერის დაჯადება* – ტვინის ორგანული დაზიანება, რომლის შედეგადაც ხდება მეხსიერების თანდათანობითი დაკარგვა, გონებრივი საქმიანობის ყველა სახეობის, ყურადღების, აღქმის, აზროვნების დარღვევა.
10. *ავტა* – ცნობიერებაში გარესამყაროს საგნების, სიტუაციებისა და მოვლენების ასახვა.
11. *ავილაციის მოთხოვნილება* – სხვა ადამიანებთან გაერთიანების მისწრაფება, ჯგუფისადმი „მიკუთვნებულობის“ სურვილი.
12. *ბიპევიორიზმი* – ფსიქოლოგიის მიმართულება, რომლის მიხედვითაც, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს მხოლოდ ადამიანის

- ქცევა. ბიპვეიორიზმის ძირითად სქემას წარმოადგენს პრინციპი „სტიმული-რეაქცია“ (S - R).
13. *ბულიზია* – საკვების უკონტროლოდ შთანთქვა შემდგომი პირ-ღებინების ან სასაქმებელი საშუალების მიღებით.
 14. „*ბრენსთორმინგი*“ (*ტვინზე შეტევა*) – ახალი შემოქმედებითი იდეების გენერაციის მეთოდი სხვათა მხრიდან ყოველგვარი კრიტიკის შიშის გარეშე.
 15. *განდევნა* – დაეწყება, გამოწვეული მუქარის შემცველი ან შიშის გამოწვევი აზრების ან მოვლენების არაცნობიერი ბლოკირებით.
 16. *გულწრფელობა* – ნამდვილი გრძნობების, სიმართლის, გულახდილობის გამოხატვა.
 17. *დელუზია* – წარმოსახული იდეა, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ჯიუტად შენარჩუნდება ადამიანში.
 18. *დემოკრატიული ლიდერი* – ლიდერი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას ახორციელებს ჯგუფის წევრებთან ერთად.
 19. *დეპრესია* – დათრგუნული, ნაღვლიანი განწყობილება, რომელსაც თან სდევს საკუთარი არასრულფასოვნების განცდა და პესიმიზმი.
 20. *დესენსიბილიზაცია* – შიშების მოხსნის თერაპიული მეთოდი.
 21. *დისკრიმინაცია* – გაუმართლებელი ნეგატიური ქცევა ჯგუფის ან მისი წევრების მიმართ.
 22. *დისლექსია* – აღქმის დარღვევა, გამოვლენილი კითხვის, წერის და მეტყველების გაგების უნარის დარღვევაში.
 23. *დისონანსი* – დისკომფორტის შეგრძნება, აღმოცენებული საკუთარი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, მოქმედების აუცილებლობიდან გამომდინარე.
 24. *დისფუნქციონალური ოჯახი* – ოჯახი, სადაც დარღვეულია ქცევის ჩვეულებრივი სტანდარტები იმ სტრესული მდგომარეობის გამო, რომელიც გამოწვეულია ოჯახის ერთ-ერთი წევრის ანომალიური ქმედებებით.

25. **დაკვირვება** – ფსიქიკური მოვლენების მიზანმიმართული ასახვა. დაკვირვების მეთოდი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია ფსიქოლოგის მუშაობაში.
26. **დინდივიდუალური ზაცვა** – გამოიხატება თვითშემეცნების დაკარგვასა და თვითშეფასებისადმი შიშში. აღმოცენდება ჯგუფურ სიტუაციებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდის ანონიმურობასა და განაპირობებენ ყურადღების კონცენტრირებას არა ცალკეულ პიროვნებებზე, არამედ ჯგუფურ ქმედებებზე.
27. **ეიჯიზმი** – ხანშიშესული ადამიანებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება.
28. **ეკლეკტიზმი** – მიმართულება, რომლის თანახმადაც ფსიქოლოგი თვითონ ირჩევს თუ რომელი მიდგომა გამოიყენოს კონკრეტულ სიტუაციაში.
29. **ექსპერიმენტი** – ქცევის მოტივების შემოწმებისა და კვლევის მეთოდი. დაკვირვებისგან განსხვავდება იმით, რომ მკვლევარს შეუძლია აქტიურად ჩაერიოს სიტუაციაში.
30. **ემპტიკი** – პირღებინების გამომწვევი ნივთიერება.
31. **ემოცია** – მოცემულ მომენტში ადამიანის მიერ ვინმეს ან რაიმეს მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
32. **ემპათია** – სხვა ადამიანის გრძობების განცდა, მის ადგილას საკუთარი თავის დაყენების მცდელობა(თანაგანცდა, თანაგრძობა).
33. **ეთნოცენტრიზმი** – საკუთარი ეთნიკური და კულტურული ჯგუფის უპირატესობაში დარწმუნებულობა.
34. **თვითაქტუალური ზაცვა** – ადამიანის უმაღლესი მოთხოვნილება, რომელიც გამოიხატება საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზაციაში.
35. **თვითშეფასება** – პიროვნების მიერ საკუთარი თვისებების და ნიჭ-უნარების შეფასება.
36. **იდეალური „მე“** – ადამიანის მიერ თავის იმგვარად წარმოდგენა, როგორც მას უნდა რომ იყოს

37. **ილუზია** – აღქმული საგნისა და მისი თვისებების არაადეკვატური ასახვა.
38. **ინტელექტი** – დასწავლის, ადაპტაციისა და აზროვნების უნარი ანუ ზოგადი გონიერება.
39. **იპოზონდრია** – საკუთარი ჯანმრთელობისადმი გამახვილებული ყურადღების მიქცევა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გაზვიადება.
40. **ირაციონალური აზროვნება** – აზროვნება, რომელიც ეყრდნობა არა ლოგიკას, არამედ ემოციებს.
41. **ინდივიდუალიზმი** – კონცეპცია, რომელიც პრიორიტეტს ჯგუფურ მიზნებთან შედარებით პიროვნულ მიზნებს ანიჭებს.
42. **ინტროვერსია** – ადამიანის ორიენტაცია საკუთარ შინაგან სამყაროზე, საკუთარ განცდებზე.
43. **ინტელექტის კოეფიციენტი (IQ)** – ინტელექტის დონის რიცხობრივი მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება ინტელექტის ტესტების დახმარებით.
44. **კატასტროფიზაცია** – შესაძლო გართულებების გაზვიადების ტენდენცია.
45. **კოგნიტური ფსიქოლოგია** – ფსიქოლოგიის მიმდინარეობა, რომელიც შეისწავლის შემეცნების პროცესებს.
46. **კომუნიკაციური ქსელი** – ურთიერთობა, სადაც ჩართულია ორზე მეტი ადამიანი.
47. **კოგნიცია** – ნებისმიერი ცოდნა, შეხედულება ან აზრი, რომელიც ეხება გარემოს, საკუთარ მე-ს ან ქცევას.
48. **კომპულსიები** – ადამიანის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, გაუცნობიერებლად აღმოცენებული და ჯიუტად აკვიატებული მოქმედებები და მოძრაობები.
49. **კონოტაცია** – გრძნობები, ემოციები და ასოციაციები, გამოწვეული ამა თუ იმ სიტყვით.

50. *კონფორმიზმი* – ჯგუფური ნორმებისა და ღირებულებების მიღება და მათი შესაბამისი ქცევის განხორციელება (ანუ ქცევის ან თვალსაზრისის შეცვლა ჯგუფის რეალური ან წარმოსახვითი ზეწოლის შედეგად).
51. *კრეატულობა* – საგნების ახლებურად დანახვისა და პრობლემების უჩვეულო სტილით გადაჭრის უნარი.
52. *კულტურა* – ნორმები, შეხედულებები, ღირებულებები (ფასეულობები) და ცხოვრების წესი, რომლებიც არსებითია ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის და რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.
53. *ლიდერი* – ადამიანი, რომელიც დგას ჯგუფის სათავეში, განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებას და ზეგავლენას ახდენს ჯგუფის წევრების ქცევაზე.
54. *მოტივაცია* – მოთხოვნილებები და სტიმულები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მიერ არჩეულ ქცევის ფორმებს.
55. „*მე*“-ს *კონცეპტია* – ადამიანის მიერ საკუთარ თავზე შექმნილ შეხედულებათა ერთობლიობა, სისტემა.
56. *ობსესიები* – აკვიატებული და ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ აღმოცენებული აზრები, მოგონებები, ეჭვები, შიშები, ლტოლვები.
57. *პიროვნების დისოციალური დარღვევა* – პიროვნების მიერ კანონების დარღვევა და სხვისთვის ზაინის მიყენება ყოველგვარი დანაშაულის გრძნობის განცდის გარეშე.
58. *პოსტტრავმატული სტრესული დარღვევა* – დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანი იძულებულია ხელახლა განიცადოს ოდესღაც გადატანილი ტრამეული მოვლენა.
59. *პიროვნების პროფესიული დეფორმაცია* – პიროვნების პროფესიული თავისებურებების ჰიპერტროფიული განვითარება.
60. *პროპაგანდა* – იდეების, სწავლების, ცოდნის გავრცელება ფართო მასებზე ზემოქმედების მიზნით.

61. *პიროვნების გაორება* – პიროვნების მიერ საკუთარი თავის, როგორც ერთიანი მთლიანის, გაცნობიერების დარღვევა, შინაგანი გახლეჩვის განცდა.
62. *რევრესია* – ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი გამოხატული ქცევისა და აზროვნების შედარებით ადრეულ ფორმებთან დაბრუნებაში.
63. *რეფლექსი* – ადამიანის ბუნებრივი რეაქცია, რომელიც არ საჭიროებს დასწავლას და რეგულარულად აღმოცენდება განსაზღვრული გამღიზიანებლის ზემოქმედების საპასუხოდ.
64. *საქმიანი ლიდერი* – ლიდერი, რომელიც ჯგუფს მიზნის მიღწევისკენ უბიძგებს.
65. *სექსიზმი* – შეხედულება, სადაც ქალი განიხილება როგორც „დაბალი“ არსება.
66. *სოციალური პარაზიტიზმი* – ინდივიდის ტენდენცია, დახარჯოს ნაკლები ძალისხმევა იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები ერთიანდებიან საერთო მიზნის მისაღწევად.
67. *სკრიპტი* – შევიწროებული სიუჟეტური სქემა, რომელიც მოითხოვს დამატებით ინფორმაციას.
68. *სოციოემოციური ლიდერი* – ლიდერი, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელობისას უპირველესად ითვალისწინებს მისი წევრების პიროვნულ და სოციალურ მოთხოვნილებებს.
69. *სტიმული* – წახალისება, რომელიც ახდენს ქცევის მოტივირებას.
70. *სტერეოტიპი* – რაიმეზე ან ვინმეზე განზოგადებული წარმოდგენა.
71. *სტრესი* – ფსიქიკური დაძაბულობა, გამოწვეული ძლიერი ემოციებით.
72. *სუბლიმაცია* – ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი, რომელსაც მიუღებელი ზრახვები და ლტოლვები გადააქვს პოზიტიურ, კონსტრუქციულ სფეროში.

73. **ტელეპათია** – შორ მანძილზე საკუთარი აზრებისა და გრძნობების სხვისთვის გადაცემა.
74. **ფსიქონალოგი** – ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის მიმდინარეობა, რომელიც შეისწავლის არაცნობიერის სფეროს; სიზმრებს, აუხსნელ ქცევებს, გაუგებარ შფოთვას და ა.შ.
75. **ფსიქოკინეზი** – ფიზიკური ობიექტებით მანიპულირების უნარი მათთან ფიზიკური კონტაქტის გარეშე.
76. **ფსიქოლოგია** – მეცნიერება ფსიქიკური პროცესების, თავისებურებებისა და მდგომარეობების, ფსიქიკის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების შესახებ.
77. **ფსიქოტროპული პრეპარატები** – ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ ცვლილებას ფსიქიკაში, ქცევასა და სხვადასხვა ემოციურ გამოვლინებებში.
78. **ფანტაზიორობა** – ეს არის ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი, რომელიც გამოიხატება ადამიანის მიერ წარმოსახულ ოცნებების სამყაროში გადასვლით.
79. **ფობია** – ინტენსივობის მიხედვით ძლიერი განცდა, უსაფუძვლო და აკვიატებული შიში.
80. **ფრუსტრაცია** – გრძნობა, რომელიც აღმოცენდება, მაშინ როდესაც ადამიანს არ შეუძლია სასურველი მიზნის მიღწევა ანუ როცა მიზანი ბლოკირებულია.
81. **ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი** – ინდივიდის მიერ სიტუაციიდან გაქცევის გაუცნობიერებელი ხერხი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ინდივიდის შფოთვა და თვითშეფასების დაქვეითება.
82. **ქცევის მოდიფიკაცია** – ქცევის ეტაპობრივი, მიზანმიმართული შეცვლა.
83. **შეჭიდულობა** – ჯგუფის წევრთა მზადყოფნა ერთმანეთის მხარდასაჭერად.
84. **შიზოფრენია** – სერიოზული დაავადება, რომელსაც თან სდევს პალუცინაციები, დულუზიები და გონებრივი დარღვევები.

85. *ცალმხრივი კომუნიკაცია* – კომუნიკაციის ტიპი, რომლის დროსაც მოლაპარაკე არ იღებს უკუკავშირს მსმენელისგან.
86. *ჯგუფი* – ორი ან რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთში, იციან ერთიმეორის შესახებ და აქვთ საერთო მიზანი.
87. *ჯგუფური ფსიქოთერაპია* – ურთიერთობის ფენომენზე დაფუძნებული პრობლემების ერთობლივი განხილვა და გადაწყვეტა.
88. *ჯგუფური ნორმები* – ჯგუფში მიღებული ქცევის წესები.
89. *ჰალუცინაცია* – სინამდვილეში არარსებული ხმებისა და სახეების აღქმა.
90. *ჰომეოსტაზი* – მექანიზმი, რომელიც ინარჩუნებს ადამიანის ორგანიზმის ძირითადი ცხოვრებისეული ფუნქციების სტაბილურობას.
91. *ჰომოფობია* – შიში და ნეგატიური დამოკიდებულება ჰომოსექსუალისტების მიმართ.
92. *ჰუმანისტური ფსიქოლოგია* – მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში, რომელიც შეისწავლის ადამიანის სულიერ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები. რედ. ნ. როგავა. თბ., 1983.
2. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგია (დამხმარე სახელმძღვანელო). თბ., 2004.
3. ილიუჩონოკი რ. ემოციები და მეხსიერება. თბ., 1991
4. კაკაბაძე ვ. სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. თბ., 1979.
5. მერაბიშვილი გ. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია. თბ., 1998.
6. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბ., 1975.
7. ნათაძე რ. ფსიქოლოგიის მოკლე კურსი. თბ., 1987.
8. ფილოსოფიური ლექსიკონი. თბ., 1987.
9. ფრანგიშვილი ა. ფსიქოლოგიური ნარკვევები. თბ., 1987.
10. ქირია გ. აღქმის ფსიქოლოგია. თბ., 2003.
11. Ананьев Б. Г. О проблемах современного человекознания. Питер. 2001.
12. Бэрон Р. Ричардсон Д. Агрессия. Питер. 2000.
13. Бурлачук Л., Морозов С. Словарь-справочник по психодиагностике. Питер. 2000.
14. Васильев В.Л. Юридическая психология. Питер. 2001.
15. Гиппенрейтер Ю.Б. Введение в общую психологию /курс лекций/. М., 1988
16. Гульдман В.В. Мотивация преступного поведения психопатических личностей. М., 1986.
17. Еникеев М.И. Юридическая психология. М., 2002.
18. Ждан А. И. История психологии. М., 2002
19. Козлов И.И. Формула личности. Питер. 2000
20. Крутецкий В.А. Психология. М., 1980
21. Квинн В.Н. Прикладная психология. Питер. 2000
22. Кудрявцев В.Н. Правовое поведение: норма и патология. М., 1982.
23. Лакосина Н.Д., Ушаков Г.К. Медицинская психология. М., 1984

24. Маклаков А.Г. Общая психология. Питер. 2005
25. Майерс Д. Социальная психология. Питер. 1999.
26. Немов Р.с. Практическая психология. М.,1998.
27. Общая психология/под ред. Петровского А.В./ М.,1986.
28. Психология/под ред. Дружинина В.Н./ Питер. 2001
29. Психология/под ред. Крылова А.А./ Учебник. М.,1999.
30. Платонов Ю.П. Социальная психология поведения. Питер. 2006.
31. Психология подростка/под ред. Реана А.А./ М., 2003.
32. Радугин А.А. Психология. Учебное пособие. М., 2001.
33. Рабочая книга практического психолога/под ред. Бодалева А.А./ М., 2001.
34. Руденский Е.В. Социальная психология. Курс лекций. М., 2000.
35. Рюкле Х. Ваше тайное оружие в общении /мимика, жест, движение/. М., 1996.
36. Современный словарь по психологии. Сост. Юрчук В.В. М.,2000.
37. Социальная психология/под ред. Предвечного Г.П. и Шерковина Ю.А./ М., 1975.
38. Фернхем А., Хейвен П. Личность и социальное поведение. Питер. 2001.
39. Фопель К. Сплоченность и толлерантность в группе. М., 2002.
40. Фрейд З. Избранное. М.,1990.
41. Фрейд З. Введение в психоанализ. Лекции. М., 1989.
42. Хорни К. Самоанализ. Питер. 2002.
43. Хьелл Л., Зиглер Д. Теории личности. Питер. 2002.
44. Шевандрин Н.И. Психодиагностика, коррекция и развитие личности. М., 1999.
45. Ярошевский М.Г. История психологии. М., 1985.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@Internet.ge